



საქართველო და ევროპა  
GEORGIA AND EUROPE

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
„საქართველო და ევროინტეგრაცია“  
29-30 სექტემბერი 2022

International Scientific Conference  
“Georgia and European Integration”  
29-30 September 2022

კონფერენციის შრომათა კრებული  
Proceedings of the conference  
№ 2

**საქართველო და ევროპა**

**GEORGIA AND EUROPE**

**II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
„საქართველო და ევროინტეგრაცია“  
29-30 სექტემბერი 2022**

**II International Scientific Conference  
“Georgia and European Integration”  
29-30 September 2022**

**კონფერენციის შრომათა კრებული  
Proceedings of the conference  
№ 2**

თბილისი - TBILISI  
2022

UDK(უაკ) 327(479.22:4)+34(479.22:4)  
+0081(479.22:4)+94(479.22:4)  
ბ-264

საქართველო და ევროპული ინტეგრაცია  
GEORGIA AND EUROPEAN INTEGRATION

*ყველა უფლება დაცულია*  
*All rights reserved*

**სარედაქციო კოლეგია:**

ემზარ ფაჟავა (მთავარი რედაქტორი)  
ნუგზარ ბარდაველიძე (რედაქტორი)  
ლიზა ამილახვარი (პასუხისმგებელი მდივანი)  
ემილია ალავერდოვი  
სურეია იილიტი  
არმაგან გოზკომანი  
მურმან პაპაშვილი  
ნიკო ახალკაცი  
გურანდა ჭელიძე

**The Editor Board:**

Emzar Pazhava (Chief Editor)  
Nugzar Bardavelidze (Editor)  
Liza Amilakhvari (Executive Secretary)  
Emilia Alaverdov  
Sureyya Yiğit  
Armagan Gozkoman  
Murman Papashvili  
Niko Akhalkatsi  
Guranda Chelidze

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის მხარდაჭერით  
This project is implemented with the support of the Erasmus+ program  
of the European Union

ევროკომისია მხარს უჭერს ამ პუბლიკაციის გამოცემას, მაგრამ პასუხს არ აგებს  
მის შინაარსზე. კრებულში დაბეჭდილი სტატიების შინაარსსა და სტილზე  
პასუხისმგებლები არიან ავტორები.

The European Commission supports the publication of this publication but is not  
responsible for its content. The authors are responsible for the content and style of the  
articles printed in the collection.

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
© jeanmonnet@gtu.ge

ISSN 2960-9976



With the support of the  
Erasmus+ Programme  
of the European Union



Jean Monnet  
Modules

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის მხარდაჭერით

This project is implemented with the support of the Erasmus+ program of the European Union

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

Acronym: EU-GTU

Grant Agreement Number Reference: Erasmus + Jean Monnet Module - 611737-EPP-1-2019-1-GE EPPJMO-MODULE. Grant # 2019-1899/006-001

Project period: 2019-2022

## შინაარსი

### პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

ემზარ ფაჟავა - ერთიანი ევროპის იდეის პროექტები და საქართველო.....	6
მანანა მორჩილაძე - მიგრაციული კრიზისული პროცესების გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები ევროკავშირში .....	25
ჯემა სააკიანი - მარკეტინგის სისტემის მნიშვნელობა ევროინტეგრაციის პროცესში .....	29
ხათუნა ჩაფიჩაძე - მზარდი პოსტ-საბჭოთა ემიგრაცია საქართველოდან და ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია .....	36
თამთა მამულაიძე, ოთარ ბალათურია - ხელოვნური ინტელექტის როლი საქართველოს ევროინტეგრაციაში (ავრობიზნესის მაგალითზე) .....	42

### ისტორია

ნუგზარ ბარდაველიძე- წმინდა საყდარი და საქართველო - თანამშრომლობის სამი ათწლეული.....	49
ნესტან გუგუშვილი - გვიანბრინჯაოს ხანის საქართველო და ევროპული ცივილიზაცია .....	63
მაია ქუთათელაძე - ქრისტიანობა როგორც ევროპული არჩევანი.....	70
მარიამ მარჯანიშვილი- საქართველო - ევროპელთა კვლევის არეალში .....	79

### კულტურა

ნინო გომართელი - კულტურათა დიალოგი – ევროპულ კულტურათა ერთიანობის საფუძველი .....	88
მაგდა ჭიქაბერიძე, ეკატერინე შაკიაშვილი - სულხან-საბა ორბელიანი რომისა და პაპ კლიმენტი XI-ის შესახებ (მისივე მემუარისტული ნაწარმოების: „მოგზაურობა ევროპაში“ მიხედვით) .....	93
გუბაზ მეგრელიძე - ევროპული დრამატურგიის მნიშვნელობა ქართული თეატრისთვისთვის ლოპე დე ვეგას პიესის „ცხვრის წყაროს“ მიხედვით .....	99
თამარ შაიშველაშვილი- „შუაკაცი“ ჩვენსა და ევროპას შორის (ილია ჭავჭავაძე და არტურ ლაისტი) .....	106
გელა ღვინფაძე - ტრანს- და ინტერდისციპლინური მიდგომები პრობლემების გადასაწყვეტად .....	114
მირანდა ჯანხოთელი, ბესარიონ სიმონიშვილი- მიგრაციის გავლენა ჯანდაცვის ეკონომიკის ეფექტიანობაზე .....	122
ედიშერ ჯაფარიძე - ევროპული ინტეგრაციის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები.....	128

# CONTENT

## POLITICS AND INTERNATIONAL RELATIONS

Emzar Pazhava - United Europe idea projects and Georgia .....	6
Manana Morchiladze - Causes of migration crisis processes and solutions in the European Union.....	25
Jemma Saakyan- The Importance of the Marketing System in the Process of European Integration .....	29
Khatuna Chapichadze- Increasing Post-Soviet Emigration from Georgia and the Country's European Integration .....	36
Tamta Mamulaidze, Otar Baghaturia - The Role Of Artificial Intellect In Georgias Euro-Integration (On Example Of Agribusiness).....	42

## HISTORY

Nugzar Bardavelidze - The Holy See and Georgia - three decades of cooperation.....	49
Nestan Gugushvili - Late Bronze Age Georgia and European Civilization .....	63
Maia Kutateladze - Christianity as a European Choice .....	70
Mariam Marjanishvili - Georgia in European Research .....	79

## CULTURE

Nino Gomarteli - Dialogue of cultures - the basis of the unity of European cultures .....	88
Magda Chikaberidze, Ekaterine Shakiashvili - Sul Khan-Saba Orbeliani about Rome and Pope Clement XI (According to his own memoir: "Travel to Europe").....	93
Gubaz Megrelidze - The importance of European dramaturgy for Georgian theatre Lope de Vega's "Sheep Spring" on the Georgian stage .....	99
Tamar Shaishmelashvili - „The mediator“ between us and Europe (Ilia Chavchavadze and Artur Laist) .....	106
Gela Gvinepadze - Trans- and inter-disciplinary approaches to solving problems .....	114
Miranda Jankhoteli, Besarion Simonishvili - The impact of migration on the efficiency of the health economy .....	122
Edisher Japharidze - Historical-political aspects of European integration .....	128

# პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები



ემზან თაჟაჟა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ერთიანი ევროპის იდეის პროექტები და საქართველო

### აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია ერთიანი ევროპის იდეის გენეზისის დადგენა, ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობის განსაზღვრა ერთიანი ევროპული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, ერთიანი ევროპის პროექტების ავტორების როლის წარმოჩენა ევროპის გაერთიანების შექმნაში.

კვლევის მიხედვით ერთიანი ევროპის იდეის პროექტის პირველი ნიშნები ჩნდება IX-X საუკუნეებში, კარლოს დიდისა Charles the Great ( 768–814 ) და მისი მემკვიდრეების მეფობის დროიდან, რომელიც ისტორიაში ცნობილია გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის (962-1806) სახელით.

ნაშრომში ქრისტიანული სარწმუნოება წარმოჩენილია, როგორც საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენა ყველა ევროპელისათვის.

სტატიის მიხედვით, საუკუნეების განმავლობაში ერთიანი ევროპის პროექტების ავტორების მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო და საბოლოოდ შეიქმნა ევროპული გაერთიანება, რომელიც ყველაზე მაშტაბური რეგიონული ინტეგრაციული პროექტია დღევანდელ მსოფლიოში.

კვლევაში ასევე განხილულია ქართველების მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობებში; ქართველი ემიგრანტების წვლილი ევროპის გაერთიანების საქმეში; ქართველი განმანათლებლების როლი ევროპული ფასეულობების გავრცელების საქმეში.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის - „საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი“ ფარგლებში (საგრანტო ხელშეკრულების # YS-18-200)

ერთიანი ევროპის იდეის შესახებ წარმოდგენები უძველესი დროიდან ყალიბდებოდა. ათასწლეულების განმავლობაში "ევროპული იდეა" თუ "კონცეპტი ევროპა"



მოიცავდა სხვადასხვა კონცეფციას - გეოგრაფიულს, ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კულტურულს, ისტორიულს და უკავშირდებოდა თავისუფლების იდეას ანტიკურ პერიოდიდან მთელი ისტორიის მანძილზე.

ერთიანი ევროპის იდეა სანყის ეტაპზე განიხილებოდა, როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ თავდაცვის საშუალება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთიანი ევროპის იდეა, ხშირ შემთხვევაში, იწვევდა გარკვეულ შიშებს, რომ შეიქმნებოდა დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოების გაერთიანება შეზღუდული უფლებებით. ასეთი შიშები ბუნებრივად არსებობდა ევროპის ქვეყნებისა და ხალხების გაერთიანების იდეების წარმოშობისა და განვითარების ადრეულ ეტაპზეც. მსგავსი შეშფოთება არსებობს ევროპის მრავალ სახელმწიფოში მათი განვითარების მიმდინარე ეტაპზეც.

ერთიანი ევროპის იდეის პროექტის პირველი ნიშნები ჩნდება IX-X საუკუნეებში. ამ დროით თარიღდება საერთო ევროპული პოლიტიკის შექმნა კარლოს დიდისა Charles the Great (768–814) და მისი პირდაპირი მემკვიდრეების იმპერიის სახით, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში შევიდა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის (962-1806) სახელით და მთელ ევროპას წარმოადგენდა, როგორც ერთიან პოლიტიკურ მთლიანობას.

ქრისტიანული სარწმუნოება თავის მხრივ შეეცადა დასავლეთ ევროპის საზოგადოების რელიგიურ ჰომოგენურობას და გააძლიერა ქრისტიანული რელიგიის როლი, როგორც საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენა ყველა ევროპელისათვის. აქედან გამომდინარე, რელიგიური კუთვნილება გახდა ევროპული სამყაროსადმი ინდივიდის მიკუთვნების მთავარი ნიშანი. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელიც საერთო ევროპული საქმედ იქცა, რომლთა დროშის ქვეშ ძირითადად გაერთიანებულნი იყვნენ ევროპელი ხალხები.

მუსლიმური სამყაროსაგან დამუქრებულმა საგარეო საფრთხემ მნიშვნელოვნად გაძლიერა რომის პაპის ტახტის გავლენა საერო ძალაუფლებაზე<sup>1</sup>. ამგვარად, რომაულ-კათოლიკური ეკლესია საკუთარ თავს აყენებდა ნებისმიერი საერო ძალაუფლებაზე მაღლა მთელს ფეოდალურ ევროპაში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ პირველი ევროპული პროექტები გახდა ევროპის გაერთიანების იდეის ამ ვერსიის პროდუქტი და ეფუძნებოდა ევროპას, როგორც ქრისტიანულ სამყაროს.

დაპირისპირება ევროპასა და მუსლიმურ აღმოსავლეთს შორის რეკონკისტათი<sup>2</sup> დაიწყო მერვე საუკუნეში და გაგრძელდა ჯვაროსნული ლაშქრობებით XI-ის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში, რომლის მიზანი წმიდა მიწის მუსლიმთაგან გათავისუფლება და უფლის საფლავის ქრისტიანთა ხელში გადასვლა იყო.

მართალია, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა წარუმატებლობა განიცადეს, მაგრამ მას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჯვაროსნულმა მოძრაობებმა სათავე დაუდეს „...დასავლეთ

1 აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, სანამ XIII-XIV საუკუნეებში არ განმტკიცდა ნაციონალური საქმელმწიფოები, მანამ ეკლესია დასავლეთ ევროპაში უფრო უნივერსალური და კომპლექსური სტრუქტურა იყო, ვიდრე შუა საუკუნეების სახელმწიფო (Dawson C. Religion and the Rise of Western Culture, New-York, 1958, pp. 32, 137).

2 აქ მხედველობაშია დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნების პროცესი. რეკონკისტა (ესპ. Reconquista - დაბრუნება). იხ. <https://www.newworldencyclopedia.org/entry/Reconquista>



ევროპული ტრანს და ზენაციონალური ინსტიტუტების<sup>3</sup> შექმნას<sup>4</sup>, რაზეც მსჯელობის გაგრძელებას აუცილებლობას აქ ვერ ვხედავთ.

ისტორიულად პირველი ევროპის გაერთიანების პროექტი ეკუთვნის საფრანგეთის სამეფო კარის სამართალმცოდნესა და პუბლიცისტს პიერ დიუბუას Pierre Dubois<sup>5</sup> (1250-1320). „წმინდა მიწის გათავისუფლების შესახებ“ (Derecuperatione terrae Sanctae) ტრაქტატში მისი მიზანი იყო ომების შეწყვეტა, ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილის, მათ შორის ბიზანტიის ჩათვლით პოლიტიკური გაერთიანება და „ქრისტიანული რესპუბლიკის“ შექმნა საფრანგეთის მეფის ხელმძღვანელობით, რომელიც ევროპული მონარქების კონფედერაცია იქნებოდა ევროპული მონარქების ერთგვარ ფედერაციამდე დაყრდნობით.<sup>6</sup> დიუბუას პროექტში ასევე მინიშნებული იყო საარბიტრაჟო სასამართლოზეც, სადაც უმთავრესად გადაწყდებოდა გაუგებრობები და კონფლიქტები.<sup>7</sup>

მშვიდობის იდეა, როგორც ევროპული საზოგადოების უმაღლესი ღირებულება, ასევე კარგად იქნა გამოხატული დიდი იტალიელი პოეტის, დანტე ალიგიერის (1265-1321) მიერ. სხვადასხვა წერილებსა და ტრაქტატებში დანტე მხარს უჭერდა ძლიერ იმპერიას, რომელიც ევროპაში მშვიდობის გარანტი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ავტორი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა საფრანგეთის მონარქსა და გერმანელ იმპერატორზე. დანტესთვის, ევროპული სამყარო იყო ქრისტიანული სამყარო და ეს იყო ქრისტიანული სათნოება, რომელიც უნდა გამხდარიყო შიდა-ევროპული შერიგების საფუძველი.

1453 წელს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ევროპული მონარქები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებული ძალებით უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ.

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, როცა ოსმალები არ სჯერდებოდნენ ბიზანტიის მიწებს და მათი ჯარი თანდათანობით მიიწვედა დასავლეთისაკენ, ევროპული მონარქები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ერთიანი ძალებით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეაა გადმოცემული ბოჰემიის (თანამედროვე ჩეხეთის) მეფის ირუი პოდებრადელის პანევროპული პროექტის Jiri Z Podebrad (1420–1471).<sup>8</sup> სადაც ის საფრანგეთს, ჩეხეთსა და ვენეციას შორის კავშირზე საუბრობდა თურქეთის წინააღმდეგ.

სწორედ ამ საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანებას ითვალისწინებდა ირუი პოდებრადელის ანტიოსმალური პანევროპული ლიგის შექმნის იდეა, რომელიც ევროპელებს სთავაზობდა საერთო კავშირის შექმნას ფრანგების, გერმანელების,

3 აქ მხედველობაშია კათოლიკობის ისეთი საერთოევროპული ინსტიტუტები, როგორიცაა: მონასტერი, სამონასტრო ორდენები, ჯვაროსნული ლაშქრობების თავისებური „ევროპული ჯარი“ (დანვრ. იხ. Медведев С. А. Европейский проект и Европейская политика Папы Римского Иоанна Павла II. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1995, გვ. 42-43.

4 Медведев С. А. Европейский проект и Европейская политика Папы Римского Иоанна Павла II. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1995, გვ. 42.

5 პიერ დიუბუას შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. <https://www.britannica.com/biography/Pierre-Dubois>

6 Healter D. The Idea of European Unity. Leicester University Press, 1992.

7 Dawson Chr. Religion and the Rise of Western Culture, New-York, 1947.

8 დანვრილებით ირუი პოდებრადელის შესახებ იხ. <https://www.britannica.com/biography/Charlemagne/King-of-the-Franks> (შემოწმებულია 26.08.2022)

ესპანელებისა და იტალიელების მეთაურობით. რომლის ხელმძღვანელი ორგანო უნდა ყოფილიყო კავშირის საბჭო, რომელიც შედგება ქრისტიანული ქვეყნების ხელმძღვანელებისაგან და საბჭოს პრეზიდენტისაგან. ინგლისი, ისევე როგორც კათოლიკური პოლონეთი და ლიტვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მართლმადიდებელ მოსკოვზე, არ შედიოდნენ დაგეგმილ კავშირში.<sup>9</sup>

ამდენად, ირუი პოდებრადელის “ლიგა” მიზნად ისახავდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას და გარე საფრთხეების თავიდან აცილებას. დოქტრინაში ნათლად გამოიკვეთა ერთმორწმუნე ქრისტიანული ევროპული სამყაროს სტაბილურობის აღდგენის შესაძლებლობა. ალიანსის მონაწილეებს უნდა დაედოთ ფიცი, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ იარაღს და კავშირის წევრებსა და სხვა ქრისტიან მონარქებს შორის დავების მოგვარების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ირუი სთავაზობდა საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნას.<sup>10</sup>

სამწუხაროდ, ჩეხეთის მეფემ თავისი იდეის განხორციელება ვერ შესძლო კათოლიკურ ეკლესიასთან დაპირისპირების გამო. უფრო კონკრეტულად, რამდენადაც ჩეხეთის მეფის გეგმაში წმინდა ტახტისთვის რაიმე სახით წამყვანი როლი არ იყო გათვალისწინებული, პაპობამ ყველაფერი გააკეთა, რომ მისი რეალიზაციისათვის ხელი შეეშალა.

ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების შეწყვეტისა და ევროპულ ალიანსში გაერთიანებისკენ მოუწოდებდა ესპანელი ჰუმანისტი ხუან ლუის ვივესი Juan Luis Vives (1492-1540).<sup>11</sup>

ერთიანი ევროპის იდეის მიზნით პოეტმა და ჰუმანისტმა პაპმა პიუს II 1458 წელს მიმართა ქრისტიან მონარქებს შეკრებილიყვნენ და განეხილათ თურქეთის წინააღმდეგ „ევროპის“ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის საკითხი. პაპს მიაჩნდა, რომ ერთიანი ევროპას შეუძლია მოიგერიოს გარეშე რელიგიური მტრები. სწორედ პიუს II იყო პირველი, რომელმაც თავის მხრივ გააცნო საზოგადოებას ევროპის, როგორც “საერთო სახლის», იდეა. უფრო კონკრეტულად, პაპის პროექტში პირველად მოხდა, რომ ადრე არსებული ტერმინი „ქრისტიანული სამყარო“ - „ევროპული სამყაროთი“ შეიცვალა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ტერმინი „ქრისტიანული ევროპა“ სრულიად აქტუალური კონცეპტია თანამედროვე ევროპისთვისაც.

აღსანიშნავია, რომ ეს ნაბიჯი ასევე შეიძლება ჩაითვალოს პიუს II-ის რელიგიური ტოლერანტობის მტკიცებულებად აღმოსავლეთის განხეთქილებასთან მიმართებაში, და როგორც გაგრძელება წმიდა საყდრის ტრადიციული პოლიტიკისა “დიდი” ევროპის გაერთიანების მისაღწევად, ქრისტიანობის კათოლიკური ვერსიის საფუძველზე, ანუ კავშირის მეშვეობით. ამ ტიპის პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1274 წელს მოხდა, როდესაც რომის დედა-ეკლესია მოუწოდებდა წმინდა რომის იმპერიას, პაპსა და ბიზანტიას შერიგებისკენ, ანუ ეკლესიათა უნიისაკენ, ამას მოჰყვა ე.წ. წარუმატებელი ფლორენციის უნია 1439 წელს, რომელიც მიღებულიქნა მაშინ უკვე მომაკვდავი ბიზანტიის მიერ.

პაპ პიუს II-ის ინიციატივა არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა. ქრისტიანული ევროპის მონარქების უმრავლესობამ არ უპასუხეს მის მიმართვას. ამ ინიციატივის

9 Pánek J, A History of the Czech Lands. Prague. Carolinum, 2009.

10 ob. The Universal Peace Organization of King George of Bohemia: A Fifteenth Century Plan for World Peace, 1462/1464. Praha, 1964.

11 ხუან ლუის ვივესის შესახებ დანვრილებით ob. <https://www.britannica.com/biography/Juan-Luis-Vives>

წარუმატებლობის მიზეზად ასახელებდნენ, როგორც პაპის პროექტის გადაჭარბებულ იდეალიზმს, ასევე რელიგიურ შეხედულებებში ევროპული საზოგადოების სეკულარიზაციას.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანული სამყარო დაიყო კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად, ახალ ევროპულ რეალობაში, ქრისტიანული ევროპის დოქტრინამ დაკარგა თავის თეოკრატიული კომპონენტი. შესაბამისად დღის წესრიგში დადგა ევროპული ერთიანობის არარელიგიური იდეები.

ამ მხრივ საინტერესოა ფრანგი მწერლის, ემერიკ კრუსეს Cruce Emeric (1590 – 1648) იდეები. მან პირველმა დააყენა საკითხი ევროპული ერთიანობის ეკონომიკური საფუძვლის შესახებ. თავის ტრაქტატში “ახალი კინეა», მას ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება ევროპაში მშვიდობისათვის აუცილებელ საფუძვლად მიაჩნდა<sup>12</sup> ამ მიზნით ის ევროპის მონარქებს მოუწოდა შეექმნათ სახელმწიფოთაშორისო ასამბლეა, სადაც არაქრისტიანული სახელმწიფოებსაც მიეცემოდათ მონაწილეობის საშუალება.<sup>13</sup>

XVII საუკუნის ევროპული ერთიანობის ერთ-ერთი ცნობილი პროექტი სალის პირველი ჰერცოგის, მაქსიმილიენ დე ბეტუნის Maximilien de Béthune, 1st Duke of Sully (1559-1641 წ.წ.) “დიდი პროექტია». ამ პროექტის (1638) მიხედვით, ევროპა უნდა გამხდარიყო თანაბარი ზომისა და პოტენციალის მონარქიისგან შემდგარი კონფედერაცია, რომელიც შემადგენლობაში შევიდოდა ყველა ქვეყნის 40 წარმომადგენელი, რომელთაგან 20-ს ნიშნავდა რომის პაპი, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი, საფრანგეთის მეფე, იტალიისა და ესპანეთის სუვერენები, დანარჩენ 20-ს-ნიშნავდა 10 მონაწილე-სახელმწიფო. საბჭო ყოველ სამ წელიწადში შეიცვლიდა წევრებს და დაეცემდებარებოდა ექვს რეგიონალურ საბჭოს. გენერალური საბჭოს ძირითადი ამოცანა და უფლება იქნებოდა საარბიტრაჟო დავების განხილვა ევროპის ქვეყნებსა და მათ სუბიექტებს შორის. საბჭოს გადანყვეტილებები სავალდებულო და საბოლოო უნდა ყოფილიყო. ძირითადად საბჭოს მიზანს წარმოადგენდა ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა.<sup>14</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროპის კონფედერაციის ფარგლებში ბეტუნი არ მოიზრებდა თურქეთსა<sup>15</sup> და რუსეთს.<sup>16</sup>

ამგვარად, ბეტუნის პროექტის მიხედვით ევროპის კონფიგურაცია ამკარად ატარებდა ცივილიზაციურ ხასიათს, რომელიც დღესაც პოპულარულია და მრავალი მიმდევარი ჰყავს ევროპაში.

ამასობაში ევროპულ საზოგადოებაში ძლიერდებოდა პაციფისტური ტენდენციები. რომის მონაწილემდევე ევროპული ჰუმანისტები მოუწოდებდნენ ყველა ევროპელს მეგობრობისკენ და გაერთიანებისკენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა

12 Mansfield A, Émeric Crucé's “Nouveau Cynée” (1623), universal peace and free trade\*. Journal of Interdisciplinary History of Ideas 2(2013) p. 2-22. <https://www.ojs.unito.it/index.php/jihi/article/view/170/374> (შემოწმებულია 26.08.2022)

13 German A, Reza De La. The 1623 Plan for Global Governance: the obscure history of its reception. Revista Brasileira de Política Internacional, vol. 58, núm. 2, julio-diciembre, 2015, pp. 146- 160.

14 German A, Reza De La. The 1623 Plan for Global Governance: the obscure history of its reception. Revista Brasileira de Política Internacional. vol. 58, núm. 2, julio-diciembre, 2015. pp. 146- 160.

15 აქ კრიტიკიუმად მიჩნეული იყო რელიგიური განსხვავება.

16 რუსეთი ამ ფედერაციაში იმიტომ არ შეიყვანა სიულემ, რომ მისი სამფლობელოების დიდი ნაწილი, ჯერ ერთი, გადაჭიმული იყო აზიაში, მეორე, რუსეთის მაცხოვრებლები ბარბაროსებად მიაჩნდა და მესამე, მათ შორის იყო რელიგიური განსხვავება.

XV საუკუნის დიდი ნიდერლანდელი ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი Erasmus Roterodamus (1466-1536) იყო.

როტერდამელი საზოგადოებას რელიგიური ერთიანობისა და მშვიდობის ინიციატივით გამოდიოდა.

სამწუხაროდ, რელიგიური დაპირისპირება ოცდაათწლიან რელიგიური ომში გადაიზარდა (1618–1648). ამ საშინელება ომმა პაციფის ახალმა ტალღა გამოიწვია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ჩეხეთის უნივერსიტეტის პროფესორი იან ამოს კომენსკი და პარიზელი ბერი ემერიკ კრუსე.

იან ამოს კომენსკის Jan Amos Komenský (1592-1670 წ.წ.) აზრით, საყოველთაო საერთაშორისო ენის იდეა იყო ის გასაღები, რითაც ევროპელი ხალხები ერთმანეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებდნენ.

ევროპის მომავალი მშვიდობიანი მონაცემის ინიციატივით გამოდიოდა ასევე ინგლისელი მწერალი და რელიგიური მოაზროვნე უილიამ პენიუ William Penn (1644-1718), პენი ევროპელებს სთავაზობდა ევროპის ლიგისა და კონფედერაციის ჩამოყალიბებას, რომელშიც გაერთიანდებოდა ყველა ევროპული ქვეყანა, მათ შორის “თურქებიც და რუსებიც». ამჯერად ლიგის უმაღლესი ორგანო უნდა ყოფილიყო კონგრესი (პარლამენტი), რომელთა ფუნქცია იქნებოდა არბიტრაჟი და საჭიროების შემთხვევაში, კონფლიქტში მყოფი ქვეყნების მშვიდობისკენ იძულებით შემობრუნება. პენის ეს პროექტი ძალიან ჰგავდა დე ბეტუნის “დიდი პროექტს».

თავის პროექტში, პენი შეეხო ევროპის ლიგაში გადანაცვლებების მიღების მრავალდონიანი სისტემის შემოღებას. მან გამოყო სამი დონე: ზენაციონალური, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. პენის მიერ შემოთავაზებული ეს სტრუქტურა თავის დროზე იყო ნოვატორული. იდეა გადარჩა და დღემდე წარმატებით ხორციელდება ევროკავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურებში.<sup>17</sup>

ერთ-ერთი ყველაზე სისტემური და კონცეპტუალური ევროპული პროექტი ეკუთვნის ასევე ფრანგ აბატს შარლ დე სენ-პიერს abbé de Saint-Pierre<sup>18</sup> (1658-1743). თავის ტრაქტატში „მარადიული მშვიდობა ევროპაში“ (1712-1729), ის ყურადღებას უთმობს ერთიანი ევროპული გაერთიანების წინაპირობების ჩამოყალიბებასა და მისი მექანიზმების შექმნას, სადაც ის მეზობელ ისლამური სახელმწიფოებსაც მოიაზრებდა.<sup>19</sup>

სენ პიერის აზრით, ევროპული ხალხების დაახლოება ხელს შეუწყობდა ევროპაში “მარადიული მშვიდობის» დამკვიდრებას. მისთვის მარადიული მშვიდობის» საფუძველი იყო სტატუს კვოზე დაფუძნებული “ევროპული ბალანსი». სენ-პიერი ხაზგასმით აღნიშნავდა დიპლომატიური მოლაპარაკებების როლს და მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკებების პროცესი გარანტირებულად ხელსაყრელია ყველა შეთანხმებისთვის. თუმცა, XVIII საუკუნის ევროპული პოლიტიკის რეალობა არ იძლეოდა

17 დამატებით იხილეთ: „An Essay Towards the Present and Future Peace of Europe“ (1693). პენს ხშირად იხსენებენ, როგორც ევროპარლამენტის შექმნის პირველ ინიციატორს. ასევე იხ. Archibug D, William Penn, the Englishman who invented the European Parliament Archived 31 August 2017 at the Wayback Machine openDemocracy, 28 May 2014.

18 შარლ დე სენ-პიერის შესახებ დამატებით იხ. <https://www.britannica.com/biography/Charles-Irenee-Castel-abbe-de-Saint-Pierre>

19 „The Idea of Europe“ Enlightenment Perspectives. Catriona Seth and Rotraud von Kulessa. 2017. p.p. 23-25. <https://books.openbookpublishers.com/10.11647/obp.0123.pdf> (შემოწმებულია 26.08.2022)



მშვიდობიანი ევროპის იმედს, სტატუს კვოს საფუძველზე, რასაც სენ-პიერის პროექტის მრავალი კრიტიკოსი აღნიშნავდა. ამავდროულად, ავტორის უდავო დამსახურება იყო ევროპული საზოგადოების ინტეგრაციის გრძელვადიანი სისტემა.

კრიტიკოსებს შორის იყო ჟან-ჟაკ რუსოც Jean-Jacques Rousseau (1712–1778). რომელიც პიერის კონფედერაციას უფრო ფრთხილად უყურებდა და მიაჩნდა, რომ ეს გაერთიანება არ უნდა ყოფილიყო ხელოვნური და ამბივალენტური, რადგან საუკუნეების განმავლობაში არსებული დაპირისპირებების ასე უცებ მოგვარება, როგორც ჩანს რთულად ეჩვენებოდა. მითუმეტეს, სან პიერი ამ გაერთიანებაში ქრისტიანულის გარდა ილამურ სახელმწიფოებსაც მოიაზრებდა.

მარადიულ მშვიდობას მიუძღვნა თავისი ნაშრომი დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა (1724-1804).<sup>20</sup> კანტიც ევროპული ქვეყნების კონფედერაციის შექმნის იდეით გამოდიოდა.

ფილოსოფოსის აზრით, რეჟიმი, რომელიც ახდენს საკუთარი მოქალაქეების შევიწროებას, არ შეუძლია გაატაროს მორალური, სამართლიანი საგარეო პოლიტიკა. ამდენად, 18-ე საუკუნის ბოლოს და 19-ე საუკუნის დასაწყისში, კანტმა კარგად ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამართლის ძირითადი დილემა, რომელიც აწესებს კონკრეტული სახელმწიფოს ლეგიტიმურობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პირდაპირ დამოკიდებულებას ქვეყანაში ადამიანის უფლებების პატივისცემის თვალსაზრისით.

ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ ერთიანი ევროპული იდეის ჰუმანური ტრადიციების საპირისპიროდ ჩნდება „ერთიანი ევროპის“ ევროცენტრისტული მიმართულება, რომელიც კოლონიზაციის პროცესებმა გამოიწვია და მოგვიანებით რასობრივი თეორიის შექმნის საფუძველი გახდა. მე-20 საუკუნის ნაცისტურ-ევროპული პროექტის „ახალი ევროპა“ განხორციელებაც ევროცენტრიზმის დამსახურება იყო.

XIX საუკუნის დასაწყისში „ევროპული გაერთიანება“ ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით, საფრანგეთის იმპერიის ეგიდით წარიმართა. ნაპოლეონის პროექტების განხორციელებას მოჰყვა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური სივრცის გადამწყვეტი რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. არსებობა შეწყვიტა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიამ (1806). მოხდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლებრივი და პოლიტიკური რეჟიმების გაერთიანება საფრანგეთის მოდელთან. კერძოდ, რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში ჩართული იყო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (ე.წ. ნაპოლეონის კოდექსი).

ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა და 1814 წელს ნაპოლეონის მიერ ევროპის ძალისმიერი მეთოდით გაერთიანების გეგმამ საბოლოო კრაზი განიცადა.

შესაბამისად, აქტუალური გახდა ევროპული პოლიტიკური სივრცის რეორგანიზაციის ახალი პროექტი.

1815 წელს, ვენის კონგრესზე ხელმოწერილი წმიდა ალიანსის აქტით გამოცხადდა ევროპული პოლიტიკის დაბრუნება ქრისტიანულ მორალურ ნორმებზე. გარდა ამისა, ევროპული სისტემის ქვაკუთხედი გახდა ლეგიტიმაციის პრინციპი-ტრადიციული მონარქების უფლებების პატივისცემა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან ერთიანი ევროპული იდეის ახალი აღმავლობა იწყება. ამ იდეის წარმოდგენლები იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ლიბერალები

<sup>20</sup> დამატებით იხ. კანტი ი, „მარადიული მშვიდობისკენ“. 2020 წ. გვ. 176. ქართულად.

და ნაციონალისტები. მათ შორის - ჯუზეპე მაძინი, მოძრაობა “ახალგაზრდა ევროპის» დამფუძნებელი, ლუი ბლანი, ლაიოშ კოშუტი და სხვები. ადრე განხილული ევროპული პროექტების ავტორებისგან განსხვავებით, “ახალგაზრდა ევროპის» წარმომადგენლები მოითხოვდნენ არა ევროპული ქვეყნების, არამედ ევროპული საზოგადოების კონსოლიდაციას.

1849 წელს პარიზში მსოფლიოს III კონგრესზე ვიქტორ ჰიუგომ წარმოსთქვა ცნობილი ფრაზა ევროპის შეერთებულ შტატებზე.<sup>21</sup> ის ამბობდა: „დადგება დღე, როდესაც ამ კონტინენტის ყველა ერი, საკუთარი ინდივიდუალურობის დათმობის გარეშე, მჭიდრო გაერთიანებად შეიკვრება და დიდ ევროპულ ძმობას დაუდებს საფუძველს. დადგება დღე, როდესაც აღარ იარსებებს საბრძოლო ველი...»

მიუხედავად ამ განწყობებისა, XIX საუკუნის მიწურულსთვის, ევროპა დაპირისპირებული ბლოკების არენას წარმოადგენდა: ცენტრალური ევროპული ძალების გაოთხმაგებული კავშირი ჩაება კონტინენტზე ჰეგემონიისთვის ბრძოლაში ძველ კოლონიურ იმპერიებთან და რუსეთთან ერთად. აქედან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ევროპული იდეა წარმოადგენდა გაურკვევლობას დიდ პოლიტიკაში.

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ევროპული იდეის განვითარებისთვის ახალი პირობები შექმნა. პირველ რიგში, სრულიად კომპრომეტირებული იყო ნაციონალიზმი და იმპრეიალიზმი.

ომის შედეგად დაიშალა კონტინენტური ევროპის ოთხი ყველაზე დიდი გერმანიის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერია.

ევროპული პოლიტიკური სივრცე, რომლის ჩამოყალიბებაც ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ორად გაიყო. 1917 წელს ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთი გავიდა ევროპული პოლიტიკური სივრციდან.

1920 წელს, შექმნილი ვითარების ფონზე, პირველი რეაქცია პანევროპული მოძრაობის შექმნა იყო. 1923 წელს გრაფმა რიჰარდ კუდენჰოვე კალერგიმ Richard Nikolaus Coudenhove-Kalergi (1894-1972) გამოაქვეყნა მანიფესტი „პან-ევროპა“, რომელშიც იგი საუბრობდა ევროპული ეკონომიკის კრაზზე, ევროპის სახელმწიფოების კატასტროფულ დასუსტებაზე და სთავაზობდა არსებული კრიზისიდან გამოსავალს.<sup>22</sup>

მისი აზრით, ევროპის სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყვნენ, რათა არსებულ მოწინააღმდეგეს ეფექტიანად დაპირისპირებოდნენ.

აღნიშნულ ქვეყნებთან ეფექტიანი კონკურენციისთვის იგი ევროპის ქვეყნებს სთავაზობდა საერთო ბაზრის შექმნას და მის აღჭურვას აუცილებელი ზენაციონალური ინსტიტუტებით. კერძოდ, საუბარი იყო საერთაშორისო არბიტრაჟსა და საბაჟო კავშირზე.

პოლიტიკური კუთხით, კალერგი გამოდიოდა საერთოევროპული სამხედრო კავშირის შექმნის ინიციატივით, რათა დაეცვათ ევროპის აღმოსავლეთი საზღვრები, რუსეთის მიმართულებით. პან-ევროპის ავტორი არ განიხილავდა თუ რა კავშირი ექნებოდა ზენაციონალურ ინსტიტუტებს პან-ევროპის წევრი, სუვერენული სახელმ-

21 Advocate of Peace (1847-1884). Nov and dec. 1849, Vol. 8, No. 12/13, pp. 133-153. <https://www.jstor.org/stable/43770003>

22 Daniel C. Villanueva. Richard von Coudenhove-Kalergi's "Pan-Europa" as the Elusive "Object of Longing". Rocky Mountain Review of Language and Literature. Vol. 59, No. 2 (2005), pp. 67-80 <https://www.jstor.org/stable/3655048>



ნიფოების ნაციონალურ ინსტიტუტებთან. ამიტომაც, საბოლოოდ პროექტი უფრო მეტად ლოზუნგი აღმოჩნდა, ვიდრე რეალური მოქმედებების პროგრამა. ამ პროექტით მან გააღვიძა ახალი, ევროპული იდეის მხარდამჭერი, ომის შემდგომი თაობა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კალერგის ბევრი წინადადება მოთხოვნადი აღმოჩნდა რეალური ინტეგრაციის მშენებლობის სტადიაზე.

1930 წელს ევროპულმა პროექტებმა პირველად შეიძინა საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი და ერთა ლიგაში დარეგისტრირდა არისტიდ ბრიანის (წარსულში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის) მემორანდუმი ევროპული ფედერალური კავშირის ორგანიზების შესახებ.

პანევროპეიზმის მხურვალე მომხრე იყო არისტიდ ბრიანი Aristide Briand (1862-1932).<sup>23</sup> მან წამოაყენა თავისი გეგმა ევროპის გაერთიანების შესახებ, რომელიც „ფედერალური კავშირისა“ და „საერთო ბაზრის“ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. ის იყო პირველი, რომელმაც ნათლად ჩამოაყალიბა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის საფუძველი. მისი ძირითადი მიზანი იყო ეკონომიკის აღმავლობა და ევროპელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

სხვათაშორის, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ თავშესაფარი საფრანგეთში მიიღო, არისტიდ ბრიანი რჩებოდა საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის მხარდამჭერად, ის რამდენიმეჯერ შეხვდა კავკასიის რესპუბლიკათა წარმადგენლებს და ერთიანი მოქმედებებისაკენ მოუწოდა. 1922 წლის იანვარში კანში გამართულ ანტანტის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ბრიანი ხელმძღვანელობდა, მიიღეს რეზოლუცია, რომელიც რუსეთისაგან ამიერკავკასიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას მოითხოვდა.<sup>24</sup>

ვითარება შეიცვალა 1933 წელს, როდესაც გერმანიის სათავეში მოსულმა ნაცისტებმა საკუთარ ტერიტორიაზე პან-ევროპული კავშირის მოღვაწეობა აკრძალეს, რამაც ერთიანი ევროპის იდეის განვითარებისთვის შესუსტება გამოიწვია. ხოლო კუდენჰოვე-კალერგის ყველა წიგნები დაწვას დაექვემდებარა, რადგან ნაცისტების აზრით „ევროპის გაერთიანება რასების დაუშვებელ შერევას მოიტანდა«. ადოლფ ჰიტლერმა კი პან-ევროპას „რასობრივი გარეწრების იდეალი და ებრაელების მიერ ევროპის დაპყრობის ინსტრუმენტი» უწოდა. აქედან გამომდინარე, პან-ევროპეიზმის მთავარ მტრებად იმხანად გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები იქცნენ.

1935 წელი პანევროპული კავშირის განვითარების გარდამტეხ წლად იქცა. რაც უფრო ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი, მით უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ქვეყნები ევროინტეგრაციის იდეებს. რეალურ პოლიტიკაზე პანევროპული კავშირის გავლენა შესუსტდა. პრობლემათა განხილვა მხოლოდ ერთა ლიგის სხდომებზე ხდებოდა შესაძლებელი (ეს ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელიც ევროპულ ქაოსს უპირისპირდებოდა).

ამასობაში, ევროპაში იმძლავრა სახელმწიფოთა ნაციონალისტურმა განწყობებმა, პანევროპული იდეა კი უძლიერი აღმოჩნდა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელი ეს პერიოდი პანევროპული მოძრაობა ნაცისტების წინააღმდეგ გამოდის და მათ ახალი ომის დაუშვებლობისკენ მოუწოდებს.

23 <https://www.britannica.com/biography/Aristide-Briand> (შემოწმებულია: 26.08. 2022)

24 სარალიძე ლ. არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 2017 წ.

პანევროპული კავშირს მრავალი გამოჩენილი ინტელექტუალი შეუერთდა, მათ შორის იყვნენ: ალბერტ აინშტაინი, ბერნარდ შოუ, პოლ ვალერი, ჰაინრიხ და თომას მანები, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, შტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე, მიგელ დე უნამუნი, ზიგმუნდ ფროიდი, ფრანც ვერფელი, სალვადორ დე მადარიაგა ასევე პოლიტიკოსები: ოტო ფონ ჰაბსბურგი, კონრად ადენაუერი, შარლ დე გოლი, ფრანც იოზეფ შტრაუსი, ბრუნო კრაისკი, ჟორჟ პომპიდუ და სხვ.<sup>25</sup>

მიუხედავად ამისა, ევროპამ მაინც ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ნაპოლეონის შემდეგ მსოფლიოს ძალისმიერი ინტეგრაციის მორიგი<sup>26</sup> მცდელობა იყო. მის იდეურ საფუძველს რასობრივი თეორია წარმოადგენდა,<sup>27</sup> რომელიც ევროპის ხალხებს განიხილავდა, როგორც იდეალურ არიულ რასასთან დაახლოებულს.

ევროპული იდეის რასობრივი ვერსია შეიმუშავა გერმანულმა ნაციონალ-სოციალიზმმა<sup>28</sup>, რომელმაც 1933 წლიდან დაიწყო გერმანიის ეთნიკური წმენდა „რასობრივად უცხო ელემენტებისგან“, რითაც ცდილობდა გაეერთიანებინა ყველა ძირძველი ევროპული ერი, როგორც „ჭეშმარიტად არიული“ რასა.

ჰიტლერისეული ევროპის პროექტის რეალიზება ვერ მოხერხდა ომში დამარცხების გამო.

მიუხედავად ნაცისტური წნეხისა, ერთიანი ევროპის იდეებს მაინც არ შეუწყვეტია არსებობა. უფრო მეტიც, ნაციზმით გამონეული კატასტროფის მასშტაბებმა ბიძგი მისცა ომის შემდგომ პერიოდში ევროპული მოძრაობების ზრდას. რაც გამოიხატებოდა მრავალი ორგანიზაციის შექმნაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასა და ახალი, კონკურენტუნარიანი პროექტების შექმნას, რომლებიც მოსახლეობის მიერ ფართოდ მხარდაჭერილი იქნებოდა. ხარისხობრივი ზრდა გამოიხატებოდა „ძველი მსოფლიოს“ პოლიტიკოსების მიერ პროევროპული პოზიციების აქტიურ მხარდაჭერაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა უინსტონ ჩერჩილი. თავის ცნობილ ციურისის გამოსვლაში, ჩერჩილმა ისაუბრა აშშ-ს მსგავსი ევროპული ფედერაციის შექმნაზე და აღნიშნა, რომ ევროპის გაერთიანებისთვის პირველი ნაბიჯი ფრანგულ-გერმანული შერიგება უნდა გამხდარიყო.

25 ჯანდიერი ი, „როგორ ეყრებოდა საფუძველი ევროკავშირს“. ჟურნალი „გზა“ 2014 წ. <http://gza.kviripalitra.ge/politika/423-rogor-eqreboda-sapuzveli-evrokavshirs/>

26 გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის მიერ წარმოდგენილი ევროპის გაერთიანების ძალისმიერი ვარიანტი ეყრდნობოდა არა მხოლოდ ნაპოლეონის ომების გამოცდილებას, არამედ ძლიერ ნაციონალისტურ ტენდენციებსაც.

27 პირველი ნაციონალისტები, რომლებიც ევროპაში ძალაუფლების სათავეში მოვიდა იტალიური ფაშიზმი იყო. ბენიტო მუსოლინიმ (1883-1945) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 1922 წელს გამოაცხადა თავისი მოძრაობა „ევროპის ავანგარდად“. იტალიური ფაშიზმი რამდენადმე უშვებდა ევროპეიზმს. თუმცა ფაშისტური ევროპეიზმი უფრო მახე იყო, ვიდრე პოლიტიკური პრაქტიკა. იტალიელი ფაშისტები არასოდეს მისწრაფოდნენ, რომ მთელი ევროპა დაეპყროთ (მით უფრო გაეერთიანებინათ). ამისათვის მათ უბრალოდ საკმარისი ძალები არ ჰქონდათ. (Браницкий А.Г. Процесс объединения Европы: поиск универсальной парадигмы идентичности. Автореф. дисс. докт. ист. наук. Нижний Новгород, 2006, გვ. 28-29.)

28 ადლოფ ჰიტლერის პირველმა ტერიტორიულმა „შენაძენმა“ გზა გაუხსნა ახალ „ევროფაშიზმს“. არა მხოლოდ გერმანელები, არამედ იტალიელები, უნგრელები, რუმინელები, ბულგარელები, ხორვატები, სლოვაკები ესალმებოდნენ „ახალი ევროპის“ დაბადებას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. თავიდან გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი იყო მხოლოდ გერმანიისათვის „შიდა სარგებლობის“ პროგრამა და არა მთელი კონტინენტისათვის. ჰიტლერი სინამდვილეში არ აპირებდა „მესამე რაიხის“ შემადგენლობაში ყველა ევროპული მიწა ჩაერთო (Браницкий А.Г. Процесс объединения Европы: поиск универсальной парадигмы идентичности. Автореф. дисс. докт. ист. наук. Нижний Новгород, 2006, გვ. 29.)

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სულ მალე წარმოიშვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მსოფლიო ომის საშიშროება. საბჭოთა კავშირი დასავლეთის დემოკრატიისთვის საფრთხის წყარო გახდა.

ომის შემდგომი წლების<sup>29</sup> მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერთიანი ევროპის მხარდამჭერთა ჰააგის<sup>30</sup> კონგრესი (1948 წ.). 700-ზე მეტი დელეგატი 16 ნვეყნიდან შეიკრიბა, რათა განეხილათ ინტეგრაციის პრინციპები და გზები. კონგრესსა და შემდგომ დისკუსიებში ყველა პოზიციამ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თუმცა ყველა მხარე შეთანხმდა მთავარზე: ევროპას უნდა დაეწყო რეალური გაერთიანების პროცესი. ერთი სიტყვით, ჰააგის კონგრესმა განსაზღვრა ევროპის გაერთიანების სასქმეში კონკრეტული პროგრამა.

ევროპის ფედერალურ მოწყობის იდეას მოწინააღმდეგეებთან ერთად, არაერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე უჭერდა მხარს, მათ შორის, ჟან მონე Jean Monnet (1888 – 1979), რობერტ შუმანი Robert Schuman (1886-1963), კონრად ადენაუერი Konrad Adenauer (1876-1967), უინსტონ ჩერჩილი Winston Churchill (1874-1965), ალჩიდე დე გასპერი Alcide de Gasperi (1881-1954), რომლებიც დღეს „ევროკავშირის მამებად“ იწოდებიან.

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ფონზე ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკის აღდგენით დაინტერესებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებიც (აშშ). შესაბამისად, 1947 წელს, ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, აშშ-მ „მარშალის გეგმის“ (The Marshall Plan) სახელით ცნობილი 4-წლიანი (1947-1951 წწ.) „ევროპის აღდგენის პროგრამის“ (The European Recovery Program, ERP) ფარგლებში 13 მილიარდი დოლარი გამოყო.

ამგვარად, ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესმა ევროპული გაერთიანების სტრუქტურის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე.

ევროპის გაერთიანების იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა, რომელმაც 1946 წლის 19 სექტემბერს ციურისში (შვეიცარია) სიტყვით გამოსვლისას, ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა, თუმცა, აღნიშნულ იდეას მაშინ განვითარება არ მოჰყოლია.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები.

შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, რომელშიც ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი,

29 ომის შემდგომ წლებში უკვე არსებობდა სხვადასხვა ევროპული მოძრაობები, როგორცაა „პანევროპული კავშირი“, „ევროპის საპარლამენტო კავშირი“, „ევროპის ფედერალისტთა კავშირი“ და სხვ. ისინი ცდილობდნენ ევროპის შეერთებული შტატების შექმნას. ამ პროცესში, ანუ ევროპის გაერთიანების პროცესში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს უ. ჩერჩილმა და ჟ. მონემ. 1947 წელს (27-31 აგვისტო) ფედერალისტთა ევროპულმა კავშირმა მონტრეში (შვეიცარია) მოინვია კონგრესი. ამავე წელსვე პოლ ვან ზეელანდის ინიციატივით დაფუძნდა ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპული ლიგა, მისი ხელმძღვანელი ორგანო პრეზიდენტთა საბჭო. მან არანაკლები ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ევროპის სახელმწიფოების კულტურულ დაახლოებაზე. მან რეალური საფუძველი ჩაუყარა თანდათანობით სოციალ-ევროპულ გაერთიანებას (Браницкий А.Г. Процесс объединения Европы: поиск универсальной парадигмы идентичности. Автореф. дисс. докт. ист. наук. Нижний Новгород, 2006, გვ. 30-31).

30 ამ კონგრესის მოწვევის მთავარი ინიციატორი იყო უ. ჩერჩილი.



საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები შევიდა<sup>31</sup>. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი ზეეროვნული ორგანო, ე.წ. “უმაღლესი ხელისუფლება”, რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა ჯერ რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი, ხოლო შემდეგ ფოლადის საერთო ბაზარიც.

1957 წელს ხელი მოეწერა და 1958 წელს ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიკური კავშირისა და ევრატიომის შექმნის შესახებ.<sup>32</sup> ჟან მონეს და მის მიმდევრებს ასევე სჯეროდათ, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია სანინდარი იყო მომავალი პოლიტიკური ინტეგრაციისა, რისი მიღწევის შემთხვევაშიც გამოირიცხებოდა ევროპის კონტინენტზე მომავალი სისხლისღვრა და ომები.

შუმანის გეგმის უმთავრესი მიზანიც სწორედ ევროპაში ომების თავიდან აცილება იყო. ნახშირის და ფოლადის გაერთიანება ემსახურებოდა ერთ მიზანს – უზრუნველყოფილი გერმანიისა და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება და გაღრმავებულიყო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება.

შუმანის გეგმაში გათვალისწინებული იყო ექვსი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე კონტროლის შენარჩუნების მექანიზმი – ე.წ. მინისტრთა საბჭოს სახით. მინისტრთა საბჭო შეიქმნა იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფოების ინტერესთა შელახვა კონფლიქტური საკითხის წამოჭრის შემთხვევაში. შედეგად უნდა მომხდარიყო ნახშირის, კოქსისა და ფოლადის წარმოება მინიმალურ ფასებში და მათი მიტანა მაღალი მოხმარების ობიექტებში ყოველგვარი სავაჭრო ბარიერების გარეშე. ექვსი სახელმწიფოს მთავრობებს უნდა უზრუნველყოფოთ ამ პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა და ეროვნული კანონმდებლობების შეცვლა ისე, რომ დისკრიმინაციული ხასიათის სავაჭრო ბარიერებს ხელი არ შეეშალათ ინტეგრაციული პროცესებისათვის.

1959 წელს დიდი ბრიტანეთის თაოსნობით, პრემიერ-მინისტრ მაკმილანის ინიციატივით, შეიქმნა შვიდი სახელმწიფოს ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც ბრიტანეთის გარდა შევიდნენ ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი და შვეიცარია. ამ გაერთიანების ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო ექვსი ურჩის (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წევრი ქვეყნების) შთანთქმა. რა თქმა უნდა, ბრიტანეთის სიმპათიები ასეთი ორგანიზაციის მხარეს უფრო იყო, რადგან თავისუფალი ვაჭრობის სფერო, სხვა არაფერი იყო თუ არა ეკონომიკური კავშირი, რომელიც არავითარ საფრთხეს არ უქადდა ბრიტანეთის სუვერენიტეტს და პოლიტიკურ ინტერესებს.

1960-74 წლებში დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. რამაც დიდი ბრიტანეთიც დაინტერესა შეერთებოდა ეკონომიკურ გაერთიანებებს. პირველი განაცხადი გაერთიანებებში შესვლაზე პრემიერ მინისტრმა მაკმილანმა 1961 წელს გააკეთა. მიუხედავად საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ პომპიდუს დადებითი დამოკიდებულებისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის მიღებას ევროპულ გაერთიანებებში. ამგვარი ქმედება გამოწვეული იყო 1963 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთისათვის პოლარისის ტიპის წყვალქვეშა რაკეტის მიყიდვით.

31 ეს გახდა დასავლეთევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის მთავარი „ლოკომოტივი“.

32 1957 წლის 25 მარტს რომში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიკური კავშირისა და ევრატიომის შექმნის შესახებ.

დამოკიდებულება დიდი ბრიტანეთის მიმართ შეიცვალა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის და გერმანიის სათავეში 1969 წელს მოვიდნენ უორუ პომპიდუ და ვილი ბრანდტი.

ამის შემდეგ ბრიტანეთის ევროპის გაერთიანებებში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდა. ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთთან, დანიასთან, ირლანდიასა და ნორვეგიასთან ხელი მოეწერა 1972 წელს და ეს ქვეყნები 1973 წლიდან ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების სრულყოფილებიანი წევრები გახდნენ. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც რეფერენდუმზე არ დაუჭირა მხარი გაერთიანებებში შესვლას იყო ნორვეგია. ნორვეგია დღესაც არ არის ევროკავშირის წევრი, ის დღემდე ევროკავშირის წინააღმდეგია, რისი დასტურიც გახდა 1994 წელს კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩაგდება.

1991 წელი და მასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი გახდა. რომელის მიხედვით ევროკავშირი ეფუძნება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, მართლმსაჯულებას და საშინაო საქმეებს და (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, გადაწყდა, რომ მათი ადმინისტრირება ეროვნულ დონეებზე მომხდარიყო, კომისიის და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ჩარევის გარეშე. მასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებად.

1995 წელს ევროკავშირში მორიგი გაფართოება მოხდა. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის არეალის სამი ქვეყანა — შვედეთი, ავსტრია და ფინეთი ევროკავშირის მესამეტე, მეოთხმეტე და მეთხუთმეტე წევრები გახდნენ. ეს გაფართოება, ერთერთი ყველაზე უმტკივნეულო იყო ევროკავშირისათვის, რადგან მისი ახალი წევრები მაღალგანვითარებული ქვეყნები იყვნენ, რომლებსაც შესწევდათ ძალა უფრო მეტი თანხები გაეღოთ ევროპული ბიუჯეტისათვის, ვიდრე მიეღოთ.

2004 წელს კი ევროკავშირს შეუერთდა 10 ქვეყანა: ლიტვა, ლატვია ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მალტა და კვიპროსი. ევროკავშირის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 25-მდე. გაფართოების მიზანი იყო საბჭოთა მმართველო ბისგან გათავისუფლებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების განვითარება და დასავლეთევროპული ცხოვრების დონისთვის მიღწევა ევროკავშირში მიღების საშუალებით. ამ მიზნით, ამ დროისთვის ევროკავშირში კუნძულ კვიპროსის მხოლოდ ბერძნული ნაწილია შესული, რადგან რეფერენდუმზე კვიპროსის ბერძნულმა მოსახლეობამ უარი თქვა კვიპროსის თურქულ ნაწილთან შეერთებაზე. მეექვსე და მეშვიდე გაფართოებები 2008 წლისთვის კიდევ ორი ქვეყანა რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდა ევროკავშირს, 2013 წელს, დღეისათვის ბოლო გაფართოების შედეგად კი ხორვატია.

2016 წელს ევროკავშირის ისტორიაში პირველად საკუთარი ნებით ტოვებს მისი წევრი სახელმწიფო, ბრიტანეთში გამართული რეფერენდუმის შედეგად გადაწყდა, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება. მონაწილეთა უმრავლესობამ, 52 პროცენტმა, დაუჭირა მხარი ევროკავშირიდან გასვლას. 48 %-ს შეადგენდა ევროკავშირში დამრჩენთა, ანუ „რიმაინერთა“ რაოდენობა.

ევროკავშირის ისტორიაში ამ უპრეცედენტო ფაქტის მიუხედავად, კავშირის ლიდერები ინარჩუნებენ ოპტიმიზმს და აცხადებენ, რომ 27-წევრიან გაერთიანებას შეუძლია ბრიტანეთის გარეშეც იოლად გაუმკლავდეს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

## ქართველთა მონაწილეობა ერთიანი ევროპის იდეის პროექტებში

რაც შეეხება საქართველოს ერთიან ევროპული იდეის პროექტებში მონაწილეობას, ამ მხრივ მნიშვნელოვანი მაგალითია ქართველთა მიერ ჯვაროსნული ლაშქრობების მხარდაჭერა.

ჯვაროსანთა მოძრაობამ ევროპის ქვეყნების მსგავსად, შეაღწია საქართველოს რელიგიურ, სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართულ მენტალიტეტში იგი ასრულებდა საერთო მტრის წინააღმდეგ მოქმედების საზიარო იდეალს.<sup>33</sup> სახელდობრ, მუსლიმური მმართველობისაგან გაეთავისუფლებინათ ქრისტეს სათლავი იერუსალიმში. ამ ბრძოლაში საქართველო ლათინური დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირეა,<sup>34</sup> მაგრამ ქართული სახელმწიფო მოქმედებას იმ საზღვრებში ცდილობდა, სადაც მისი ინტერესების გარანტიების დაცვა იყო შესაძლებელი.

საქართველოს მეფეს დავით IV აღმაშენებელს (1089-1125) ჯვაროსნებთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა.<sup>35</sup> პირდაპირ ბრძოლის ველზე გაეცნო ევროპა და საქართველო დიდგორის ომში. ამ მსოფლიო დონის ბრძოლაში (1121 წ.) 200 ევროპელი რაინდის მონაწილეობა მუსლიმთა ფართო კოალიციის წინააღმდეგ საერთო ქრისტიანულ საქმეს წარმოადგენდა და ამით ამ ომს საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლეოდა.<sup>36</sup> დიდგორმა თრანგ ჯვაროსნებში აღმოსავლეთში საქართველო მუსლიმთა წინააღმდეგ „...წინა ბურჯად...“,<sup>37</sup> ანუ დასავლური ქრისტიანობის ფორპოსტად აქცია. ამდენად, წმინდა ტახტსა და დასავლელ ჯვაროსან მესვეურებს საქართველოსთან ურთიერთობა აღქმული ჰქონდათ საერთოქრისტიანულ და საერთოევროპულ კონტექსტში.

დავით აღმაშენებლის შემდეგ თამარ მეფეც მხარს უჭერდა ჯვაროსნულ ლაშქრობას. ლაშა გიორგიც აპირებდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მონღოლთა შემოსევისა და თვით მისი გარდაცვალების გამო მას ეს არ დასცალდა. 1225 წელს ჯალალ ედ-დინის შემოსევის გამო ვერც რუსუდან მეფემ განახორციელა პაპისადმი მიცემული პირობა დახმარებოდა ჯვაროსნებს. ამის შემდეგ საბოლოოდ შეწყდა ჯვაროსნებზე ფიქრი, რადგანაც საქართველო თავად აღმოჩნდა განსაცდელის წინაშე და იძულებული გახდა თვითონვე ეძებნა მოკავშირე, რომელიც დახმარებას გაუწევდა ამ მძიმე განსაცდელის უამს.

## ქართველთა მონაწილეობა ერთიანი ევროპის იდეის ჩამოყალიბების საქმეში

ერთიანი ევროპის იდეის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა – მიხეილ მუსხელიშვილმა (1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძემ (1901-1981).

მიხეილ მუსხელიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა და დაასაბუთა ევროპის გაერთიანების, ევროპის ფედერაციის შექმნის იდეა. მისი აზრით, ევროპული ფედერალიზმი - ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების,

33 პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), თბილისი, 2019, გვ. 6.

34 ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989, გვ. 30-32.

35 იქვე, გვ. 45.

36 პაპაშვილი მ. საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში. კრებ.: "სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო ევროპულ სივრცეში", შრომები, თბილისი, 2011, გვ. 127-128.

37 ავალიშვილი ზ. დასახ. ნაშრ., გვ.18.



ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია - წერდა იგი ნაშრომში “ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა”.<sup>38</sup>

რუსეთის ხელისუფლებას დასავლეთის მხოლოდ ტექნიკური მიღწევები აინტერესებს, მიაჩნდა მუსხელიშვილს, შემდეგ კი იგი მზადაა ზურგი შეაქციოს ევროპას. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთის ანექსიამდე მას მუდამ დასავლეთისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი. ქართველი ერი მხოლოდ ერთიანი ევროპის პირობებში მოიაზრებდა საკუთარი ფიზიკური არსებობის, კულტურული განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

სტატიამი „საქართველო და ევროპა“ მუსხელიშვილი წერდა, რომ საჭიროა ფიქრი იმაზე თუ რა ადგილს დაიმკვიდრებს თავისუფალი საქართველო ხვალინდელ მსოფლიოში..., როგორ შეუძლია მას თავი დააღწიოს რუსულ აგრესიას. ქვეყანა დგას არჩევანის წინაშე: ან იძულებით დარჩეს რუსეთის შემადგენლობაში ან მოკავშირე ექნოს. სიმართლე, რომ ითქვას მას არჩევანი არა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო უფრო ახლოსაა (იგულისხმება მენტალურად ავტ.) ევროპასთან და უცხოა რუსეთისთვის. შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს დათანხმდება რუსეთთან შეერთებას.

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის ხალხთა კონგრესის, ერთიანი ევროპის შექმნის ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი, “ფედერალური ევროპის მოძრაობის” კომიტეტის წევრი, ევროპის ერთიანობის საერთაშორისო ცენტრის ბიუროს ვიცეპრეზიდენტი... იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში “ერთიანი ევროპის” წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალის “ევროპის ფორმირება” რედაქციის კომიტეტის წევრი.

1953 წლის 10 აგვისტოს დაარსდა “ევროპული ქართული მოძრაობა” (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხეილ წერეთელი), რომლის ინიციატორი ასევე მ. მუსხელიშვილი იყო.<sup>39</sup>

1954 წლიდან მან „ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია“ დაარსა და მისი გენერალური მდივანი გახდა. სტრასბურგში მუსხელიშვილმა შექმნა „მუსხელის სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხებს იკვლევდა. ამ ცენტრში მან დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული. რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვ. პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის ორი დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა.<sup>40</sup>

გერმანიაში მოღვაწეობდა, ასევე, ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ნიკურაძე.<sup>41</sup> ის კონტინენტური ევროპის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო მიუნჰენში, მასთან ერთად ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი. ალექსანდრე ნიკურაძემ გერმანულ ენაზე გამოსცა რამოდენიმე წიგნი, მათ შორის აღსანიშნავია: „ევროპა-ამერიკა“ (Europa-USA), “ევროპის წარმოშობის

38 დანვრილებით იხ. ჯაფარიძე ე. „ევროინტეგრაციის სათავეებთან“. გვ. 50. თბ. 2019 წ.

39 დანვრილებით იხ. შუბითიძე ვ. „ევროპა და ქართული პოლიტიკური აზროვნება“ (საქართველოს ევროპული იდენტობა), გვ. 139. თბ. 2013 წ.

40 შუბითიძე ვ. დასახელებული ნაშრომი.

41 ამ პროექტის ფარგლებში რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით მიუნხენის ტექნიკური უნივერ-

შესახებ” (Um die Gestaltung Europas) “აღმოსავლეთ ევროპა”, (Osteuropa), გადამწყვეტი ბრძოლის საათები ევროპისთვის” (Die Stunden Der Entscheidung Kampf um Europa), “კავკასია” (Kaukasus), რომლებშიც განხილულია ევროპული ინტეგრაციის საკითხები. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება “ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან”.

1952 წელს საფრანგეთში, ქ. კომპიენტან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით შედგა ევროპულ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის წინადადება მცნება-ტერმინის “ევროპოლოგიის” შემოღების შესახებ, რაც გაზიარებულ იქნა ევროპულ მეცნიერთა მიერ<sup>42</sup>.

### ქართველი განმანათლებლები ევროპული ფასეულობების შესახებ

ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ქართულ რეალობაში მათი დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია ასევე XIX-XX საუკუნის ქართველ მოაზროვნეებსა და განმანათლებლებს აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ვაჟა-ფშაველას, არჩილ ჯორჯაძეს, ივანე მაჩაბელს და სხვ. ისინი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ევროპელობას თავისუფლების, ჰუმანურობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და აღფრთოვანებული იყვნენ ევროპული ფასეულობებითა, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეებით.

„ჩვენ გვსურს დასავლეთ ევროპასთან გავმართოთ საუბარი, წერდა არ. ჯორჯაძე, - ევროპასაც უნდა გავაცნოთ საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავლის იმედი. ...ჩვენთვის ევროპის ზნეობრივი თანაგრძნობაც ძვირფასი იქნებოდა, რადგან ამ თანაგრძნობით გავამხნევედით და წავახალისებდით უსასო, დაჩაგრულ პატარა ერს”.<sup>43</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებები პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ განსხვავებული იყო (კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში), ზოგადად, ორივე თანხმდებოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რადგანაც «სინათლე და მოძრაობა» დასავლეთიდან მოდის და, შესაბამისად, ამ ღირებულებების - კანონის უზენაესობის, თავისუფლების, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის და სხვათა შესახებ, საქართველოს აღორძინების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

1918 წელს რუსეთის რევოლუციით ისარგებლეს იმპერიაში შემავალმა ყოფილმა სახელმწიფოებმა და აღადგინეს დამოუკიდებლობა. მათ შორის საქართველომაც. დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკა აქტიურად ცდილობდა ევროპულ სივრცესა და ორგანიზაციებში ინტეგრაციას, თუმცა 1921 წელს ესეც ჩაიშალა, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციის შედეგად, რომელიც 1991 წლამდე გაგრძელდა.

ოკუპაციის შემდეგ მრავალი ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. ემიგრაციაში ყოფნისას მათ იმედი არ დაუკარგავთ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და გაერთიანებულ ევროპაში ღირსეულ

---

სიტეტის არქივში მივლინებისას, მოძიებულ იქნა ნიკო ნიკურაძის პირადი არქივი, რომელიც ძირითადად ბიოგრაფიული ხასიითის აღმოჩნდა და შესაბამისად ამ ნაშრომში აღნიშნული მასალების განთავსება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, ისინი დამუშავდება და ფონდის ვეგით ცალკე სტატიის სახით გამოქვეყნდება.

42 ჯაფარიძე ე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 142.

43 გაზეთი „საქართველო“, №7, 1, IX, 1903 წ.

ადგილს დაიკავებდა. მათ მრავალი ნაშრომები შექმნეს ემიგრაციაში (ალსანიშნავია, რომ ეს ნაშრომები დღემდე ბოლომდე შეუსწავლელია, ამიტომაც კვლავ დიდი შრომაა ჩასატარებელი ემიგრანტული მემკვიდრეობის შესასწავლად), რომელთა ნაწილი გაერთიანებული ევროპის შექმნის იდეებს მიეძღვნა.

ევროპაში იძულებით ემიგრაციაში მყოფი ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას კიდევ უფრო ცხადად დარწმუნდა, რომ “ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახლა ისტორიის სხვა გზა არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა”(26,154). ჟორდანიას საქართველოსთვის უეჭველად მისაღებად მიაჩნდა ევროპის შრომის საშუალებანი, მისი ტექნიკა, მისი მეცნიერება, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურა.

თავის მოგონებებში დავით სარაჯიშვილზე ნოე ჟორდანიამ მოგვცა “ევროპელი ქართველის” სანიმუშო ტიპი: “ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპელი ტიპისა...”

შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურმარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დავით სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპელობა და, მე მგონია ქართველის გაევროპელება სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს, როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპულ მუშაობას, ევროპულ საქმიანობას და თან ნაციონალურ ხასიათს არ დაგვარგავთ - ჩვენი გაევროპელება ფაქტი იქნება. დავით სარაჯიშვილი ქართველი ევროპელი იყო“(27,345).

ნოე ჟორდანიას დასკვნით, საქართველო ევროპაში უნდა შევიდეს არა რუსეთთან ერთად, არამედ როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა. მისი აზრით, რუსეთმა ორჯერ აქცია ზურგი ევროპას (პეტრე პირველის შემდეგ და 1917 წლიდან), საქართველო კი მუდამ ევროპისკენ ისწრაფოდა... საქართველო თავისი ისტორიული და სოციალური ძირითადი შენობით ნაჭერია ევროპის, დასავლეთის კულტურის და მისი შუა გზაზე ძალით, უცხო ხიშტებით გაჩერება, მისთვის არაევროპული ურთიერთობის თავზე მოხვევა იქნება ხალხის სიკვდილი, ერის გადაშენება. რუსეთს არ მოელოს ასეთი გადაშენება, ვინაიდან ის თავის ისტორიულ საფუძველზე დგას; აზიელობა ბოლოს და ბოლოს უნდა გათავდეს ევროპიელობით. ეს ბუნებრივი მსვლელობაა მაგრამ ევროპული ერის – საქართველოს – გააზიელება ძალმომრეობით – ეს სრული არევაა ბუნებრივი მსვლელობის. ეს სასიკვდილო ნახტომია... ჩვენი მომავლის რუსეთის მომავალთან გადაბმა ნიშნავს ჩვენს სავსებით განადგურებას არა მარტო პოლიტიკურად და ნაციონალურად, არამედ ფიზიკურადაც... ბოლშევიზმის ხიდან დემოკრატიზმი ვერ ჩამოვარდება. ეს შორეული ეტაპია. ამიტომაც გვინდა, რომ საქართველო ჩამოშორდეს დროულად ამ რუსულ ესპერიმენტებს, აღადგინოს თავისი სუვერენობა და წინ გასწიოს თავის საკუთარი გზით... ქართველი ერი უნდა შევიდეს საბოლოოდ ევროპის ოჯახში“(28,25).

საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით 1921 წელს ემიგრაციაში მიდის. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათ პრაქტიკული საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ევროპულ ორიენტაციას და თანამედროვე ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ იდეებსა და მიმართულებას ევროპაში 1918 წლიდან.

ამდენად, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები მხარს უჭერდნენ ევროპის გაერთიანების იდეას და იმედოვნებდნენ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და გახდებოდა ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

### დასკვნა

ამდენად, ერთიანი ევროპის იდეის ნიშნები IX-X საუკუნეებიდან იღებს სათავეს, რომელიც ეფუძნებოდა ევროპას, როგორც ქრისტიანულ სამყაროს, რომელიც ევროპასა და გარე მტერებს შორის დაპირისპირებით მიმდინარეობდა.

შუასაუკუნეების ევროპის იდეის ერთ-ერთი გამაერთიანებელი მთავარი ძალა, ეფუძნებოდა, როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლებას.

მოგვიანებით, ევროპამ, როგორც ქრისტიანული სამყაროს იდეამ, თანდათან დაკარგა პოპულარობა, რაც თავიდან განპირობებული იყო დასავლური ქრისტიანული სამყაროს დაყოფით კათოლიკურ და პროტესტანტულ რეგიონებად და პირველი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. მოგვიანებით კი ოცდაათწლიანი რელიგიური ომებით, რომელიც სისხლიან უბედურებად გადაიქცა (1618–1648) და რამაც პაციფიზმის ახალმა ტალღამ წარმოშვა. XVII საუკუნის ევროპული პროექტები პოლიტიკური პრაგმატიზმი ეფუძნებოდა და აშკარად ცივილიზაციურ ხასიათს ატარებდა.

რაც შეეხება განმანათლებლობის ფილოსოფიას, რომელიც ევროპაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა და XVIII საუკუნეში ევროპული საზოგადოების იდეოლოგიური საფუძველი გახდა, მან ღრმა კვალი დატოვა ევროპული იდეისა და ევროპული პოლიტიკური მოდელის განვითარებაზე.

საბოლოოდ, ფართომასშტაბიანი სისხლიანი დაპირისპირებები ევროპის სახელმწიფოებს შორის დასრულდა ევროკავშირის შექმნით, რომელთა საერთო მიზანს კეთილდღეობისა და ეკონომიკური წინსვლის სურვილი წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ავალიშვილი ზ. „ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989.
- პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), თბილისი, 2019, გვ. 6.
- პაპაშვილი მ. საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში. კრებ.: „სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო ევროპულ სივრცეში“, შრომები, თბილისი, 2011.
- სარალიძე ლ. არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 2017 წ.
- ჯანდიერი ი, „როგორ ეყრებოდა საფუძველი ევროკავშირს“. ჟურნალი „გზა“ 2014 წ. <http://gza.kvirispalitra.ge/politika/423-rogor-eqreboda-sapuzveli-evrokavshirs/>
- გაზეთი „საქართველო“, №7, 1, IX, 1903 წ.
- პიერ დიუბუა. <https://www.britannica.com/biography/Pierre-Dubois>
- ირუი პოდებრადელი. <https://www.britannica.com/biography/Charlemagne/King-of-the-Franks> (შემოწმებულია 26.08.2022)
- Healter D. The Idea of European Unity. Leicester University Press, 1992.
- Dawson Chr. Religion and the Rise of Western Culture, New-York, 1947.
- Pánek J, A History of the Czech Lands. Prague. Carolinum, 2009.



The Universal Peace Organization of King George of Bohemia: A Fifteenth Century Plan for World Peace, 1462/1464. Praha, 1964.

Mansfield A, Émeric Crucé's "Nouveau Cynée" (1623), universal peace and free trade\*. Journal of Interdisciplinary History of Ideas 2(2013). <https://www.ojs.unito.it/index.php/jihi/article/view/170/374> (შემონხმებულა 26.08.2022)

German A, Reza De La. The 1623 Plan for Global Governance: the obscure history of its reception. Revista Brasileira de Política Internacional, vol. 58, núm. 2, julio-diciembre, 2015.

„The Idea of Europe“ Enlightenment Perspectives. Catriona Seth and Rotraud von Kulessa. 2017. p.p. 23-25. <https://books.openbookpublishers.com/10.11647/obp.0123.pdf> (შემონხმებულა 26.08.2022)

Advocate of Peace (1847-1884). Nov and dec. 1849, Vol. 8, No. 12/13. <https://www.jstor.org/stable/43770003>

Daniel C. Villanueva. Richard von Coudenhove-Kalergi's "Pan-Europa" as the Elusive "Object of Longing". Rocky Mountain Review of Language and Literature. Vol. 59, No. 2 (2005).

Медведев С. А. Европейский проект и Европейская политика Папы Римского Иоанна Павла II. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1992.

**Emzar Pazhava**

*Associate Professor of Georgian Technical University*

## **UNITED EUROPE IDEA PROJECTS AND GEORGIA**

### **Abstract**

The work aims to determine the genesis of the idea of a united Europe, to determine the importance of the Christian religion in the formation of a united European state, and to present the role of the authors of the united Europe projects in the creation of the European Union.

According to the research, the first signs of the project of idea of a united Europe appear in the 9th-10th centuries, from the reign of Charles the Great (768-814) and his successors, known in history as the Holy Roman Empire of the German nation (962-1806).

In the work, the Christian faith is presented as an event of universal importance for all Europeans.

According to the article, the efforts of the authors of the United Europe project over the centuries have yielded results, and finally, the European Union was created, which is the largest regional integration project in the world today.

The research also discusses the participation of Georgians in the crusades; Georgian emigrants' contribution to the cause of European unification; The role of Georgian educators in spreading European values.

„This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number YS-18-200]“.



**მანანა მორჩილაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

## **მიგრაციული კრიზისული პროცესების გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები ევროკავშირში**

**საკუანძო სიტყვები:** ევროკავშირი, მიგრაცია, მიზეზები.

ევროკავშირი 2014-2016 წლებში ახალი ფართომასშტაბიანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მიგრაციული კრიზისის სახით ევროკავშირს ელოდა ახალი გამოცდა ერთიანობის საკითხში. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა თავად ევროინტეგრაციის პროცესი, რომლის ცენტრში მოიაზრებოდა ევროპის ქვეყნებსა და ხალხებს შორის სოლიდარობის იდეა. პრობლემების მასშტაბზე მონიშნავს არაერთი ევროპელი ლიდერის განცხადება. ავსტრიის კანცლერის, ვერნერ ფაიშანის თქმით, წყდებოდა საკითხი, უნდა გაერთიანდეს თუ არა ევროპა, თუ მსოფლიო გახდება „ევროკავშირის მშვიდი ნგრევის“ მოწმე.<sup>1</sup>

მიგრაციული კრიზისი ევროკავშირის ქვეყნებს პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და რელიგიური პრობლემების გამწვავებით ემუქრებოდა. მათგან ყველაზე აქტუალურს კი უსაფრთხოების საკითხი წარმოადგენს. ტერორისტულმა თავდასხმებმა პარიზში, ბრიუსელსა და ნიცაში 2015-2016 წლებში აჩვენა ღია დასავლური საზოგადოებების მაღალი დაუცველობა.

განვიხილოთ ევროკავშირში მიგრაციული კრიზისის მიზეზები უფრო ფართო კონტექსტში - გლობალიზაციის პრიზმაში, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აქტიურად განვითარდა, ახლა კი ახალ საფეხურს მიაღწია.

როგორც ობიექტური პროცესი, გლობალიზაციას ახასიათებს „სწრაფი ურთიერთშეღწევა და ერ-სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა“. ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირება გულისხმობს საქონლის, ტექნოლოგიების, ცოდნის გაცვლის გააქტიურებას. ამ პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია შრომითი მიგრაცია, რომელმაც ბოლო 25 წლის განმავლობაში მართლაც უპრეცედენტო მასშტაბები შეიძინა. ამრიგად, გაეროს მონაცემებით, 12 ქვეყანა შეადგენდა ემიგრანტების 56%-ს, და თუ 1990 წელს მსოფლიოში 154,2

<sup>1</sup> The end of the European Union - illusion or reality !?, 31.10.2015, <https://srbin.info/en/svet/kraj-eu-stvarnost-ili-iluzija/> (უკანასკნელად გადამოწმებულია 05.06.2022)



მილიონი მიგრანტი იყო, მაშინ 2013 წლისთვის მათი რიცხვი გაიზარდა 50%-ით და მიაღწია 231,5 მილიონს.

მიგრაციული ნაკადების გააქტიურება პირდაპირი შედეგი იყო გლობალიზაციის განვითარების ახალი ეტაპის, რომელიც ხასიათდება ყველა ქვეყნისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულების უფრო მაღალი დონით. თუმცა, იმდროინდელი კრიზისი იმდენად მწვავე გახდა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეკონომიკურ ფაქტორებს, რამაც გამოიწვია მიგრაციის ზრდა, დაემატა გეოპოლიტიკური, რელიგიური და ეროვნული ხარვეზები ევროპის მეზობელ რეგიონებში. 2015 წლის შემოდგომისთვის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მიგრაციული კრიზისი ევროპელებს უფრო მეტად ანუხებდა, ვიდრე მზარდი უმუშევრობა და ფინანსური კრიზისი.<sup>2</sup>

როგორ მოიქცა ამაზე ბრიუსელი და რას შესთავაზა სიტუაციის მოსაგვარებლად? მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის განვითარების პერიოდში ბრიუსელის პოლიტიკა მუდმივად კორექტირდებოდა, შეიძლება გამოვყოთ ძირითადი საკვანძო იდეა რომელიც იღო ამ მიდგომების საფუძველში.<sup>3</sup>

პირველ რიგში, მზარდმა ტერორისტულმა საფრთხემ ბრიუსელი და ევროკავშირის ყველა ქვეყანა აიძულა, რომ პრიორიტეტი მიენიჭათ გარე და შიდა უსაფრთხოებისთვის. 2015 წლის ნოემბერში პარიზში განხორციელებულ ტერაქტებთან დაკავშირებით, ბრიუსელი აპირებდა ევროკავშირის ქვეყნებს შორის უკეთესი კოორდინაციის მოძიებას ამ სფეროში და კონტროლის გაძლიერებას გარე საზღვრებზე. ევროკომისიამ ხელი შეუწყო ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავდა შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ევროკავშირის ქვეყნების საიდუმლო სამსახურების მუშაობის გაუმჯობესებას. ამრიგად, 2015 წლის ნოემბერში შემოთავაზებული იქნა ევროკავშირის ეგიდით ევროპული სადაზვერვო სააგენტოს შექმნა, მსგავსად ევროპოლისა.<sup>4</sup>

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დიდ იმედებს ამყარებდნენ გარე საზღვრების ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპულ სააგენტოზე, რომელიც ფუნქციონირებს 2005 წლიდან. 2015 წლის გაზაფხულზე კრიზისის დაწყებისთანავე, გადაწყდა ამ სააგენტოს ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერება და რამდენიმე ასეული მესაზღვრის გამოყოფა საბერძნეთსა და იტალიაში სამუშაოდ, სადაც მიედინებოდა ლტოლვილთა ძირითადი ნაკადი. შემდგომ გადაწყდა ევროკავშირის ოპერაცია „ტრიტონის“ დაფინანსების გაზრდა იტალიის სანაპიროზე საზღვაო საზღვრების გასაკონტროლებლად, რომელიც „ფრონტექსის“ (FRONTEX) ეგიდით ხორციელდება.<sup>5</sup>

მეორეც, ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების მხრიდან ამკრძალავი ზომების აქტიური ლობირების მიუხედავად, ევროკომისიამ მიუღებლად მიიჩნია ამ გზით სვლა: რადგანაც ასეთი გამოსავალი ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ

2 <https://www.euractiv.fr/section/l-europe-dans-le-monde/news/levee-de-boucliers-contre-les-migrants-en-europe/>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022)

3 [https://ec.europa.eu/info/priorities/state-union-speeches\\_en](https://ec.europa.eu/info/priorities/state-union-speeches_en), (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022)

4 <https://www.consilium.europa.eu/en/policies/fight-against-terrorism/history-fight-against-terrorism/>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022)

5 <https://frontex.europa.eu/about-frontex/who-we-are/origin-tasks/>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022)

ჰუმანიზმის იდეებს, არამედ იქნებოდა არაეფექტური. ამიტომ, თავდაპირველად ევროკომისიამ ევროკავშირის ქვეყნებს შესთავაზა არა ამკრძალავი ზომების შემოღება, არამედ, პირიქით, მაქსიმალურად დაეკანონებინათ ლტოლვილების მიღება, რათა მაქსიმალურად „გამოეცალათ მინა ფეხებიდან“ სხვადასხვა რჯულის შუამავლებიდან, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ევროკავშირის ტერიტორიაზე ადამიანთა უკანონო შემოყვანით.

მესამე, მიუხედავად ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების მხრიდან მზარდი ზენოლისა შენგენის შეთანხმებების სრული გადასინჯვის სასარგებლოდ კრიზისის განვითარებასთან ერთად, ეს გადაწყვეტილება უარყვეს ბრიუსელში. მათ აღნიშნეს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ეროვნული საზღვრების სრული აღდგენა მიუღებელია. ადამიანების, საქონლის, კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება ევროპული მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა და ამ პრინციპების უარყოფა ინტეგრაციის პროცესს მრავალი წლის უკან დააბრუნებს.

ევროკომისიამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სოლიდარობის განმტკიცებისკენ უბიძგა და მიიჩნია, რომ საჭირო იყო ლტოლვილების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დამატებითი ტვირთის უფრო თანაბარი და სამართლიანი განაწილება. ამასთან დაკავშირებით, ბრიუსელმა შესთავაზა სავალდებულო „კვოტების“ შემოღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას უნდა აეღო ვალდებულება, რომ მიეღო გარკვეული რაოდენობის მიგრანტები მის ტერიტორიაზე, რაც დამოკიდებულია მისი მოსახლეობის ოდენობაზე და ეკონომიკური განვითარების დონეზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა 160 ათასი მიგრანტის სავალდებულო კვოტების საფუძველზე განაწილება, „ლტოლვილთა განაწილების მუდმივი მექანიზმის“ შექმნით.

მეხუთე, მიგრანტების სიტუაციის ლეგალიზაციისა და გამარტივების მიზნით გამიზნულ უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ ღონისძიებებს შორის, აღსანიშნავია ევროკავშირის სასაზღვრო ქვეყნების ტერიტორიაზე ლტოლვილების მიღებისა და აღრიცხვის პუნქტების, ე.წ. „ცხელი წერტილების“ შექმნა. ითვლებოდა, რომ ეს ღონისძიება შესაძლებელს გახდიდა ყველა შემოსული მიგრანტის რეგისტრაციას და კონტროლს, მათ შორის ლტოლვილების გამოყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი გახდებოდა ქაოტური, რაც გამოიწვევდა მასპინძელი ქვეყნების შემდგომ უპრეცედენტო დესტაბილიზაციას.

მიგრაციული კრიზისის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ის, რომ მისი დასაძლევად საკმარისი არ იყო ევროკავშირის შიდა კანონმდებლობის რეფორმირება. პრობლემების გამწვავებასთან ერთად, ბრიუსელი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოებას, რომლებზეც დამოკიდებული იყო მიგრაციის ნაკადები. უპირველეს ყოვლისა, საუბარი იყო ქვეყნებზე, რომლებიც არ იყვნენ ევროკავშირის წევრები, მაგრამ ემსახურებოდნენ ევროკავშირში ჩასული მიგრანტების სატრანზიტო ქვეყნებს. მიზანი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ადამიანთა ნაკადის შემცირება იყო.

ქვეყნებისა და ხალხების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში განსაკუთრებითაქტუალურამოცანადიქცასაერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც იწვევდა მიგრანტების ნაკადს ევროკავშირის შედარებით აყვავებულ ქვეყნებში. საჭირო იყო საომარი მოქმედებების შეჩერება ახლო აღმოსავლეთის

ქვეყნებში და, განსაკუთრებით, სირიაში, საიდანაც ლტოლვილთა ძირითადი ნაკადი 2015 წელს მოვიდა. ამისთვის საჭირო გახდა საკითხის დარეგულირებაში ჩართულიყო არა მხოლოდ დასავლეთი, არამედ გავლენიანი რეგიონალური მოთამაშეები, მათ შორის რუსეთი. ევროპელი ექსპერტებისა და ცალკეული პოლიტიკოსების დონეზე (მაგრამ არა ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებების დონეზე) ეს იდეა 2015 წლის შემოდგომიდან დაიწყო.

ამრიგად, მიგრაციული კრიზისის დასაძლევად ევროკავშირის სამოქმედო გეგმა მოიცავდა ღონისძიებების ფართო პროგრამას, დაწყებული შიდა პოლიტიკიდან საერთაშორისო პროექტების შემუშავებამდე. მათი განხორციელებას არა მხოლოდ მიგრაციის კრიზისის სიმწვავის განმუხტვა უნდა მოჰყოლოდა, არამედ უნდა გამოეწვია ევროკავშირის ეტაპობრივი ტრანსფორმაცია მიგრაციის სფეროში უფრო კოორდინირებული საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბებამდე.

როგორი იყო ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების პოზიცია მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით?

ევროკავშირში კრიზისის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფი. პირველში შედის ევროკავშირის „მძიმეები“ ან „ძველთაიმერები“, გერმანიის მეთაურობით, რომლებმაც წამყვანი როლი ითამაშეს ევროპული პოლიტიკის განსაზღვრაში, მათ შორის მიგრაციულ კრიზისთან დაკავშირებით. სხვა ჯგუფებს წარმოადგენენ ბალკანეთის სახელმწიფოები, ასევე ვიშეგრადის ოთხეული. განცალკევებული იყო გაერთიანებული სამეფო, რომელიც ეწეოდა ევროკავშირთან ურთიერთობების ხელახალ რეგისტრაციას, რომელმაც უარი თქვა ევროკავშირთან მიგრაციის პოლიტიკის კოორდინაციაზე, უარყო ევროკომისიის წინადადებები ამ სფეროში, მაგრამ თანამშრომლობდა გერმანიასთან და საფრანგეთთან გარკვეული საკითხებში.<sup>6</sup>

## დასკვნა

ევროკავშირში მიგრაციული კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესწავლისას მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

პირველი, მიგრანტების შემოდინებამ ევროკავშირში და ტერორისტულმა თავდასხმებმა საფრანგეთსა და ბელგიაში 2015-2016 წლებში აჩვენა თანამედროვე სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების ახალი, მანამდე არნახული ხარისხი. ევროპა გლობალიზაციის ახალი ეტაპის კრიზისის წინაშე დადგა, რომელშიც აშკარა გახდა, რომ ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე აყვავებული ქვეყანა ვერ იგრძნობს თავს აბსოლუტურად უსაფრთხოდ, თუ მის მეზობელ რეგიონებში ხალხი მასობრივად დაიღუპება.

მეორეც, მიგრაციულმა კრიზისმა გამოავლინა ევროინტეგრაციის ძლიერი და სუსტი მხარეები. ერთის მხრივ, ევროკავშირს აქვს დაგროვილი დიდი გამოცდილება რთული სიტუაციების დაძლევაში. მიუხედავად უთანხმოებისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ევროპული მშენებლობის შენარჩუნებით და შემდგომი განვითარებით.

მესამე, მიგრანტების ნაკადის დარეგულირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრიუსელი და ევროკავშირის ძირითადი ქვეყნები უფრო მეტად

<sup>6</sup> Подробнее: Современный мир и геополитика / Отв. ред. М.А. Неймарк. М., «Канон+» РООИ «Реабилитация», 2015, გვ 448, <https://search.rsl.ru/ru/record/01007951533>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022)

გაითვალისწინებენ გარე ფაქტორების გავლენას სიტუაციაზე და მიმართავენ თავიანთ ძალისხმევას ევროკავშირის მეზობელ მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებში პოლიტიკური დარეგულირებისკენ. ამკარაა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ძალისხმევის კოორდინაცია ხდება არა მხოლოდ ევროკავშირის წევრებს შორის, არამედ ყველა მათ შორის, ვინც პასუხისმგებელია ევროპის მეზობელ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე. მიგრანტთა კრიზისით ყველაზე მეტად დაზარალებული ქვეყნები უკვე მოუწოდებენ ევროკავშირს, იყოს უფრო მოქნილი ურთიერთობებში ყველა მათთან, ვინც დაინტერესებულია კონფლიქტების მოგვარებით ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში, მათ შორის რუსეთთან. ახალ ეტაპზე, რომელიც დაკავშირებულია დამატებითი სირთულეების დაძლევისათან, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა იმპერატივი ხდება.

### **ბიბლიოგრაფია**

The end of the European Union - illusion or reality !?, 31.10.2015, <https://srbin.info/en/svet/kraj-eu-stvarnost-ili-iluzija/> (უკანასკნელად გადამოწმებულია 05.06.2022);

<https://www.euractiv.fr/section/l-europe-dans-le-monde/news/levee-de-boucliers-contre-les-migrants-en-europe/> ,(უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022);

[https://ec.europa.eu/info/priorities/state-union-speeches\\_en](https://ec.europa.eu/info/priorities/state-union-speeches_en), (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022);

<https://www.consilium.europa.eu/en/policies/fight-against-terrorism/history-fight-against-terrorism/>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022);

<https://frontex.europa.eu/about-frontex/who-we-are/origin-tasks/>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022);

Подробнее: Современный мир и геополитика / Отв. ред. М.А. Неймарк. М., «Канон+» РООИ «Реабилитация», 2015, <https://search.rsl.ru/ru/record/01007951533>, (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2022).

**Manana Morchiladze**

*PhD candidate in international relations*

*Georgian Technical University*

## **CAUSES OF MIGRATION CRISIS PROCESSES AND SOLUTIONS IN THE EUROPEAN UNION**

**Key words:** European Union, Migration, Causes

The article deals with the causes and ways of solving migration crisis processes in the European Union. Among the many crises that the European Union has had to deal with in recent years, the migration crisis of 2015-2016 was the most acute.

The article discusses the specifics of European countries' approaches to solving the current migration crisis. Based on the analysis of the measures taken in the main receiving countries, it is shown that their positions on the issue of the reception and adaptation of migrants differ

significantly. This, in turn, hinders the EU's transition to a coordinated migration policy and contributes to the growth of disintegration trends within the EU.

The dynamics and spread of crises that occurred in the last decade are described. In general, what are the causes of the crisis and what problems did it reveal in the development of integration? How did the crisis develop? How did individual EU member states react to it? What program has the EU proposed to overcome it? What are the consequences of implementing this program? What are the causes of the migration crisis that has engulfed the EU countries? What solutions have been proposed to overcome it? What problems did he reveal in the development of European integration? How real is the threat of disintegration of the European Union under the new conditions? The article will focus on these questions.

The final part summarizes the above-mentioned problems, based on the causes of their emergence, ways of solving them are established and general recommendations are offered, which will help the countries to look at the currently ineffective migration policy from a different perspective and change it for the better.





**Jemma Saakyan**

*PhD Student*

*Georgian technical University*

## **THE IMPORTANCE OF THE MARKETING SYSTEM IN THE PROCESS OF EUROPEAN INTEGRATION**

### **Abstract**

At the global level, the European Union focuses on significant wealth and economic borders. The nature of development is very equitable, and therefore, it still highlights the considerable social and economic disparities that increase after the unification of new countries. The formation, growth and adaptive change of the marketing systems, in connection with European integration, are vital for countries like Georgia. The marketing processes provided throughout the European integration determine productivity.

The specific elements of marketing, that are required in the process of integration into the European Union are related to improving the way in which goods are sold as well as the way in which the production process is improved.

The main purpose of our research topic is to study the stark differences between marketing systems and elements in Georgia in the segment of agriculture. It is important to note that the integration process is challenging and encompassing.

The usage of marketing systems in agriculture has become popular and essential. After implementing the main aspects of the capitalism system, the rules that the market normally demands must be properly analyzed in order to determine the appropriate responses to them.

**Key words:** Euro Integration, Marketing, Agriculture.

### **Introduction**

The support and assistance of the European Union plays an important role in the sustainable development and growth of Georgia's economy. The deeper introduction of democratic principles and market elements through improved infrastructure and subsidies is a great advantage for the European integration of Georgia. Since 1999, Georgia has been receiving humanitarian and financial aid from the European Union, the results of which are recorded in the form of completed projects.

Georgia's orientation towards the European Union influences the implementation and usability of the marketing systems. Within the framework of our research, we have discussed



the mentioned issue in the sphere of agriculture. Agriculture is considered within the supported segments introduced by the European Union, a sector that should be modernized together with public administration reform and the reform of the justice sector. The improvement of the above-mentioned sectors by the European Union includes the formation of a comprehensive and deep space of free trade system, where the efficiency of business units will be determined by the intensive use of the elements of the marketing system.

The comparative analysis of the implementation of the marketing systems of the region with the mentioned area of Georgia is also very important, which gives us opportunity to look objectively at the development potential of marketing system implementation and assess the current situation in Georgia, according to the orientation of European integration.

### **The main text**

In June 2014, the Association Agreement with the European Union was signed, the main goal of which was the establishment of economic and political relations between Georgia and the European Union and the integration of Georgia into the European Union market. This document entered into full force in July 2016. The European Union annually allocates more than 100 million euros for the strategic development of Georgia's economic infrastructure, the proper use of which is a reference point for the country's development.<sup>1</sup>

The marketing in Georgia's business sector, as an important aspect of the perfect functioning of business has advanced and become important after the transformation of Georgia's economy, when the capitalist system was introduced and the transition to a market economy became important. What is marketing? What is its role in the issue of Georgia's European integration?

American scientist Philip Kotler views marketing as a human activity focused on satisfying the needs of customers through the proper delivery of goods and services. Marketing is an integral part of the market economy as a whole, and as a phenomenon, its applicability in any branch of the economy is important. Implementation of marketing systems in the organization, positioning and performance of relevant tasks is possible only based on market research, study of market conditions, and the correct analysis of the interaction of all elements that are part of the marketing system.<sup>2</sup>

Although, Georgia is not on its way to membership in the European Union in the near future, Georgia's European integration process is a rather labor-intensive undertaking. The list of responsibilities assigned and tasks to be accomplished is extensive. The responsibilities undertaken by the Association Agreement and the monitoring of their implementation are ensured through the planning and implementation of reforms.

The promotion of the popularity of marketing systems, the introduction of its elements, and their implementation in the daily activities of organizations were promoted in Georgia, after the transition to a market economy. The signing of the association agreement with the European Union was an important positive step for the overall development of the country's economy, which is directly linked to the development of marketing systems. The marketing development

---

<sup>1</sup> European Commission, Brussels, 23 June 2014, The EU's Association Agreements with Georgia, the Republic of Moldova and Ukraine, [Online]. Available: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/MEMO\\_14\\_430](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/MEMO_14_430)

<sup>2</sup> Kotler P., Armstrong G., Sonders, M. Opresnik, Principles of Marketing, 17th edition, pp 156-170, [Online]. Available: <http://rezakord.com/uploads/91b0c5c8c158421fa332a449c435e1b4.pdf>

of the country's business sector can be considered in the following directions: first, to examine, analyze, and compare the existing marketing systems with those which is established in the European Union and second, to determine the role of the existing environmental marketing in the light of the implementation of the measures defined by the agreement of association.<sup>3</sup>

The process of association with the European Union and the improvement of the level of European integration, depending on the level of performance of the tasks, in particular the possibility of business development in various spheres of politics and economy, depend largely on the awareness of the population. It is very important to carry out active measures in terms of fulfillment of the obligations assumed by the association agreement, especially informational and awareness raising of the population living in the regions.<sup>4</sup>

In the EU-Georgia Association Agreement Document 2022, "EU-Georgia Association Regulations 2021-2027", the issues of phased implementation of marketing standards are discussed in the Law on the Agency for Agriculture and Rural Development (point 5.2).<sup>5</sup>

The agricultural sector is an important segment of Georgia's economy. Georgia is traditionally considered an agricultural country. According to data published by the National Statistics Service of Georgia, agriculture accounted for 7% of gross domestic product in 2021, amounting to 5,969.8 million GEL (1.94 million euros). There are 642,200 agricultural farms in the country, of which only 2% are legal entities, exactly 2,200.<sup>6</sup>

The territory of Georgia is characterized by natural resources, but due to the shortage of lands and the uneven allocation of farms, the sector does not fully function and the needs of domestic consumption are not fully met.

According to EU standards, the creation of agricultural infrastructure with an appropriate tendency to use energy-efficient resources determines the effective ways of production, step-by-step processing, storage, and marketing of agricultural products in order to increase the competitiveness of the agricultural sector and increase productivity.

Georgia's agricultural sector is characterized by aspects such as small land area, lack of advanced production planning, and low utilization of marketing elements.

According to a 2021 report by the National Statistics Service of Georgia, agricultural farms generally have less than 2 hectares of land, so small-scale farming does not guarantee high production efficiency. Only 46% of the entire territory of Georgia is plains. The usefulness of land resources in the country can be divided into 3 main categories: 1. natural agricultural area - 70.6%, including forests, bushes and pastures; 2. land area - 15.8%; 3. unused land resource in agriculture - 13.6%.<sup>7</sup>

Sustainable production in a small-scale area is a difficult task; it is not possible to reduce the cost of production through economies of scale. The establishment and consideration of family

---

3 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027, [Online]. Available: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/27243>

4 ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Official Journal of the European Union, 2014  
5 ევროკავშირი-საქართველოს ასოციირების საბჭოს 2022 წლის რეკომენდაცია N 1/2022 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების 2021-2027 დღის წესრიგის შესახებ, [Online]. Available: [2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx \(mfa.gov.ge\)](https://mfa.gov.ge/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx)

6 საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021, [Online]. Available: [https://www.geostat.ge/media/46404/soflis\\_meurneoba\\_2021.pdf](https://www.geostat.ge/media/46404/soflis_meurneoba_2021.pdf)

7 იქვე

farms as economic entities in agriculture in Georgia is challenging. Most farmers consider their family farm as a tradition rather than a commercial unit.

According to our research, we analyzed, that the advance planning, the strategic realization of produced product and consumption are the essential problem in agriculture. The aforementioned is caused by the lack of resources, which are under the usage of farmers and companies. The implementation of marketing systems in agricultural organizations is the main topic of our research. The American scientists, Sonders, Armstrong, and Kotler, considered the implementation of marketing systems, such as process, when the company's everyday functioning process is distinguished by efficiency and growth tendency.<sup>8</sup>

The small entrepreneurs are mainly active in the agricultural business sector in Georgia. The productivity of this sector is quite low, which is triggered by the high percentage of employment and level of development of this sphere, whereby Georgia lags far behind the developed countries of the world and, in particular, the European Union.

The role of European integration in the development of agriculture, and namely in the implementation of marketing systems is very essential. According to the "EU-Georgia Association Regulations 2021-2027", the medium-term priority is the development and modernization of institutions oriented to agriculture and rural development, through the development of specific planning and coordination mechanisms and the gradual introduction of marketing elements.<sup>9</sup>

Promoting the gradual adoption of market standards through the development of food safety and protection systems, high standards, and quality assurance schemes is aimed at creating a system of organic agriculture.<sup>10</sup>

ENPARD - The European Neighborhood Programme for Agriculture and Rural Development is the program launched in 2013 by the side of EU, oriented to the funding and subsidization of the agriculture segment in Georgia. The project was implemented with partners including the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), United Nations Development Program (UNDP), EVOLUXER, PEOPLE IN NEED, CARE INTERNATIONAL and MERCY CORPS.<sup>11</sup>

The program consists of three main phases, such as phase I 2014-2017, with a budget of €52 million, phase II 2016-2020, €50 million, and phase III 2018-2022, €77.5 million. With the support of the European Union only under the ENPARD program 179.5 million euros were spent on the development and modernization of the agricultural sector of Georgia.<sup>12</sup>

It is noteworthy that only in the third phase of the program were such issues as climate-optimized agriculture, the use of marketing systems and aspects of tourism in agriculture put forward. This is proof that the supported projects implemented during 2013-2022, determined

---

<sup>8</sup> Kotler P., Armstrong G., Sonders, M. Opresnik, Principles of Marketing, 17th edition, pp 566-596, [Online]. Available: <http://rezakord.com/uploads/91b0c5c8c158421fa332a449c435e1b4.pdf>

<sup>9</sup> ევროკავშირი-საქართველოს ასოციაციის საბჭოს 2022 წლის რეკომენდაცია N 1/2022 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციაციის 2021-2027 დღის წესრიგის შესახებ, [Online]. Available: <https://mfa.gov.ge/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx>

<sup>10</sup> იქვე

<sup>11</sup> ENPARD - საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური Action Global Communications Georgia, [Online]. Available: [https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/enpard\\_ge-2020.pdf](https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/enpard_ge-2020.pdf)

<sup>12</sup> Improving Rural Development in Georgia III, Project N. 00097870, 2017, [Online]. Available: [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP\\_GE\\_POV\\_ENPARD3\\_prodop.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_POV_ENPARD3_prodop.pdf)

the direction of their development, and for their further evolution it was necessary to develop and implement the above-mentioned features.<sup>13</sup>

The tendency to introduce elements of marketing in agricultural companies or small farms is relevant. It is worth emphasizing that the marketing system determines not only the effectiveness of the company, but also its continuous production cycle, from planning to the introduction of new strategic elements of sales and advertising.

### **Conclusion**

Therefore, based on the concepts and analysis we can conclude that the European integration focus is a vital issue for Georgia's development. Improving employment and quality of life in rural areas by improving infrastructure and diversifying business units is an important part of the Association Agreement with the European Union.

The research of conditions for the use of marketing systems, discussion of aspects of its implementation in organizations such as agriculture, is an important and challenging issue. It should be noted that, based on the study of agricultural organizations operating in the market of Georgia, we determined that the intensive implementation of marketing systems, including the use of integrated marketing communications, is associated with a fairly large expenditure, which requires prior planning, coordination, and control. Orientation towards European integration and EU subsidized projects is a kind of support in agricultural organizations for the introduction and implementation of such measures as marketing, advertising, and ensuring the production of organic products.

### **Bibliography**

European Commission, Brussels, 23 June 2014, The EU's Association Agreements with Georgia, the Republic of Moldova and Ukraine, [Online]. Available: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/MEMO\\_14\\_430](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/MEMO_14_430)

Kotler P., Armstrong G., Sonders, M. Opresnik, Principles of Marketing, 17th edition, pp 156-170, [Online]. Available: <http://rezakord.com/uploads/91b0c5c8c158421fa332a449c435e1b4.pdf>

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027, [Online]. Available: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/27243>

ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Official Journal of the European Union, 2014

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს 2022 წლის რეკომენდაცია N 1/2022 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 დღის წესრიგის შესახებ, [Online]. Available: [2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx](https://www.mfa.gov.ge/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx) (mfa.gov.ge) საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021, [Online]. Available: [https://www.geostat.ge/media/46404/soflis\\_meurneoba\\_2021.pdf](https://www.geostat.ge/media/46404/soflis_meurneoba_2021.pdf)

ENPARD - საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური Action Global Communications Georgia, [Online]. Available: [https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/enpard\\_ge-2020.pdf](https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/enpard_ge-2020.pdf)

Improving Rural Development in Georgia III, Project N. 00097870, 2017, [Online]. Available: [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP\\_GE\\_POV\\_ENPARD3\\_prodoc.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_POV_ENPARD3_prodoc.pdf)

---

<sup>13</sup> იქვე, გვ 25-27





**ხათუნა ჩაფიჩაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## **მზარდი პოსტ-საბჭოთა ემიგრაცია საქართველოდან და ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია**

საკუანძო სიტყვები: ემიგრაცია; პოსტსაბჭოთა საქართველო; ევროპული ინტეგრაცია

### **შესავალი**

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს 1,5 მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა 5 მილიონზე მეტი მოსახლეობის ქვეყანა, რომელთა შორის, სავარაუდოდ, 1 მილიონამდე ქართველი ემიგრანტი გაემგზავრა მთლიანობაში რუსეთში, ევროკავშირთან საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებამ და შესაბამისად, საქართველოდან ემიგრაციის უდავო ზრდამ რეალურად ხელი შეუწყო ქვეყანაში ფულადი გზავნილების ზრდას დღემდე უპრეცედენტოდ მაღალ დონეზე.

სტატიის მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თურაოლი შეიძლება შეასრულოს პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან - საქართველოდან ემიგრაციის მზარდმა ტენდენციებმა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საკმაოდ რთულ და მრავალგანზომილებიან პროცესში.

დასახული მიზნის მისაღწევად, ნაშრომში ვცდილობთ გავაანალიზოთ - კვლევითი ორგანიზაციის - **PMCG (Policy and Management Consulting Group - „პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფი“)** მიერ ჩატარებული ერთ-ერთი უახლესი კვლევის შედეგები.

### **1. PMCG-ის უახლესი კვლევა**

კვლევითი ორგანიზაციის - **PMCG (Policy and Management Consulting Group - „პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფი“)** მიერ ჩატარებული ერთ-ერთი უახლესი კვლევის მიხედვით, საქართველოდან ემიგრაციაში მყოფთა საერთო რაოდენობა 2010-დან - 2020 წლამდე, გაიზარდა 7%-ით და ჯამში 861 000 ადამიანი შეადგინა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 23%-ს წარმოადგენს.<sup>1</sup>

PMCG გვანჯდის მონაცემებს საქართველოს ეკონომიკაზე ემიგრაციისა და ფულადი გზავნილების განსაკუთრებული და შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანი გავლენის შესახებ.

## 2. კვლევის შედეგები

როგორც 2022 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ზემოხსენებული კვლევადანაც ირკვევა, რუსეთი რჩება ქართველი ემიგრანტების უმრავლესობის (450 000 ადამიანი) ემიგრაციისთვის მთავარ სამიზნე ქვეყნად, რომელსაც მოყვება - საბერძნეთი (85 000 ადამიანი), უკრაინა (65 000 ემიგრანტი) და აზერბაიჯანი (საქართველოს 49 000 მოქალაქე).<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ მონაცემები რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის გავლენის შესახებ ქართულ დიასპორაზე - ჯერჯერობით არაა სისტემურად შესწავლილი და ხელმისაწვდომი. ქართველი ემიგრანტების ყველაზე დიდი ზრდა საკვლევ პერიოდში (2010-დან - 2020 წლამდე) დაფიქსირდა შეერთებულ შტატებში (77%), იტალიასა (60%) და სომხეთში (47%).<sup>3</sup>

ემიგრაციის კოეფიციენტი საქართველოდან 2012 წლის (ხელისუფლების გარდამტეხი ცვლილება ქვეყანაში) შემდეგ, - ზოგადად დაეცა, თუმცა - 2018 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა კვლავ მატება დაიწყო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს ჩვენი ქვეყანა მისმა 80 351-მა მოქალაქემ სულ მცირე, - ექვსი თვით მაინც დატოვა. სუფთა მიგრაცია (net out-migration) იმავე წელს - ყველაზე მაღალი იყო - 2014 წლის შემდეგ.<sup>4</sup>

ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს (European Union Agency for Asylum (EUAA)) ერთ-ერთი ბოლო ანგარიშის მიხედვით<sup>5</sup>, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან თავშესაფრის მოთხოვნა 183 პროცენტით გაიზარდა 2022 წლის პირველ ნახევარში, - 2021 წელთან შედარებით. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (Caucasus Research Resource Center (CRRC)) მიერ 2021 წელს 2,335 დასრულებული ინტერვიუს საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვით<sup>6</sup>, ქართველ რესპონდენტთა არცთუ ისე დიდი, თუმცა მაინც ანგარიშგასაწევი რაოდენობა - 13 პროცენტი დაინტერესებული აღმოჩნდა მუდმივი ემიგრაციით სხვა, ძირითადად - ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (39 პროცენტი) მაშინ, როცა გამოკითხულ ქართველთა მეოთხედზე მეტმა გამოთქვა დასაქმებისთვის საზღვარგარეთ წასვლის სურვილი, - უმრავლესობით - ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში (57%). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ქართველ რესპონდენტთა 24 პროცენტმა გამოხატა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მიმართ ინტერესი და მზაობა. მოცემული მიზნით, 45%-მა აირჩია ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყანა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ემიგრაციის, როგორც სოციალური პრობლემის აღიარების და ამ ტალღის შეჩერების სანაცვლოდ, მთავრობა გაცილებით დაინტერესებული ჩანს - დაეხმაროს ქართველებს საზღვარგარეთ ლეგალურ დასაქმებაში, რისი მიზემიც აშკარაა - ქართული ეკონომიკა დიდწილად დაამოკიდებული ფულად გზავნილებზე.

PMCG-ის კვლევაში ხაზგასმულია<sup>7</sup>, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზარდილი, კერძოდ:

- 2012-დან - 2021 წლამდე მოცემული მაჩვენებელი 76%-ით გაიზარდა და 2,35 მილიარდი დოლარი შეადგინა.

- 2013-დან - 2015 წლამდე შემცირდა ფულადი გზავნილების რაოდენობა (მიზეზები გარკვეულწილად დაკავშირებულია 2008-2010 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გრძელვადიან შედეგებთან. ასევე აღსანიშნავია, რომ ემიგრაციის კოეფიციენტი საქართველოდან 2012 წლის (ხელისუფლების გარდამტეხი ცვლილება ქვეყანაში) შემდეგ ზოგადად დაეცა, თუმცა - 2018 წელს მაჩვენებელმა კვლავ მატება დაიწყო, როგორც ზემოთ აღინიშნა.). 2016 წლიდან ფულადი გზავნილების მაჩვენებელიც გაიზარდა და 2021 წელს საქართველოში ემიგრანტების მიერ ყველაზე მეტი გადმორიცხული თანხა დაფიქსირდა.
- 2014 წლის 27 ივნისის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ, ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან ძალაში შესულმა - საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებამ და მასთან დაკავშირებულმა ემიგრაციის ზრდამ საქართველოდან - ხელი შეუწყო ფულადი გზავნილების ზრდას.

ორგანიზაციის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო ემიგრაციის ქვეყნად ითვლება.<sup>8</sup> 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ემიგრაცია საქართველოდან ხასიათდება, როგორც შრომითი მიგრაცია, რომელიც გამონწვეულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით (მაღალი უმუშევრობა, სიღარიბე და დაბალი ხელფასები). სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ქართველი ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს მიმღებ ქვეყანაში. ქვეყნიდან წასული ემიგრანტების მთავარი მოტივაცია არის ფულის გაგზავნა ოჯახებისთვის საქართველოში, რათა მათთვის პირველ რიგში - უკეთესი საცხოვრებელი პირობები უზრუნველყონ. 2022 წლის მაისში საქართველომ რუსეთიდან 313 მილიონი დოლარის ოდენობის ფულადი გზავნილები მიიღო, რაც წინა წელთან შედარებით 889%-ით მეტია. მთლიანობაში, საქართველომ 2022 წლის მაისში რეკორდული ოდენობის ფულადი გზავნილები მიიღო - \$505,7 მილიონი, რაც 169%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.<sup>9</sup> ამ მასშტაბის ფულადი გზავნილები საქართველოს არც ერთ თვეს ან წელს არ მიუღია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ფულად გზავნილებზე დამოკიდებულ ქვეყნებში - საქართველო 21-ე ადგილზეა. ამავე რეიტინგში პირველ ადგილზეა ტონგა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 37,7% მოდის ფულად გზავნილებზე; მეორე ადგილზეა სომალი 35,3%-ით; მესამეზე კი ლიბანი, რომლის ეკონომიკის 32,9% დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე.<sup>10</sup> PMCG-ის მიხედვით<sup>11</sup>, მაშინ, როცა საქართველოში ფულადი გზავნილების ჯამი 2012 წლიდან 76 პროცენტით გაიზარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2021 წელს მან მშპ-ს 13 პროცენტის ექვივალენტი შეადგინა, რამაც ქვეყანა 23-ე ადგილზე გადაიყვანა - გლობალური ფულადი გზავნილების მშპ-ს რეიტინგში. უფრო მეტიც, იზრდება ევროკავშირიდან მთლიანი ფულადი გზავნილების წილი, რაც შეადგენს შემოდინების 41 პროცენტს - პოსტსაბჭოთა სივრციდან 27 პროცენტთან შედარებით.

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირიდან ფულადი გზავნილების შემოდინება გაიზარდა ვიზალიბერალიზაციის შეთანხმების მიღწევის შემდეგ. რეალურად, ემიგრაციის ზემოაღნიშნულმა მასშტაბებმა შესაძლოა ეკონომიკის არა გაძლიერება, არამედ - დაქვეითება გამოიწვიოს. ქართულ ბიზნესს უჭირს მუშახელის შოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური უმუშევრობის დონე საქართველოში - 15.6%-

ზეა.<sup>12</sup> აღნიშნული დეფიციტი განსაკუთრებით ეხება მშენებლობისა და ტურიზმის სფეროებს, რომლებიც ფაქტობრივად ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლებია. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის მფლობელები მუშახელის დეფიციტს ნაწილობრივ აკავშირებენ პანდემიასთან და სრულიად სამართლიანადაც, რადგანაც მათი მომუშავე პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა, სამუშაო სხვა სფეროებში ეძიათ, ამავდროულად, ცხადია, რომ შრომითი მიგრაცია ასევე პრობლემის სერიოზული ნაწილია.

სხვადასხვა მონაცემებით, ბევრმა მოქალაქემ, რომელიც განსაკუთრებით ზემოხსენებულ სექტორებში (მშენებლობა, ტურიზმი და არამხოლოდ) გახლდათ დასაქმებული, დატოვა საქართველო და სამუშაოს საძებნელად მიაშურა მაგალითად, ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთს, პოლონეთს, ყატარს და ა.შ.

### დასკვნა

საქართველოს მიგრაციის დინამიკის შესწავლისას, რაც ძირითადად ხასიათდება შრომითი ემიგრაციის დომინანტურობით - 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან (პროცესი დიდწილად განპირობებულია - ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს დრამატული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით), განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ ქართველი შრომითი ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სწორედ არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს მათ მასპინძელ ქვეყანაში. სხვა მიზეზებთან ერთად, ზემოხსენებული ფაქტორი ნამდვილად უწყობს ხელს საქართველოს შიდა საქმეებში ემიგრანტების შედარებით დაბალ პოლიტიკურ ჩართულობას და მათ მწირ მონაწილეობას - თვით არჩევნებშიც კი. თუმცა, ცალკე ყურადღებას და შემდგომ კიდევ უფრო მეტ კვლევას საჭიროებს - ევროპეიზაციის მიმართულებით თანდათანობით და ეპიზოდურად არათანაბარი წარმატებით, მაგრამ მთლიანობაში მაინც პოზიტიურად ცვლადი მენტალობა „დასავლეთისა“ და ევროკავშირის ქვეყნებში გადასახლებული ქართველების სულ უფრო მზარდი რაოდენობისა, განსაკუთრებით - იქ აღზრდილი ახალგაზრდების ჩათვლით.

### ბიბლიოგრაფია:

2022 წ. 13 სექტემბერი. „ემიგრაცია და ფულადი გზავნილების ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე: ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები“. PMC Research. [Online]. #139. ხელმისაწვდომია: [https://www.pmcresearch.org/publications\\_file/7ed36320327e0ffdf.pdf](https://www.pmcresearch.org/publications_file/7ed36320327e0ffdf.pdf) (ბოლო შემოწმების თარიღი – 23.12.2022)

იქვე

იქვე

საქსტატი. [Online]. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia> (ბოლო შემოწმების თარიღი – 24.12.2022)

August 2022. Migration Drivers Report: Georgia as a Country of Origin. Ridgeway Information. Stop The Traffik. European Union Agency for Asylum (EUAA). [Online]. pp. 2-3. Available: <https://euaa.europa.eu/publications/migration-drivers-report-georgia-country-of-origin> (Last visited – 24.12.2022)

September 2021. Knowledge of and Attitudes toward the European Union in Georgia: 2021 Survey Report. Europe Foundation. CRRC Georgia. [Online]. Available: [https://epfound.ge/static/file/202111181925-eu-2021-survey-report\\_eng\\_final.pdf](https://epfound.ge/static/file/202111181925-eu-2021-survey-report_eng_final.pdf) (Last visited – 24.12.2022)



2022 წ. 13 სექტემბერი. „ემიგრაცია და ფულადი გზავნილების ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე: ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები“. PMC Research. [Online]. #139. ხელმისაწვდომია: [https://www.pmcresearch.org/publications\\_file/7ed36320327e0ffdf.pdf](https://www.pmcresearch.org/publications_file/7ed36320327e0ffdf.pdf) (ბოლო შემოწმების თარიღი – 23.12.2022)

2022 წ. 13 სექტემბერი. „ემიგრაცია და ფულადი გზავნილების ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე: ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები“. PMC Research. [Online]. #139. ხელმისაწვდომია: [https://www.pmcresearch.org/publications\\_file/7ed36320327e0ffdf.pdf](https://www.pmcresearch.org/publications_file/7ed36320327e0ffdf.pdf) (ბოლო შემოწმების თარიღი – 23.12.2022)

2022 წ. მაისი. ფულადი გზავნილები. საქართველოს ეროვნული ბანკი. [Online]. ხელმისაწვდომია: <https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98> (ბოლო შემოწმების თარიღი - 25.12.2022)

May 2021. Resilience COVID-19 Crisis through a Migration Lens: Migration and Development Brief 34. International Bank for Reconstruction and Development. The World Bank. [Online]. ხელმისაწვდომია: [https://www.knomad.org/sites/default/files/2021-05/Migration%20and%20Development%20Brief%2034\\_1.pdf#page=10](https://www.knomad.org/sites/default/files/2021-05/Migration%20and%20Development%20Brief%2034_1.pdf#page=10) (ბოლო შემოწმების თარიღი - 25.12.2022)

2022 წ. 13 სექტემბერი. „ემიგრაცია და ფულადი გზავნილების ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე: ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები“. PMC Research. [Online]. #139. ხელმისაწვდომია: [https://www.pmcresearch.org/publications\\_file/7ed36320327e0ffdf.pdf](https://www.pmcresearch.org/publications_file/7ed36320327e0ffdf.pdf) (ბოლო შემოწმების თარიღი – 23.12.2022)

საქსტატი. [Online]. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa> (ბოლო შემოწმების თარიღი – 25.12.2022)

**Khatuna Chapichadze**

*Associate Professor*

*Georgian Technical University*

## **INCREASING POST-SOVIET EMIGRATION FROM GEORGIA AND THE COUNTRY'S EUROPEAN INTEGRATION**

### **Abstract**


**Key words:** Emigration; post-Soviet Georgia; European integration

The paper aims to find out what role the increasing so far emigration trends from the post-Soviet state of Georgia could possibly play in quite a challenging process of country's European integration.

While since the dissolution of the Soviet Union, more than 1.5 million Georgian citizens have left the country of over 5 million population overall, among whom there are believed to be 1 million Georgian immigrants living in Russia, a visa-free agreement with the European Union and subsequently, an undeniable rise in emigration from Georgia may have in fact contributed to an increase in remittances in the country to the unprecedented highest levels till now.


We will discuss the details of one of the recent studies conducted by the research organization PMCG (Policy and Management Consulting Group), according to which, the total number of people emigrating from Georgia increased by 7% from 2010 to 2020 for a total of 861,000 people, which is 23% of the country's population.

When investigating the Georgian migration patterns characterized majorly as labor emigration since the mid-1990s, driven by socio-economic problems being faced in the former Soviet state, noteworthy to mention that the significant proportion of Georgian labor emigrants reside and work illegally in their host country. This, along with other reasons, definitely contributes to a relatively lower political engagement in Georgia's internal affairs and poorer participation even in elections of the state - from the part of emigrants. In spite of that, slowly changing towards Europeanization - mindset of the increasing number of Georgians, including the youngsters, moved to and/or raised in the Western and EU countries, needs a special attention.



**თამთა მამულაიძე**

ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დოქტორანტი



**ოთარ ბადათუნია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

## **ხელოვნური ინტელექტის როლი საქართველოს ეკონომიკურ რეკონსტრუქციაში (აგრობიზნესის მაგალითზე)**

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, აგრობიზნესი, დიჯიტალიზაცია.

### **შესავალი**

სურსათის პოლიტიკის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტისა (IFPRI)<sup>1</sup> და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)<sup>2</sup> პროგნოზით, საკვების წარმოების დინამიკასთან მისი მოხმარების ზრდის ტენდენციის დასაბალანსებლად, მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs)<sup>3</sup> შესაბამისად.

შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები აღმოჩნდა:

- Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი/შოკი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა აქამდე ცნობილი ეკონომიკური კრიზისებისგან. საქართველოსთვის, ზემოაღნიშნული კრიზისის ფონზე ექსპორტი შემცირდა 28%-ით, ხოლო იმპორტი - 39%-ით. სასურსათო უზრუნველყოფაში საქართველოს იმპორტ-დამოკიდებულებამ პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში, კერძოდ სავაჭრო

კავშირების დარღვევის და პროცესების შენელების გამო, წარმოშვა სასურსათო მარაგების ამონურვის და სასურსათო უზრუნველყოფის კრიზისის საფრხე, ასევე დამძიმდა სასურსათო უსაფრთხოების და სურსათის უვნებლობის პრობლემა, ვინაიდან საქართველო საკვები პროდუქტების წმინდა იმპორტიორია. ამასთან ერთად, პანდემიამ მთელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ სექტორს - ტურიზმს, უპრეცედენტო ზიანი მიაყენა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

პანდემიით გამოწვეული კრიზისის შემდგომი აღდგენა არ იყო დასრულებული, როდესაც მსოფლიოსა და საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებული სრულმასშტაბიანი ომის გამო, რომელმაც თავისთავად საქართველოსთვის შესაძლოა არ იყოს პირდაპირი საფრთხის შემცველი, მაგრამ ნათლად წარმოაჩინა ერთი მხრივ ჩვენი მონყვალადობა მრავალი მიმართულებით, მეორე მხრივ კი სტაბილიზაციისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მნიშვნელობა. უფრო მეტიც, აღნიშნულმა ომმა მოახდინა გარკვეული პროცესების აქტუალიზაცია და აქსელერაცია, კერძოდ ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარება, რამაც გარკვეული პერსპექტივები წარმოშვა საქართველოსთვის (რომლითაც საქართველომ მოცემულ ეტაპზე სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ ისარგებლა).

მიუხედავად აღნიშნული (იმედია დროებითი) შეფერხებისა, საქართველოს მოცემულ ეტაპზე უკვე აქვს ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითაც.

ასოცირების ხელშეკრულება ეკონომიკური აქტივობის ალბათ ყველა ასპექტს ითვალისწინებს, მათ შორისაა სურსათის უვნებლობისა და სტანდარტიზაციის საკითხებიც, რომელიც სირთულეს წარმოადგენს ქართული აგრობიზნესის მსხვილი და საქართველოს კვალობაზე ძლიერი, თანამედროვე აქტორებისთვისაც კი და მითუმეტეს ფერმერებისთვის, რომელთა მცირე მეურნეობების მიერ წარმოებული ექსკლუზიური პროდუქცია თუ მომსახურება, მიუხედავად იმისა რომ, უნიკალურობის უპირატესობით შეიძლება ხასიათდებოდეს. სტანდარტიზაციის პროცესმა შესაძლოა სწორედ აღნიშნული სეგმენტები მძიმედ დახიოს უკან და ბაზრებიდან გაქრობის საფრთხე შეუქმნას.

აღნიშნული საფრთხეებისა თუ სირთულეების თავიდან არიდებას და იმავდროულად ასოცირების ხელშეკრულების უპირატესობებით სარგებლობას, ანუ შეცვლილი გარემოებებისადმი ადაპტირებას ხელს შეუწყობდა რიგი პროცესების ავტომატიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, მითუმეტეს რომ ასოცირების ხელშეკრულება თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობასაც გულისხმობს და ითვალისწინებს.

მაგალითად ასოცირების ხელშეკრულების მესამე ქვენაწილის 98-ე მუხლის პირველი პარაგრაფი<sup>4</sup> აღნიშნულ სფეროს და სფეროში თანამშრომლობის ლიბერალიზაციას გულისხმობს,

მუხლი 288<sup>5</sup> ეხება სტატისტიკის სფეროში ევროსტატთან თანამშრომლობას და სტატისტიკური მონაცემების ურთიერთგაცვლას, რაც ასევე გულისხმობს დიდი მონაცემების შეგროვებას, მართვას, ანალიზს და დაჯგუფებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას, გამოყენებას და



განვითარებას, აღნიშნულს უშუალოდ ეხება პუნქტი “ც”<sup>6</sup> რომელიც ფორმულირებულია შემდეგვარად „ჰორიზონტალური საქმიანობა, მათ შორის სტატისტიკური კლასიფიკაციები, ხარისხის მართვა, მომზადება, გავრცელება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება“, აქვე უნდა აღნიშნოს რომ მთელი რიგი ასპექტების განვითარების თვალსაზრისით უკვე არაერთგზის იქნა წარმოდგენილი უახლესი ტექნოლოგიების როლი, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და აგრიკულტურის თვალსაზრისით, რაზეც ყურადღება გამახვილებულია პუნქტი “ც”-ში რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკას და გულისხმობს აღნიშნული მონაცემების შეგროვებას, დაჯგუფებას, გაცვლას და სისტემატიზაციას, რაც თავის მხრივ გულისხმობს დიდ მონაცემთა შეგროვების, დაცვის, დაჯგუფების, მართვის, ანალიზის და სისტემატიზაციის სპეციალური პროგრამებით აღჭურვილი სპეციალური მონაცემთა ბაზების განვითარებას და დანერგვას.

ტრადიციული სექტორების დიჯიტალიზაციის უწყვეტ და გარდაუვალ პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება ციფრულ ტექნოლოგიებში საჭარო მმართველობის ყველა დონეზე პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისი ინდექსაციის (წარმოებული, იმპორტირებული, ექსპორტირებული, რეექსპორტირებული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები) კორელაციის შედეგად ავტომატიზებული პროგნოზირების გეგმა სასურსათო რეზერვების მართვისთვის საჭირო წინაპირობას შექმნის, რაც ქვეყნის ევრო-ინტეგრაციის პროცესში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

გარდა ამისა გრძელვადიან პერსპექტივაში აქტუალობას ინარჩუნებს, პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი კლიმატური ცვლილებები. სოფლის მეურნეობის ქვემომართულებების ზეგავლენამ სათბური გაზების ემისიის ზრდის პროცესში რამდენიმე ქვეყანას უბიძგა დაენესებინა შესაბამისი წლიური კვოტები და გადასულიყო პირველადი წარმოების სხვა მექანიზმებზე. პარიზის შეთანხმების მიხედვით, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად, კერძოდ სათბურის გაზების ემისიის 2030 წლამდე 15%-ით შემცირების საკითხი ღიად რჩება სამოქმედო გეგმის არარსებობის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, დილემა - საკვები პროდუქტების წარმადობის და სათბური გაზების ემისიის ზრდის ურთიერთკავშირის თაობაზე, რისი დაბალანსებაც შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებითა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდით დიჯიტალიზაციის ხარჯზე (კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, მიწოდების ჯაჭვების ოპტიმიზაცია, ნარჩენების უტილიზაცია, მწვანე ტექნოლოგიები). მსგავსი სინერგიული გადაწყვეტა მოხსნის დილემის პრობლემას კაცობრიობის წინაშე, შეამციროს წარმოება კლიმატური ცვლილებების სასარგებლოდ თუ უზრუნველყოს მდგრადი განვითარების N2 მიზანი (Goal 2: Zero hunger) საკვების დეფიციტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიანი ომი და დასავლეთსა და რუსეთში სამხედრო ხარჯების მასშტაბური ზრდის პარალელურად მიღებული სწრაფად მზარდი სავაჭრო ომი სანქციებისა და კონტრსანქციების სახით. მოცემული კურსისა და დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში ევროკავშირმა შესაძლოა მთლიანობაში დაკარგოს დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი თავისი საექსპორტო შემოსავლებიდან, სანქციებით გამოწვეული მოცემული ნეგატიური ეკონომიკური შედეგები აუცილებლად გაიწელება დროში და ევროპის ქვეყნები თანმიმდევრულად

დადგებიან ამ პრობლემის წინაშე. საქართველო, ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად ბოლო 2 წლის მანძილზე მეორედ დადგა სასურსათო დეფიციტისა და სასურსათო უსაფრთხოების რისკის წინაშე. ბოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის წინააღმდეგ. საქართველოს ეკონომიკა რუსეთზე ძირითადად საგარეო ვაჭრობითა და ფულადი გზავნილებით არის დამოკიდებული, მარცვლეულით უზრუნველყოფის 70%-ი რუსეთიდანაა იმპორტირებული, გარდა ამისა ქართული ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი დაახლოებით 1/2-დან 2/3-მდე წლების მიხედვით მერყეობს რუსეთის ბაზარზე. ჩრდილოელ მეზობელზე დამოკიდებულება ტურიზმის ინდუსტრიაზეც აისახება. საბოლოო ჯამში, საქართველოს აგრო სექტორი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში საქართველოს მოსახლეობის 41%-ის ჩართულობით იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 7-8%. არაერთი კვლევის შედეგად, გამოწვევები კვლავ ტრადიციულ პარადიგმაში ვლინდება: რეალიზაციის პრობლემა (მიწოდების უწყვეტობა), დაბალ პროდუქტიულობა, ხარისხი, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ციფრული ტექნოლოგიების აუთვისებლობა და სხვა.

ემპირიული დაკვირვების, საექსპერტო გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფების (100-მდე მცირე და საშუალო ბიზნესთან ჩაღრმავებული ინტერვიუების) და კონკრეტული შემთხვევების განხილვითა და შექმნით<sup>7</sup> გამოვლინდა, რომ ციფრული ტრანსფორმაციისა და ტექნოლოგიური რევოლუციის პარალელურად, სასურსათო კრიზისის დაძლევა, მომიჯნავე ინდუსტრიების (ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი) განვითარება/დიჯიტალიზაციის და ტექნოლოგიების ინტეგრირების წახალისებით არის შესაძლებელი. სურსათის პირველადი წარმოების პროცესის ნებისმიერი ეტაპის ან თუნდაც მთლიანი ციკლის ავტომატიზაცია ხელოვნური ინტელექტის დახმარებით (რაც დღეს უკვე სავსებით რეალიზებადია) სექტორში ჩართულ აქტორებს (აგროპრენერებს) აგრობიზნესის ეფექტიანად დაგეგმვასა და მართვას გაუადვილებს.

### ხელოვნური ინტელექტი აგრობიზნესში

ტექნოლოგიურმა განვითარებამ არსებითად გაზარდა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სერვისების შექმნისთვის საჭირო ტექნიკური თუ პროგრამული საშუალებების ხელმისაწვდომობა. ხელოვნურ ინტელექტს გააჩნია ფაქტობრივად ყველა საშუალო თუ ბიზნეს პროცესის მართვის ტრადიციული მიდგომების სასიკეთოდ გარდაქმნის პოტენციალი და სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ფართო სპექტრის სახით, როგორცაა: ავტომატიზებული წყლის სისტემები, სენსორული დანადგარები, თვითმართვადი ტრაქტორები, და მრავალი სხვა.

მსოფლიო ტენდენციები და პროგნოზები Ai მოხმარების კუთხით 2022-2029 წლებში საკმაოდ მზარდია შემდეგი რეგიონებში: ჩრ. ამერიკა, ევროპა, აზია, სამხრეთ ამერიკა, შუა აღმოსავლეთი და აფრიკა. Data Bridge Market-მა აშშ, კანადა, მექსიკა, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ბელგია, რუსეთი, იტალია, ესპანეთი, თურქეთი, დანარჩენი ევროპა ევროპაში, ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, მალაიზია, ავსტრალია, ტაილანდი, ინდონეზია, ფილიპინები, აზია-წყნარი ოკეანის დანარჩენი ნაწილი (APAC) აზია-წყნარ ოკეანე (APAC), საუდის არაბეთი, U.A.E, ისრაელი, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა, დანარჩენი ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა (MEA), როგორც

ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ნაწილი (MEA), ბრაზილია, არგენტინა და დანარჩენი სამხრეთ ამერიკა, როგორც სამხრეთ ამერიკის ნაწილი. Data Bridge Market-მა ზემოაღნიშნულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ინვესტიციები ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრირებისთვის სოფლის მეურნეობაში 15%-ით, ფულადი სახით კი 3 ბილიონი დოლარით გაიზარდება. შიში იმის თაობაზე, რომ ტექნოლოგიური ცოდნის ნაკლებობა დამაბრკოლებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს ზემოაღნიშნულ რეგიონებში სექტორის განვითარებისთვის, სახელმწიფო აქტორებს ხელს არ უშლის ტრადიციული ინდუსტრიის პრიორიტეტიზაციის და ამავე ინდუსტრიაში ახალი ტექნოლოგიების (კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებით) ინვესტირების საკითხში, მაშინ როცა, საქართველოში, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულება დღემდე დასუსტიდირებულია.

შემოთავაზებული კვლევის სიახლე არის ის, რომ აგრო სექტორში, პირველადი წარმოების პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება და პირდაპირ პრაქტიკის დაგეგმვა, (მინის ლაბორატორიული ანალიზის გარეშე რეკომენდაციების მიღება) არა თუ ადგილობრივ არამედ საერთაშორისო დონეზეც პირველი პრეცედენტია. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური უზრუნველყოფით შესაძლებელია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის დაძლევა, კერძოდ დაბალპროდუქტიულობის მაჩვენებლის შემცირება საქართველოს აგრო სექტორის საერთო დინამიკაში.

საქართველოში შესაძლებელია, თხუთმეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისთვის აგროისტორიულ მონაცემებზე ანყობილი და ქართულ აპლიკაციაში ინტეგრირებული AI ალგორითმის  $Yr = 100 - b(ECe - a)^8$  რეგიონულ, მუნიციპალურ და სოფლის დონეზე გავრცობა ქართული წარმოების მთელ ნომენკლატურაზე.

კვლევისას გამოვლინდა ხელოვნური ინტელექტის ბიგ დატასთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების ალტერნატივა, დამხმარე მონყობილობის სახით. მაღალი სიზუსტის სატელიტურ მონაცემებზე დაყრდნობით სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ყოვლისმომცველი ანალიზი (ვეგეტაციური ინდექსები, ნალექი, ნიადაგის ტენიანობა, ტემპერატურული სტრესი) რომელიც ისტორიული მონაცემების აკუმულირების შესაძლებლობას იძლევა, რაც AI ალგორითმის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მისი შექმნის პროცესში გამოიკვეთა, რომ ნიადაგისა და კლიმატის მკვეთრი განსხვავებების გამო პროგრამული ენა ადვილად ადაპტირდა მარტივი მონაცემების გაცვლის ეტაპზე, რაც საფუძვლიან ვარაუდს იძლევა იმის თაობაზე, რომ სხვა ქვეყნის შემთხვევაში მცირე მონაცემების ერთჯერადი შეყვანის შემთხვევაშიც პროგრამა დამოუკიდებლად მიანიჭებს შესაბამის კოეფიციენტებს მოსაყვანი პირველადი კულტურის შესახებ.

### დასკვნები და რეკომენდაციები

ციფრული ტრანსფორმაციის, ტექნოლოგიური რევოლუციისა და უკვე გაფართოებული რეალობის ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის ინდუსტრიების სწორ პრიორიტეტიზაციას, პოზიციონირებასა და, რა თქმა უნდა, მათი განვითარების გეგმას დიჯიტალიზაციის/ახალი ტექნოლოგიების/ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირების ხარჯზე. აგროპრენერებისთვის კვალიფიციური რეკომენდაციის გაცემა და წარმოების მთლიან ციკლში პროცედურული რჩევების ციფრული ასისტენტირება საქართველოს აგროსექტორის

დადებითი დინამიკის შემცველი პრეცედენტია. სექტორის ტექნოლოგიური ხაზით ინვესტირების გარდა, მნიშვნელოვანია:

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ (DCFTA) ფარგლებში ახალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება, ბაზრების დივერსიფიკაცია ფერმერებში სტანდარტიზაციის აუცილებლობის შემოღებითა და სწორი ინფორმაციის მიწოდებით;
- ინვესტიციები ჩადება სურსათის მიწოდების ჯაჭვებში, რათა არ შეფერხდეს სურსათის მოძრაობა ქვეყნის საზღვრებს შიგნით თუ მის გარეთ; უნდა წახალისდეს სურსათის სისტემებში ინოვაციების დანერგვა;
- ახალი ინვესტიციების გამოყოფა სურსათის წარმოების, შეგროვების, შენახვის, გადამუშავების, მარკეტინგისა და დისტრიბუციის ეტაპებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად;
- სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგისა და ანალიზი ინსტრუმენტების შემოღება.

### ზიზლიოგრაფია

კვლევები, ანალიტიკა. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი [shorturl.at/gsHSW](https://shorturl.at/gsHSW) (წვდომის თარიღი 15.06.2022).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის „FAO“ ოფიციალური ვებგვერდი <https://www.fao.org/home/en> (წვდომის თარიღი 15.06.2022)

საქართველოში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის “FAO Georgia”., ოფიციალური ვებგვერდი <https://www.fao.org/georgia/en> (წვდომის თარიღი 15.06.2022)

ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში, IDFI. [https://idfi.ge/ge/artificial%20intelligence\\_international\\_tendencies\\_and\\_georgia](https://idfi.ge/ge/artificial%20intelligence_international_tendencies_and_georgia) (წვდომის თარიღი 22.06.2022)

Data bridge market research official webpage., [shorturl.at/uDL13](https://shorturl.at/uDL13) (Assessed 15.06.2022)

Hall Derek R., Irene Kirkpatrick, Morag Mitchell, 200. Rural Tourism and Sustainable Business. UK: Channel View Publications

Majoral, Roser, 2019. Catalan Agriculture., Great Britain: Cromwell press.

Olarieta, José Ramon. 2008. “Preserving and destroying soils, transforming landscapes: Soils and land-use changes in the Vallès County”. Since Direct. 1853–2004.

Rajesh Singh, Anita Gehlot, Mahesh Kumar Prajapat, Bhupendra Singh, 2022. CRC Press



**Tamta Mamulaidze**

*PhD student*

*Business Technologies University*

**Otar Baghaturia**

*Associated Professor*

*PhD*

## **THE ROLE OF ARTIFICIAL INTELLECT IN GEORGIA'S EURO-INTEGRATION (ON EXAMPLE OF AGRIBUSINESS)**

### **Abstract**

**Key words:** Artificial Intelligence, Agribusiness, Digitalization

Caused by pandemic and war food deficit threats can be managed by digitizing agribusiness, which also responds to the requirements of the European Association Agreement of Georgia. The war actualized and accelerated the European integration, which strengthened perspectives existing for Georgia. But the Association Agreement also includes food safety and standardization, which can contain difficulties for Georgian agribusiness entities and farmers. The process of standardization may put farmers at risk of disappearing from the markets, despite the advantages of the uniqueness of the exclusive products produced by small farms. Automatization of a number of processes using modern digital technologies would be facilitate to avoid the mentioned dangers or difficulties and at the same time to use advantages of the Association Agreement in changing environment. Moreover, the Association Agreement also implies and provides for cooperation in the field of modern technologies. And therefore, it is also an obligation assumed by Georgia. It is possible to adapt the activities of farmers engaged in traditional spheres to the norms of the Association Agreement and the changing market demands using smartphones equipped with appropriate applications, which turns every farmer, also guide or tourist into a data collector.

# ისტორია



**ნუგზარ ბარდაველიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

## **წმინდა საყდარი და საქართველო - თანამშრომლობის სამი ათწლეული**

ექვზნება წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის  
დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავს

საქართველოს ურთიერთობა წმინდა საყდართან, ისტორიული წყაროების თანახმად ქართლში ქრისტიანობის გამოცხადებისთანავე მყარდება: ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო და მეფე მირიანი კურთხევის წერილს იღებენ რომის პაპის სილვესტრე I-საგან. 596 წელს კათალიკოსი კირიონ I მსაჯულად რომის პაპს გრიგოლ დიდს მიმართავს.<sup>1</sup>

XIII საუკუნიდან საქართველოში მეფე რუსუდანის თხოვნით პაპი გრიგოლ IX თბილისში აფუძნდება რომის კათოლიკე ეკლესიის (ლათინური წესის), პირველ მონასტერს. 1328 წელს მეფე გიორგი ბრწყინვალის თხოვნით პაპ იოანე XXII-ს ქალაქ სმირნიდან თბილისში გადმოაქვს ლათინური წესის საეპისკოპოსო კათედრა.<sup>2</sup> ამ საეპისკოპოსო კათედრამ საუკუნე ნახევრს იარსება და შემდგომ უაღრესად გამწვავებული საერთაშორისო და საშინაო ვითარების გამო წელს არსებობა შეწყვიტა.<sup>3</sup>

კათოლიკური ეკლესიის კაპუცინთა ორდენის მისია, რომელიც უშუალოდ წმინდა საყდარს ექვემდებარებოდა, საქართველოში 1845 წლამდე არსებობდა, სანამ რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ არ აუკრძალათ საქმიანობა და დაატოვებინა იმპერიის ტერიტორია. კაპუცინები შორს წასვლა არ უცდიათ და ტრაპიზონში დამკვიდრდნენ

1 პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი 1995 წ. გვ.58.

2 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902წ. რეპრინტი, თბილისი 2011წ. გვ.33.

3 დასახ. ნაშრ. გვ.50

იმ იმედით, რომ როდესმე შესძლებდნენ საქართველოში დაბრუნებას.<sup>4</sup> კათოლიკე მისიონერების მისიონერებმა რაოდენობა მართალია მრავალრიცხოვანი არასდროს ყოფილა, მაგრამ მათ დიდი როლი შეჰქონდათ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921 წ.წ.) წმინდა საყდარსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის საფუძველი ჩაეყარა ორმხრივ ურთიერთობას, გადაიდგა დიპლომატიური თანამშრომლობის დამყარებისათვის აუცილებელი პირველი ნაბიჯები, თუმცა ბოლშევიკური ოკუპაციისა და საბჭოთა რეჟიმის პერიოდში ეს თანამშრომლობა ვეღარ განვითარდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დაინტერესებული იყო წმინდა საყდართან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით. მენშევიკური ხელისუფლების ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ ვატიკანის საერთაშორისო კავშირების მხარდაჭერით, ევროპის ქვეყნების მთავრობებთან მოკლედ დროში დაამყარებდნენ მეგობრულ ურთიერთობას. თავის მხრივ წმინდა საყდარსაც სურდა ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში, სადაც მცირე მაგრამ აქტიური კათოლიკური თემი არსებობდა, აღედგინა სამოციქულო ადმინისტრაცია.

წმინდა საყდართან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების მომხრე იყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიაც, რომელიც ავტოკეფალიის გამოცხადების შემდგომ ინტენსიურად ცდილობდა ვატიკანთან ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას. „ქართველი სამღვდლოების ზედათენის ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა წომთან მოლაპარაკების გამართვა, რასაც კეთილი თვალთ უყურებდა საქართველოს მენშევიკური მთავრობაც. ისინი ცდილობდნენ მოსახლეობაში პოპულარული გაეხადათ ის აზრი, რომ რუს და ქართველ ხალხებს შორის არაფითარი საერთო არ იყო, განდა მართლმადიდებლობისა, და რომ ამ ურთიერთობის შედეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა“.<sup>5</sup>

ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდგომ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება კათოლიკურ ეკლესიასთან მეტად მტრულად იყო განწყობილი და მასთან არანაირ თანამშრომლობაზე არ მიდიოდა, გასული საუკუნის 20-იან წლებში, წმინდა საყდარი ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც და ებრუნა ადგილობრივ კათოლიკურ საკრებულოებზეც.

გასაბჭოების შემდგომ უცხოეთში ემიგრირებული ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ვატიკანთან ურთიერთობების გაგრძელებას და კათოლიკური ეკლესიის დიდი ავტორიტეტის გამოყენებას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ემიგრაციის ერთ-ერთ ასეთ ცენტრს წარმოადგენდა სტამბოლის ფერიქოის უბანში არსებული ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. ეს სავანე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო წლებიდანვე იქცა საზღვარგარეთ გადახვეწილ მამულიშვილთათვის ძირითად თავშესაფარად, მათთვის სტამბოლის კათოლიკური სავანე „მიჩნეული იქნა როგორც ქართული კულტურის კერა უცხოეთში, რომელსაც დიდ ეკონომიკურ დახმარებას უწევდა ვატიკანი. პირველი

4 უანენ რ. საქართველო, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 1996წ. გვ.86.

5 კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1990, გვ.96.

მსოფლიო ომის დროს აქ ბინა დაიღო „ქართული ლეგიონის კომიტეტმა“, მიხაკო წერეთლის მეთაურობით, რომელიც ისახავდა „საქართველოს განთავისუფლებას“ მეფის თვითმპყრობელობისაგან... 600 ლტოლვილმა ქართველმა მონასტერს მიაშურა და „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა“ პარიზში გადასვლამდე აქ იმყოფებოდა ...სტამბოლის ქართული მონასტერი იყო 1924 წლის აგვისტოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მისი დამარცხების შემდეგაც ემიგრანტულ მთავრობას არ შეუწყვეტია კავშირი ვატიკანთან და მთელ იმედებს პაპზე ამყარებდა.”<sup>6</sup>

ემიგრაციაში ყოფნისას ლტოლვილი მთავრობის წევრები განაგრძობდნენ წმინდა საყდართან ურთიერთობას და ცდილობდნენ კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვებას, რაც ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მტკიცე გარანტიად მიაჩნდათ. საქართველოს პარტიულ არქივში დაცულია მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილის მიერ საქართველოში არალეგალურად მოქმედი მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილი ღირეფტივა საიდანაც ირკვევა, რომ პარიზში მყოფი მენშევიკი ლიდერები, კერძოდ კი ემიგრანტული მთავრობის წევრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ვატიკანთან. მათ რომის პაპთანაც ჰქონდათ მიმონერა და საკუთარი წარმომადგენელიც კი ჰყოლიათ. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ „ნ. რამიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის მეთაურები ფიქრობდნენ რომთან კავშირზე. იგი (ნ. რამიშვილი, ნ.ბ.) თხოულობდა ყოველნაირი ცნობის მიწოდებას, რაც ეკლესიას შეეხებოდა და მიიჩნევდა, რომ ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა”.<sup>7</sup>

გასაბჭოების შემდგომ, პირობებში პოლიტიკური ვითარება ისე შეიცვალა, რომ წმინდა საყდარმა ვეღარ შესძლო სამოციქულო ადმინისტრატორის მოვლინება. ეს მაღალი ფუნქცია თვარულად მღვდელ იმანუელ ვარდიძეს დაეკისრა. რომელიც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების სახელობის თბილისის ტაძრის წინამძღვარი გახლდათ. „ვარდიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის, გერმანიის და იტალიის საკონსულოებთან თბილისში. მათი დახმარებით მან შესძლო საქველმოქმედო საქმიანობის გაშლა, სკოლების, ბავშვთა სახლებისა და უსახლკაროთა თავშესაფრების გახსნა”.<sup>8</sup>

მღვდელ ი. ვარდიძის აქტიური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და სულ მალე მას საერთოდ აუკრძალეს საქველმოქმედო საქმიანობა შემდგომ კი დააპატიმრეს კიდევ. სულ საერთო ჯამში მ. იმანუელ ვარდიძე ნ-ჯერ იყო დაპატიმრებული რელიგიური მოღვაწეობისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი არალოიალური დამოკიდებულების გამო.<sup>9</sup>

საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ მანძილზე დამოკიდებულება წმინდა საყდართან მეტად მტრული იყო, „პერესტროიკის“ დროსაც კი როცა აშშ-თან ვითარება დათბობა დაიწყო, მოსკოვის საპატრიარქოს დამოკიდებულება კათოლიკურ ეკლესიასთან კიდევ უფრო აგრესიული გახდა. მიზეზი პოლონელი პაპი, დასავლეთ

6 დასახ. ნაშრ. გვ.98.

7 კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1990, გვ.98.

8 სკპ ცკ-ს პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი(თბილისი), ფ.13, არწ.1,ნაწ.II,ს.2305, ფ.70.

9 ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019. გვ. 52.



უკრაინის ბერძენულ-კათოლიკური მრევლის გააქტიურება და წართმეული ტაძრების დაბრუნების მოთხოვნა და რუსეთის გაქრისტიანების მე-1000 წლისთავის საიუბილეო რიტორიკიდან კათოლიკური ეკლესიის როლის მიჩქმალვის სურვილი გახდა. რუსეთის ეკლესიის გავლენით დაიძაბა ვითარება ქართველ მართლმადიდებლებსა და კათოლიკე მორწმუნეებს შორის, რაც კიდევ უფრო შეუქცევადი გახდასაბჭოთა ხელისუფლების მიერ ხუთი ისტორიული კათოლიკური ტაძრის მართლმადიდებელ მრევლზე გადაცემის შემდგომ. მიუხედავად ამისა წმინდა საყდარი ემზადებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღმოცენებულ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისათვის.<sup>10</sup>

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წელს საქართველოს სტუმრობდა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი კარდინალი აგოსტინო კაზაროლი, რომელიც შეხვდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ამგვარად გადაიდგა პირველი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისათვის.

1992 წელს, როდესაც დაიწყო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესი, წმინდა საყდარი უკვე მზად იყო დიპლომატიური მისიის მოვლინებისათვის. ასე, რომ ვატიკანი იმ სახელმწიფოთა პირველ ათეულშია რომლებმაც 1992 წელს თბილისში თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლობა აამოქმედეს.

ჩვენს ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის მრევლი რაოდენობით მე-4 ადგილზეა მართლმადიდებელი ქრისტიანების, მუსლიმების და სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლის შემდგომ. კათოლიკური ეკლესია სამი რიტით (წესი) არის წარმოდგენილი ლათინური, (30საკრებულო), სომხურ-კათოლიკური (18 საკრებულო) და ასურულ-ქალდეური (2საკრებულო). 2014 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ 1897 წლის სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევადარებთ საქართველოში კათოლიკეების რაოდენობა 1,5%-დან 0,8-მდე შემცირდა. ტრადიციულად საქართველოს კათოლიკური მრევლის წევრები საკმაო აქტიურობით გამოირჩევიან და ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარულ სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.<sup>11</sup>

წმინდა საყდართან საქართველოს ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია, ამ ურთიერთობას უფრო მეტი პერსპექტივა ექნება და საკმაოდ მიმზიდველიც შეიძლება აღმოჩნდეს ორივე მხარისათვის, თუ მიზანდასახულად და მეთოდურად განახორციელებენ ისინი, ვისაც ხელეწიფება ამ პოლიტიკის გატარება. და მაინც რა ძირითადი მიმართულებები შეიძლება გამოიყოს ამ კუთხით?

პირველი და უმთავრესი ფაქტორი, ეს გახლავთ ვატიკანის მხარდაჭერა საქართველოსათვის საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეს მხარდაჭერა მას შემდეგ, რაც რუსეთის ზეწოლით ლათინური ამერიკის ორმა სახელმწიფომ ვენესუელამ და ნიკარაგუამ აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. შესაძლებელი იყო საქართველოს ამ სახითათო ტენდენციას განვითარება მოჰყოლოდა, მითუმეტეს, რომ რუსეთის აქტიურად ცდილობდა სხვადასხვა სახის ზეწოლით გავლენა მოეხდინა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებზე, რათა მათ დიპლომატიურ დონეზე ეცნოთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტებმა ლათინურ ამერიკის ქვეყნებში და გარდატეხა

10 ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში, კრებ.რელიგია და საზოგადოება, N III, Tbilisi 2004წ. გვ. 65.

11 ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019. გვ. 5.

შეიტანა და თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარების პროცესი შეჩერდა. ამ კუთხით ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრეზიდენტი მ. სააკაშვილის ვიზიტმა 2010 წლის მაისში ვატიკანში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა რომის პაპს ბენედიქტე XVI-ს. ამ შეხვედრის შესახებ რომლის ყველა დეტალი არ არის გამოქვეყნებული, უდავოდ დადებითი როლი ითამაშა შემდგომ ეტაპზე, საქართველოს პრეზიდენტის ლათინური ამერიკის ლიდერებთან გამართულ მოლაპარაკებებზე. ყოველ შემთხვევაში შედეგი სახეზეა, ამ რეგიონის სახელმწიფოებს აღარ გამოუთქვამთ სურვილი საქართველოს სეპარაციული რეგიონების ცნობაზე. და ეს ყველაფერი ხორციელდება რუსეთის მხრიდან ამკარა მატერიალური დახმარების აღმოჩენის შეთავაზებების ფონზე. ოფიციალური ვატიკანის პოზიცია, რომელიც ცალსახად დაგმო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ გაჩაღებულ აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი ყურადსაღები მესიჯი გახდა მთელი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი კათოლიკური ქვეყნებისათვის. შემთხვევითი არ არის პრეზიდენტი სააკაშვილის სამადლობელი სიტყვები ბენედიქტე XVI-ის მიმართ: -განსაკუთრებული მადლობელი ვაწ, რომ ვატიკანი განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამის შესახებ პირადად ვუთხარი რომის პაპს, მასთან შეხვედრისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი რომის კათოლიკური ეკლესია საქართველოს ინტერესების მხარდამჭერია; ამისათვის მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა კათოლიკურ ეკლესიის წარმომადგენლებს, რადგან იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენეს, რომის წმინდა საყდრის საკმაოდ გავლენიანი მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და ჩვენი მომავლისათვის”.<sup>12</sup>

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველო ვატიკანის ურთიერთობებში გახლავთ კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერა საქართველოსათვის საერთაშორისო ვალეების ჩამონერაში. წმინდა საყდრის პოზიცია, რომ განვითარებად ქვეყნებს ჩამოეწეროს საერთაშორისო ვალეები დიდი ხანია გაცხადებული არის საჯაროდ და კათოლიკური ეკლესიის მღვდელმთავრები არაერთ მონოდებაში აღნიშნავენ ამ აქციის აუცილებლობაზე.<sup>13</sup>

ეკლესიათშორისი თანამშრომლობა და ვატიკანის უცვლელი პოზიცია დემო-გრაფიული პრობლემათა დაძლევის კუთხით. იმ უთანასწორობის დაძლევა რაშიც მილიარდობით ადამიანს უწევს იძულებითი ცხოვრება. უღარიბეს ქვეყნებზე ვალეების ჩამონერა, ათვლის ის წერტილია, რომელიც სწორ გეზს აჩვენებს შექმნილ ვითარებაში, აი ის პრობლემა რომლის დაძლევაშიც რომის კათოლიკური ეკლესია აქტიურადაა ჩაბმული.<sup>14</sup>

მესამე ფაქტორი ეს გახლავთ კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობა, ვატიკანსა და საქართველოს შორის. სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ორგანიზება წამყვანი ევროპის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით, ქართველ მკვლევართა ხელშეწყობა, წიგნების თარგმნა და გამოცემა. ნიჭიერ

12 არქივისკოპოსი გუჯეროტი კ. ინტერვიუ ჟურ. „საბა“ 2008. N10. გვ. 2.

13 ბრაგანტინი გ. „აღბათ ყველამ არ იცის“, ჟურ. „საბა“, 2009. N3. გვ. 2.

14 ბარდაველიძე ნ. „გლობალიზაცია და ქრისტიანობა, კრებ. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი, 200906. გვ. 103.

ხელოვანთა მხარდაჭერა და საზღვარგარეთ გასტროლების ორგანიზება, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის სასწავლებლად გაგზავნა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დაფუძნება, საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასის“ დაფუძნება, აი, მოკლე ჩამონათვალი წმინდა საყდრის მხარდაჭერით განხორციელებული საქმიანობისა.

მეოთხე ფაქტორი ეს არის სოციალურ-ჰუმანიტარული თანამშრომლობა რომელსაც კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციები თავიანთი ღონისძიებების მხარდაჭერით ანხორციელებენ საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში და რაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი დოლარით განისაზღვრება. პოლიამბულატორიის, სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრების და საავადმყოფოს ფუნქციონირება, მოზარდებისათვის გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზება და სხვ. მრავალი აქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ განსხვავებულია საქართველოში მკვიდრი ადგილობრივი კათოლიკე მორწმუნეების და ოფიციალური ვატიკანის პოზიცია. თუ ქართველი კათოლიკეები ჯიუტად მოითხოვენ თავიანთი ყოფილი ტაძრების დაბრუნებას, რომლების დაკარგვაში ნაწილობრივ მათაც მიუძღვით ბრალი თავისდროზე გამოჩენილი ინერტულობის გამო, სულ სხვაა ოფიციალური ვატიკანის პოზიცია. წმინდა საყდრისთვის ბევრად მნიშვნელოვანია მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, კონკრეტულ შემთხვევაში კი საქართველოს საპატრიარქოსთან ურთიერთობის ნორმალიზება. ვატიკანი ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით (მას მსოფლოს ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოში გახსნილი აქვს თავისი სადესპანოები) ცდილობს გაატაროს ურთიერთდაახლოების, მეგობრული თანამშრომლობის, ურთიერთგაგების პოლიტიკა, რომელიც ქრისტიანობის ეკუმენურ პრინციპებს ეფუძნება. ამრიგად ოფიციალური ვატიკანისთვის პრიორიტეტის მართლმადიდებლურ ეკლესიებთან მჭიდრო და ურთიერთნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა. წმინდა საყდარი სავსებით პოზიტიურად უყურებს მართლმადიდებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და დაახლოების პერსპექტივებს.

30 წლის განმავლობაში საქართველოში წმინდა საყდრის უკვე მეხუთე დესპანი აგრძელებს დიპლომატიურ საქმიანობას.<sup>15</sup> პირველი დესპანი გახლდათ არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი (1993-1998). მისი უმაღლესობა ჯერ კიდევ 1992 წელს ეწვია საქართველოს და უშუალოდ სადესპანოს ამოქმედებამდე მან დიდი ორგანიზაციული საქმიანობა ჩაატარა. შემდგომ უკვე დესპანის რანგში აქტიურად იყო ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში: დააფუძნა „საქართველოს კარიტასი“, მსოფლიო მასშტაბით უდიდესი კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასის“ ფილიალი.<sup>16</sup> გასული საუკუნის 90-იანი წლები, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება მრავალ პრობლემასთან მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებასთან იყო დაკავშირებული. ამ პრობლემათა გადაწყვეტა უცხოეთის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ. დამოუკიდებლობის პირველი წლების განმავლობაში საერთაშორისო „კარიტასის“ დახმარებით ათეულ ტონობით კვების პროდუქტები იქნა შემოტანილი და განაწილებულ

15 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

16 „კარიტასი“ თავისი მასშტაბით აჭარბებს „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციას.



სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე, ამოქმედდა უფასო სასაღილო. არქივის-კოპოს ჟან-პოლ გობელი უშუალოდ იყო ჩართული დონორების მოძიებაზეც და ჰუმანიტარული ტვირთების სამართლიან გადანაწილებაზეც. უცხოეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შექმნა და საქართველოში ტრანსპორტირება დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ჟან-პოლ გობელმა მართებული გადაწყვეტილება მიიღო და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა უშუალოდ ქართველი გლეხებიდან დაიწყო. ამით ორი სასარგებლო საქმე გაკეთდა, უფრო მომჭირნედ ხდებოდა სურსათის შექმნა და ჰუმანიტარული დახმარების თანხა, უცხოეთში დარჩენის ნაცვლად ადგილობრივი მეურნეების წახალისებას ხმარდებოდა.

წმინდა საყდრის სადესპანოს ამოქმედების პირველ წელს, პაპმა არქივისკოპოს ჟან-პოლ გობელს, ელჩის მოვალეობის შესრულებასთან ერთად სამხრეთ კავკასიაში (იგულისხმება სამივე სახელმწიფო) სამოციქულო ადმინისტრატორის ფუნქციაც დააკისრა. როდესაც ადმინისტრაციის ორგანიზება და მისი ქმედითი ფუნქციონირების მოგვარება შესძლო, ჟან-პოლ გობელმა სამოციქულო ადმინისტრაციის მართვა, ქუთაისში სტიგმელთა კონგრეგაციის მისიის ხელმძღვანელს მამა ჯუზეპე პაზოტოს გადააბარა, რათა თავად მთელი ყურადღება რეგიონში წმინდა საყდრის დიპლომატიური მისიის გაძღოლისათვის დაეთმო. ელჩობის ვადაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ჟან-პოლ გობელმა, პრეზიდენტ შევარდნაძის თხოვნა გაითვალისწინა და შუამდგომლობა განაწმ. კამილოს ორდენთან. . . და მალე თბილისის ზღვის დასახლებაში ამოქმედდა წმ. კამილო ლელისის პოლიფუნქციური სამკურნალო ცენტრი, რომელის უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევდა მუხიანის დასახლების მოსახლეობას.

1998 წელს სამხრეთ კავკასიაში დესპანის ვადის ამოწურვის შემდგომ არქივისკოპოსი ჟან-პოლ გობელი ჩაანაცვლა არქივისკოპოსმა პიტერ სტეფან ცუბრიგენმა (1998-2001). მისი დესპანობის პერიოდია გამორჩეულია საქართველოსა და წმინდა საყდრის შორის ურთიერთობების გააქტიურებითა და გაღრმავებით. 1999 წლის ნოემბერში, რომის პაპის იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. ეს გახლდათ რომის პაპის პირველი ვიზიტი არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მისი აღმატებულება პიტერ სტეფან ცუბრიგენი დაინტერესებული იყო საქართველოში მოქმედი კათოლიკური საკრებულოების ცხოვრების, მათი პრობლემების უშუალო გაცნობით. 2000 წლის 31 დეკემბერს განხორციელდა არქივისკოპოსის ვიზიტი გორის და გორის რაიონის კათოლიკურ საკრებულოებში, ვიზიტის ფარგლებში ნუნციუსი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სავარაოდოთ ამ შეხვედრამ დადებითა შედეგი გამოიღო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მანამდე არსებული დიდი წინააღმდეგობა დაიძლია და სოფელ ახალხიზაში შესაძლებელი გახდა სამლოცველო სახლისთვის ნაკვეთის შექმნა და სამლოცველოს აგებაც. არქივისკოპოს პიტერ სტეფან ცუბრიგენის ელჩობის დროს მოხდა საქართველოს კათოლიკეთათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა. 2000 წლის 6 იანვარს წმინდა პეტრეს ბაზილიკაში პაპმა იოანე პავლე II-მ ეპისკოპოსად ხელი დაასხა სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრატორს მამა ჯუზეპე პაზოტოს. თითქმის ექვს საუკუნოვანი წყვეტის შემდგომ, საქართველოს კვლავ თავისი კათოლიკე ეპისკოპოსი მოევლინა.



1998 წელს, სამხრეთ კავკასიაში დესპანობის ვადის ამოწურვის შემდგომ, არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი ჩაანაცვლა არქიეპისკოპოსმა პიტერ სტეფან ცუბრიგენმა (1998-2001). მისი დესპანობის პერიოდი გამორჩეულია საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობების გააქტიურებითა და გაღრმავებით.

არქიეპისკოპოსს პიტერ სტეფან ცუბრიგენის საქართველოში დესპანობის დროს განხორციელდა ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელების სურვილიც ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტის ე. შევარდნაძიდან მოდიოდა. ახლად დამოუკიდებლობა გამოცხადებულ საქართველოს უაღრესად მძიმე სოციალური ვითარების გათვალისწინებით, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ თხოვნა მიმართა კათოლიკე ეკლესიის მესვეურებს რათა სომხეთის დარად ჩვენს ქვეყანაშიც გაეხსნათ უფასო სამედიცინო დაწესებულება. ამ საქველმოქმედო ინიციატივის წარმატებით გადწყვეტაშიც, სამხრეთ კავკასიის ნუნციუსის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. და მართლაც 1998 წელიდან თბილისის ზღვის დასახლებაში აშენდა და ამოქმედდა წმ. კამილოს ლილესის ორდენის ავადმყოფთა მომსახურე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც კამილიელთა ორდენის მიერ სომხეთის ქალაქსპიტაკში მოქმედი საავადმყოფოს თილიალსწარმოადგენდა. ამჟამად კი უკვე უკვე დამოუკიდებელი და გაფართოებული კამილიელთა მრავალფუნქციური სამედიცინო დაწესებულება ასეულობით ადამიან უწევს სამედიცინო მომსახურებას. თითქმის ამავე პერიოდში ავლაბარში აშენდა და ამოქმედდა დედა ტერეზას დების მონაწილეების სახლი.

არქიეპისკოპოსს პიტერ სტეფან ცუბრიგენის საქართველოში დესპანობის დროს ყველაზე გამორჩეულ მოვლენად კი საქართველოში რომის პაპის ოფიციალური ვიზიტი გვევლინება. 1999 წლის ნოემბერში რომის პაპი იოანე პავლე II ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. ეს იყო რომის პაპის პირველი ვიზიტი არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ ისტორიული ვიზიტის მნიშვნელობა ბევრად მეტია ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

მისი აღმატებულება პიტერ სტეფან ცუბრიგენი დაინტერესებული იყო საქართველოში მოქმედი კათოლიკური საკრებულოების ცხოვრების, მათი პრობლემების უშუალო გაცნობით. იგი ხსირად სტუმრობდა კათოლიკურ საკრებულოებს და კარგად იცნობდა როგორც მათ ასევე მთლიანად რეგიონის პრობლემებს. 2000 წლის 31 დეკემბერს განხორციელდა არქიეპისკოპოსის ვიზიტი გორის რაიონის კათოლიკურ საკრებულოებში, ვიზიტის ფარგლებში ნუნციუსი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრამ დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მანამდე არსებული დიდი წინააღმდეგობა დაიძლია და სოფელ ახალხიზაში შესაძლებელი გახდა სამლოცველო სახლისთვის ნაკვეთის შეძენა და შემდგომ იქ სამლოცველოს აგებაც. არქიეპისკოპოსს პიტერ სტეფან ცუბრიგენის ელჩობის დროს განხორციელდა საქართველოს კათოლიკეთათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა: 2000 წლის 6 იანვარს წმინდა პეტრეს ბაზილიკაში პაპმა იოანე პავლე II-მ ეპისკოპოსად ხელი დაასხა სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრატორს, მამა ჯუმეპე პაპოტოს და თითქმის ექვს საუკუნოვანი წყვეტის შემდგომ, საქართველოს კვლავ თავისი კათოლიკე ეპისკოპოსი მოეწვინა.

2001-2011 წლებში სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის დესპანი გახლდათ არქიეპისკოპოსი კლაუდიო გუჯეროტი, დიპლომატიურ არენაზე დიდი გამოცდილების მქონა დიპლომატი, რომელიც 90-იანი წლებიდან ჯერ კიდევ არქიმანდრიტის ხარისხში არაერთგზის სტუმრობდა საქართველოს და ყველა ადგილობრივ პრობლემაში საკმაოდ გარკვეული იყო. 1999 წელს, კლავდიო გუჯეროტი აქტიურად იყო ჩართული, საქართველოში პაპ იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტის მოსამზადებელ საორგანიზაციო ჯგუფში. მისი უშუალო ორგანიზატორობით 2000-იანი წლების დასაწყისში წარმატებით განხორციელდა პაპ იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტები ერევანსა და ბაქოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაქოს ვიზიტი 2002 წელს, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიეევმა პაპს ოფიციალური შეხვედრის დროს, აზერბაიჯანის კეთილი ნების გამოსახატავად, წმინდა საყდარს ბაქოს ცენტრში საჩუქრად გადასცა ვრცელი მიწის ნაკვეთი, სადაც რამდენიმე წელიწადში აიგო და ეკურთხა თანამედროვე არქიტექტურის გრანდიოზული კათოლიკური ტაძარი. არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტის დიპლომატიურ სამსახურის დროს, 2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და საქართველოში არსებული დიპლომატიური კორპუსის დუაიენად განისაზღვრა წმინდა საყდრის ნუნციუსი.<sup>17</sup>

კლავდიო გუჯეროტი, როგორც სასულიერო პირი აქტიურად იყო ჩაბმული ეკლესიათშორის ურთიერთობებში, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა სხვადასხვა კონფესიების მწყემსმთავრებთან. მონაწილეობდა ქრისტიანთა ერთობის ლოცვებში. 2011 წელს, თბილისში გამართული ერთობის ლოცვის შემდგომ შერნალ „საბასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნუნციუსმა აღნიშნა „მე ხშირად მიწევს სხვადასხვა ქვეყნებში გამგზავრება და ამიტომ მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მივიღე მონაწილეობა თბილისში აღვლენილ ერთობის ლოცვებში, ისე ყოველთვის ვმონაწილეობ ეკუმენურ ლოცვებში. დამერწმუნეთ ამ ლოცვებს ისევე როგორც ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიმართულ ნებისმიერ აქტიობას დიდი პერსპექტივა გააჩნია“.<sup>18</sup> არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი აქტიურ სასულიერო მსახურებაშიც იყო ჩართული, სისტემატურად აღავლენდა საკვირაო წირვებს ინგლისურ ენაზე თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში.

2008 წელის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი გაემგზავრა იტალიაში და ომით დაზარალებული ქართველი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების შეგროვების ორგანიზებით დაკავდა. უკვე აგვისტოს ბოლოს კლავდიო გუჯეროტმა მილიონ ევროს დახმარება შეკრობა მხოლოდ იტალიის კათოლიკე ეპისკოპოსების მხარდაჭრით. შემდეგი თვეებშიც იგი სისტემატურად სტუმრობდა შიდა ქართლის რეგიონს და ადგილზე ეცნობოდა თუ როგორ ხდებოდა „კარიტასის“ მიერ ჰუმანიტარული დახმარების განაწილება.<sup>19</sup>

მნიშვნელოვანია არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯერეტოს როლი ეკლესიათშორის ურთიერთობების დათბობაში, მისი ნუნციუსობის დროს „საქართველოს კარიტასის“ მიერ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მართლმადიდებელი ბენეფიციარებისათვის, აგებულ იქნა მართლმადიდებლური ტაძარი რომელიც

17 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

18 ბარდაველიძე ნ. „ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის 2011“. შურ. „საბა“, 2011წ. N 2.გვ.15.

19 არქიეპისკოპოსი გუჯეროტი კ. ინტერვიუ შურ. „საბა“ 2008. N10.გვ. 2.

საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა. ასევე დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს, კათოლიკურმა ეკლესიამ ღვთისმსახურებისათვის დაუთმო სატაძრო ნაგებობები.

არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, კავკასიაში მსახურებისას, სასულიერო და ღიშლომატიურ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერად მონაწილეობდა სამეცნიერო სფეროშიც. მუდამ ესწრებოდა და მოხსენებებით გამოდიოდა რელიგიათმცოდნეობით სიმპოზიუმებში, თვითმხილველთ დღემდე ახსოვთ მის მიერ წაკითხული საჯარო მოხსენებები შოთა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. მისი უშუალო მხარდაჭერით გამოცა სამეცნიერო ლიტერატურა, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლად სტაჟირებაზე გაიგზავნენ სტუდენტები. ნუნციუსი სისტემატურად ეხმარებოდა ქართულ შემოქმედებით კოლექტივებს იტალიაში კონცერტების ორგანიზებაში.

არქიეპისკოპოს კლავდიო გუჯერეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ღვაწლთაგან აღსანიშნავია მისი დიდი ძალისხმევა სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტის დაფუძნებაში. სწორედ ნუნციუსის დაჟინების შედეგად განათლების სამინისტრომ გასცა ლიცენზია, საქართველოს და მთლიანად კავკასიის ისტორიაში, პირველი დასავლური ტიპის თეოლოგიური ინსტიტუტის გახსნისათვის. ასევე აღსანიშნავია კლავდიო გუჯეროტის დამსახურებაც საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონის მიღებაშიც.

2011-2017 წლებში წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში იყო არქიეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი. არქიეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი წმინდა საყდრის ღიშლომატიური სამსახურში ეკლესიის საქველმოქმედო მსახურების სფეროდან მოვიდა თუმცა მალევე აუღო ალღო საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. მართალია იგი წინამორბედი ელჩებიდან განსხვავებით შედარებით ნაკლებად აქტივობით იყო ჩართული სადესპანოს გარეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში და პიარზეც ნაკლებად ზრუნავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მოკრძალებული ფორმით მაგრამ სისტემატურად, ცდილობდა მონაწილეობა მიეღო საქართველოსა და სომხეთში კათოლიკე ეკლესიისა და მასთან აფილირებული ორგანიზაციების საქმიანობაში.

ნუნციუს მარეკ სოლჩინსკის მოკრძალებულობის სამაგალითოდ მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ, 2012 წელს მისი ინიციატივით, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში ჩატარდა წინა წელს რუსეთში, სმოლესკთან ტრაგიკულად დაღუპული პოლონეთის სამთავრობო დელეგაციის წევრთა (დელეგაცია რომელიც კატინში პოლონელ სამხედროთა მასობრივი დაკრძალვის ადგილზე მიფრინავდა და რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ საქართველოს დიდი მეგობარი, პოლონეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ლეჰ კაჩინსკი), სულის მოსახსენებელი მსახურება. ამ წმ. წირვას ნუნციუსის მონვევით ესწრებოდა საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და სახელგანთმული ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი. მსგავს აქტიობას მრავალი პოლიტიკოსი საკუთარი პიარისა და სამიანობის წარმოსაჩენად გამოიყენებდა და მედიის საშუალებით მთელ ქვეყანას გააცნობდა თავის „დამსახურებას“. ნუნციუსმა, ქრისტიანული რწმენით, გულითადი სიყვარულითა და პატრიოტული მოწოდებით აღავლინა წმ. წირვა და მხოლოდ ის საპატიო



სტუმრები მოიწვია, ვინც პირადად იცნობდნენ და მეგობრობდნენ პოლონეთის პრეზიდენტთან და მის ოჯახთან. შეგახსენებთ რომ ლეჰ კაჩინსკი არაერთხელ სტუმრობდა საქართველოს მათ შორის 2008 წლის რუსეთთან ომის დროსაც და თბილისის საკათედრო ტაძარშიც დასწრებია წმ. ნირვას.

არქივისკოპოსმა მარეკ სოლჩინსკიმ, საქართველოში ნუნცისობის პერიოდში შესძლო ელჩის უმთავრესი მოვალეობის წარმატებით განხორციელება. 2016 წელს, დაიგეგმა და მაღალ დონეზე განხორციელდა რომის პაპის ოფიციალური ვიზიტები სამხრეთ კავკასიაში. პაპ ფრანცისკეს სურვილი ჰქონდა მოენახულებინა სამხრეთ კავკასიის ორი დაპირისპირებული სახელმწიფო აზერბაიჯანი და სომხეთი და თავისი სტუმრობით ხელი შეეწყოს ამ ორ ქვეყანას შორის მრავალწლიანი დაძაბულობის შემცირებისთვის. ამ მშვიდობისმოსურნე ვიზიტის მომზადებაში ცხადია აქტიურად იყო ჩართული წმინდა საყდრის ნუნციუსები სამხრეთ კავკასიაში.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული არაკეთილმეზობლური ურთიერთობების გამო პაპ ფრანცისკეს ვიზიტი ორ ეტაპად დაიგეგმა, ვინაიდან დიპლომატიური კუთხით მიუღებელი იყო დაპირისპირებულ ქვეყნების ერთი ვიზიტის დროს მონახულება, ვიზიტი ორ ნაწილად გაიყო. თავდაპირველად, ივლისის თვეში პაპი ფრანცისკე - სომხეთს ესტუმრა, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა პაპ ფრანცისკეს ოფიციალური ვიზიტი საქართველოსა და აზერბაიჯანს. აქვე უნდა ავღნიშნოდ, რომ საქართველოს დედაქალაქში პაპის სტუმრობის დროს, პაპთან შესახვედრად, ბაღდადიდან სპეციალურად ჩამოფრინდა ასურულ-ქალდეური კათოლიკე ეკლესიის პატრიარქი. პაპ ფრანცისკე იმხანად დიდი სურვილი ჰქონდა ერაყში მშვიდობის მისიით სტუმრობისა მაგრამ ქვეყანასა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მეტად დაძაბული, საომარი ვითარების გათვალისწინებით ამ ვიზიტის განხორციელება ვერ ხერხდებოდა. თბილისში ასურულ-ქალდეური პატრიარქისა და პაპ ფრანცისკეს შეხვედრამ ფაქტიურად სიმბოლური სამშვიდობო დატვირთვა მიიღო.

პაპის ორ დღიან სტუმრობას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კათოლიკე ეკლესიისა და მრევლისათვის. პაპის ვიზიტთან დაკავშირებით რუსთავის ქალაქის მმართველობა რომელიც მანამდე წლების მანძილზე არ აძლევდა თანხმობას რუსთავის კათოლიკე მრევლს, რომ მათ საკუთარ მიწი ნაკვეთზე აეგოთ ტაძარი, იძულებული გახდა ეს თანხმობა გაეცა და ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პაპ ფრანცისკეს თბილისში სტუმრობამ მისცა საშუალება რუსთაველ კათოლიკეებს აეგოთ ტაძარი, რომელიც ახლა ამ ქალაქის ერთ-ერთ არქიტექტურულ მშვენიერებას წარმოადგენს.

2018 წლიდან დღემდე, საქართველოსა და სომხეთში წმინდა საყდრის დესპანია არქივისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური. მოსვლის პირველი დღეებიდანვე არქივისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური აქტიურად ჩაერთო დიპლომატიურ, სასულიერო და საზოგადო საქმიანობაში. მოინახულა ყველა კათოლიკური საკრებულო, სისტემატურად მონაწილეობს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფორუმებში, მხარდაჭერას ეწევს ჰუმანიტარულ და სამეცნიერო პროექტებს. მისი აქტიური ძალისხმევით გაიხსნა წმინდა საყდრის რეზიდენცია ერევანში. საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ნუნციუსმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საქართველოს



ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმთავრებთან, მონაწილეობს ქრისტიანთა ერთობის ლოცვებში, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კონფესიის ლიდერებთან. მისი ნუნციუსობის დროს, 2019 წლის 29-31 დეკემბერს, დაიგეგმა და განხორციელდა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივნის (პრემიერ-მინისტრი) პიეტრო პაროლინის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, ხოლო 2021 წლის 17-19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური ვიზიტი ვატიკანში. ამ უკანასკნელის ფარგლებში გაიმართა პრეზიდენტის აუდიენცია რომის პაპ ფრანცისკესთან და ასევე ხელი მოეწერა ვატიკანთან ორ მემორანდუმს კულტურის და განათლების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ.<sup>20</sup>

### დასკვნის მაგივრად

ვატიკანი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც 1992 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და განვლილი სამი ათწლეულის მანძილზე რეალური საქმიანობა და თანადგომით დაადასტურა თავისი მეგობრული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ. საქართველოში რვაასი წელია, რაც უწყვეტად ფუნქციონირებს ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არა ერთგზის დადასტურდა როგორც ქართველი კათოლიკეების ერთგულება ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებისადმი, ასევე წმინდა საყდრის თანადგომაც საქართველოსადმი.

საქართველოს თანამშრომლობა წმინდა საყდრთან, ისევე როგორც სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან, ეფუძნება რა ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და საერთაშორისო დეკლარაციებით აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნდამენტალურ მოთხოვნებს, ვითარდება ორი ქვეყნის თანაბარუფლებიანი პარტნიორული თანამშრომლობის სულისკვეთებით.

წმინდა საყდრის ოფიციალური პოლიტიკა ემყარება როგორც სახარებისეულ სწავლებას, ასევე ვატიკანის II მსოფლიო კრების დეკრეტებსა და პაპების ენციკლიკებში გამოთქმულ იდეებს. ამოძრავებს რა ქრისტიანულ ეკლესიებთან თანასწორი თანამშრომლობის სურვილი, წმინდა საყდარი მოწოდებულია დაიცვას კათოლიკე მორწმუნეთა უფლებები, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის საერთაშორისო უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთანავე წმინდა საყდარი ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებულ ნორმებში გაუწიოს საქართველოს მოქალაქეებს ჰუმანიტარული დახმარება, ასევე ქართულ სახელმწიფოს აღმოუჩინოს თანადგომა საერთაშორისო ასპარეზზე. და ამ თანამშრომლობას აქვს ორმხრივ სასარგებლო პერსპექტივები როგორც წმინდა საყდრის ასევე საქართველოსათვის.

### აბსტრაქტი

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წელს, საქართველოს სტუმრობდა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი კარდინალი აგოსტინო კაზაროლი, რომელიც შეხვდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ამგვარად გადაიდგა პირველი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისათვის.

1992 წელს, როდესაც დაიწყო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესი, წმინდა საყდარი უკვე მზად იყო დიპლომატიური მისიის მოვლინებისათვის.

<sup>20</sup> <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

ასე, რომ ვატიკანი იმ სახელმწიფოთა პირველ ათეულშია რომლებმაც 1992 წელს თბილისში თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლობა აამოქმედეს.

ჩვენს ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის მრევლი რაოდენობით მე-4 ადგილზეა მართლმადიდებელი ქრისტიანების, მუსლიმების და სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლის შემდგომ. კათოლიკური ეკლესია სამი რიტით (წესი) არის წარმოდგენილი ლათინური, (30საკრებულო), სომხურ-კათოლიკური (18 საკრებულო) და ასურულ-ქალდეური (2საკრებულო). 2014 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ 1897 წლის სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევადარებთ საქართველოში კათოლიკეების რაოდენობა 1,5%-დან 0,8-მდე შემცირდა. ტრადიციულად საქართველოს კათოლიკური მრევლის წევრები საკმაო აქტიურობით გამოირჩევიან და ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარულ სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.<sup>21</sup>

### გამოყენებული ლიტერატურა

პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი 1995 წ.

თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902 რეპრინტი, თბილისი 2011წ.

ჟანენ რ. საქართველო, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 1996 წ.

კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1990

ბარდაველიძე ნ. „გლობალიზაცია და ქრისტიანობა, კრებ. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი, 20090წ.გვ.

ბარდაველიძე ნ. „ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის 2011“. ჟურ. „საბა“, 2011წ. N 2.

ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019 წ.

ბრაგანტინი გ. „ალბათ ყველამ არ იცის“, ჟურ. „საბა“, 2009. N3

არქივისკოპოსი გუჯეროტი კ. ინტერვიუ ჟურ. „საბა“ 2008. N10.

<https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

---

<sup>21</sup> ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019. გვ. 5.

**Nugzar Bardavelidze**

*Professor of Technical University of Georgia*

## **THE HOLY SEE AND GEORGIA - THREE DECADES OF COOPERATION**

### **Abstract**

In 1991, in the first year of the restoration of Georgia's independence, Cardinal Agostino Casaroli, the State Secretary of the Holy See, visited Georgia and met with President Zviad Gamsakhurdia, thus taking the first step to establish diplomatic relations.

In 1992, when the process of international recognition of Georgia began, the Holy See was already ready for diplomatic mission events. So, the Vatican is in the top ten of the states that opened their official representation in Tbilisi in 1992.

In our country, the number of parishes of the Catholic Church ranks 4th, after the congregations of Orthodox Christians, Muslims and the Armenian Apostolic Church. The Catholic Church is represented by three rites (rules): Latin (30 councils), Armenian-Catholic (18 councils) and Assyrian-Chaldean (2 councils). If we compare the data of 2014 with the statistical data of 1897, the number of Catholics in Georgia has decreased from 1.5% to 0.8%. Traditionally, the members of the Catholic parish of Georgia are quite active and make a significant contribution to the country's cultural-educational and humanitarian sphere.

The Vatican is one of the first states that recognized Georgia's independence in 1992, and has confirmed its friendly attitude towards our country through real actions and cooperation over the past three decades. The Catholic Church of the Latin order has been functioning continuously in Georgia for eight hundred years, and during these eight centuries, the loyalty of Georgian Catholics to the interests of the national state, as well as the support of the Holy See to Georgia, has been proven more than once.

Georgia's cooperation with the Holy See, as well as with other sovereign states, is based on the national state interests and fundamental requirements for the protection of citizens' rights and freedoms recognized by international declarations, and develops in the spirit of equal partnership cooperation between the two countries.

The official policy of the Holy See is based on both evangelical teaching and the ideas expressed in the decrees of the Second Vatican Council and the encyclicals of the Popes. Driven by the desire for equal cooperation with Christian churches, the Holy See is committed to protecting the rights of Catholic believers, taking into account the requirements of the Georgian Constitution, international human rights and freedoms declarations. At the same time, the Holy See tries to provide humanitarian aid to the citizens of Georgia in accordance with the norms accepted in international relations, as well as to find support for the Georgian state in the international arena. And this cooperation has mutually beneficial perspectives for both the Holy See and Georgia.



**ნესტან გუგუშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

## **გვიანბრინჯაოს ხანის საქართველო და ევროპული ცივილიზაცია**

### **რეზიუმე**

საქართველო ოდითგანვე სამხრეთის ცივილიზაციების, ჩრდილოეთის მომთაბარე ტომთა გადაადგილებისა და გადაკვეთის ადგილი იყო. კულტურულ-პოლიტიკური პროცესების განვითარებასთან ერთად, ქვეყანა მუდმივად ევროპასა და აზიას შორის არჩევანის წინაშე იდგა. აღმოსავლეთთან სიახლოვის მიუხედავად, გადანწყვეტილება დასავლეთის სასარგებლოდ მიიღო, რაც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, 337 წელს, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის რელიგიად გამოცხადებით დასრულდა და ქრისტიანული სამყაროს, ევროპული ცივილიზაციის, ნაწილი გახდა.

კვლევის მიზანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე გვიანბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის დასაწყისში, უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის, საქართველოს, სტრატეგიული მნიშვნელობის მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში წარმოჩენაა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა არტეფაქტებმა, ანტიკური ხანის ავტორთა წერილობით ცნობებთან ერთად, ადგილობრივი კულტურის აზიისა და ეგეოსურ კულტურასთან კავშირს ნათელი მოჰქვინა და საფუძვლიანი მოსაზრება გააჩინა საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ნივთების კავკასიიდან გავრცელების შესახებ. მაგალითად, ევროპის კონტინენტზე, ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში, ყუამილიანი ცულის შესახებ. წერილობითი წყაროების საფუძველზე რ. გორდემიანი მიიჩნევს, რომ ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე, კავკასიის ფარგლებიდან ქართველურ ტომთა ერთი ნაწილის ეგვიდაში გადასახლება პელაზგური ეთნოსის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. სწორედ აქედან მოხდა ქართველური ტომების ერთი ნაწილის კუნძულ კრეტაზე, ხოლო მეორე ნაწილის იტალიაში გადასახლება. არსებული ისტორიები არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილი ნივთებით ზუსტდება და დგინდება, რომ საქართველო უძველესი დროიდან მსოფლიო ცივილიზაციის, ევროპული იდეის, მისი გეოგრაფიული, კულტურული და ისტორიული სივრცის შემადგენელი ნაწილი იყო.

**საკვანძო სიტყვები:** ევროპა, ცივილიზაცია, არქეოლოგია.



## **LATE BRONZE AGE GEORGIA AND EUROPEAN CIVILIZATION**

### **Summary**

From the latest times, Georgia was the place of crossing of southern civilizations and northern nomadic tribes. Along with the cultural and political processes, the country always faced a choice between Europe and Asia. Despite its closeness to the East, Georgia made a choice in favor of the West. At the beginning of the New Era, in 337 the processes ended in declaring Christianity as the religion of the Kingdom of Kartli. Georgia became a part of the Christian world of Europe.

The article is focused on the strategic importance of Georgia in the context of world civilization during the period of the Late Bronze Age, at the beginning of the second half of the second millennium.

The artifacts obtained from the archaeological excavations, which were conducted in Shida Kartli at the end of the 19th and the beginning of the 20th centuries, and reports of ancient authors make clear the relationship of the local culture with the Asian and Aegean cultures. Therefore, was raised a sound opinion about the spread of military and household items from the Caucasus. Based on the research, R. Gordeziani made a conclusion that on the verge of III-II millenniums BC, the migration of a part of the Kartvelian tribes from the Caucasus to Egeida became the basis for formatting the Pelasgian ethnos. From here, one part of the Kartvelian tribes migrated to Crete, and the other part to Italy.

Based on the materials is clarified that Georgia has always been a constituent part of European civilization, its geographical, cultural, and historical space.

**Key words:** Europe, civilization, archeology.

### **შესავალი**

საქართველო, ათასწლეულების მანძილზე, პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ ცვლილებებს მუდმივად განიცდიდა, მაგრამ ერთიანი კულტურული სახე არ დაუკარგავს. გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ტომთა შორის კავშირები, ტექნოლოგიური და კულტურული მიღწევების გაზიარება ძველ აღმოსავლეთსა და ევროპაში მცხოვრებ ხალხებს შორის საქართველოს შიდა გზების გავლით ხდებოდა. ძველი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონის გადმოცემით, აქ გადიოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან შავი ზღვისპირა ქალაქებისაკენ, მათ შორის, ფაზისისაკენ მიემართებოდა. უძველესი გზების გარშემო მდებარე არქეოლოგიური ძეგლები, ადგილობრივი ქართველური ტომების სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების დასტურია.

გვიანბრინჯაოს ხანა, იმ დროის საზოგადოების, განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. საქართველოში მომხდარ კულტურულ ცვლილებებზე ო. ჯაფარიძე წერს, რომ: „ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგიდან სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, სრულიად იცვლება კულტურის ხასიათი

და საზოგადოების ცხოვრების წესი. მეურნეობის ხასიათის შეცვლამ, ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებამ, ეკონომიკის ამალღებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების ცხოვრების საერთო დონე“.<sup>1</sup> სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ხევი, გორათა სისტემა, სადაც ძლიერი, პოლიტიკური ცენტრის როლს ასრულებს. გაჩნდა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრების გაჩენამ და მეურნეობის განვითარებამ ჭარბი პროდუქტი წარმოქმნა, რამაც ქვეყნის შიგნით და გარეთ აქტიური ვაჭრობა გამოიწვია, რასაც ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები მოჰყვა. გააქტიურდა გარე სამყაროსთან კავშირუროთიერთობა, დასავლური კულტურისაკენ სწრაფვა. ამგვარმა ცვლილებებმა საფუძველი მოუზადა და საზოგადოება სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამდე მიიყვანა.

### ძირითადი ნაწილი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სამხრეთ კავკასიაში, ძვ. წ. II და I ათასწლეულის ძეგლებით დაწყებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება, XX საუკუნის დასაწყისში, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების აღმოჩენით გაგრძელდა. ადგილობრივი კულტურის კვლევასთან ერთად, მეცნიერების ინტერესი გამოიწვია ნივთებმა, სადაც ელინისტური და რომაული კულტურის იმპულსები გამოჩნდა. საკითხის ამ მიმართულებით კვლევა დღესაც აქტუალურია, რადგან საქართველოს წარსული ევროპასთან სავაჭრო-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას ინახავს და თანამედროვე მსოფლიოს კულტურული, პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ფასდაუდებელი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს.

არქეოლოგი ბორის კუფტინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ხნის განმავლობაში შემონახულ კულტურულ ურთიერთობებს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი, მისი აზრით, სამდინარო და საზღვაო კომუნიკაციებს შეჰქონდათ. „მან თავისი კვლევებით დაარღვია წარმოდგენა სამხრეთ კავკასიის პერიფერიული ადგილის შესახებ, ძველი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროში. წინ წამოსწია ქართული კულტურის ადგილობრივი საკითხი და აჩვენა, რომ კავკასია ოდითგან დაკავშირებული იყო წინააზიური ცივილიზაციის უძველეს კერებთან“.<sup>2</sup>

მცხეთის არქეოლოგიური ძეგლებიდან ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის მხოლოდ ერთი, 1940 წელს, სამთავროს სამაროვნის სამხრეთით გათხრილი ყორღანული ტიპის სამარხია. მკვლევარები აქ აღმოჩენილ კერამიკის ნივთებთან და მძივებთან ერთად მოპოვებულ ბრინჯაოს იარაღს, საძგერებელ მახვილს, დასავლეთ ევროპასა და ეგეოსის ზღვის სამყაროში გავრცელებულ კულტურას უკავშირებენ. როგორც გ. ლომთათიძე აღნიშნავს, აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღის მსგავსი, არც კავკასიაში და არც საერთოდ წინა აზიაში იყო ცნობილი. „ეს არის საძგერებელი მახვილი, თითქმის ერთი მეტრი სიგრძე, ვინრო ჯვარისებრი განიკვეთის მქონე, ტარის წამოსაგები ვინრო ყუნწით (ტარი არ შერჩენია ხისა თუ ჰქონდა). შორეული მსგავსება შეიძლება მოინახოს დასავლეთ ევროპასა და ეგეოსის ზღვის სამყაროში ცნობილ „რაპირებთან“, რომლებიც ძვ. წელთაღიკცვის

1 ჯაფარიძე, ო. 2019. „საქართველოს ისტორია“, გვ. 77.

2 აბულაშვილი, თ. 2009. „ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, გვ. 33.

XIV-XV საუკუნით თარიღდებიან“. მკვლევარი აქვე დასძენს, რომ სამარხი ბევრ საიდუმლოს ინახავს და მსგავსი სამარხების აღმოჩენა ბევრი ინფორმაციის მომცემი იქნება.<sup>3</sup>

შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ნაცარგორის გორანამოსახლარის II და III ფენის აღმოჩენებმა, რომელიც ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით, 1,5-2 კმ-ზე მდებარეობს, ნათელი გახადა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ადგილობრივი კულტურის კავშირი აზიისა და ეგეოსურ კულტურასთან. აქ აღმოჩენილი საკურთხევლები და შესანიერი საგნები მსგავსია ძველ, წინა აზიურ და კრეტულ-მინეკურ სამყაროში გავრცელებული ანალოგიური ძეგლებისა. რქებიანი და საფეხურებიანი საკურთხეველი ლეგენდარული მინოსის სასახლის საკულტო ნაგებობებს მოგვაგონებს. მკვლევარი გერმანე გობეჯიშვილი ნაშრომში „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“ დასძენს, რომ: „აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ქართული სულიერი კულტურის ეს უნიკალური ძეგლები ნასესხებია გარეშე სამყაროდან. პირიქით, მათი პროტოტიპები მოიპოვება თვით ქართულ-კავკასიურ ნიადაგზე და ორგანულად უკავშირდება წინა აზიის კულტურის ძეგლებს. ამით ცხადი ხდება, რომ ქართველური ტომები, მათ მონათესავე სხვა ტომებთან ერთად, თავიდანვე მონაწილე იყვნენ ძველი, სახელმძღვანელო კულტურის მშენებლობისა. თუ ნაცარგორის ძეგლებს ბევრი საერთო აქვს ძველი მსოფლიოს შორეული კულტურის კერათა ძეგლებთან, ისინი კიდევ უფრო მჭიდრო დაკავშირებული იმ ძეგლებთან, რომლებიც არქეოლოგიამ გამოავლინა მცხეთაში, კოლხეთში და თრიალეთში“.<sup>4</sup>

აღმოჩენების საფუძველზე, ქართველ ტომთა აზიისა და ეგეოსურ კულტურებთან კავშირზე არქეოლოგი კიაზო ფიცხელაური დაბეჭივით აცხადებს: „ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის გამოკვლეული მასალის გარდა, ჩვენ ხელთ გვაქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელიც შუაბრინჯაოს პერიოდის ფინალურ ეტაპზე და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე კავკასიის მჭიდრო ურთიერთობაზე მიგვითითებს, წინა აზიისა და ეგეოსურ სამყაროსთან. ესაა ბრინჯაოს აბჯარი, ისრის პირები, ლითონის ჭურჭელი, სანვივე რგოლები, ფრინველის სკულპტურული გამოსახულებები, ოქროს ოთხვია მძივები და სხვა“.<sup>5</sup>

მეცნიერი ხაზგასმით განმარტავს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ყველა კომპონენტი, ძირითადად, ადგილობრივი განვითარების შედეგად არის ჩამოყალიბებული, რომლის წინსვლის ტემპები მნიშვნელოვნად დააჩქარა წინააზიურ ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირმა.

გვიანბრინჯაოს ხანის ადგილობრივ ტომთა გარესამყაროსთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას კიდევ უფრო ნათელს ხდის გრაკლიანის გორა ნამოსახლარი და სამაროვანი. აქ აღმოჩენილი მასალა მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს ძვ. წ. II-I საუკუნეებამდე. როგორც ვ. ლიჩელი განმარტავს, გორის აღმოჩენების მიხედვით, გარე სამყაროსთან კავშირი ვლინდება ბერძნულ სამყაროსთან ანატოლიასთან, რომელიც

3 ლომთათიძე, გ. 1944. „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“, თბილისი, გვ. 25.

4 გობეჯიშვილი, გ. 1952. „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“, თბილისი. გვ. 95-96.

5 ფიცხელაური, ვ. 2005. „ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა“, თბილისი, გვ. 103

კავკასიაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ფიბულების გამოჩენით დაიწყო და „სამადლოს ტიპის“ კერამიკით გავრცელდა. „გრაკლიანის გორაზე გაითხარა სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ფარაკიანი ბეჭედი ფიგურის გამოსახულებით (საფიქრებელია, „პანი-მუსიკოსის“, რაც, შესაძლოა, გაცილებით ახლოს არის ჭეშმარიტებასთან, რადგან სილუეტურად ჩანს თხის ფეხები. თუმცა რამდენადმე მსგავსი მარსიასის ფიგურაცაა ცნობილი) ნივთი, ისევე როგორც აქვე აღმოჩენილი თვალადი მძივები, კავკასიაში ბერძენი ვაჭრების აქტიური საქმიანობის შედეგადაა შემოსული. ამ ურთიერთობათა შედეგია სხვადასხვა დროს სხვადასხვა და თანაც საკმაოდ დაშორებულ რეგიონებში დამზადებული ნივთების გრაკლიან გორაზე მოხვედრის ფაქტი“.<sup>6</sup>

ადგილობრივი კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა რელიგიურ მხედველებს. ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა და მითოლოგიურ პერსონაჟთა სხვადასხვაგვარი გამოსახულებები, რომლებიც საკულტო ნაგებობებშია აღმოჩენილი, წარსულის საინტერესო ისტორიებთან ერთად, დასავლურ კულტურასთან კავშირურთიერთობას ადასტურებს. საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, კერძოდ:

ქანდაკება - ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭლის შემკულობა, რომელიც ვანის ნაქალაქარის „მოზაიკიანი“ ტაძრიდანაა, ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება;<sup>7</sup>

პანი-ფაუნი - ბრინჯაოს ქანდაკება, მცხეთის აკლდამიდან, ძვ. წ. II საუკუნით;<sup>8</sup>

ტორევიტიკა - ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭლის შემკულობა, ვანის ნაქალაქარი, მოზაიკიანი ტაძრიდან, ძვ. წ. II ს - ის მეორე ნახევარი;<sup>9</sup>

ათენა. გლიპტიკა - თეთრი მინის ინტალიოზე, სოფ. ბორი, სამ. # 1, ძვ.წ. II- I სს;

აპოლონი. ქანდაკება - ვერცხლის, 2 ცალი, ვანის ნაქალაქარი, ცენტრალური ტერასა, თორმეტ საფეხურიან საკურთხეველთან, ძვ. წ. II – I სს;

გლიპტიკა - ცისფერი მინის ინტალიოზე, სოფ. ბორი, სამ. # 2, ძვ. წ. II – I სს;<sup>10</sup>

ნიკე. არიადნე. ქანდაკება - თიხის, სარკინეს ნაქალაქარი, ცენტრალური ტერასიდან, ძვ. წ. II – I სს.

ექვთიმე თაყაიშვილი მონოგრაფიაში „არქეოლოგიური მოგზაურობანი“, მის ხელთ არსებული ნივთების მიხედვით აღგენს შესაძლო კავშირურთიერთობას ძველ ბერძნულ და რომაულ კულტურასთან. მეცნიერი, ვანის უძველესი ნივთების შეფასების დროს, მიდის დასკვნამდე, რომ სხვადასხვაობა ნივთებისა ამტკიცებენ სხვადასხვა ტომთა კულტურის გავლენას ვანის ქალაქზე. „უძველესი ნაშთები ეკუთვნიან მისირს, ანუ ეგვიპტეს. ძველი ბერძნების გავლენა წარმოდგენილია ვერცხლის და ოქროს

6 ლიჩელი, ვ. „კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურამიერკავკასიაში“ (გრაკლიანი გორა), რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური ჟურნალი, 2011 წ, #3 გვ. 33.

7 მაია ჩარკვიანი, ქეთევან ამირხანაშვილი, „საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა და მითოლოგიურ პერსონაჟთა გამოსახულებების ნუსხა“ ჟურნალი იბერია-კოლხეთი, # 7, თბილისი, 172.

8 პანი (ბერძ. Πάν) — ტყეების და ჭალების არკადიელთა ღვთაება. ჰერმესის და დრიოფსის ქალიშვილის – დრიოპე ვაჟი.

9 ტორევიტიკა - ლითონზე მხატვრული რელიეფის დამუშავების ხელოვნება.

10 გლიპტიკა - (ბერძნ. glyptikē<glyphō - ამოკვეთ, ამოვტეხ), დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახე; ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე გამოსახულების ამოჭრის ხელოვნება. ამოკვეთილგამოსახულებიან ქვას გემა ეწოდება. გემას, რ-ზედაც გამოსახულება სიღრმეშია ამოჭრილი, ინტალიო ჰქვია, რელიეფურ გამოსახულებიანს კი - კამეა. გემას უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკაულად, ავგაროზად, საბეჭდავად. აკეთებდნენ რბილი (სტეატიდი, ჰემატიტი, სერპენტინი) ან მაგარი (სარდიონი, აქატი, ქალცედონი) ქვისაგან ხელით ან მბრუნავსაჭრისებიან მარტივ დაზგაზე. ძვ. წ. IV ათასწლეულში ჩაისახა მესოპოტამიასა და ეგვიპტეში.



ფულებით, აგრეთვე, აქ ნაპოვნ გამოქანდაკებული კაცის თავით. ძველი რომაელების გავლენას გვიმტკიცებენ ბევრი ვერცხლის და ოქროს ფულები, რომაელების დროისა, მეტადრე კეისრების ხანისა. ვანი უნდა ყოფილიყოს ახალშენი ჯერ ეგვიპტელებისა, შემდეგ ბერძნებისა და ბოლოს რომაელებისა. ძველი, რომაული ინდოეთის გზა, ვგონებ, ჯერ ვანზე გაივლიდა, შემდეგ ბალდაღზე და მერე შორაპნით გადადიოდა ლიხის მთაზე“.<sup>11</sup>

საქართველოს სიახლოვეს ევროპულ კულტურასთან, კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენა უკავშირდება მდინარე ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, ძალისის გორაზე, სადაც მოსახლეობა პირველად ძვ. წ. II საუკუნიდან დასახლდა და ახ. წ. VIII საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება. აქ არსებულ მოზაიკურ გამოსახულებებს გეოგრაფი კლავდიოს პტოლემემაიოსი აფასებს. ძვ. წ. II საუკუნის ტაძარში დიონისესა და მასთან კავშირში სატირების მოზაიკური გამოსახულებებია, რომლებიც თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობით შეიძლება გაუტოლოთ რომის, სირიისა და პალესტინის მოზაიკას.<sup>12</sup>

საყურადღებოა 1942 წელს, კლდეკარში გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი ბერძნულ-რომაული კულტურისთვის დამახასიათებელი სტილით შესრულებული რკინის ნივთები, ცხენის მოკაზმულობა, ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელი. დ. ლომთათიძის მოსაზრებით: „იბერიის პიტიასმთა“<sup>13</sup> სამარხები ეული არ ყოფილან, მათში დაფარულ ნივთიერ ავლადიდებას, ოქრომჭედლური ხელოვნების შედეგებს საკმაოდ მრავალი პარალელი მოიძებნებათ საქართველოს ფარგლებშივე და თუ ზოგიერთი ნივთი ან შესრულების მანერის წარმომავლობის ძიება აუცილებლად ბერძნულ-რომაული კულტურისაკენ მიგვაპყრობინებს მზერას, უმეტესობა მაინც ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულად უნდა მივიჩნიოთ“.<sup>14</sup>

როგორც კვლევებიდან ჩანს, ეგეოსურ სამყაროსა და სამხრეთ კავკასიას შორის კონტაქტებს გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზევე ჩაეყარა საფუძველი. ტროას ომმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ ურთიერთობებში, რადგან ეგეოსური სამყაროსათვის პონტოს ზღვის კარი გაიღო და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში ბერძნული კულტურის გავრცელება დაიწყო. ურთიერთობები თანდათან მჭიდრო გახდა, რაც უკვე ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში წარმოჩინდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინაბერძნულ ენობრივ სამყაროში ქართველური ელემენტი ასობით სიტყვაში ჩანს, რომელიც ბერძნულს წინაბერძნულისაგან უნდა შეეთვისებინა. მას შემდეგ, რაც მინოსურ კრეტაზე აღმოჩენილი ე.წ. A - ხაზოვანი<sup>15</sup> დამწერლობით შესრულებული ის წარწერები გაიშიფრა, რომლებიც კუნძულის უძველესი და, შესაბამისად, წინაბერძნული მოსახლეობის ენის წარმომავლობის საიდუმლოს ინახავს, ამ მოვლენას მეცნიერები, კავკასიიდან ქართველურ ტომთა ერთი ნაწილის, ძვ. წ. XX საუკუნის დამდეგისათვის, ეგვიდაში გადასახლების შედეგად მიიჩნევენ.

11 თაყაიშვილი, ე. 1907. „არხეოლოგიური მოგზაურობანი“, გვ. 5.

12 თოდაძე, მ.მესხია, მ. ქუთათელაძე, 2020. „საქართველოს ისტორია და კულტურა“, თბილისი, გვ. 17.

13 პიტიასში – სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე ადრინდელ სასანიანთა ირანში, ქართლის სამეფოსა (იბერია) და სომხეთში.

14 ლომთათიძე გ. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბილისი, გვ.53

15 A-ხაზოვანი დამწერლობა – დამწერლობის სისტემა, რომელსაც მინოსელები (კრეტელები) პიპოთეტური მინოსური ენის დასაწერად იყენებდნენ ძვ. წ. 1800-დან 1450 წლამდე.

## დასკვნა

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი უძველესი ტექნოლოგიებით შესრულებული ბრინჯაოსა და ვერცხლის ნივთები უტყუარს ხდის, რომ ქართველურმა ტომებმა ათასწლეულების მანძილზე სხვა კულტურებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე შექმნეს თვითმყოფადი,

განუმეორებელი მხატვრული ღირებულების კულტურა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების სათავეებიდან მომდინარეობს და მისი განუყოფელი ნაწილია. ძველი ბერძნული წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალა საქართველოს მიწა-წყალზე, მის ეკონომიკაზე და კულტურაზე ადასტურებს, რომ ვაზის და ხორბლის კულტურის გავრცელების დროს ჩვენი წინაპრები ეგეოსის ზღვით კუნძულ კრეტაზე გადაადგილდებოდნენ, რამაც სამხრეთ ევროპულ ნაწილში ბრინჯაოს გადატანა განაპირობა. ინდოევროპული ტომების გავრცელებამდე III ათასწლეულში, სამხრეთ კავკასიური ინდოევროპული ტომების მოსვლამდე, ქართველური ტომები სახლობდნენ. ქართველურმა ტომებმა მეტალურგიის, ხორბლის და დამწერლობის სახით ჩაიტანეს კულტურა.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, დღემდე რჩება მსოფლიოს სხვადასხვა კულტურათა და ცივილიზაციათა გზაგასაყარად. მათთან დიალოგის, თანაცხოვრების უნიკალური გამოცდილება გამოკვეთილ ადგილს ანიჭებს ევროპაში, მსოფლიო თანამეგობრობაში.

## ბიბლიოგრაფია

1. ჯაფარიძე ო. „საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2019 წ.
2. აბულაშვილი თ. „ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 2009 წ.
3. ლომთათიძე გ. „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი“, 1944 წ.
4. გობეჯშვილი გ. „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“, თბილისი, 2952 წ.
5. ფიცხელაური კ. „ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა“, თბილისი, 2005 წ.
6. თოდაძე ხ; მესხია მ; ქუთათელაძე მ; „საქართველოს ისტორია და კულტურა“, თბილისი, 2020 წ.
7. ლიჩელი, ვ. „კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურამიერკავკასიაში“ (გრაკლიანი გორა), თბილისი, 2011
8. ჩარკვიანი მ. ამირხანაშვილი ე. იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და აკადემიური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი #7, თბილისი, 2011 წ.
9. თაყაიშვილი ე. „არხეოლოგიური მოგზაურობანი“, ტფილისი, 1907 წ.
10. სადრაძე ვ. ხობობაშვილი თ ლლიღვაშვილი ე. „შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა“, თბილისი, 2018 წ.
11. ჯაფარიძე ო. „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 1991 წ.
12. ლორთქიფანიძე ო. „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“, თბილისი, 2003 წ.
13. გორდემიანი რ. „ბერძნული ცივილიზაცია“, თბილისი, 1998 წ.
14. სადრაძე ვ. „მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები“, თბილისი, 1993 წ.



**მაია ქუთათელაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

## **ქრისტიანობა როგორც ევროპული არჩევანი**

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტიანობა, რელიგია, პოლიტიკა

ქართლის სამეფოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, უძველესი დროიდანვე კარგად იყო ცნობილი არა მხოლოდ მახლობელ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. ქართლის მეფეთა კონტროლის ქვეშ იყო კავკასიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილის - დარიალის ანუ „ოვსთა კარის“ გასაღები, რაც სამუალებას აძლევდა ქართლის მმართველებს თავიანთი ნება-სურვილით გადმოეყვანათ და გამოეყენებინათ ჩრდილო კავკასიელი ნომადების სამხედრო ძალა საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ამ მომთაბარეთა თარეში სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოებს, მათი საზოგადოების ყველა სოციალურ კატეგორიას. მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს განსაზღვრავდა ძლევამოსილი იმპერიების მისწრაფებებს აქ გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების კონტროლთან ერთად, დაუფლებოდნენ კავკასიას, კერძოდ მისი რეგიონის ცენტრალურ ქვეყანას - ქართლის სამეფოს და საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია მათი მმართველების პოლიტიკა.

III-IV საუკუნეები მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური მოვლენების განვითარებით გამოირჩევა. საქართველო მსოფლიოს ნაწილია, შესაბამისად, ამ პროცესებისა და მათი შედეგების სივრცეში აღმოჩნდა. აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ქართლი სამეფოს მმართველების მხრიდან ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე აღებული დასავლური ორიენტაციის კულტურულ-პოლიტიკური კურსი კიდევ უფრო გამმტკიცდა და არსებითად განსაზღვრა ქართლის სამეფოს ისტორიული მომავალი. რომის იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთში გადმოტანა და IV საუკუნის პირველი ნახევარი იმპერიის აღმოსავლეთით ექსპანსიის კულმინაციური პერიოდი იყო, რამაც რომსა და ქართლს შორის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახადა.

რომის იმპერიის აღმოსავლური გაფართოების სურვილს ვერ ურიგდებოდა III საუკუნეში დაარსებული სასანიანთა ირანის სახელმწიფო. ხელისუფლებაში

მოსვლისთანავე, მისმა დამფუძნებელმა სასანიანთა დინასტიამ უარი თქვა წინამორბედების ელინისტურ მისწრაფებებზე და ძველი სპარსული ტრადიციებისა და იდეოლოგიის დაბრუნება-აღორძინების გზას დაადგა. აქემენიანების დროიდან სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ზოროასტრიზმი სასანიანი შაჰების ხელში მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად იქცა, რომელსაც იმპერია წარმატებით იყენებდა მეზობელი ქვეყნების დამორჩილების გზაზე.

რომის იმპერიასა და სასანიანთა ირანის სახელმწიფოს შორის 298 წელს გაფორმებული ნიზიბინის ზავი ამიერკავკასიაში რომის პოლიტიკურ უპირატესობას ანესებდა. რომის გავლენის სფეროში გადადიოდა სომხეთის ხუთი პროვინცია შუამდინარეთში, ირანი ცნობდა რომის პროტექტორატს ე.წ. დიდ სომხეთსა და ქართლზე. სომხეთის სამეფო ტახტზე იმპერატორ დიოკლიტიანეს ხელშეწყობით ავიდა თრდატ III ხოლო ქართლის მეფეს ამიერიდან სამეფო ნიშნები იმპერატორისგან უნდა მიეღო.

ქართული წერილობითი წყაროებისა და V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის მიხედვით, ამ დროს ქართლის მეფე ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი მირიანია. მირიანი საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული არსებულ საერთაშორისო ურთიერთობებში. ირან-რომის საომარი დაპირისპირების პირობებში, ქართლის მეფე ანგარიშგასანევი ძალას წარმოადგენდა როგორც რომის იმპერატორის, ისე ირანის შაჰის მხრიდან. როგორც დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს, ამ რთულ ვითარებაში მეფე მირიანის დიპლომატიის მთავარი ამოცანა ლავირების უნარი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

ამასთანავე, მეფე მირიანის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტად ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან და ნომადებთან ურთიერთობა იქცა, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ სამხრეთ კავკასიის ცივილიზებულ ქვეყნებს. სპარსეთის შაჰის დავალებით, ჩრდილოკავკასიური კოალიციის ლაშქრის დაპირისპირებაზე ქართლის მეფე მირიანთან ადასტურებს ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცისთან დაცული ცნობები. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ქართლის მეფეების განსაკუთრებულ როლზე ჩრდილოეთის გადმოსასვლელების კონტროლისა და მომთაბარე-მეომარი მთიელების შეკავების საქმეში.

საინტერესო ცნობაა დაცული XI საუკუნის ქართველ მემკვიდრე ლეონტი მროველთან. იგი მეფობის დასაწყისში მირიანს სპარსელ უფლისწულად მიიჩნევს, რომელმაც „შეიყუარა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქერუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი“<sup>2</sup>. ლეონტი მროველის თხზულების ამ ეპიზოდის შეფასებით, დ. მუსხელიშვილი ყურადღებას აქცევს „ირანელი უფლისწული“ პოლიტიკურ-კულტურული გაქართველებას, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განმტკიცებისათვის საფუძველი უნდა გამხდარიყო<sup>3</sup>.

1 საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), 2012, ტ. II, თბილისი, გვ. 10

2 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, ტ. I, თბილისი, გვ. 65

3 საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), 2012, ტ. II, თბილისი, გვ. 12



სწორედ მირიანის მეფობის პერიოდში მოხდა მოხდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი - ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში, რამაც სხვადასხვა კუთხით გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის შემდგომი განვითარების ისტორიაში.

ნიზიზინის ზავის პირობების მიხედვით, რეგიონში რომის დომინანტი პოზიცია IV საუკუნის 60-იან წლებამდე შენარჩუნდა. იმპერატორ კონსტანტინეს მიერ 313 წელს მილანის ედიქტის გამოცემა ქართლის რომის პროტექტორატის ქვეშ ყოფნას დაემთხვა. დოკუმენტის თანახმად, რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე ქრისტიანთა დევნა შეწყდა. შესაბამისად, არც ქართლის სამეფოში არსებობდა ქრისტიანული მოძღვრების ქადაგების ხელშემშლელი ფაქტორი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ქართლში წვრილი ქრისტიანულ თემების არსებობა დასტურდება არა მარტო ქართული წერილობითი წყაროებიდან, არამედ არქეოლოგიური გათხრების მონაცემებითაც. მაგ., შიდა ქართლის ანტიკური ხანის ქალაქ ნასტაკისში საცხოვრებელ კომპლექსში ჩართული მცირე ზომის ეკლესია გამოვლინდა, რომელიც III საუკუნით თარიღდება. ამასთან ერთად, არქეოლოგების მიერ ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე პერიოდით განისაზღვრა ნასტაკისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქრისტიანობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლებიც.

არქეოლოგიური მონაცემებით, გვიანანტიკურ ხანაში ანალოგიური სურათი გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. აქ არსებული ეგრისის, იგივე ლაზიკის სამეფო რომის იმპერიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობითა და მასზე მეტი პოლიტიკური დამოკიდებულებით ხასიათდება. ქრისტიანობის გავრცელების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, წებელდის ნეკროპოლზე, სადაც მიცვალებულები ქრისტიანული წესით არიან დაკრძალულები. კოლხეთში აღრექრისტიანული თემების არსებობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში მონაწილეებს შორის „პიტუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილეს“ მოიხსენიება.

ქრისტიანობამდელ ხანაში ქართველთა ტრადიციული წარმართობის გარდა საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა რელიგიური კულტები. ამას წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური არტეფაქტებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვასკვნით. ბოლოდროინდელმა სამეცნიერო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მაზდეანობას საქართველოში საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ამას საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მაზდეანობასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის აღმოჩენა ადასტურებს. მეტად აქტუალურია საქართველოში მაზდეანობისა და მისი ერთ-ერთი განშტოების - მითრაიზმის გავრცელების საკითხი. ინდო-ირანული ღვთაება მითრას კულტი წინაქრისტიანულ ხანაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე და მისი გავლენის სფეროებში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ მაზდეანური რწმენისათვის დამახასიათებელ მრავალრიცხოვან მატერიალური კულტურის ძეგლებს შორისაა სხვადასხვა ტიპის ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის ნიმუშები. ისტორიულ ქართლის (იბერიის) სამეფოში ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხეველების არსებობას

ადასტურებენ აგრეთვე ქართული წერილობითი წყაროები, მათ შორის როგორც სასულიერო მწერლობის ნიმუშები, ასევე საისტორიო ხასიათის თხზულებები.

გვიანანტიკურ ხანაში სინკრეტიზებული მითრას კულტი რომის იმპერატორებისა და მათი გარემოცვის თაყვანისცემის მთავარი ობიექტი გახდა. რომის სამხედრო ელიტასა და რომაულ ლეგიონებში ფართოდ გავრცელებული ინდო-ირანული მზისა და სინათლის ღვთაება მითრას მეომართა დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციაც დაემატა. II-III საუკუნეებში დაიწყო და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ღვთაება მითრას სახელზე იმპერატორების მიერ იგებოდა ტაძრები რომში, ალექსანდრიაში, ოსტიაში, კარნინტუმსა და იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე, განსაკუთრებით რომაული ლეგიონების განლაგების ადგილებში. რომის მიწისქვეშა აკლდამები მითრას კულტმსახურების ჩასატარებლად მითრეუმებად გადაკეთდა. რომის იმპერატორების კონსტანტინესა და ლიცინიუსის სახელით მოჭრილ მონეტებზე მზის გამოსახულებას ვხვდებით, ხოლო გორდიანე III-ის (238-244 წწ.) მონეტის რევერსზე ხარის შემწირავი მითრას გამოსახული. რომის იმპერატორები თავის ტიტულს მითრას ეპითეტებით ამკობდნენ - „დაუმარცხებელი“ და „საუკუნო“, ზოგჯერ თავს მითრას ქურუმებად და მის მიწიერ განსახიერებად აცხადებდნენ, როგორც იმპერატორი ავრელიანე (270-275 წწ.). რომის იმპერიაში მითრას ასეც მოიხსენიებოდა: „Deus sol invictus Mithra“ – „ღმერთი მზე დაუმარცხებელი მითრას“.

ანტიკური ეპოქის მიწურულს მთელი იმპერიის ტერიტორიაზე საყოველთაოდ გავრცელებული ღვთაება მითრას ქრისტიანობის ძირითადი მეტოქე გახდა. IV საუკუნეში, როდესაც რომის მმართველი ზედაფენა უფრო და უფრო უკავშირდება ქრისტიანობას, მზისა და სინათლის ღვთაება მითრას კულტი არა მარტო აგრძელებს არსებობას, არამედ რომის იმპერატორ კონსტანტინეს მიერაც არის აღიარებული. ცნობილია, რომ კონსტანტინე „დაუმარცხებელი მზის“ თაყვანისცემის გარემოცვაში იყო აღზრდილი და დედამიწაზე მითრასა და ჰელიოსის წარგზავნილად ითვლებოდა. სწორედ იმპერატორ კონსტანტინე I-ის ოჯახში, რომლის წევრთა ერთი ნაწილი მითრას თაყვანისმცემელი იყო, ხოლო მეორე ქრისტესი, მითრაიზმსა და ქრისტიანობას შორის არჩევანი ქრისტიანობის სასარგებლოდ გადაწყდა.

ქართლში ქრისტიანობის მიღების უმნიშვნელოვნესი ფაქტორი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იყო. ძვ.წ. I საუკუნიდან, კონკრეტულად პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ მთელ საქართველოში, როგორც ეგრისში, ისე ქართლში რომაელთა პოლიტიკური გავლენა დამყარდა. დამარცხებულმა ქართლის სამეფომ „რომის მოკავშირისა და მეგობრისა“ სტატუსი მიიღო და ქვეყანა დასავლურ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგა. ამიერიდან ეს პოლიტიკური კურსი გახდა განმსაზღვრელი ქართლის (და მთლიანად საქართველოს) მთელი შემდგომი ისტორიისათვის. ეს პოლიტიკური ორიენტაცია უმნიშვნელოვანესი იყო დასავლურ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობების ახალი ეტაპისათვის. ქართლის სამეფო, რომლის ტერიტორიაზეც უხსოვარი დროიდან გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი, არასდროს იყო მონყვეტილი აღმოსავლურ სამყაროსგან. ძვ.წ. I - ახ.წ. III საუკუნეებში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება დასავლური კულტურული იმპულსები. ეს კარგად ჩანს რომაული ოქროსა და ვერცხლის მონეტების ქართულ ბაზარზე მიმოქცევის

გააქტიურებით, ასევე რომაული მაღალმხატვრული ტორევეტიკის ნიმუშების, სირიული მინის ნაწარმის, მცირეაზიული გლიპტიკის, ეგვიპტული სამკაულის და მატერიალური კულტურის სხვა ნიმუშების იმპორტით. ამასთანავე, დასავლეთიდან მატერიალური კულტურის ძველთა ასეთი ინტენსიური შემოდინება დასავლური სულიერი კულტურის საგანძურთან თანაზიარობასაც გულისხმობს<sup>4</sup>.

ამ კულტურული ურთიერთობების კონტექსტში უნდა განვიხილოთ სულიერი ცხოვრების ის ასპექტი, რომელსაც რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ჰქვია. ქრისტიანობამდელ საქართველოში სხვადასხვა ღთაებებთან ერთად გავრცელებული იყო მითრას კულტის თაყვანისცემა, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა რომის იმპერიაში, განსაკუთრებით მის ზედაფენაში, მეომართა სოციალურ კატეგორიასა და თავად რომის იმპერატორებში. ანალოგიურად, მითრას მიმდევრები მრავლად ჰყავდა ქართლის სამეფოს მმართველ და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიაში. მითრადან მომდინარეობს ძველ საქართველოში გავრცელებული სახელები „მიჰრი“, იგივე მირიანი (მითრა), „მირდატი“ ანუ მითრიდატე (მითრას ბოძებული), „მირვანი“ იგივე მურვანი (მითრას მოყვარული), „ბუმირი“ (დიდი მითრა). ის ფაქტი, რომ ქართლის მეფეები მითრასთან დაკავშირებულ სახელებს ატარებდნენ (მათ შორის განსაკუთრებით ბევრია მითრიდატე) არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. ამ კუთხით საინტერესოა კორნელი კეკელიძის თვალსაზრისი: როგორც მითრას თაყვანისმცემელმა კონსტანტინემ ჩასცა მახვილი მითრას, დათრგუნა იგი, ასევე მირიანმა, მითრას სახელის მატარებელმა და საფიქრელია, თაყვანისმცემელმა, მახვილი ჩასცა მითრას და გზა გაუხსნა ქრისტიანობას ქართლში<sup>5</sup>.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, რეალურად, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ქართლის მეფის მირიანის პიროვნების მენტალური ტრანსფორმაცია, რომელიც სპარსული ენისა და წარმართული ტრადიციების მიმდევარი მეფიდან თანდათანობით ქრისტიანული და დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის პოლიტიკოსად ყალიბდება.

ადრექრისტიანულ ხანაში, სანამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა, ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებს რომის გარდა ანტიოქია და ალექსანდრია ასრულებდნენ. საეკლესიო ტრადიციით თანახმად, ამ ქალაქების ქრისტიანული თემები თავად მოციქულებისა და მათი მოწაფეების დაარსებულად ითვლება. გადმოცემის თანახმად, რომის რომის ქრისტიანული თემის დამაარსებელი პეტრე შვიდი წელი იყო ეპისკოპოსად ანტიოქიაში<sup>6</sup>. შედარებით მოგვიანებით, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოყალიბდა იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოები. ქართული ეკლესიის პირველი მეთაური იოანე რომის პირველი ქრისტიანი იმპერატორის მიერ იყო გამოგზავნილი წმინდა ნინოსა და მეფე მირიანის თხოვნის პასუხად. თუმცა ახლადჩამოყალიბებული ქართული ეკლესია ანტიოქიის გავლენიანი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მოექცა.

რელიგიური და პოლიტიკური არჩევანის თანხვედრა არა ერთხელ დაადასტურა მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებების შემდგომ განვითარებულმა

4 საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), 2012, ტ. II, თბილისი, გვ. 14-15

5 კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, ტ. II, თბილისი, გვ. 352

6 გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, 1991, თბილისი, გვ. 9



მოვლენებმა. მაგ., 451 წელს ჩატარებულმა ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ და მისმა დადგენილებამ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართლის არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური არჩევანი. ამ საეკლესიო კრების გამართვის აუცილებლობა ახლადჩამოყალიბებული ქრისტიანული ეკლესიის წიაღში წარმოქმნილმა დაპირისპირებებმა გამოიწვიეს. ძირითადი საკითხი, რომელიც კრებაზე საეკლესიო მამებმა განიხილეს, ქრისტეს ერთბუნებთანობასა და ორბუნებთანობას შორის არჩევანის გაკეთება გახდა.

მონოფიზიტობა, ისევე, როგორც ნესტორიანული ერესი - ცრუსწავლება აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიაში, კერძოდ ალექსანდრიაში წარმოიშვა. სწავლების ფუძემდებელი იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნესტორი, რომლის ცრუსწავლების განსახილველად 431 წელს მცირე აზიის ქალაქ ეფესოში ალექსანდრიის მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება იქნა მოწვეული. კრებას 200 ეპისკოპოსი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოების მეთაურებიც<sup>7</sup>. ვ. გოილაძის თანახმად, ეფესოს კრების მასალებში ნესტორიანელთა დოქტრინის წინააღმდეგ მოხსენიებული იბერიელი ერემია ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსი იერემიაა<sup>8</sup>. კრების გადაწყვეტილებით, ნესტორიანელობა მწვალებლობად იქნა მიჩნეული, თავად ნესტორი კი ეკლესიიდან იქნა განკვეთილი. ნესტორიანელებთან კამათისა და პოლემიკის პროცესში, მათთან დაპირისპირებული საეკლესიო მოღვაწეების ნაწილი მკვეთრად ანტინესტორიანულ პოზიციაზე აღმოჩნდა. მათ სრულიად მიუღებლად მიაჩნდათ ქრისტეში ადამიანური ბუნების აქცენტირება. ამგვარ პოზიციაზე მდგომთ მონოფიზიტები ეწოდათ. მონოფიზიტობის ცენტრად ეგვიპტე და ალექსანდრია იქცა. სწავლება თავდაპირველად საკმაოდ პოპულარობით სარგებლობდა. ამ პოზიციას თავად ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსიუს II იზიარებდა.

ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებას 630 ეპისკოპოსი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანტონი და ალექსანდრიის მონოფიზიტი ეპისკოპოსი დიოსკორი. საეკლესიო ოქმების ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მასში ისტორიული საქართველოს რამდენიმე მაღალი სასულიერო იერარქი მონაწილეობდა: ეპისკოპოსი ატარვე ტრაპეზუნდელი, სებასტოპოლის (ნიკოფსიის) ეპისკოპოსი და პავლე პრესვიტერი, იმერიელი (იმერია ქალაქს ერქვა ანატოლიაში) ეპისკოპოსის ურანიოსის მოადგილე<sup>9</sup>. პაპმა ლეო I-მა კონსტანტინოპოლში ლეგატებად ორი ეპისკოპოსი და ორი პრესვიტერი მიავლინა. მათ კიდევ სამი დასავლეთის ეპისკოპოსი შეუერთდათ. ასევე დასავლეთის ეკლესიას წარმოადგენდა ორი ეპისკოპოსი აფრიკიდან. ქალკედონის კრების მონაწილე ეპისკოპოსთა უმრავლესობა „აღმოსავლური ეკლესიის“ წარმომადგენელი იყო. საგულისხმოა, რომ დასავლური და აღმოსავლური ეკლესიების წარმომადგენელთა შორის ძალთა ასეთი თანათარღობა ტიპური იყო ყველა მსოფლიო საეკლესიო კრებისათვის<sup>10</sup>. ხანგრძლივი ცხარე კამათის შემდეგ ქალკედონის კრებამ მიიღო საბოლოო

7 Сабинин Гоброн (Михаил), История Грузинской Церкви до конца VI века, 1877, С. Петербург, с. 67

8 გოილაძე ვ., ქართლის სამეფო, ავტორეფერატი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 1998, თბილისი, გვ. 20

9 მიტროპოლიტი ჯაფარიძე ანანია, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, 2017, თბილისი, გვ. 750-751

10 Карташев А. В., Вселенские Соборы, 2006, Москва, с. 323



დადგენილება - „ქრისტეს ორბუნებიანობისა და ერთსახეობის შესახებ“. შესაბამისად, იესო ქრისტეში ორი სანწყისის - ღვთაებრივისა და ადამიანურის განუყოფლობა - დიოფიზიტობა აღიარეს, რომლისთვისაც უცხო იყო როგორც პატრიარქ ნესტორის მიმდევართა, ისე მონოფიზიტთა ერეტიკული სწავლებანი. მონოფიზიტობა, ისევე როგორც ნესტორიანელობა დაიგმო. მონოფიზიტების თხზულებებს წვაგდნენ და ანაგდურებდნენ, მონოფიზიტობის გავრცელებისთვის ადამიანებს სჯიდნენ, ხოლო მათ მთავარ იდეოლოგიებს იმპერიის შორეულ პროვინციებში ასახლებდნენ<sup>11</sup>. რომის პაპმა, აღმოსავლეთ რომის იმპერიამ (ბიზანტიამ) და ქართლმა მხარი დიოფიზიტობას დაუჭირეს. სომხეთმა და ალბანეთმა მონოფიზიტობა არჩია. ამის შემდეგ ირანის შაჰები მფარველობდნენ თავიანთი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგის - ბიზანტიის იმპერიის მიერ დევნილ მიმდინარეობებს, უპირველეს ყოვლისა მონოფიზიტობასა და ნესტორიანელობას და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდნენ ბიზანტიის იმპერიის მიერ აღიარებულ დიოფიზიტობას და შესაბამისად, მის ერთმორწმუნე ქართლის სამეფოს.

სავარაუდოდ, V საუკუნეში ქართლის ტერიტორიაზე მონოფიზიტობას საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მათ შორის მაღალ პოლიტიკურ წრეებში. მონოფიზიტობის უპირატესობას რამდენიმე ასპექტი განაპირობებდა. პირველ რიგში, ამას ირანის პოლიტიკური და იდეოლოგიური მოძალების შედეგები გვაფიქრებინებს. საგულისხმოა, რომ ქალკედონის საეკლესიო კრებიდან მოყოლებული დიოფიზიტობას არამყარი პოზიციები ჰქონდა ბიზანტიის იმპერიის არა მარტო აღმოსავლეთ ნაწილში, არამედ ცენტრალურ რეგიონებში. გასათვალისწინებელია თავად ბიზანტიის იმპერატორთა ნაწილის საკმაოდ მერყევი რელიგიური პოლიტიკა. არანაკლები მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ავტოკეფალიის მიღებამდე ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, აქ კი მონოფიზიტობა აშკარად გაბატონებულ პოზიციაზეა. ასეთ პირობებში ქართლის რელიგიური ორიენტირის მონოფიზიტობისკენ გადახრა საკმაოდ ლოგიკური ჩანს.

V საუკუნის II ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მოთხოვნის თანახმად და ბიზანტიის იმპერატორთან შეთანხმებით, ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის სათავეში კონსტანტინოპოლიდან წარმოგზავნილი წარმოშობით ბერძენი პეტრე მოგვევლინა. ეს კიდევ ერთი დასტურია დასავლურ ეკლესიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების სურვილისა, რომელიც ანტიოქიის საპატრიარქოსგან გამოყოფითა და თავად ანტიოქიის პატრიარქის მიერ პეტრეს ქართლის კათალიკოსად ხელდასმით დასრულდა.

ამგვარად, ქართლი სამეფოს მმართველების მხრიდან ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე აღებული დასავლური ორიენტაციის კულტურულ-პოლიტიკური კურსი კიდევ უფრო გამმტკიცდა და არსებითად განსაზღვრა ქართლის სამეფოს ისტორიული მომავალი. რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კვალდაკვალ ქართლში რელიგიური არჩევანი ახალი მონოთეისტური რწმენის სასარგებლოდ გაკეთდა, რამაც რომსა და ქართლს შორის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ქალკედონის საეკლესიო კრებაზე დიოფიზიტობის მიღებით ქართლის ეკლესიამ მხარი დაუჭირა დასავლური ეკლესიების გადაწყვეტილებას. შესაბამისად, პოლიტიკური არჩევანი

11 Смирнов Е. И., История Христианской Церкви, 2007, Москва, с. 290-292

ბიზანტიის სასარგებლოდ მიიღო. მოგვიანებით ვახტანგ გორგასლის რელიგიური რეფორმის შედეგად ქართლის ავტოკეფალური ეკლესია ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში კონსტანტინოპოლიდან წარმოგზავნილი პეტრე ჩაუდგა. ეს კიდევ ერთი დასტურია დასავლურ ეკლესიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების სურვილისა, რაც ანტიოქიის საპატრიარქოსგან გამოყოფით დასრულდა.

ქრისტიანობის მიღებით საქართველო საბოლოოდ დაუკავშირა რომს და შესაბამისად დასავლურ სამყაროს. IV საუკუნის შემდგომ ეპოქებში განვითარებული უმძიმესი ისტორიული განსაცდელების მიუხედავად, ქართველების ეს პოლიტიკური არჩევანი საუკუნეების განმავლობაში არ შეცვლილა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

გოილაძე ვ., ქართლის სამეფო, ავტორეფერატი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 1998, თბილისი

გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, 1991, თბილისი

კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, ტ. II, თბილისი

მიტროპოლიტი ჯაფარიძე ანანია, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, 2017, თბილისი

საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), 2012, ტ. II, თბილისი

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, ტ. I, თბილისი

Сабинин Г. оброн (Михаил), История Грузинской Церкви до конца VI века, 1877, С. Петербург  
Смирнов Е. И., История Христианской Церкви, 2007, Москва

Карташев А. В., Вселенские Соборы, 2006, Москва

## **CHRISTIANITY AS A EUROPEAN CHOICE**

### **Abstract**

**Key words:** Christianity, Religion, Politics

The immense strategic significance of the Kingdom of Kartli because of its location was well known from Antiquity. The kings of Kartli controlled the vital roads and passes that connected the southern and northern Caucasus. The control of strategic roads allowed the rulers of Kartli to recruit mercenaries among the bellicose inhabitants of the northern Caucasus. The invasion of the warrior nomads towards the south posed a significant threat to the western and the eastern civilized worlds. The great empires strived to establish their domination in Kartli to control the strategically essential passes.

The end of the third and the beginning of the fourth century witnessed significant changes in the political, cultural, and ideological landscape of the Near East and the Roman empire. These changes made a huge impact on Georgia. From the first century, the rulers of the eastern Georgian kingdom were the allies and clients of the Roman Empire.

After the victory of Christianity in Rome and Kartli, Georgian rulers became more oriented on Christian Rome. After Christological disputes and controversies ensued in the Roman empire, the church of Kartli embraced Chalcedonian Christology. In the fifth century, Vaxtang Gorgasali secured autocephaly for the Georgian church. The first senior prelate of the autocephalous Georgian church became Peter, who was sent from Constantinople and supported by the imperial church. Thus, the adoption of Christianity by the royal house of Kartli sealed Georgia's Roman and western orientation.



## მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული  
მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის  
განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

## საქართველო - ევროკავშირის კვლევის არეალში

საკვანძო სიტყვები: ევროპელები, კვლევა, არეალი

საქართველოსა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა საქმიანობას დასავლეთ ევროპის საზოგადოება პირველად ბერძნული თქმულებებითა და ბერძენი, რომაელი და არაბი ავტორების ნაწარმოებებით გაეცნო.

პირველი წერილობითი ცნობები, საქართველოსა და ქართველებზე ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღრიცხვამდე მეცხრე საუკუნიდან გვხვდება ბერძენ ავტორების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ჰომეროსი, ჰესიოდე, ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვები, რომელთაც დაწვრილებით ჰქონდათ აღწერილი ქართველ ტომთა ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულებანი, მათ მიერ წარმოებული ომები და სხვა.

თქმულებებმა ოქროს საწმისის შესახებ საქართველოს, როგორც უმიდრეს ქვეყანას ევრიპიდეს ტრაგედიის „მედეას“ მიხედვით ფართოდ გაუთქვა სახელი. ამას გარდა ჯვაროსნული ომების შემდეგ, მონღოლებთან და თურქ-სელჯუკებთან ბრძოლებში მონაწილე ქართველებზე და მათ გმირულ საქმეებზე ბევრი საინტერესო ცნობები ჩაიტანეს ევროპაში სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, მისიონერებმა, ვაჭრებმა თუ მოგზაურებმა.

მეცამეტე საუკუნიდან, ევროპულ ქრონიკებში ვხვდებით ბევრ საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში უფრო მრავლდებოდა და ფართოვდებოდა.

თუ თავდაპირველად საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული ცნობები აღწერილობითი ხასიათისა იყო, XVII საუკუნიდან მოყოლებული იგი უფრო მეცნიერულ-პოპულარული გახდა. ამ დროიდან ქვეყნდება უმთავრესად საქართველოში მყოფ მისიონერთა ჩანაწერები, რომლებიც მეტყველებდნენ ქართველი ხალხის ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებზე, ზნე-ჩვეულებებზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და ყოფა-ცხოვრების სხვა დეტალებზე.

XVII საუკუნის 20-იან წლებში ქვეყნდება პაოლო დე ფენცასა და პიეტრო დელა ვალეს რელაციათა საქართველოზე, რომლებშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი, საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.



ასევე ძვირფასი ცნობებია შემონახული XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი სამეგრელოს ისტორიის შესახებ იტალიელი მისიონერების დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელისა და არქანჯელო ლამბერტის შრომებში. კავკასიასა და საქართველოზე მოგვიტობს XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის შრომებიც.

1624 წელს ქრისტიანულ სამყაროში ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქეთევან დედოფლის გმირობამ და მონამეობრივმა სიკვდილმა, რომელმაც ვერაგ შაჰს გაუგონარი ბარბაროსობა ჩაადენინა. სწორედ იტალიელმა მისიონერმა პიეტრო დელა ვალემ ამხილა შაჰის არაადამიანური საქციელი. და, აი 1633 წელს ინგლისში დაიბეჭდა წიგნი, რომელშიც ქეთევან დედოფლის მაჰმადიანური სარწმუნოების მიუღებლობაზეა მოთხრობილი. ხოლო 1646 წელს გერმანელმა მწერალმა ანდრიას გრიფიუსმა დაწერა ტრაგედია „ეკატერინე ქართველი“.

უცხოელ მწერალთა მიერ ქართულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან უნდა აღვნიშნოთ პროსპერ უოლიო დე კრებიონის მიერ 1711 წელს დაწერილი ტრაგედია „რადამისტი და ბენობია“, რომელშიც ფრანგი მწერალი გვიხატავს მეფე ფარსმან პირველის მოღვაწეობის ერთ-ერთ ეპიზოდს. ასევე აღნიშვნის ღირსია 1629 წელს დაბეჭდილი ქართული ანბანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომლის ავტორები გახლდნენ ირბაქი (ნიკოლოზ ირუბაქიძე - ჩოლოყაშვილი) - შემდგომში სამეგრელო-აფხაზეთის პატრიარქ კათალიკოსი) და იტალიელი პატრი სტეფანე პაოლინი.

1643 წელს ასევე რომში გამოქვეყნდა ფრანცისკო მარია მაჯოს ლათინურ ენაზე დაწერილი „ქართული გრამატიკა“, რომელიც ევროპელ სწავლულებს 200 წლის მანძილზე უწევდა მეგზურობას ქართული ენის შესწავლისათვის. ფრანგი მკითხველისათვის საინტერესო იყო მე-19 საუკუნის მოღვაწეების ალექსანდრე დიუმა-მამისა (1803-1870) და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850) მიერ გამოქვეყნებული ცნობები საქართველოზე, რომლებშიც მოთხრობილი იყო საქართველოს ისტორია, ზნე-ჩვეულებანი, აღწერილი იყო ქართული კულტურის ძეგლები და სხვა.

უცხოელი მოღვაწეების მიერ ქართული კულტურით დაინტერესებამ ხელი შეუწყო მეცნიერული ქართველოლოგიის დაფუძნებას დასავლეთ ევროპაში. მას საფუძველი გამოჩენილმა ფრანგმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა მარი ფელისიტე ბროსემ (1802-1880) ჩაუყარა. ასევე ინგლისში ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლას ხელი მოჰკიდა პროფესორმა უილიამ რიჩარდ მორთილმა (1834-1909). იგი იმდენად იყო დაინტერესებული ქართული კულტურით, რომ 1888 წელს ესტუმრა საქართველოსა და დაათვალიერა მუზეუმები, გაეცნო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს.

ევროპელებს კარგად ესმოდათ, რომ ხელოვნება ადამიანთა გაერთიანების ყველაზე კარგი საშუალებაა, რადგან ხელოვნება ყოველთვის პასუხობდა ადამიანის მოთხოვნებსა და მის იდეალს, ყოველთვის ეხმარებოდა ამ იდეალის მოძებნაში, - იბადებოდა ადამიანთან, ვითადებოდა მის ისტორიულ ცხოვრებასთან ერთად.

ასე რომ, საუკუნეების მანძილზე სულ უფრო და უფრო მეტად იზრდებოდა ქართული კულტურისადმი ევროპელთა შეუწყობელი ინტერესი, რომლის საილუსტრაციოდ, შეიძლება დავასახელოდ უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის

მაგალითი. მან პირველმა გააცნო უნგრელ ხალხს ქართული კულტურის გენიალური ნიმუში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა მიხაი ზიჩმა უპრობლემოდ დაამზადა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები და დააბეჭდვინა ისინი ავსტრიაში. სწორედ, მან შთააგონა ცნობილ მწერალსა და მეცნიერს ბელა ვიკარს, რომ უნგრულად ეთარგმნა რუსთაველის პოემა. ბელა ვიკარმა დიდი მონდომებითა და სიყვარულით თარგმნა პოემა და დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჭეშმარიტად ღირსია ევროპული ლიტერატურის საგანძურში შესვლისათვის.

საზღვარგარეთ ქართული კულტურის შესწავლასა და მის პროპაგანდას დიდი ამაგი დასდეს ავსტრიელმა მწერლებმა ცოლ-ქმარმა ბერტა და არტურ გუნდაკარ ფონ ზუტენერებმა. ისინი 1876-1885 წლებში საქართველოში ცხოვრების დროს გაეცნენ ქართველი ხალხის მდიდარ ისტორიულ წარსულს, მის ანმცოს და ევროპულ მკითხველს თვალწინ გადაუშალეს მათთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ქვეყანა საქართველო, თავისი ზნე-ჩვეულებით, სიმღერებით, ცეკვებითა და მომხიბლავი ბუნებით. ზუტენერების მიერ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობა, შეიცავს ბელეტრისტულ, პუბლიცისტურ, კრიტიკულ და ისტორიული ხასიათის ნარკვევებს.

და, რაც მთავარია, მათ იონა მეუნარგიას დახმარებით ფრანგულ და გერმანულ ენებზე თარგმნეს „ვეფხისტყაოსანი“. ამ თარგმანზე მუშაობა მართალია ვერ დაასრულეს, მაგრამ კარგად გაეცნენ ქართველი ხალხის ბუნებას, მის ისტორიასა და კულტურას.

ზუტენერები იყვნენ ის ერთ-ერთი პირველი უცხოელი ავტორები, რომელთაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ მეცნიერული ნაშრომი დაწერეს.

გერმანიაში, ავსტრიაში და პოლონეთში საქართველოს პოპულარიზაციაზე ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა, რომელიც საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მეცნიერების შესწავლით თავდაპირველად დაინტერესდა გერმანელმა პოეტმა და მოგზაურმა ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტმა. ეს უკანასკნელი 1844 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ა. ნეიდგარტმა მოიწვია საქართველოში - თბილისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად. იგი ბევრს მოგზაურობდა: მოიარა მესხეთი, იმერეთი, გურია; აგროვებდა მასალას წიგნისათვის „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც გერმანიაში 1848 წელს გამოსცა. ამ წიგნში ავტორი მიმოიხილა საქართველოს წარსულს, გადმოსცემს ცნობებს თამარ მეფის შესახებ; საქართველოში მოგზაურობის შედეგი იყო აგრეთვე მისი წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (ტ. 1-2, 1849-1850); ჩვენი ქვეყნის შესახებ მოგზაურთა და მკვლევართა ნაშრომებიდან შეძენილი ცოდნა ბოდენშტედტმა საკუთარი დაკვირვებითაც გაამდიდრა; წიგნში გვხვდება მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ბუნების სურათები, ისტორიული ძეგლების აღწერა, მოთხრობილია ისტორიული ამბები, გადმოცემულია თქმულებები და ლეგენდები. ავტორი საქართველოს ისტორიას ხატავს, როგორც ნგრევისა და აღდგენის მრავალსაუკუნოვან ეპოპეას.

ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტი რამდენიმე ხანს იმყოფებოდა საქართველოში და აღფრთოვანებული დაბრუნდა თავის სამშობლოში. სწორედ, მისი რჩევით 1884 წელს საქართველოში ჩამოსული არტურ ლაისტი მჭიდროდ დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, თეატრალური და ლიტერატურული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს. საქართველოში მყოფმა

არტურ ლაისტმა ურთიერთობა დაამყარა აგრეთვე თითქმის ყველა იმ ევროპელ მეცნიერთან, რომელთაც სურდათ რაიმე სკოდნოდან საქართველოზე. მან საინტერესო ცნობები მიანოდა ვენის აკადემიის წევრს, გამოჩენილ ლინგვისტს, პროფესორ ჰუგო შუხარდტს, რომელმაც არა ერთი სამეცნიერო გამოკვლევა უძღვნა ქართულ ენას. გრაცის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული ენის შემსწავლელ სტუდენტთა ჯგუფი, რომელსაც თვითონ ამეცადინებდა.

ასევე პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ა. ლაისტი ქართული კულტურით დაინტერესებულ გერმანელ პროფესორებს კარლ ლემან - ჰაუპტსა და გოტფრიდ მერცბახერს. 1885 წელს არტურ ლაისტმა დაბეჭდა მოგონებები „კოლხიდაში“, დაასრულა პირველი დიდი ისტორიულ - გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მიმოხილვა - „საქართველო“, „ბუნება“, „მოსახლეობა“ და „ზნე-ჩვეულებანი“. მანვე ლაიფციგში 1887 წელს დაბეჭდა წიგნი „ქართველი პოეტები“, რომელიც გახლდათ ქართული პოეზიის პირველი ანთოლოგია უცხო ენაზე.

დიდი ილიას დახმარებით ლაისტმა გერმანულად თარგმნა და 1890 წელს დრემბდენში გამოსცა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა ევროპელთათვის ჩვენი საუნჯის გაცნობის საქმეში. ლაისტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „ქართველი ხალხი“, „მოგზაურის დღიურები“ და ქართულ თემებზე შექმნილი მოთხრობები, პუბლიცისტური და კრიტიკული ნარკვევები.

ილია ჭავჭავაძე „გაფაცვიცებით აღევნებდა თვალყურს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, არც ერთს შესანიშნავ მომენტს არ გამოსტოვებდა, რომ იგი არ აღენიშნა თავის „ივერიაში“ და თავისი აზრი არ გამოეთქვა. „იმ ხანებში ბალკანეთში მოძრაობა იწყებოდა, ხალხი თავისუფლებას დაეძებდა, თავის დახსნას ლამობდა. ალექსანდრე ბატენბერგი გააგდეს, ალექსანდრე მესამე, რუსეთის ტვინის მწოველი მეფე გამორიცხეს ბოლგარელებმა თავისი ჯარიდან. ამ ამბავმა ილია ცას დასწია, სახე უბრწყინავდა, გახარებული იყო: აღმოსავლეთში ღრუბლები იშლებოდა, აქ ევროპის დიპლომატიური ხელი ფათურობსო. ამასთან ხმა დავარდა, რომ ნიკო მინგრელსკის გზავნიან ბოლგარიის მთავრად. ნიკო ილიას მეგობრობდა, აქედან დიდი იმედები დაებადა ილიასა. როგორც დიდს პატრიოტს, ილიას ამისთანა მომენტების დროს, იმედი დაებადებოდა ხოლმე საქართველოს ბედის შეტრიალებისა.

„მოახლოვებულია უამი აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლებისაო. აღმოსავლეთის პატარა ერები ცხენის გამონასკნული კუდია, ამ ნასკვს პატარა ნასკვი აქვს ხოლმე. ეს პატარა ნასკვი საქართველოაო. მანამ ამ პატარა ნასკვს არ გახსნით, დიდი ნასკვი არ გაიხსნებაო“, - ამბობდა იგი.<sup>1</sup>

გერმანელმა შემოქმედმა არტურ ლაისტმა ისე გაითავისა საქართველო, რომ სამუდამო სასუფევლად მან თბილისი აირჩია და დღეს იგი ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში განისვენებს.

ცხადია, ყველა ადამიანი მონაწილეობს ისტორიის შექმნაში, ვინაიდან, უპირველესად ადამიანი თავის ბუნებით, ხელოვანია და იმისაკენ მიისწრაფვის, რომ ცხოვრებაში სილამაზე შეიტანოს. ილია ჭავჭავაძე 60-იანელებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოელთა სტუმრობას საქართველოში, რადგან იგი ევროპისკენ მიმავალ გზად და ხიდად მიაჩნდა: „ისინი ქართული კულტურით

1 მაგალობლიშვილი, ს. 1938. „მოგონებანი“, თბილისი, გვ. 167.



მოხიბლულნი თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ და ქართული კულტურის მონაპოვარს აცნობდნენ თავიანთ თანამემამულეებს.“ 1895 წლიდან ილიასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი პირველებმა ინგლისელმა და-ძმამ უორდროპებმა გადეს.

მარჯორი უორდროპიც ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ევროპასთან ურთიერთობას და აღნიშნავდა: „ვიმედოვნებ, ინგლისელი საზოგადოება მალე უფრო უკეთ გაეცნობა ქართველი ხალხის ძველსა და ახალ ლიტერატურას, რომელიც დასავლეთისათვის თითქმის სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ უფრო ისწრაფვოდა, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ. ჯერ კიდევ მე-11-12 საუკუნეებში მათი ახალგაზრდა დიდებულები განათლების მისაღებად საბერძნეთს იგზავნებოდნენ და დღემდე ქართველები განათლების მიღებას დასავლეთში ცდილობენ“.<sup>2</sup>

სამართლიანად შენიშნავდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე, რომელიც მთელი არსებით იყო დაკავშირებული ქართულ კულტურულ სამყაროსთან. იგი მის ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ „იბლეს უკულმართობას ხელი რომ არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს ცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით ღუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვა ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე... შემდეგ კი უკულმართად დატრიალდა ერის არსება. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება-შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას პოვებდით ჯამუშობაში და სამშობლოს მტრობაში!“

ქართული კულტურის უცხოელთათვის გაცნობის საქმეში მართლაც ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანეს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა. საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოლივერ უორდროპმა 1888 წელს ლონდონში გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს სამეფო - მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინისა და სიმღერების ქვეყანაში“, სადაც ოსტატურადაა აღწერილი საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მიმოხილვა.

ცხრამეტი წლის მარჯორი უორდროპმა შეისწავლა ქართული ენა და ინგლისურ ენაზე თარგმნა „ქართული ხალხური ზღაპრები“. ქართული ენის უკეთ დაუფლებისათვის 1894 წელს ილიას პირადი მოწვევით იგი საქართველოს ესტუმრა. მან მეორე მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გადმოგვცა ნარკვევში „შენიშვნები 1894-1895 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“.

საქართველოზე შეყვარებულმა და ჩვენი კულტურის მოტრფიალემ მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა ინგლისურად თარგმნეს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ილია ჭავჭავაძის „განდევილი“ და „მგზავრის წერილები“, რომელთაც ქართული კულტურის შემსწავლელთათვის დღესაც არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მარჯორი თავის ნარკვევში ხაზგასმით აღნიშნავდა: „ვეფხისტყაოსანი ესაა სიყვარულისა და თავგადასავლის დიდებული პოემა, სავსე

<sup>2</sup> უორდროპი, მ. 1894. გვ. „ივერია“, 8 სექტემბერი N191.



აღმატრთოვანებელი, მშვენიერი ადგილებით, და მით უფრო გასაოცარია, როცა ვიხსენებთ, თუ რა ადრე დაწერილა იგი - დანტეს დაბადებამდე“. ამით მარჯორო უორდროჰმა აღიარა, რომ მსოფლიოს გენიოსთა შორის რუსთაველი იყო უპირველესი პოეტი და მას შემდეგ მოდიოდა დანტე.

გამოდის რომ ორმა ევროპელმა მთარგმნელმა ჯერ უნგრელმა მწერალმა და მეცნიერმა ბელა ვიკარმა და შემდეგ ინგლისელმა შემოქმედმა მარჯორო უორდროჰმა საჯაროდ აღიარეს რუსთაველის გენიოსობა, რაც იმის დასტურია, რომ საქართველო მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და გმირული ისტორიის ქვეყანაა.

ქართული ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების გერმანულ ენაზე თარგმნით ფასდაუდებელი შრომა გასწია გერმანელმა მეცნიერმა ადოლფ დირმა. ასევე XIX საუკუნის მოღვაწეების ნაწერებიდან გაიყნო საქართველო პოლონელმა ხალხმა. 1833 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა იულიუმ ნოვაკის ნაშრომი „საქართველო, მისი ბუნება, ლიტერატურა და მოკლე ისტორია“. ასევე საინტერესოა პოლონელი ვოიცეხ პოტოცკის წიგნი საქართველოზე და კავკასიური ფოლკლორის შესახებ. მწერალმა ლეონ იანიშევსკიმ სიცოცხლის უკანასკნელი წლები თბილისში გაატარა და დაგვიტოვა ნარკვევი „კავკასიაში მოგზაურობის დროინდელი სურათები და შთაბეჭდილებები“.

საქართველოს თემით იყვნენ დაინტერესებულები პროფესორები: ბერტელიონი – პარიზიდან, ბოსკო – რომიდან, კარლ ლემან-ჰაუპტი – ბერლინიდან, გულიელმო პასილო – იტალიიდან და სხვები, რომელთა შესახებ ილია აღნიშნავდა, რომ ისინი „მოჰყვნდნენ მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“...

... ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოვებიან“.<sup>3</sup>

„...ახალმა თაობამ, უფრო სწორად, მისმა მოწინავე ნაწილმა მონახა „ახალი გზა“, – წერდა გაზეთ „დროების“ რედაქტორი და ილიას თანამებრძოლი, ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის მოაზროვნე სერგეი მესხი: „...ყოველგვარი ცოდნის, განათლების, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატებების წყარო, – ჯერ-ჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ენაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება – კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნიან. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალთ უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები“.<sup>4</sup>

ს. მესხი 70-იანი წლების ევროპას ამავე პერიოდის რუსეთზე მაღლა აყენებდა. იგი, ევროპაში, უფრო მეტ საგულისხმოსა და სამაგალითოს პოულობდა თავის ქვეყნისათვის.

3 ჭავჭავაძე, ი. 1961. ტ. X, თბილისი, გვ. 138.

4 მესხი, ს. 1903. „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I, თბილისი, გვ. 109.

ასე რომ, საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნების არეალში საუკუნეების განმავლობაში იყო მოქცეული თავისი ისტორიით, კულტურით, ხელოვნებით, მწერლობით, ზნე-ჩვეულებით, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, ყოფა-ცხოვრების დეტალებით, ქართველი ხალხის ისტორიის ცალკეული ეპიზოდებით და სხვა. რაც ბუნებრივია, თავის გამოძახილს პოულობდა საქართველოს მხრიდანაც.

ქართველი ერი თავისთავად იმასაც ნათლად ხედავდა, როგორც გერონტი ქიქოძე ამბობდა: „გამანათებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერჯია დასავლეთ ევროპიდან ეძლევა კაცობრიობას, ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვით შემცნობი და მომქმედი ერისთვის. უამისოდ მის კერას გაციება და მის სხეულს გაყინვა მოელის... იმედია ქართველი ერიც თავს დააღწევს ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა“.<sup>5</sup>

საქართველოს თავისუფლების გზა, საბოლოოდ ევროპის დემოკრატიის ფოკუსში რომ იყრიდა თავს, ეს პროცესები ცხადზე ცხადი გახლდათ, რადგან ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახალ ისტორიას სხვა გზა ჯერ არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა...

ამ აზრის კონსტატაციაა დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურის ნოე უორდანიას წიგნიდან „რჩეული ნაწერები“: „... ევროპა მიდიოდა ამ ხაზზე სტიქიურათ, ვინაიდან მსგავსი ისტორიული მაგალითი თვალწინ არ ქონებია – და სხვისი გამოცდილებით ვერ ისარგებლებდა. ის თვითონ ქმნიდა თავის ისტორიას, იკატავდა ნალდით ხელში ახალ ეკლიან გზას, მიდიოდა წინ, მუდამ წინ...“

... ჩვენ, მადლობა ღმერთს, არ ვიმყოფებით უდაბნოში, არ მივდივართ უგზო-უკლოთ. რაკი ჩავდევით ევროპის ფერხულში, ვიცით რას ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით...»<sup>6</sup>

ევროპაში კი ქართული კულტურის პოპულარიზაციით თანდათან მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის მქონე ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა.

ასე რომ, ათეული საუკუნის განმავლობაში ევროპელთა კვლევის არეალში მოქცეულ საქართველოს ქართულ-ევროპულ ურთიერთობაში უკვე ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული, რომლის დასტურია დღევანდელი 30 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობა და ევროპულ დიდ ოჯახში შესვლის გარდუვალობა.

#### ბიბლიოგრაფია:

- მგალობლიშვილი, ს. 1938. „მოგონებანი“, თბილისი.
- მესხი, ს. 1903. „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I, თბილისი.
- უორდანია, ნ. 1990. „რჩეული ნაწერები“, თბილისი.
- უორდროპი, მ. 1894. გაზ „ივერია“, 8 სექტემბერი N191.
- ქიქოძე, გ. 1963. „რჩეული თხზულებანი“, ტ. I, თბილისი.
- ჭავჭავაძე, ი. 1961. ტ. X, თბილისი.

5 ქიქოძე, გ. 1963. „რჩეული თხზულებანი“, ტ. I, თბილისი, გვ. 25.

6 უორდანია, ნ. 1990. „რჩეული ნაწერები“, თბილისი, გვ. 262.

## **GEORGIA IN EUROPEAN RESEARCH**

For the first time, the European society got acquainted with the life, customs, traditions and wars of the Georgian tribes through the works of the Greek authors Homer, Hesiod, Herodotus, Xenophon, Strabo and others.

The legend about the Golden Fleece, depicted by Euripides in his tragedy Medea, widely popularized Georgia as the richest country in the world. In addition, after the Crusades, ambassadors, missionaries, merchants and travelers to various countries in Europe brought a lot of interesting information about Georgians taking part in the battles with the Mongols and Turko-Seljuks, and their heroic deeds.

So, from the XIII century we already find interesting information about Georgia in the European chronicles, which is further expanded and multiplied in the following centuries. If the previously published information about Georgia was descriptive, from the 17th century it became more scientific. The records of the missionaries in Georgia of that period already described the historical episodes of the Georgian people, their customs and traditions, oral tales and more. In the 1620s, the reports of Paolo de Fenza and Pietro della Valle contain references to our country, and give a detailed description of the political and economic situation of Georgia.

The works of Italian missionaries Don Giuseppe Chudiche of Milan and Archangelo Lambert on the history of Samegrelo belong to the same century.

In 1624, the whole Christian world was shattered by the heroism and martyr death of Queen Ketevan, which was followed by unheard-of barbarian act by the cruel Shah. It was the Italian missionary Pietro della Valle who exposed the inhuman behavior of the Shah. And, in 1633, a book was published in England, which tells the story of Queen Ketevan's rejection of the Muslim faith. And in 1646, the German writer Andrew Griffiths wrote the tragedy "Catherine the Georgian".

Among the works created by European writers on the Georgian theme is the tragedy "Radamist and Zenobia" written by Prosper Jolio de Crebion in 1711, in which the French writer depicts one of the episodes from the life of King Parsman I. The interest of European scholars in the study of the Georgian language followed the publication of the Georgian alphabet and the Georgian-Italian dictionary in 1629 by Irbak (Nikoloz Irubakidze-Cholokashvili) and the Italian Patré Stephane Paolini.

One of the works of foreign authors on Georgian culture of the XVIII-XIX centuries is the Dutch-Georgian Dictionary by the Dutch scholar Witzen. The German philosopher G. Leibniz, the French scientist M. Brose and the German linguist F. Bopman expressed interesting opinions on the nature and origin of the Georgian language.

An unmistakable source for French readers was the information about Georgia published by the XIX century authors Alexandre Dumas-Mamas and Frédéric Dubois de Montparnasse, which describes the traditions, customs, monuments of Georgian culture and others, which helped establish Scientific Kartvelology in Western Europe. In this respect we have to distinguish Marie

Brose, the English professor Julia Richard Morfil and others. European scholars paid special attention to the translation of Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin" and its scientific study. The translator of the poem into Hungarian, Bella Vikar, noted that "The Knight in the Panther's Skin" is truly worthy of entering the treasures of European literature.

This view was shared by Marjorie Wardrop, the English translator of "The Knight in the Panther's Skin", who makes the following conclusion on the poem: "The Knight in the Panther's Skin" is a glorious poem of love and adventure, full of fascinating, beautiful places, and it is even more astonishing when you realize how early it was created – before Dante's birth". Thus, European researchers emphasize that Rustaveli was the first among the world geniuses.

So, Georgia, which has been the topic of European research for decades, has already been deeply rooted in Georgian-European relations, as evidenced by the current 30-year-old diplomatic relationship.



# კულტურა



ნინო გომბართელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

## კულტურათა დიალოგი – ევროკულ კულტურათა ერთიანობის საფუძველი

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაციის პროცესი, გეოპოლიტიკური სივრცე და კულტურული დიალოგი.

საქართველო თავისი კულტურით ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ცივილიზებული ქვეყანაა. ადრეელისტიური, მოგვიანებით კი რომის ბატონობის პერიოდიდან, საქართველოს, როგორც კავკასიის რეგიონის მთავარ ქვეყანას, მნიშვნელოვანი ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელი სამყაროს ცივილიზებულ ნაწილთან. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველო არის ხმელთაშუა ზღვის ზოლში განთავსებული ქვეყანა, ანუ მდებარეობს იქ, სადაც დაირწა უძველესი ცივილიზაციის აკვანი. ქრისტიანობის გავრცელებამ და ამ რელიგიის უნივერსალურობამ კიდევ უფრო ინტენსიური გახადა საქართველოს კავშირები იმდროინდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რელიგიურ და კულტურულ ცენტრებთან: პალესტინაში, სირიაში, იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში. ეს სავანეები წარმოადგენდნენ საგანმანათლებლო-რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრებს, რომლებიც ნათლად ადასტურებდნენ ქართული კულტურის საერთაშორისო ხასიათს და განაპირობებდნენ საქართველოს განვითარების მონაწილე ორიენტირებს. სწორედ ქრისტიანულმა რელიგიამ არსებითად შეცვალა ევროპის ბედი.

ქართველი ერის ცხოვრების წესი პირდაპირ კავშირში იყო ქრისტიანულ რელიგიასთან. სწორედ ცივილიზაციური ერთობა წარმოადგენდა იმ ძირითად ძარღვს, რითაც საქართველო უკავშირდებოდა ევროპას. საქართველო იყო და არის ერთიანი ევროპული, ქრისტიანული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. ქრისტიანობა ესაა ერთიანი ცივილიზაციური შეგრძნება და წარმოუდგენელია ქართველი ერის სხვა სივრცეში მოაზრება. ქრისტიანობის წიაღში მოხდა ყველა ევროპული იდეის გაუღერება და ხორცშესხმა, რომელთა შორის უპირველესია დემოკრატიული ღირებულებები,

რომელნიც ყველაზე დიდ ქრისტიანულ იდეას, თავისუფლების მარადიულ იდეას უკავშირდება. თავისუფლება ყველაფრის გვირგვინია – ნიჭიერების, სიკეთის, სათნოების, სიყვარულის. ჯორჯ ვაშინგტონის აზრით „თავისუფლება ეკუთვნის იმას, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის“. თავისუფლება სულიერების მტკიცე საყრდენია. (1,45)

ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ბებერი ევროპა ან ახალგაზრდა ამერიკა. პირველი ქართველი, ვინც თავისუფლებისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლას შეენირა, აიეტის ძე აფსირტე იყო. XIII საუკუნეში, როცა ინგლისში „თავისუფლების დიდი ქარტია“-ს ხელს აწერდნენ, ჩვენ უკვე გვყავდა უკვდავი რუსთაველი, რომელიც ყველას შთააგონებდა „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...“ ჩვენ უნდა ვიამაყოთ ქვეყნის უძველესი ცივილიზაციით. ყველა ევროპული ეპოსის ნიმუშებიდან: „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „სიმღერა როლანდზე“, „ჰომერო ჩემ სიღზე“, „ლეგენდები მეფე არტურზე“ და სხვაზე. უძველესია „ამირანის ეპოსი“, კავკასიონზე მიჯაჭვული, მაგრამ მარად თავისუფალი ამირანი. ამაზე ძველი თავისუფლების ჰიმნი ვფიქრობთ, არც არსებობს.

საქართველოში ქრისტიანობა ყველა სფეროში დამკვიდრდა: კულტურაში, ხელოვნებაში და იგი დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა. ქართული სახელმწიფო თავისი არსებობის და განვითარების ყველა ეტაპზე დასავლური ცივილიზაციის ნაწილად რჩებოდა და ყოველთვის, როდესაც საშუალება გვქონდა თავად აგვეჩინა განვითარების მიმართულება, ვცდილობდით სწორედ ამ გზაზე გვევლო. ქართულ-ევროპული გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ, რომელშიც იკვეთება სინამდვილის ელემენტები. ქართველობა აქტიურად, სრული შეგნებით ისწრაფვოდა ევროპასთან კავშირისაკენ, მისი სულიერი პროფილი ძირითადად ევროპულ კულტურასთან ურთიერთობით განვითარდა. კულტურა ხომ სულიერების ნაყოფია, მსოფლიო ცივილიზაცია კი ეროვნულ კულტურათა ერთობლიობაა. ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა-ი-გასეტი თავის „მასების ამბობში“ აღნიშნავს: „ცივილიზაცია, უპირველეს ყოვლისა, არის მისწრაფება არსებობისათვის“. (2,57)

კულტურათა განვითარება ხდებოდა და ხდება არა მათი თვითიზოლაციის გზით, არამედ კონტაქტებით, დიალოგით, ურთიერთგამდიდრებით. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სხვადასხვა ხალხის მისწრაფება შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, დაიცვას ეროვნული, კულტურულ-ცივილიზაციური იდენტობა, რომელიც მათი ინტერესების დაცვის ერთგვარი საწინდარია. კაცობრიობის თვითგადარჩენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად კულტურათა შორის დიალოგი უნდა მივიჩნიოთ.

კაცობრიობის მთელი ისტორია თავად დიალოგია, რომელიც როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმა უძველესი დროიდან არსებობს. დიალოგის პრობლემას ჯერ კიდევ ძველბერძენი მოაზროვნენი სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, სოფისტები, ელინიზმის ეპოქის თვალსაჩინო ფილოსოფოსები სწავლობდნენ. ანტიკურ ხანაში დიალოგის დაბადება ნიშნავდა, რომ მითიურ აზროვნებას ფილოსოფიურ-დისკუსიური, კრიტიკული აზროვნება ენაცვლებოდა. შუა საუკუნეებში დიალოგი უპირატესად ზნეობრივი მიზნებით გამოიყენებოდა. მაგალითად, აღსანიშნავია XII საუკუნის ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი პიერ აბელიარის ტრაქტატი: „ჰო და არა“, ასევე, მნიშვნელოვანია

მისი თხზულება „დიალოგი ფილოსოფოსს, იუდეველსა და ქრისტიანს შორის“. მეტად საყურადღებოა ფრანკთა მეფის კარლოს დიდის კარზე მოღვაწე ანგლოსაქსი ბერი, საეკლესიო მოღვაწე ფლაკუს ალბინუს ალკუინის დიალოგი კარლოსის ვაჟ პიპინთან. ეს დიალოგი ლოგიკური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. (3,120) დიალოგიური ურთიერთობების პრობლემათა საფუძ- ვლიანი შესწავლა მოგვიანებით მხოლოდ ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსებმა იმანუელ კანტმა, იოჰან ფიხტემ და ფრიდრიხ შელინგმა დაიწყეს. მათი აზრით, კულტურული კარჩაკეტილობა ერთგვარად განაპირობებდა კულტურათა დაღუპვას. აღორძინების პერიოდის დიალოგებში ნათლად ჩანს ახალი პარადიგმა, აზროვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბება.(4,53) თანდათან კულტურა ადამიანის ყოფის ეპიცენტრში ინაცვლებს. კულტურათა დიალოგი არა ერთი ცნობილი ადამიანის ურთიერთობაა. ამ ურთიერთობის დომინანტს კი წარმოადგენს არა შემეცნება, არამედ ურთიერთგაგება. გარკვეულ გარეობათა გამო კულტურათა დიალოგი თანამედროვე სამყაროში უფრო გართულდა. ცნობილი მკვლევარის მ. ბახტინის აზრით, დიალოგი ეს არის ამ პროცესში მონაწილეთა ურთიერთგაგება, ამავე დროს, თავისი აზრის სხვაში შენარჩუნება (მასთან შერწყმა) და დისტანცია (თავისი ადგილის შენარჩუნება). დიალოგი ყოველთვის განვითარება და ურთიერთმოქმედებაა და საზოგადოების საერთო კულტურის მაჩვენებელია. „დიალოგი თვითმიზანია და არა საშუალება. ყოფნა უკვე ნიშნავს დიალოგიურ ურთიერთობას. როცა დიალოგი მთავრდება, ყველაფერი მთავრდება“. მ. ბახტინის მიხედვით, თითოეული კულტურა სხვა კულტურასთან თანაარსებობს, კულტურაში დიადი მოვლენები მხოლოდ სხვადასხვა კულტურათა დიალოგში, მათი გადაკვეთის წერტილში იბადება. კულტურათა დიალოგი გვევლინება, როგორც ობიექტური აუცილებლობა და კულტურათა განვითარების პირობა. იგი შესაძლებელია, მხოლოდ ურთიერთგაგების საფუძ- ველზე, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ და მხოლოდ თითოეული კულტურის ინდივიდუალობაზე დაყრდნობით.(5,49-50)

თანდათან იზრდება კულტურათა საერთაშორისო დიალოგის წარმართვის აუცილებლობა, რაც აძლიერებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და იძლევა საკუთარი იდენტობის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას. თუ ადრე მიიჩნევდნენ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურები ერთმანეთს გადაკვეთდნენ, დღეს, როგორც არასდროს, იკვეთება მათი ურთიერთშეხებისა და ურთიერთგავლენის წერტილები. საუბარია არა მხოლოდ ურთიერთმოქმედებაზე, არამედ ურთიერთშევესებასა და გამდიდრებაზე.

საქართველო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ერთგვარი ხილია, იგი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი რგოლია. როცა ევროპული ღირებულებებისაკან – დასავლური კულტურისაკენ მივისწრაფვით, მუდამ უნდა გვახსოვდეს აღმოსავლეთი. ძველები ამბობდნენ: “Ex oriente Lux” – „სინათლე აღმოსავლეთიდან ამოდის“, რაც ცოდნის გამ- დიდრება-მიღებას ნიშნავს და სიბრძნესთანაა დაკავშირებული. გავიხსენოთ აღმოსავლეთის გენიოსი პოეტები ფირდოუსი, ფიზული, ალიშერ ნავაი, ომარ ხაიამი... ჩვენი ფენომენალურობა სწორედ აღმოსავლურ-დასავლურობის სინთეზში გამოიხატება და ამით არის მომხიბლველი.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთგამოქმედება და ინტეგრაცია არა მარტო შესაძლებელი და რეალურია, არამედ აუცილებელიც. სხვა შემთხვევაში

კულტურათა დიალოგის ნაცვლად მოვლენათა განვითარების დიალექტიკა გარდაუვალს გახდის ცივილიზაციათა შეჯახებას. ის მოვლენები, რომლებიც საქართველოში ვითარდებოდა, რუსთაველის ჰუმანიზმის სამყაროს აზროვნების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ევროპული ცივილიზაციის საფუძვლებს წარმოადგენდა. პროფ. ელ.ხინთიბიძის მოსაზრებით, შექსპირი იცნობდა რუსთაველის სამყაროს და მისი ადრინდელი ნაწარმოებები ფაბულებს სწორედ „ვეფხისტყაოსნიდან“ სესხულობენ. ქართული ლიტერატურული სამყარო დასავლური აზროვნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. არ არსებობს ერთიანი მსოფლიო კულტურა, მაგრამ არსებობს ზოგადსაკაცობრიო კულტურათა ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს „მთელი კაცობრიობის რთულ ერთიანობას“ – ჰუმანურ სანყისს. კულტურათა დიალოგის იდეა დაფუძნებულია სწორედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტზე. კულტურათა დიალოგი კაცობრიობის განვითარებაში ყოველთვის მთვარი ფაქტორი იყო და ასეა დღესაც. საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რომლისგანაც კაცობრიობის ცივილიზაციის უნიკალური სურათი იკვეთებოდა.

XXI საუკუნეში მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები მიაღწევნენ წარმატებას, რომელთაც შეუძლიათ წარსული, აწმყო და მომავალი ერთიან, უწყვეტ განვითარებად კონტექსტად აქციონ და კაცობრიობის სამსახურში ჩადგნენ. ამისათვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურათა გახსნილობა, კონტაქტისა და დიალოგის წარმართვის უნარი.

### დასკვნა

ევროინტეგრაციის პროცესში იზრდება კულტურათა საერთაშორისო დიალოგის წარმართვის აუცილებლობა, რაც აძლიერებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და საკუთარი იდენტობის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას იძლევა. თუ ადრე მიიჩნევდნენ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურები ერთმანეთს არ გადაკვეთდნენ, დღეს, როგორც არასდროს, იკვეთება მათი ურთიერთშეხებისა და ურთიერთგავლენის წერტილები. საუბარია არა მხოლოდ ურთიერთმოქმედებაზე, არამედ ურთიერთშეხებასა და გამდიდრებაზე. კულტურათა დიალოგი აუცილებელია როგორც კაცობრიობის თვითგადარჩენის პირობა. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში კულტურათა დიალოგი რთული, მაგრამ აუცილებელი პროცესია, კულტურათა დიალოგი უნდა ხდებოდეს ამ ურთიერთქმედების მონაწილე თითოეული მხარის, საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესთა გათვალისწინებით. კულტურათა დიალოგი გვევლინება, როგორც ობიექტური აუცილებლობა და კულტურათა განვითარების პირობა. იგი შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთგაგების საფუძველზე, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ თითოეული კულტურის ინდივიდუალობაზე დაყრდნობით.

თანამედროვე სამყაროში კულტურათა დიალოგი გართულებულია მთელი რიგი გარემოებების გამო. საჭიროა კულტურათა ურთიერთქმედების ისეთი გლობალიზაცია, რომლის დროსაც რეალური გახდება ყველა და თითოეული კულტურის თვითრეალიზაცია. კულტურათა შორის დიალოგი გვევლინება როგორც ობიექტური აუცილებლობა და კულტურათა განვითარების პირობა. საერთაშორისო კულტურული დიალოგი აძლიერებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და იძლევა საკუთარი ეროვნული სახის უკეთ შეცნობის შესაძლებლობას.



## გამოყენებული ლიტერატურა

История Америки, Т 3, М., 2020, Издательство «Наука»;

История Испании Т 3, М, 1997, Издательство “Прогресс»;

Хрестоматия истории средних веков, Т 1, М, 1995, Издательство “Наука”;

ლომაშვილი ფ., ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ II, თბ., 2007, გამომცემლობა „ლევა“;

ბახტინი მ.მ., კულტურისა და ხელოვნების ესთეტიკა, თბ., 1975, გამომცემლობა „ცოდნა“;

ხინთიბიძე ელ. იბ: რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, თბ., 1991, გამომცემლობა „მეცნიერება“.

**Nino Gomarteli**

*Professor, Georgian Technical University*

## **DIALOGUE OF CULTURES - THE BASIS OF THE UNITY OF EUROPEAN CULTURES**

**Key words:** European integration process, geopolitical space and cultural dialogue.

### **Abstract**

Building a free and democratic Georgian state is a complex process that, in addition to taking into account generally recognized international norms, requires the creation of a model of statehood that will be based on national soil, as a result of the development of one's own political culture. The difficult situation in Georgia constantly reminds us that the challenges ahead require us to better understand what our country can do, understanding its spiritual and political experience and perspectives. It is necessary to bring values into a system, because in the future this understanding will largely determine how we can intelligently solve the most complex tasks facing us. It is well known that the face of a nation is expressed by its cultural life and traditions. A nation is judged by the contribution and innovation it has made to the treasury of world civilization. In the first quarter of the 21st century, Georgia, taking into account its rich historical and cultural experience, is trying to find a new, optimal form of relations and cooperation between East and West and to conduct a dialogue of cultures, which will further connect cultures and civilizations and, undoubtedly, make the process of mutual enrichment harmonious and harmonious. Peaceful coexistence of cultures of different countries. Georgian culture is one of the oldest cultures that form the basis of world civilization. Given today's political realities, Georgia is given the opportunity to fully reveal the spiritual and intellectual potential accumulated in the Georgian nation, to present the Georgian phenomenon to the world in a new way.



**მაგდა ჭიქაბერიძე,**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



**ეკატერინე შაკიაშვილი,**  
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## **სულხან-საბა ორბელიანი რომისა და კაკ კლიმენტი XI-ის შესახებ**

(მისივე მემუარისტული ნაწარმოების: „მოგზაურობა ევროპაში“ მიხედვით)

**საკვანძო სიტყვები:** ვიზიტი, პაპი, დახმარების თხოვნა.

სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოები „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული მემუარისტული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშია. ის არის მგზავრის წერილი, თუმცა ზოგიერთი ლიტერატორი მას დღიურს უწოდებს. მგზავრის წერილებსა და დღიურს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება იმის მიუხედავად, რომ ორივე მემუარისტულ ჟანრს მიეკუთვნება. მგზავრის წერილებში ავტორი, ძირითადად, გადმოგვცემს მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებსა და თავგადასავალს. აქ „მთელი ყურადღება მიმართულია ბუნებისაკენ, და თუ ეს მშობლიური ქვეყნის ბუნებაა, მაშინ ვლინდება გარკვეული პატრიოტული ელემენტი. სხვა შემთხვევაში წინა პლანზე ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობებია ან ყურადღება

მიმართულია პუბლიცისტურ-პოლიტიკური პრობლემისადმი.<sup>1</sup> დღიური კი მწერლის ცხოვრების ყოველდღიური ან პერიოდული (მოკლე შუალედებით) აღწერაა. მისთვის დამახასიათებელია ჩანერის თარიღის აღნიშვნა და სინქრონულობა. დღიურში, ძირითადად, აღწერილია ანმყოში ან უახლოეს წარსულში მომხდარი ამბები, გადმოცემულია ახალი შთაბეჭდილებები. სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ ორივე დეტენიციას შეესაბამება და ის შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მგზავრის წერილად, ისე დღიურად.

ევროპაში მემუარების ლიტერატურული მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნეში, განმანათლებლების ეპოქაში. ფეოდალურ-რელიგიური ბორკილებისაგან გათავისუფლებული საზოგადოება ადამიანით, მისი ცხოვრების სხვადასხვა წახნავით დაინტერესდა. ყურადღების ეპიცენტრში მოექცა წარსული ცხოვრება, როგორც მაგალითი ანმყოსა და მომავლისათვის. ამ დროს შეიქმნა რუსოს, გოეთეს, სენ-სიმონისა და სხვათა შედეგები, რომლებიც სინამდვილეს უშუალოდ და შეულამაზებლად ასახავდა.

სწორედ ამ დროს, XVIII საუკუნის პირველ მესამედში, დაიწერა „მოგზაურობა ევროპაში“. მასში გადმოცემულია საფრანგეთში, იტალიასა და მალტაზე სულხან-საბა ორბელიანის ყოფნის პერიოდი. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოაღწია ტექსტის მეორე ნაწილმა. ის იწყება სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთიდან იტალიაში შესვლით.

დიდმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ ევროპაში 1713-1716 წლებში იმოგზაურა, რასაც წინ უძღოდა მეფე ვახტანგის ირანში განწვევა და დატყვევება (1711 წელი). ქართლის მეფედ დამტკიცების სანაცვლოდ მას გამაჰმადიანება მოსთხოვეს, რაზეც მტკიცე უარი განაცხადა. ვახტანგმა სულხან-საბა დიპლომატიური მისიით ევროპაში გაგზავნა. ის ეწვია საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სა და რომის პაპ კლიმენტი XI-ს. მისი ელჩობის უპირველესი მიზანი იყო ვახტანგისათვის დახმარების მიღება, რათა ის სამშობლოში რჯულშეუცვლელად დაბრუნებულიყო. „ისტორიოგრაფიაში ორბელიანის ელჩობა ირანისა და თურქეთის ძალადობისაგან ქვეყნის გამოსხნის გზების ძიებისა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ვახტანგის გათავისუფლების აუცილებლობითაა გაგებული. ამგვარი ახსნა ზოგადია და არაზუსტი. ელჩობის დაჩქარება ვახტანგისთვის დახმარების გადაუდებლობამ განაპირობა, მაგრამ მისი ტყვეობიდან დახსნა გამაჰმადიანებასთან იყო დაკავშირებული. მაშასადამე, საქმე მისთვის ქრისტიანობის შენარჩუნებას ეხებოდა“.<sup>2</sup> მოკავშირეობის შემთხვევაში მეფე ვახტანგი ლუი XIV-ს მთელი საქართველოსა და მეზობელი პროვინციების კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევასა და ირანისაკენ უსაფრთხო საგაჯრო გზას ჰპირდებოდა.<sup>3</sup>

სულხან-საბა ორბელიანი რომში 1714 წლის ზაფხულში, 29 ივნისიდან 18 აგვისტომდე, იმყოფებოდა. ის განცვიფრებული დარჩა რომის დიდებულებით. მემუარისტი ცოცხლად და ხატოვნად გადმოსცემს მიღებულ შთაბეჭდილებებს, დეტალურად აღწერს რომის ეკლესია-მონასტრებს, წმიდა მონამეთა საფლავებს, ტაძრებსა და სასახლეებს. სულხან-საბას შეუძლებლად მიაჩნია ამ ქალაქის

1 ქვლივიძე, ც. 1988. „ლიტერატურული ჟანრის კლასიფიკაციის საკითხისათვის“, თბილისი, გვ. 54.

2 საქართველოს ისტორია, 2012. ტ. III, რედ. ალუდაური, მ. თბილისი, გვ. 298.

3 იქვე, გვ. 299.

„საკვირველობის“ სრულყოფილად აღწერა: „დაიჯერეთ, რომი ასეთია, ას წელს სულ იაროს კაცმა, მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს. მაგრამ მე რასაც შევიძლებ, ჩემს ნახულს მართალს დავწერ. ეგება გეგონოსთ, ქებისათვის ნამეტნავი დავწერო. უსაცვილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ, ნაკლებია“.<sup>4</sup>

სულხან-საბა ორბელიანმა პაპის თხოვნით რომის შვიდი მთავარი ტაძარი (წმიდა პეტრეს, წმიდა პავლეს, წმიდა ღვთისმშობლის, იოანე მახარობლის, წმიდა ლავრენტის, წმიდა სევასტიანეს, ჯვრის ეკლესია) მოილოცა. ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე ვალდებული იყო, ეს ტაძრები ფეხით შემოეველო და უფლისათვის ცოდვათა მიტევება ეთხოვა – „როგორათაც გულით ილოცავს, იმგვარად მიეტევება“. პაპმა გაითვალისწინა სტუმრის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ისიც, რომ ზაფხულის პაპანაქება იდგა, შენდობა მისცა და თავისი ეტლი გაუგზავნა. მემუარისტი წერს: „მე თავათ ბერი კაცი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო, სიცხე. პაპამ დასტური არ დამცა ქვეითობისა, შენდობა მიბძანა: მე ისევ შენდობა მომიცემიო, ჩემის ეტლით წადიო“.<sup>5</sup>

სულხან-საბას ცნობით, პაპი ბევრ კეთილ საქმეს აკეთებდა; მაგალითად, წმიდა იოანე მახარობლის დედათა მონასტერში ობოლ გოგონებს ზრდიდნენ. მათ შესაფერის განათლებას აძლევდნენ და ცხოვრებისთვის ამზადებდნენ. გოგონებს ჰქონდათ არჩევანის საშუალება: შეეძლოთ მონაზვნად აღკვეცილიყვნენ ან გათხოვილიყვნენ. „სასაქმოს სულ პაპა მისცემს: სასმელს, საჭმელს, ტანსაცვამს“.<sup>6</sup> მზითევად ას მარჩილს იღებდნენ. ქალი ოცი წლის რომ გახდებოდა, თავად გადაწყვეტდა, რა სურდა. პაპის სამადლო მონასტრებში აგრეთვე ზრუნავდნენ უკანონოდ გაჩენილ ბავშვებზე, უპატრონო ავადმყოფებზე და ეს ყველაფერი სულ პაპის თაოსნობით კეთდებოდა. მას წესად ჰქონდა, ყოველდღე თორმეტი გლახა დაეპურებინა, მათ თავისი ხელით აჭმევდა: „პურსაც პაპა უჭრიდა, ხორცსაცა... ღვინოსაც პაპა მიართმევდა“.<sup>7</sup>

სულხან-საბა ეწვია პაპის ბიბლიოთეკას, რომელიც დიდ შენობაში იყო განთავსებული. მან საწიგნოში დიდხანს და ამოდ ეძება ქართული წიგნები: „მრავალი ვეძებ ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩანდა“.<sup>8</sup>

მემუარისტი დეტალურად აღწერს პაპთან თავის პირველ აუდიენციას, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის თვალსაჩინო ნიშნად წარმოადგენს. „ხუთს მკათათვეს [5 ივლისს] წმიდა პაპასთან წამიყვანეს, \_ წერს სულხან-საბა, \_ საზაფხულო სახლებში იდგა, რომის შუაგულობას არის... შემეყვანეს, მომცრო სახლში იჯდა. ერთი კართან გვათაყვანეს, ერთი შუა სახლში და მერმე ფეხს გვაკოცნინეს. თავზე მომეხვია და, ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყენა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი, გვერდს ახლო მომიყვანა, მომიკითხა, მიაღერსა“.<sup>9</sup> აქ ჩანს, რომ პაპი სულხან-საბასთვის წესს არღვევს და გამონაკლისს უშვებს: არ აჩოქებს, ახლოს იყენებს, რაც სტუმრისადმი მის განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს.

ასევე, საყურადღებოა სულხან-საბასა და პაპს შორის გამართულ დიალოგი, რომელშიც ორივე მხარის სურვილები და მოლოდინი ჩანს:

4 ქართული მწერლობა, 1989. ტ. VII, რედ. ცაიშვილი, ს. თბილისი, გვ. 194.

5 იქვე, გვ. 218.

6 იქვე, გვ. 222-223.

7 იქვე, გვ. 236.

8 იქვე, გვ. 211.

9 იქვე, გვ. 185.



– როცა შენმა შვილმა, ჭეშმარიტმა ქრისტიანმა [ვახტანგ მეფემ] თავისი საქმე თქვენ მოგანდოთ, მაშინვე იმედი მომეცა, ყველაფერი გამოვა-მეთქი. მაგრამ დაგვიანება ვახტანგ მეფეს არ არგებს, ცუდ ადგილას არის.

პაპმა მიბრძანა:

– ჩემი სისხლი რომ მთხოვო ვახტანგისა და შენი ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევად მოგცემ.

მადლობა გადავუხადე და ვუთხარი:

– ვახტანგის არყოფნით ქრისტიანობას დააკლდება საქართველოში და მისი ყოფნით მართლმადიდებლობას მოემატება, თორემ მე ამის მეტი არაფერი მინდა, სიცოცხლე არად მიღირს.

პაპმა გამიცინა და მიბრძანა:

– მე შენთვის ღმერთს ვეხვეწები, რომ დიდი დღე მოგცეს, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთო.<sup>10</sup>

სულხან-საბა არაერთხელ აღნიშნავს, რომ პაპმა კარგი მასპინძლობა გაუწია, ყურადღება და პატივისცემა არ მოაკლო; მაგალითად: „9 ივლისს წმიდა პაპის მოვეკითხეთ, ხილი და მოსაკითხი ებოძა“;<sup>11</sup> „თერთმეტს მკათათვეს წმიდა პაპის მღვდელი ებოძა, მოვეკითხე და მოსაკითხავი და საჭმელები გამოეგზავნა“;<sup>12</sup> „პაპის ძმისწული ერისკაცი ალექსანდრე მოვიდა. უწინ მე მინდოდა ნახვა, არ მომიხდა. მოვიდა, მომიკითხა, ახლო დამისვა. მითხრა: \_ მე ჩემის თავით არ მოვსრულვარო, პაპის მაგიერად შენდა სანახავად მოველო, პაპამ მიბძანაო“<sup>13</sup>; „ლა მკათათვეს [31 ივლისს] წმიდა პაპის ებძანა. ვიახელით, ფეხს ვაკოცეთ. მომიკითხა: \_ მე მეორეს დღეს შენს ნახვას არ დავიკლებო, მაგრამ, შენც ხედავ, არ შემიძლიაო. \_ მრავალი კაი სიტყვა მიბძანა... მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგა იქცევიო და ჭკვიანადო. მრავალი მიაღერსა...“<sup>14</sup>

სულხან-საბა საგანგებოდ აღწერს რომის პაპთან დამშვიდობების სცენას: „[პაპმა] ჩემთვის უღირსი სიტყვა მიბძანა: \_ რაც გინდა, მთხოვეო. მადლი გარდავიხადე: ჩემი სათხოვარი ყველა უთხოვრად აღმისრულდა-მეთქი. მომეხვია, მაკოცა. ფეხს ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა, გამომისტუმრა. მიბძანა:

– ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებო, და წადი, მისი საქმე მოიჭირვეო.

ას სამოცი იქაური სკუთი ებოძა (სამასი მარჩილია) გზის ხარჯად.<sup>15</sup>

როგორც ისტორიოგრაფები ამბობენ, სულხან-საბას ელჩობა გასაიდუმლოებული იყო. „თვით მეფის ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ მისი ჭეშმარიტი ამოცანები. ოფიციალურად იგი თითქოს მხოლოდ სულხანის პირადი ინიციატივით ეწყობოდა, მისი ნამდვილი მიზნები კი საგულდაგულოდ იყო შენიღბული“.<sup>16</sup> ამიტომაც ნიშანდობლივია რომის პაპის სიტყვები: ასე მალე არ გაგიშვებდი, მაგრამ ვახტანგ

10 იქვე, გვ. 185-186.

11 იქვე, გვ. 188.

12 იქვე, გვ. 190.

13 იქვე, გვ. 216.

14 იქვე, გვ. 218.

15 იქვე, გვ. 236-237.

16 საქართველოს ისტორია, 2012. ტ. III, რედ. ალუდაური, მ. გვ. 298-299.

მეფის უკითხავად წამოსულხარ, აქ რომ დაგაყოვნო, მას დააკლდება, წაღი, მეფის საქმეზე იზრუნე, ის იღარდეთ.

აღიარებული მოსაზრების მიხედვით, სულხან-საბას ელჩობამ შედეგი არ გამოიღო. ევროპელებმა თავი არ შეინუხეს დატყვევებული მეფის დასახმარებლად და ქართლის ელჩი მხოლოდ ცრუ დაპირებებს დააჭერეს. არადა, „რომის პაპმა წერილი გაუგზავნა ლეი XIV-ს, რომელშიც საფრანგეთის მეფეს ვახტანგისადმი დახმარებას სთხოვდა, ხოლო აგვისტოში თავად ვახტანგ VI-ს გაუგზავნა დამამედებელი წერილი“.<sup>17</sup> ამიტომ იყო, რომ სულხან-საბა გულდაჭერებული გამოემართა საქართველოსკენ და რომის პაპსაც გულწრფელად უთხრა: „ყველა სათხოვარი თხოვნის გარეშე ამისრულდაო“.

მხოლოდ კონსტანტინოპოლში შეიტყო სულხან-საბამ, რომ 1715 წლის 1-ელ სექტემბერს გარდაიცვალა საფრანგეთის მსცოვანი მეფე ლეი XIV, ტახტზე კი მისი ხუთი წლის შვილიშვილი, ლეი XV დასვეს. ცხადია, ის საქართველოს დახმარებას ვერ შეძლებდა. საფრანგეთი სულ სხვა გამონვევების წინაშე აღმოჩნდა და მას საქართველოსთვის არ ეცალა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ „მოგზაურობა ევროპაში“ წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს. მასში გადმოცემულია საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები, რომის პაპისა და სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური ურთიერთობის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ისტორიოგრაფებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

#### **ბიბლიოგრაფია:**

საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. III, ტომის მთავარი რედაქტორი მ. ალუდაური, რედაქტორი ნ. დეკანოსიძე, თბ., 2012;

ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. VII, ტომის რედაქტორი ს. ცაიშვილი, თბ., 1989;

ქვლივიძე ც., ლიტერატურული ჟანრის კლასიფიკაციის საკითხისათვის, თბ., 1988;

შოშიტაშვილი ნ., ვახტანგ VI, თბ., 2015.

---

<sup>17</sup> შოშიტაშვილი, ნ. 2015. „ვახტანგ VI“, თბილისი, გვ. 27.

**Magda Chikaberidze**

*Associate Professor Technical University of*

**Ekaterine Shakiashvili**

*Professor Technical University of Georgia*

## **SULKHAN-SABA ORBELIANI ABOUT ROME AND POPE CLEMENT XI**

**(According to his own memoir: “Travel to Europe”)**

**Key words:** visit, Pope, request for support.

Sulkhan-Saba Orbeliani’s work “Travel to Europe” is an excellent example of Georgian memoirist literature. It is a so-called traveler’s letter, although some scholars call it a diary. There is a certain difference between a traveler’s letters and a diary, even though both belong to the genre of memoir literature. In the traveller’s letters, the author mainly conveys the impressions, observations and adventures received during the trip. “Journey to Europe” was written in the first third of the 18th century. It describes the period of Sulkhan-Saba Orbeliani’s stay in France, Italy and Malta. Unfortunately, the second part of the text, which begins with the entry from France into Italy, has reached us. The greatest Georgian writer and activist traveled to Europe in 1713-1716, which was preceded by the recruitment and capture of King Vakhtang in Iran (1711). In exchange for being approved as the King of Kartli, he was asked to convert to Islam, to which he firmly refused. Vakhtang sent Sulkhan-Saba Orbeliani on a diplomatic mission to Europe. He visited King Louis XIV of France and Pope Clement XI. The first goal of the ambassador of Kartli was to get help to free King Vakhtang and return him to his homeland.

Sulkhan-Saba Orbeliani was in Rome in the summer of 1714 (from June 29 to August 18). The memoirist vividly and graphically conveys the received impressions. He describes in detail the churches and monasteries of Rome, the tombs of the holy martyrs, temples and palaces. “Travel to Europe” describes the interesting vicissitudes of the writer’s and public figure’s trip to Europe. Interesting details of the diplomatic relationship between the Pope and the ambassador of Kartli are drawn in it. The work is a reliable and important historical source that historiographers should definitely take into account.



**გუბაზ მეგრელიძე**

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

## **ევროპული დრამატურგიის მნიშვნელობა ქართული თეატრისთვისთვის ლოკი დე ვიგას პიესის „ცხვრის წყაროს“ მიხედვით**

**საკუანძო სიტყვები: ევროპა, დრამატურგია, თეატრის რეფორმა.**

ქართული პროფესიული თეატრი XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს. იგი ერეკლე II-ის კარზე ჩამოყალიბდა გიორგი ავალიშვილისა და გაბრიელ მაიორის ხელმძღვანელობით. ამ პირველ ევროპული ყაიდის თეატრს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის. ამავე ხანებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ დრამატურგები, რომლებმაც შექმნეს ორიგინალური პიესები. ასევე მნიშვნელოვანი იყო რუს და დასავლეთევროპულ ავტორთა ნაწარმოებების თარგმნა. 1791 წელს სამჭერ წარმოუდგენიათ სუმაროკოვის „რქის მატარებელი“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“, რომლებსაც მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

XIX ს. პირველ ნახევარში ქართველ საზოგადოებას ევროპული დრამატურგიის გაცნობა აუცილებელ მოთხოვნად ექცათ. ამ პერიოდში თარგმნეს: პ. ქებაძემ სუმაროკოვის „სინიავ და ტრუვორ“, თეიმურაზ ბატონიშვილმა ვოლტერის „ალზირა“ და „აღათოკლე“, მირიან ბატონიშვილმა გერმანელი დრამატურგის ბრავეს „ტრაგედია ათეისტისა“, ალ. ჭავჭავაძემ რასინის „ესთერი“ და „ფედრა“, კორნელის „სიდი“, დავით ფანჩულიძემ ვოლტერის „ზაირა“, ზუბაშვილმა ვოლტერის „ფანტაზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“ და სხვა.

ცარიზმის ბატონობის პერიოდში, ეროვნული თვითმყოფადობის განვითარებას ილია ჭავჭავაძე თეატრსა და განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მიმართულებით იგი დიდ ყურადღებას აქცევდა შექსპირის „მეფე ლირს“, რომელიც ი. მაჩაბელთან ერთად თარგმნა და თავისი რეჟისორობით განახორციელა. მასში იგი ადამიანთა თანასწორობის დემოკრატიულ იდეას ხედავდა, რადგან ყველა ადამიანი თავისი წარმომავლობის მიუხედავად თანასწორუფლებიანია. ეს კი საფუძველს უქმნის ეროვნული თავისუფლების და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გამოჩენილ სულისკვეთებას.

ევროპულ დრამატურგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული თეატრისთვის ახალი თეატრალური ესთეტიკის, დემოკრატიული სულისკვეთებისა და ეროვნული-პატრიოტული მისწრაფებების გამოსახატავად. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX



საუკუნის დასაწყისში ქართულ სცენაზე წარმატებით იდგმებოდა შექსპირისა და შილერის პიესები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ერისთავის მიერ ფრანგი დრამატურგის სარდუს „ფლანდრიის“ თარგმნა, რომელიც „სამშობლოს“ სათაურით იდგმებოდა და დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობაში ცარიზმის წინააღმდეგ. ქართული პროფესიულა თეატრის განახლებიდან 1879-1904 წლებში, ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე დაიდგა 32 ფრანგი დრამატურგის 60 პიესა, 16 გერმანელი ავტორის 32 პიესა. ევროპული რეპერტუარი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ლ. მესხიშვილის, კოტე მესხის, ალ. იმედაშვილის შემოქმედებაში. ასეთი მდიდარი ტრადიციები ჰქონდა ქართულ თეატრს.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართული თეატრისთვის ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას პიესას „ცხვრის წყაროს“, რომელმაც განსაზღვრა ახალი ქართული თეატრის ფორმირება და მისი ევროპული მიმართულებით განვითარება. ამას გარდა, იგი გამოხატავდა ხალხის ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ, რასაც რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა რევოლუციური სულისკვეთება მიანიჭა და დაუახლოვა მაშინდელ თანამედროვე რევოლუციურ ეპოქას.

ლოპე დე ვეგას შემოქმედებას შევყავართ ისეთი ცხოვრების ატმოსფეროში, რომელიც ხასიათდებოდა კათოლიკური ეკლესიისა და მონარქიის დაპირისპირებით. ამ სასიკვითარებაში ჩვეულებრივი ადამიანები აწარმოებდნენ ბრძოლას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა ადამიანური ღირსება დაეცვათ. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა წოდებათა შორის ოჯახურ ჩარჩოებში, სადაც მძლავრობდა საშუალო საუკუნეების წეს-ჩვეულებანი. სწორედ ეს ბრძოლა და სინამდვილის კრიტიკულად ასახვაა ლოპე დე ვეგას შემოქმედებაში.

ეს პიესა საბჭოთა სცენაზე პირველად რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა კიევში, ყოფილ სოლოვცოვის თეატრში 1919 წლის 1 მაისს გახორციელა. ეს იყო სამოქალაქო ომის რთული პერიოდი და ერთი სოფლის აჯანყების თაქტი მარჯანიშვილმა მასების რევოლუციურ აჯანყებად წარმოადგინა, სადაც ადამიანები აქტიური და მემამბოხე სულის მატარებელნი იყვნენ. სპექტაკლს ესწრებოდნენ, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირები და მისი დამთავრების შემდეგ კვლავ ფრონტზე მიდიოდნენ. დადგმის აქტუალობაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი ზედიზედ 42-ჯერ ანშლავით ჩატარდა და მაყურებელზე დიდი ემოციურ გავლენას ახდენდა. აღსანიშნავია, რომ კ. მარჯანიშვილი ამ დროს კიევის თეატრების პირველი კომისარი იყო და პირველი საბჭოთა სპექტაკლი განახორციელა და იგი „წარმოშობდა ასოციაციებს უკრაინელი ხალხის განმანათავისუფლებელ იდეებთან და ამ თვალსაზრისით იგი განუმეორებელ ეროვნულ უღერადობას იძენდა.“<sup>1</sup> მაყურებელი ესპანელი გლეხების გამარჯვების სიმღერას „ინტერნაციონალით“ აგრძელებდნენ და საბრძოლო განწყობას იმაღლებდნენ.

პიესის სიუჟეტი ასეთია. კომანდორი ფერნან გომესი თავისი რაზმით სოფელ ფუენტე ოვეხუნაში (ცხვრის წყაროში) დაბანაკდა და გლეხებზე ძალადობას არ ერიდებდა. თავის ძალაში დარწმუნებული და დაუსჯელობით გათავხდებული ცდილობს ახალგაზრდა ქალიშვილის, ლაურენსიას ხელში ჩაგდებას. გლეხ ფრონდოსოს, რომელსაც ლაურენსია გულწრფელად უყვარს მის დაცვას ცდილობს. მათი ქორწინებისას კომანდორი უეცრად გამოჩნდება. გაიტაცებს და გააუპატიურებს

1 გუგუშვილი, ეთ. 1972. კოტე მარჯანიშვილი. თბილისი, გვ.348.

პატარადალს. ხალხი ასეთ უსამართლობას ვერ ეგუება და აჯანყდება. ამარცხებენ მოძალადე რაზმს და კომანდორს კლავენ. ამ ამბის გამოსაძიებლად მეფე სოფელში მოსამართლეებს აგზავნის ისინი ცდილობენ გამოსტეხონ სოფლის მაცხოვრებელნი, თუ ვინ მოკლა კომანდორი. ამაზე მთელი სოფელი ერთხმად პასუხობს - ფუნტე ოვეხუნამ. მეფე იძულებულია გამოძიება შეწყვიტოს და სოფელს თავის მმართველობაში იღებს.

კ. მარჯანიშვილი საქართველოში 1922 წლის 6 სექტემბერს ჩამოვიდა რუსული დრამატული თეატრის - ახალი თეატრის მონწევით, სადაც ო. უაილდის „სალომეა“ უნდა დაედგა. ამ დროისთვის კი ქართულ თეატრში არ იყო შესაფერისი თანამედროვე დრამატურგია, თეატრი კრიზისს განიცდიდა და საზოგადოების იდეურ-მხატვრულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. კ. მარჯანიშვილმა თავისი მდიდარი რეჟისორული გამოცდილებით შექმნილ ვითარებას მალე აუღო ალღო. 25 სექტემბერს კონსერვატორიაში წაკითხულ ლექციაში მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი იდეურ-ესთეტიკური მოსაზრებები, რომ ხელოვნების ამოცანაა წარსული თანამედროვე ეპოქის რიტმით გამოხატოს, რადგან ყოველ ეპოქას თავისი სინამდვილე აქვს<sup>2</sup>. მან განმარტა, რომ „ცხვრის წყარო“ საინტერესოა - უპირველეს ყოვლისა თანამედროვეთათვის, რადგან თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობსო და პიესა საინტერესოა არა გლეხთა შევიწროვებისა და მეფის მიერ კომანდორის მკვლელობის პატიებით, არამედ დღევანდელი მაცხოვრებლის დარაზმვით. საფრთხის შემთხვევაში ხალხმა კოლექტიურად უნდა გასცეს მტერს პასუხი. მაშინ კითხვაზე - ვინ მოჰკლა გომეც? პარტერიდან მივიღებთ გულწრფელ შეძახილს - ფუნტე ოვეხუნამ. აი, ჩემი დადგმის მიზნობრივი მხარე.<sup>3</sup>

1922 წლის 11 და 13 ნოემბერს გამართულ თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ კრიზისის გამო თეატრი დროებით დაეხურათ, რასაც მარჯანიშვილი შეენინაღმდეგა და თქვა „საამისო ძალები საკმაოდ გვაქვს, გვაქვს სურვილიც, საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და მტკიცე გადაწყვეტილება<sup>4</sup>. ამიტომ კ. მარჯანიშვილი ქართულ თეატრში საგანგებოდ მიიწვიეს, რასაც ამტკიცებს გაზ. „ზარია ვოსტოკაში“<sup>5</sup> გამოქვეყნებული ცნობა, რომ ქართულ დასში საგანგებო მონწევით კ. მარჯანიშვილი ირიცხებოდა.

კ. მარჯანიშვილმა დასადგმელად ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ აირჩია, რომელიც რევოლუციური სულისკვეთებისა და საზოგადოებრივი აზრის თანხმიერი იქნებოდა. ეროვნული თეატრის განვითარების მიმართულეზად იგი ევროპულ მიმართულეზას მიიჩნევდა. ამიტომაც ამბობდა: „ჩემის აზრით, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია თეატრის ორიგინალობისათვის ძიება იმ გზებისა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი თეატრი მისი გაევროპულეზის დრომდე“<sup>6</sup> ე.ი. მარჯანიშვილის განმარტებით 1850 წლის 2 იანვრამდე.

კ. მარჯანიშვილი დასს 28 სექტემბერს შეხვდა და დაიწყო რეპეტიციები, რომლებსაც გარკვეული წინააღმდეგობებიც თანსდევდა. სარეპეტიციო დღიურში აღნიშნულია, რომ რეჟისორი მსახიობებს შეახსენებს, რომ მათ როლები ზეპირად უნდა

2 Сб. Котэ Марджанишвили. Тбилиси, 1958. Стр.110.

3 ვასაძე. აკ. კოტე მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრში. კრ. „ცხვრის წყარო“. 1959. თბილისი. გვ.44-45.

4 იქვე, Стр. 21.

5 газ. Заря Востока. 1922. 19. XI.

6 ზანდუკელი.მ. 1957. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. გვ.277.

იცოდნენ, თორემ რეპეტიციების შეწყვეტა მოგვიხდებოდა.<sup>7</sup> (რეპეტიციებთან ერთად რეჟისორს უხდებოდა მსახიობების დისციპლინასა და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე მუშაობაც). სპექტაკლი თითქმის ორი თვე მზადდებოდა და 33 რეპეტიცია დასჭირდა, ხოლო კიევში კი სამ კვირაში განახორციელა. როლები ახალგაზრდა და უფროსი თაობის მსახიობებს შორის ასე განაწილდა: ლაურენსია თამარ ჭავჭავაძე, მენგო აკ. ვასაძე, მოსამართლე უმ. ჩხეიძე, ფერდინანდი დიმ. მუავია, კომანდორი დ. ჩხეიძე, ესტევანი ალ. იმედაშვილი, ხასინტა ელ. დონაური, იზაბელა ალ. ქიქოძე, ფლორესი პ. კორიშელი, ფრონდოზო გ. დავითაშვილი და სხვა. ლაურენსიას როლზე თავიდანვე ანეტა ქიქოძე იყო დანიშნული, მაგრამ მან თბილისიდან წასვლის მოტივით როლიდან განთავისუფლება ითხოვა. გაჯავრებულმა რეჟისორმა იქვე მყოფ თამარს დაუძახა და მუშაობაში ჩართო. მსახიობი იგონებს: „გადავიკისკისე, როგორც ეს პიესაშია მითითებული და, რაც შეიძლებოდა მკვირცხლად წარმოვთქვი ჩემი როლის პირველი ფრაზა: „ნეტავ აქედან დაიკარგოს, მაგრამ მინამ ჩაყლაპოს“.

კ. მარჯანიშვილს ძალიან მოეწონა, - გამოვა, ვიპოვე, რაც მინდოდა“, წამოიძახა მან.“<sup>8</sup>

თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძის შეფასებით კ.მარჯანიშვილი „ხედავდა თამარის უნარს უდიდესი დამაჯერებლობით ეჩვენებინა კონტრასტული ფსიქოლოგიური განწყობილებები - მხიარულება და სევდა, სიამაყე და დამცირებული მდგომარეობა, ვნებიანი ტრფიალება, მიხვედრილობა და ქალწულებრივი მიამიტობა, ბრწყინვალე იყო გადასვლები ანთებული ტემპერამენტიდან გულცივ დაცინვაზე. ყოველივე ეს ბავსვურად ახარებდა კოტე მარჯანიშვილს და ალტაცებით გადაულაპარაკებდა ხოლმე რეპეტიციის მონაწილეთ - „ფენომენალურია“<sup>9</sup> თავად კ. მარჯანიშვილი სპექტაკლს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ბოლო რეპეტიციის დამთავრებისას განაცხადა: „ხვალინდელი წარმოდგენა ორ საკითხს გადაჭრის. ერთია ქართული თეატრის შემდგომი ბედის საკითხი, ხოლო მეორე ჩემი და რუსთაველის თეატრის დასის ერთად მუშაობის გაგრძელების საკითხი.“<sup>10</sup>

პრემიერა შედგა 1922 წლის 25 ნოემბერს. თამარ ჭავჭავაძისთვის ეს პირველი სერიოზული როლი იყო. იგი გამოხატავდა ესპანელი ქალის მებრძოლ შინაგან ბუნებასა და ტემპერამენტს, სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობებს, უშუალობასა და გვიჩვენებდა მაღალ სამსახიობო ოსტატობას. კრიტიკოსი შალვა აფხაიძე წერდა, რომ მსახიობი ამ როლში ხედავდა „ქართველისათვის მონათესავე ტემპერამენტს, ხაზგასმულ ემოციურობას, ამაღელვებელ მეტყველებასა და სიმსუბუქეს მიხვრამოხვრამში. ლაურენსია როლის განსახიერებისას მსახიობმა გამოამჟღავნა არტისტული უშუალობა, შთაგონების ძალა, განცდის სიღრმე და სინამდვილის აღქმის ძლიერი უნარი. ეს დაუვინყარი სახე მსახიობმა რევოლუციური რომანტიზმის ასპექტში გვჩვენა. ამან მთელ სპექტაკლს თავისებური რიტმი მისცა და იგი მაღალ მხატვრულ დონეზე აიყვანა. „ცხვრის წყაროს“ დიდი წარმატების მიზეზი სწორედ ესოდენ შესანიშნავი ლაურენსია იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს სცენური სახე ერთერთი საუკეთესოა თ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, იგი მისი მაღალი აქტიორული კულტურის მაჩვენებელია.“<sup>11</sup>

7 რუსთაველის თეატრის მუზეუმი. რეპეტიციის დღიური. 1922 წ. 6 ოქტომბრის ჩანაწერი.

8 შვანგირაძე, ნ. 1972. თამარ ჭავჭავაძე. თბილისი. გვ.59).

9 იქვე, გვ. 60.

10 იქვე, გვ.61.

11 აფხაიძე, შ. თ. ჭავჭავაძე. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1947 წ. 17 მაისი.



სპექტაკლის მიზანსცენების ცვალებადობის შესახებ ბ. გამრეკელი ივონებს: „უღარდელ, მხიარულ სცენებიდან გადასვლა დრამატულ სცენებზე... ისევ მძაფრი კულმინაციური ტრაგიკული სცენები - განანამებ ლაურენსიას მონოლოგი. მისი მეთაურობით ქალების აფრიალებული მანდილებით შემოსევა კომანდორის სასახლეში, მტარვალების დამარცხება...“<sup>12</sup>

რეჟისორმა ხალხის განწყობის საპირისპიროდ მეფე დედოფლის სახეები თოჯინებით წარმოადგინა. აკ. ვასაძის მოგონებით „მათი შეუსაბამობა სცენურ კონტრასტს ქმნის. სახეები გროტესკშია გადაწყვეტილი და აი, მაყურებელის სიცილი მოწმობს იმას, რომ თუ ასეთ უმაღლეს მმართველთაგან რა მფარველობასა და სამართალს მიიღებს მათ ხელქვეითთაგან შევიწროვებული ხალხი.“<sup>13</sup>

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, დარბაზში სავარძელზე მდგომმა ი. გრიშაშვილმა ექსპრომტი უძღვნა რეჟისორს. ხოლო პაოლო იაშვილმა ლოჟიდან მიმართა მაყურებელს „...პრომეტეოსის მსგავსმა დიდმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა ოლიმპის მთიდან მოსტაცა მუზებს ცეცხლი და „ცხვრის წყაროში“ ისეთი კოცონი დაანთო, რომ ახლა არავის ძალუძს მისი ჩაქრობა. ხელოვნების სარდალ მარჯანიშვილს გვერდში ამოუდგნენ ჭაბუკნი და ტურთა ასულნი - თამარ ჭავჭავაძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, დავით ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, უზანგი ჩხეიძე, ხოლო ძველი გვარდიიდან ტასო აბაშიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ნ. გვარაძე და ბრძოლაც მოიგეს. ფერფელში მბჟუტავი ნაღვერდალი გაღვივდა და ისეთ ცეცხლად გადაიქცა, რომლის ჩაქრობაც არავის ძალუძს. ვაშა თქვენ, ძვირფასო მეგობრებო! ქართველი პოეტები მარადუამს თქვენთან იქნებიან.“<sup>14</sup> აკაკი ვასაძემ კი დასის სახელით კ. მარჯანიშვილს თეატრში დარჩენა შესთავაზე და ისიც დათანხმდა.

მესამე სპექტაკლს დაესწრო მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი, რომელმაც აღფრთოვანებით განაცხადა; „მე არ მაკვირვებს თქვენი ნიჭი, არც თქვენი ტემპერამენტი, არც სხეულის მოქნილობა და ლამაზი პოზები, არც უმაღლეს საფეხურამდე აწეული სასცენო ტექნიკა“... ჩემთვის, როგორც სასცენო სპეციალისტისათვის, განსაცვიფრებელი და დიდმნიშვნელოვანია ის „გრძნობა ზომიერებისა“, ე.წ. შინაგანი რიტმი, რაც თქვენ გამოიჩინეთ დღეს და რაც იშვიათი მოვლენაა სცენაზე. იმ ერს, რომელსაც ასეთი ხელოვნება აქვს, რასაკვირველია, სასიცოცხლო ნიშანწყალი მოეპოვება უხვად.“<sup>15</sup>

ქართულმა პრესამაც მალალი შეფასება მისცა სპექტაკლს, თუმცა აქამდე საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა რეპერტუარის სიჭრელისა და თანამედროვე ცხოვრებისგან განზე დგომის გამო.

ამდენად, სპექტაკლმა გააქარწყლა სეზონის შეჩერების პერსპექტივა, გაბედულად ასახა რევოლუციური სინამდვილე, გამოაჩინა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები, საფუძველი ჩაუყარა სინთეზურ თეატრს, რაც გულისხმობდა თეატრალური ელემენტების: სასცენო მოძრაობის, სიტყვის, მუსიკის, მხატვრობის, ცეკვის, სიმღერის, უესტის, პლასტიკის, რიტმისა და ყველა გამომსახველობითი საშუალებების ერთობლიობას, რომლებიც სამსახიობო ოსტატობაში ერთაინდებოდა და მხატვრულ სახეების

12 გამრეკელი ბ. 1959. მოგონებები. კრ. „ცხვრის წყარო“. თბილისი. გვ.32.

13 ვასაძე აკ. 2010. მოგონებები, ფიქრები. თბილისი. გვ.139.

14 მაჭავარიანი შ. 1973. ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია. თბ. გვ. 28.

15 ვაზ. „ლომისი“. 1923 წ. 1 იანვარი. №18.



დინამიკურ განვითარებასთან ერთად მოჰქონდა სპექტაკლის საერთო გადანწყვეტა და მაყურებლისთვის სათქმელი აზრი. დაინყო ქართული თეატრის ახალი - ევროპული სულისკვეთების განვითარების ეტაპი, სადაც აისახა თანამედროვეობასა და ხელს უწყობდნენ თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

ჩვენი თემის აქტუალობა იმითაცაა განპირობებული, რომ წელს შესრულდა კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 150, ხოლო სპექტაკლის დადგმიდან 100 წელი. საუკუნის მანძილზე არ შენელებულა მკველვართა ინტერესი სპექტაკლის მნიშვნელობის გასაანალიზებლად, რომელმაც ევროპულ დრამატურგიასთან ერთად დაამკვიდრა ევროპული სამსახიობო ხელოვნების კულტურა, სპექტაკლის მომზადების პროფესიული ჩვევები. თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძე წერს, რომ „1922-23 წლებში თეატრის რეპერტუარში მოხდა მკვეთრი შემობრუნება დასავლეთისაკენ“.<sup>16</sup> სტატისტიკურად საინტერესოა, რომ 1921-22 წლებში დაიდგა 8, ხოლო 1922-23 წწ. სეზონში კი 10 სპექტაკლი. თეატრის პროგრესულმა რეპერტუარმა დააინტერესა ქართველი მწერლებიც, უპირველესად „ცისფერყანწელები“, რომლებსაც ევროპული ორიენტაცია ჰქონდათ და თეატრის საშუალებით ცდილობდნენ საზოგადოებისთვის ის თავისუფლებისა დემოკრატიის იდეები მიეწოდებინათ, რომლებსაც ბოლშევიკური ხელისუფლება ზღუდავდა.

#### ბიბლიოგრაფია:

1. გუგუშვილი, ეთ. კოტე მარჯანიშვილი. 1972. თბილისი, გვ. 348.
2. Сб. Котэ Марджанишвили. 1958. Тбилиси, Стр.110.
3. ვასაძე. აკ. კოტე მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრში. 1959. კრ. „ცხვრის წყარო“. თბილისი. გვ.44-45.
4. ზანდუკელი.მ. 1957. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. გვ.277.
5. შვანგირაძე. ნ. 1972. თამარ ჭავჭავაძე. თბილისი. გვ. 59.
6. გამრეკელი. ბ. 1959. მოგონებები. კრ. „ცხვრის წყარო“. თბილისი. გვ.32.
7. ვასაძე. აკ. 2010. მოგონებები, ფიქრები. თბილისი. გვ.139.
8. მაჭავარიანი. შ. 1973. ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია. თბ. გვ. 28.
9. გურაბანიძე.ნ. 2012. ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრში. თბილისი. გვ.7.

<sup>16</sup> გურაბანიძე.ნ. 2012. ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრში. თბილისი. გვ.7.


**THE IMPORTANCE OF EUROPEAN DRAMATURGY FOR  
GEORGIAN THEATRE LOPE DE VEGA'S "SHEEP SPRING" ON  
THE GEORGIAN STAGE**

**Abstract**

**Key words:** Europe, dramaturgy, reform of theatre.

The Spanish playwright Lope de Vega depicted the social and political life of the end of the 16th century and the first half of the 17th century in his dramaturgy. An interesting interpretation of Lope de Vega's play "Sheep Spring" is connected with the name of the great Georgian director, Kote Marjanishvili. He staged this play in Kyiv in 1919, giving it a revolutionary sound. He set the scene in the finale when the peasants of the village rebelled and triumphed over the tyrant commander. The spectacle made such a big impression that it was staged 42 times and left a great emotional impression on the audience - the audience continued the song about the victory of the peasants by singing the "Internationale", and the soldiers went straight to the front line of the Civil War. The staging of "Sheep Spring" in the Rustaveli Theater turned out to be historic, since at that time the Georgian theater was experiencing the crisis and did not have a repertoire reflecting modern life. K. Marjanishvili laid the foundation for the new Georgian theater and reformed it by creating a synthetic theater. The performance showed the dramatic talent of the young actor T. Chavchavadze, who successfully performed the role of Laurencia. K. Marjanishvili's performance, the power of the people was brought to the fore and was presented as the main hero who would guide the development of events. It also outlined the main ideological direction against tyranny and violence and expressed the revolutionary spirit of the societies. In the play, along with the acting of the actors, painting, music, lighting, stage movement, dance and song, and other means of expression were combined. That is why this performance is considered the beginning of a new stage in Georgian theater.

The dramatic talent of the young actor T. Chavchavadze, who successfully performed the role of Laurencia. K. Marjanishvili's performance, the power of the people was brought to the fore and was presented as the main hero who would guide the development of events. It also outlined the main ideological direction against tyranny and violence and expressed the revolutionary spirit of the societies. In the play, along with the acting of the actors, painting, music, lighting, stage movement, dance and song, and other means of expression were combined. That is why this performance is considered the beginning of a new stage in Georgian theater.



თამარ შაიშველაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

## „შუაკაცი“ ჩვენსა და ევროპას შორის (ილია ჭავჭავაძე და არტურ ლაისტი)

საკვანძო სიტყვები: შუაკაცი, კულტურა, ანთოლოგია

ეროვნული თვითშეგნების გამოვლიდების პრობლემა უმწვავესად დაისვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთმა კავკასიასა და საქართველოში ასიმილაციური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო და „ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ მის მიერ შემოტანილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეოლოგიური სისტემების“ დამკვიდრება სცადა<sup>1</sup>. აღნიშნულის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს იმდროინდელმა ქართველმა მოღვაწეებმა და, უწინარესად, ილია ჭავჭავაძემ. დასავლეთევროპული კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო პროცესების შესწავლა და ქართულ ნიადაგზე გადმოტანა მათ უმთავრეს ამოცანად დაისახეს. „თერგდალეულების“ პროგრამა ევროპის მოწინავე იდეების გავრცელებასაც გულისხმობდა.

თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძის დიდი ძალისხმევა მიმართული იყო სწორედ ევროპული სულიერი ღირებულებების ქართულ საზოგადოებაში გასავრცელებლად.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გაეცნო იგი „ევროპის აზროვნების ისტორიას, საფრანგეთის განმანათლებლებს, გერმანულ ფილოსოფიას, კერძოდ ჰეგელს. სტუდენტობის წლებშივე თარგმნის ბაირონის, გოეთეს და სხვათა ლექსებს“<sup>2</sup>.

შემდეგ, მთელი ცხოვრება, ევროპის მოწინავე ქვეყნების მეცნიერებთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საქმისთვის ბევრი იღვანა. იგი განსაკუთრებული გულისხმიერებით, პატივისცემითა და ყურადღებით ეკიდებოდა საზღვარგარეთული ქვეყნების მოწინავე წარმომადგენლებს. „ილია მათთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ეს, პირველ ყოვლისა, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა საქართველოს ძველი კულტურისა და ისტორიული წარსულის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისთვის გაცნობის კეთილშობილურ საქმეში“<sup>3</sup>.

1 ჯოლოგუა, თ. „ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულ ჟურნალისტიკაში - ისტორიული გამოცდილება“ [http://logos.org.ge/files/files/tamaz\\_jologua.pdf](http://logos.org.ge/files/files/tamaz_jologua.pdf) შემოწმების თარიღი - 15. 10.2022.

2 ტაბუცაძე, ალ. 2019. „საქართველოს ურთიერთობები დასავლეთთან“. „განათლება“, №4 (27), გვ. 172.

3 გოზალიშვილი, შ. 1973. „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“, თბილისი, გვ. 36.

ილიას ახარებდა, რომ საქართველოს უცხოელი მეგობრები, მონინავე მეცნიერები საქართველოთი იყვნენ დაინტერესებულნი. ქართული კულტურის საზღვარგარეთელ მეგობარ მეცნიერთა შორის არტურ ლაისტს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

არტურ ლაისტმა საქართველო იმთავითვე მეორე სამშობლოდ აირჩია. გულით იწამა, გაქართველდა, ბევრი სასარგებლო საქმე აკეთა და დარჩა, როგორც შუამავალი ჩვენსა და ევროპულ სამყაროს შორის.

...გაზეთი „დროება“ კი იტყობინებოდა:

...„სასიამოვნო და გონივრულის სახის პატრონია, სიღინჯე და დარბაისლობა ნამდვილის ნემეცისა აქვს. ცოტა გამხდარია და ესე 35 წლის კაცი იქნება“,<sup>4</sup> - 1884 წლის 3 ივნისს გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი საქართველოს ილია ჭავჭავაძის მოწვევით ესტუმრა.

„ეს ის ლეისტია, რომელმაც რამდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე, და რომელიც ეს სამი წელიწადი იქნება, რაც დიდის ხალისითაც და სიყვარულით სწავლობს ქართულს ენას, ისტორიას, ლიტერატურას, თვალ-ყურს ადევნებს ქართველთ ცხოვრებას და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფს უზიარებს ევროპის მკითხველ საზოგადოებას“<sup>5</sup>...

არტურ ლაისტი სიღეზის დედაქალაქ ვროცლავში, პედაგოგისა და ჟურნალისტის ოჯახში დაიბადა. მამის კვალს გაჰყვა - ჟურნალისტობაში ჰპოვა მოწოდება. 25 წლისა უკვე სამი დიდი გერმანული გაზეთის თანამშრომელი გახდა პოლონეთს დედაქალაქ ვარშავაში. გერმანელებს პოლონეთის ცხოვრებას აცნობდა. აქ შეუერთდა „დიდ პოლონურ პრესას“, იგი დაიახლოვეს ბოლესლავ პრუსმა, ვიქტორ გომულიცკიმ, ჰენრიკ სენკევიჩმა...

ვარშავასა და კრაკოვში ევროპულმა ლიტერატურამ უფრო გაუმძაფრა უძველესი და ეგზოტიკური მხარის - კავკასიის ინტერესი, ხოლო როდესაც გერმანელმა პოეტმა და მოგზაურმა ფრიდრიჰ ბოდენშტეტმა დააინტერესა საქართველოთი, ინტენსიურად დაიწყო ქართული ენის შესწავლა, დაუკავშირდა ნიკო ნიკოლაძეს, დავით ერისთავს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს...

1884 წლის 1 ივნისი თენდებოდა... თბილისის სადგურზე არტურ ლაისტის დასახვედრად თავად ილია და ქართველი მოღვაწენი მოსულიყვნენ... აი, თურმე როგორი ყოფილა ილია ჭავჭავაძე - გაიფიქრა სტუმარმა და მარჯვენა შეაგება ილიას გამონჭდილ ხელს.

ილიასთან პირველი შეხვედრიდან 38 წლის შემდეგ დამამზერალი მწერალი იტყვის: „მაშინდელ ქართველთაგან არავის შეეძლო ჩემთვის გაეცნო წარსული ლიტერატურა, გრძობა, აზრი, მისწრაფება და ოცნება ქართველთა, როგორც ილია ჭავჭავაძეს. ილიას დახმარებით უფრო სწრაფად შევძლებდი ჩამეხედა ქართველი კაცის სულსა და გულში“<sup>6</sup>.

იმ პერიოდში ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. ოფიციალურად აკრძალული იყო სიტყვა „საქართველოს“ საჯაროდ ხსენება. რუსეთის მიერ მოვ-

4 გაზ. „დროება“, 1884, „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში“, №118. გვ. 3.

5 იქვე, გვ.2.

6 ლაისტი, ა. 1923. „საქართველოს გული“, წიგნი პირველი, თბილისი, გვ. 5-6.



ლენილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი და მისი დამქაშები გაათრეებით იბრძოდნენ ქართული ენის სკოლიდან გასაძევებლად. ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა აღარ ისმოდა, იდეგნებოდა ქართული გაზეთი, ქართული წიგნი, ქართული თეატრი...

მეორე დღესვე დაიწყო მუშაობა არტურ ლაისტმა. იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სამწერლოში. ნახა სურათები რუსთველისა და თამარისა, გულმოდგინედ დაათვალიერა „საზოგადოების“ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა...

მოგვიანებით ილიამ სტუმარი საგურამოში წაიყვანა და მომავალი წიგნისთვის სწორედ აქ მომზადდა მასალები. აქედან ლამაზი იყო მზის ჩასვლის სანახაობა. უჩვეულო ელფერით იმოსებოდა არაგვის ხეობა და საგურამოს მთები, შორეული კავკასიონი...

„რა ნათელი დრო იყო, - დანერს მოგვიანებით ლაისტი ილიაზე, - ხანგრძლივი საუბრები პოეზიასა და მშვენიერებათა შესახებ, საქართველოსა და მისი წარსულის შესახებ: საუბრები, რომლების დროს ბრწყინავდა მისი მდიდრული სული“<sup>7</sup>.

ამ საუბრებს უკვალოდ არ ჩაუვლია...

გერმანიაში დაბრუნებულმა ლაისტმა ლაიფციგში პოლონურ ენაზე გამოსცა წიგნი - „საქართველო, ბუნება, ადამიან-ნესები და მოსახლეობა“ (1885). 1887 წელს ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, ლაიფციგშივე გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ და პოლონურ ენებზე, რომელსაც ვრცელი წერილით ცნობილი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტეტი გამოეხმაურა. ამ წიგნით ევროპელებმა პირველად გაიცნეს: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის და სხვათა შემოქმედება...

1885 წელს ლაისტი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით, „დიდი კეთილსინდისიერებითა და საქმის ცოდნით“ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც თვითონ უწოდებდა - „ქართული პოეზიის მარგალიტი“.

პოემა 1890 წელს გამოქვეყნდა დრემდენსა და ლაიფციგში.

„რუსთველის პოემის გერმანელი მკითხველისათვის აღმოჩენის პატივი ეკუთვნის არტურ ლაისტს, ევროპაში თითქმის სრულიად უცნობს, მაგრამ ქართულიდან და სომხურიდან მრავალრიცხოვანი თარგმანების წყალობით კავკასიაში დიდად დაფასებულ პიროვნებას“<sup>8</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემამდე 1885 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მოგონებებში - „კოლხიდაში“ თბილისის ქუჩებით მოხიბლული ლაისტი თავის განცდებს გადმოსცემს და სიყვარულით ახსენებს რუსთაველს: „ამგვარ ღამეში კარგია კაცი დადგეს მტკვრის ნაპირას და უცქიროს მთვარის შუქზე მის ჩქარ, ვერცხლისებრ მბრწყინავ ზვირთებს. ვალმა მთაზე ჩანს ნანგრევი ძველი ციხისა, რომელიც ფარი იყო საქართველოს სამეფო ქალაქისა, მონამე მისი განდიდების და თანდათან დამხობისა... იქნებ ამ ჩრდილოვან ბალებში დასეირნობდა რუსთაველი, თვით უდიდესი მგოსანი კავკასიისა და მოტრფიალე მშვენიერი მეფე თამარისა“?<sup>9</sup>

7 ლაისტი, ა. 1963. „საქართველოს გული“, თბილისი, გვ. 292.

8 ხოტივარი-იუნგერი, შ. „რუსთაველის თხზულების დღეისათვის არსებული გერმანული თარგმანები“ <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/8/1> შემოწმების თარიღი - 15.10.2022.

9 ლეისტი, ა. 1885. „კოლხიდაში (მგზავრის შენიშვნები)“, „ივერია“, №4-5, გვ. 193.

არტურ ლაისტი ქართული კულტურის ელჩად მონათლეს. იგი ყველასთვის სასურველი სტუმარი მეგობარი და თანამშრომელი გახდა. ქართველი მწერლები უიმისოდ როდი მიდიოდნენ ქალაქგარეთ სასეირნოდ და სამუსაიფოდ. მას ენდობოდნენ, გულის ხვაშიადს უმხელდნენ... იგი ყველგან არის, სადაც არიან მისი მეგობრები. ყოველ შაბათს, აკაკი წერეთელთან და დავით ერისთავთან ერთად ქართული თეატრის წარმოდგენას ესწრება, 1886 წლის 1 იანვარს გაზეთ „ივერიის“ დაბადებას ეზიარა და, საახალწლოდ, ღვინის ჭიქით მანაც დალოცა იმ პერიოდში გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთი...

მწერალი და პუბლიცისტი იაკობ მანსვეტაშვილი ასე ახასიათებდა არტურ ლაისტს: „იგი გერმანელი იყო, კარგად განათლებული, მცოდნე უმთავრესი ევროპული ენებისა და ლიტერატურისა. რამდენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს იმისგან, დაუღალავი მუშაკი... რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცედ ადგა და, სანამ მიზანს არ მიაღწევდა, გზას არ გადაუხვევდა. იგი სიკვდილამდე ჩვენში ტრიალებდა და მუშაობდა ერთგულად, გულწრფელად“<sup>10</sup>...

თედო სახოკია წერდა, რომ ლაისტი ყველანაირად ცდილობდა უფრო მჭიდროდ დაეახლოვებინა ქართველი ხალხი გერმანელ ხალხთან, ეხმარებოდა ყველა ქართველ ახალგაზრდას, ვინც კი გერმანიაში მიდიოდა სასწავლებლად, რჩევა-დარიგებას აძლევდა, სარეკომენდაციო წერილებს ატანდა გერმანიაში პროფესორებთან, გზას ულოცავდა. ლაისტიცდილობდასაქართველოდან გერმანიაში გაემგზავრებინა ქართველი ხელოსნები ხელობის უკეთესად შესასწავლად; გერმანიის მთავრობასთან შუამდგომლობდა - გერმანიიდან ხელოსან - ინსტრუქტორები გამოეგზავნა... დააარსა გერმანელ-ქართველთა მეგობრობის საზოგადოება, გერმანული ენის კურსები... არტურ ლაისტმა გრიგოლ ფერაძეს - მომავალში ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს, პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის დამაარსებელსა და მის პირველ წინამძღოლს ბერლინის უნივერსიტეტში უშუამდგომლა. ნიჭიერი ახალგაზრდა უმალ გაიგზავნა გერმანიაში სასწავლებლად...

აღსანიშნავია, რომ „...ბ-ნი არტ. ლაისტი უანგაროდ და მეგობრულად უწვდიდა ხელს ყოველ ქართველს“<sup>11</sup>.

კონსტანტინე გამსახურდიამ მას „კარგი ევროპელი“ უწოდა, რომელიც 40 წელი „გოეთესბური უანგარობით“ მუშაობდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის, „ხარობდა ჩვენი სიხარულით და იტანჯებოდა ჩვენი სატანჯველით. მღეროდა ჩვენს პოეტებთან ერთად. იგი მოვიდა ჩვენთან, როგორც მოსიყვარულე, სიყვარულს მოწყურებული, როგორც მშველელი და დამხმარე, სამაგიეროდ საქართველოც დიდი სიყვარულით დაუხვდა მას“<sup>12</sup>.

მართებულად შეაფასა მისი ჩამოსვლა საქართველოში ილია ჭავჭავაძემ, როდესაც პირველივე დღეს გამართულ სადილზე, არტურ ლაისტის სადღეგრძელო წარმოთქვა:

„ბ-ნი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იღო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა - ჩვენ გულში ამონანები სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე

10 მანსვეტაშვილი, ი. 1936. „მოგონებანი, ნახული და გაგონილი“. ტფილისი, გვ. 90.

11 სახოკია, თ. 1984. „ჩემი საუკუნის აღმნიშვნები“. თბილისი, გვ. 76.

12 გამსახურდია, კ. 1965. „კარგი ევროპელი“, „რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ.6. გვ. 515.

აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან“...

ილიას იმედი ჰქონდა, რომ ლაისტის სიტყვა მთელ განათლებულ სამყაროს ამცნობდა, რომ შორს, სადღაც, ერთი პატარა სამოთხე არსებობს, რომელსაც საქართველო ჰქვია. „და იმ პატარა სამოთხეში, ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცებს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“<sup>13</sup>.

თავის მხრივ, არტურ ლაისტმა ილია ასე შეათვასა ნაშრომში „საქართველოს გული“:

„მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაეფეროპელებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ ცხოვრების ევროპიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა“<sup>14</sup>.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, 1900 წელს ილიას ევროპაში (გერმანია, ავსტრია) სამკურნალოდ გამგზავრებაც მოწმობს. იგი დიდი ცნობისმოყვარეობით უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებას, მაგრამ მთელი გულისყური საქართველოსკენ ჰქონდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა სამშობლოში.

ლაისტი ამალელებლად გადმოსცემს ილიას ამ განცდებს ნაშრომში „საქართველოს გული“. მას გამორჩეული მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც მისთვის დიდი სულიერი მეგობარი იყო.

საგურამო ლაისტისთვის უსაყვარლეს ადგილად გადაიქცა. ვინაიდან ილიას მცენარეთა მოვლა არ ეხერხებოდა, მათზე არტურ ლაისტი ზრუნავდა. იგი ხედავდა, რომ ნელ-ნელა მშვენივრდებოდა ცაცხვის ხეივანი, ილიას კი მწუხარება ემატებოდა - ცალკე ჯანის სისუსტეს უჩიოდა, თან თანამემამულეთა უმადურობა გულს უკლავდა...

საგურამოში უკანასკნელად 21 აგვისტოს ესტუმრა ლაისტი ილიას. მძიმე წინათგრძნობით შეპყრობილი ლაისტი ილიას გვერდიდან არ მოშორებია. ღამე ძილი არ ეკარებოდა.

27 აგვისტოს, წინამურის ტრაგედიიდან სამი დღით ადრე, ოღლა და ლაისტი ეტლით გამოემგზავრნენ საგურამოდან, ღრუბლიანი დღე იყო, წვიმაც წამოვიდა, „გზის ორივე მხარეს თხელი ტყეა, იქ რომ გავიარეთ, ტანში ჟრუანტელმა დამიარა“<sup>15</sup>, - იტყვის ლაისტი. ვაი, რომ ეს უცნაური წინათგრძნობა საბედისწეროდ და საუბედუროდ ახდა.

9 სექტემბერს ილიას წმინდა ცხედარს სიონის ტაძრიდან ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და არტურ ლაისტი გამოასვენებენ...

გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებიდან იგი ვრცელი სტატიით გამოეთხოვა საქართველოს მტრების მიერ ვერაგულად მოკლულ ილიას.

ათი წელი დუმდა ილიას ძმა და მეგობარი, აღარათფერი დაუნერია. რა იყო ეს - პროტესტი თუ შემზარავი ტრაგედიით გამოწვეული გამაოგნებელი ელდა, როცა სიტყვას აზრი ეკარგება და დუმილში პოულობს შვებას სული?

ირგვლივ მხოლოდ ძველი საქართველოს და ილიას აუგი ესმოდა, მეგობრების გაფრთხილების მიუხედავად, საგურამოში ასვლა სახითათოააო, მაინც აღებდა

13 გაზ. „დროება“, 1884, „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში“, №119. გვ. 3.

14 ლაისტი, ა. 1963. „საქართველოს გული“, თბილისი, გვ.44.

15 იქვე, გვ. 60.

იავარქმნილი ბალის ჭიშკარს, მღუმარედ იდგა აივანზე და ხშირად ღამეც გაუთენებია „ურმულის“ მომლოდინეს, რომელსაც ილიასთან ერთად უსმენდა ხოლმე...

ილია აღარ იყო ცოცხალი, საგურამოს საქართველოს მზელა ერთგულებდა...

ილიას ნააზრევს და გერმანული კულტურისადმი მის მისწრაფებებს დიდად აფასებდა არტურ ლაისტი. როდესაც 1918 წლის 21 ივლისს დაფუძნდა „ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება“, კრების ბოლოს მან ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

„დიდ სიამოვნებას ვგრძნობ მე დღეს, რადგანაც აქ, ამ დარბაზში მაგონდება საუკეთესო ჩემი პირადი მეგობარი ილია ჭავჭავაძე. ეს მე-19 საუკუნის უდიდესი მოღვაწე ქართული ნაციონალიზმისა, მგოსანი და ქართველი პატრიოტი. აკაკი წერეთელთან, გოგებაშვილთან და ცხვედაძესთან ერთად მან შექმნა ნიადაგი დღევანდელ საქართველოსთვის.“

ყველა ეს მოღვაწენი, რომელიც კაი ხანია უკვე განისვენებენ სამარეში, იყვნენ მომხრენი აგრეთვე გერმანული კულტურისა და თუკი მათი სულნი ახლა აქ იმყოფებიან, რასაკვირველია ლოცვენ ჩვენ განზრახვას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი ერი გერმანულ კულტურის შემწეობით, განახლდეს და გამაგრდეს“<sup>16</sup>.

...მთანმინდაზე, ძველისძველ სვეტებიან სახლში ცხოვრობდა „ჩვენი დროის აბოდ“ წოდებული მოხუცებული ლაისტი. საბჭოთა რეჟიმის შევიწროებას საკუთარ თავზე გამოსცადა, მაინც არ შორდებოდა ღიმილი და ხალისიანი გამომეტყველება. „უდიდესი თავდადებულობით“ დაასრულა წიგნი „საქართველოს გული“...

მოგონებების უკანასკნელ ტომს წერდა, აივანზე სეირნობის დროს გაცვივდა და ლოგინად ჩავარდა. სიკვდილის წინ მეუღლეს დაუძახა და სთხოვა, ნაწერები შემინახეო. ერთმა ფურცელმა სასოებით შემოინახა მისი აღსარება: „მაპატიე, ჩემო პატარა, სამშობლოსნაცვალო საქართველო, თუ ჩემი მწირი ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“<sup>17</sup>.

1922 წელს ქართულმა საზოგადოებამ არტურ ლაისტს, პირველ უცხოელს, საქართველოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადა.

ლაისტის 40 -წლიანი მოღვაწეობა ჩვენსა და გერმანელებს შორის მართლაც შემაერთებელ ხიდად იქცა. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპელებს აცნობდა ქართულ მწერლობას. ქართველებს ჭირისა თუ ლხინის დროს გვერდით ედგა, სიტყვით და საქმით ეხმარებოდა ჩვენს ქვეყანას, მართლაც, შუაკაცი იყო საქართველოსა და ევროპას შორის. საქართველო მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა და ნამდვილ სამშობლოზე არანაკლებ შეიყვარა.

ურთიგო არ იქნება, თუ ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობებს, პროგრამებსა და პროექტებს არტურ ლაისტის სახელი და ღვაწლი დაედება საფუძვლად, უმაღლეს სასწავლებლებშიც სათანადო ყურადღება მიექცევა დიდი გერმანელი მოღვაწის საქმიანობას და წარმოჩენას - სიმპოზიუმების, კონფერენციების სახით.

არტურ ლაისტი ხომ პირველი ევროპელია, რომელიც საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში განისვენებს.

16 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918. „გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების პირველი სხდომის გამო“, № 2, გვ. 2.

17 ლაისტი, ა. 1963. „საქართველოს გული“, თბილისი, გვ. 297.



## ბიბლიოგრაფია

1. გამსახურდია, კ. 1965. „კარგი ევროპელი“, „რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. 6.
2. გაბ. „დროება“, 1884. „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში“, №118.
3. გაბ. „დროება“, 1884, „ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში“, №119.
4. გაბ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918. „გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოების პირველი სხდომის გამო“, № 2.
5. გობალიშვილი, შ. 1973. „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“, თბილისი.
6. ლაისტი, ა. 1923. „საქართველოს გული“, წიგნი პირველი.
7. ლაისტი, ა. 1963. „საქართველოს გული“, თბილისი.
8. ლეისტი, ა. 1885. „კოლხიდაში (მგზავრის შენიშვნები)“, „ივერია“, №4-5.
9. მანსვეტაშვილი, ი. 1936. „მოგონებანი, ნახული და გაგონილი“. ტფილისი.
10. სახოკია, თ. 1984. „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბილისი.
11. ტაბუკაძე, ალ. 2019. „საქართველოს ურთიერთობები დასავლეთთან“. „განათლება“, №4 (27).
12. ჯოლოგუა, თ. „ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულ ჟურნალისტიკაში - ისტორიული გამოცდილება“, [http://logos.org.ge/files/files/tamaz\\_jologia.pdf](http://logos.org.ge/files/files/tamaz_jologia.pdf)
13. ხოტივარი-იუნგერი, შ. „რუსთაველის თხზულების დღეისათვის არსებული გერმანული თარგმანები“, <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/1>

1 IFPRI - International Food Policy Research Institute -

2 FAO - Food and Agriculture Organization of the United Nations -

3 SDGS - Sustainable Development Goals -

4 ასოცირების შეთანხმება, მესამე ქვენაწილი, 98-ე მუხლის პირველი პარაგრაფი

5 ასოცირების შეთანხმება მუხლი 288

6 პუნქტი “ვ” რომელიც ფორმულირებულია შემდეგგვარად „ჰორიზონტალური საქმიანობა, მათ შორის სტატისტიკური კლასიფიკაციები, ხარისხის მართვა, მომზადება, გავრცელება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება“

7  $Ai$  ალგორითმი

8  $Yr = 100 - b(CE - a)$

შემავალი პარამეტრი:  $CE$  (ds/m)

გამომავალი პარამეტრი:  $Yr$  - რომელი მცენარეებისთვისაა გამოსავლიანობის % საკმარისად მაღალი

სხვადასხვა მცენარეისათვის საჭიროა  $a, b$  პარამეტრების ცოდნა, რათა მოხდეს შესაბამისი გამოსავლიანობის შუალედების დადგენა.

**Tamar Shaishmelashvili**

*Assistant- Professor*

*Georgian Technical University*

## **„THE MEDIATOR“ BETWEEN US AND EUROPE (ILIA CHAVCHAVADZE AND ARTUR LAIST)**

### **Abstract**

**Key words:** The mediator, Culture, Anthology

The great German writer, publicist and translator Arthur Leist came to Georgia in 1884 at the invitation of Ilya Chavchavadze.

Arthur Laist introduced Georgian literature and culture to Western Europe for almost half a century... he has also shared German culture with Georgians.

Artur Laist had broad acquaintances and literary connections with all the leading foreign scientists and public figures of his time, who were interested in studying the history of Georgian culture and literature.

With the help of Ilya Chavchavadze, Akaki Tsereteli and Ivane Machabli, he translated „The Knight in the Panther’s Skin“...

Collaborated with the newspaper “Iveria”... Published books about Georgia. Among them is an anthology of Georgian poetry in German, with which Europeans first got to know Georgian poets: Aleksandre Chavachavadze, Grigol Orbeliani, Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Rafiel Eristavi..

Ilya Chavchavadze called Arthur Leist a mediator between Europe and Georgia, who should introduce our culture and spiritual value to those people “who are the leaders of the country’s success”.

Arthur Laist is an outstanding personality among European friends of Georgian culturologists, Georgia has become his second homeland.

## ტრანს- და ინტერდისციპლინური მიდგომები პრობლემების გადასაწყვეტად

საკვანძო სიტყვები: ტრანსდისციპლინურობა, ინტერდისციპლინურობა, ევრო-გამოცდილება

### შესავალი

ადამიანს, კოლექტივებს თუ სახელმწიფოებს უხსოვარი დროიდან უხდებოდა და უხდება მრავალი სახის პრობლემასთან შეჭიდება, მაგრამ ამ პროცესის დროულად და ეფექტიანად წარმართვა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ადრე არსებულთაგან მკვეთრად განსხვავებულ გარემო-პირობებში.

სწორედ ასეთ ვითარებაში იმყოფება დღეს ქართული სახელმწიფო და რიგითი მოქალაქეები თუ სპეციალისტები (იურისტები, ეკონომისტები, პოლიტიკოსები,...) წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროებენ თვისებრივად ახალი მიდგომების შემუშავებას, ამასთან, ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

ბოლო ათწლეულებში მთელს მსოფლიოში იკვეთება ტენდენცია, გადანწყვეტილებების მიღების პროცესის ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აყვანა მოხდეს ინტერ- და ტრანსდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით.

ინტერდისციპლინურობის არსის თაობაზე სპეციალისტების აზრი ძირითადად გარკვეულია და მოკლედ ის შეიძლება ამგვარად განიმარტოს [1]:

მოცემული დისციპლინის გამდიდრება მეცნიერების სხვა სფეროდან (სფეროებიდან) მოხმობილი ცოდნით.

საქმე ისაა, რომ არცთუ იშვიათად ამა თუ იმ დისციპლინაში შემუშავებულ მეთოდს სხვა სფეროში პირდაპირი ან მოდიფიცირებული სახით გამოყენებისას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს.

რაც შეეხება ტრანსდისციპლინურ მიდგომას, მისი არსი სპეციალისტების მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება [2], მაგრამ, თუ ვეცდებით ამ განსაზღვრებებში უმთავრესი დავინახოთ, ესაა ადამიანის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის ერთ მთლიან (იერარქიულ) სისტემაში მოქცევა (ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობა). ამასთან, ცოდნის ბაზად გვევლინება არა მარტო ცალკეული დისციპლინები, არამედ - ფუნდამენტური რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებანი და ზოგჯერ კი მითოლოგიებიც.

მეტაფორული, თუმცა საკმაოდ გამჭვირვალე სენტენცია - „ქიმიკოსი, რომელმაც მხოლოდ ქიმია იცის, ქიმიკოსიც არ არის!“, ფაქტობრივად, გვეუბნება შემდეგს:

- მეცნიერების ნებისმიერ სფეროში მოღვაწე სპეციალისტი ახალი, მნიშვნელოვანი შედეგების მისაღებად ინფორმირებული უნდა იყოს არა მარტო იმის თაობაზე, თუ რა ხდება საკუთარ და მომიჯნავე დარგებში, არამედ, ერთი შეხედვით, მისი საქმიანობიდან საკმაოდ დაცილებულ სფეროებშიც.

დღეს, უამრავი ინფორმაციის მოზღვავეების პირობებში აღნიშნული მიზნის მიღწევა ურთულეს საქმედ იქცა, მაგრამ ბოლო ათწლეულებში კომპიუტერული ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ ესეც გახადა შესაძლებელი და უკვე არაინფორმატიკოსი სპეციალისტებიც წარმატებით ეუფლებიან ამ ტექნოლოგიებით სარგებლობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

### ძირითადი ნაწილი

ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საკითხი დიდი ხანია აინტერესებდათ მკვლევარებს. ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მიერ დაედო სათავე ლოგიკად სახელდებულ ადამიანის აზროვნების სწორად წარმართავ მეცნიერებას!

უამრავი პრაქტიკული ამოცანის გადაჭრას ემსახურება ისეთი ფუნდამენტური დისციპლინა, როგორცაა მათემატიკა და მის ბაზაზე დაფუძნებული რიგი მიმართულებებისა, მაგალითად, ოპტიმალური მართვის თეორია და სხვ.

მაგრამ არსებობს რიგი ამოცანებისა, რომელთა გადაჭრა მხოლოდ წმინდა მათემატიკური მეთოდებით ვერ ხერხდება, მათი გადაწყვეტა მოითხოვს, ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლების გარდა, პროცესში სხვადასხვა, ერთმანეთისგან მეტად შორს მყოფი პროფილის მკვლევარების (სოციოლოგების, ფსიქოლოგების და სხვ.) ჩართვას.

მოგვყავს ციტატა წყაროდან [3]:

*„თითოეულს ამ აღიარებული სპეციალისტებისაგან წარმატებათა მიღწევის საკუთარი რეცეპტი აქვს, ყოველი მათგანი საკითხის დაყენება-გადაწყვეტისათვის საკუთარ ტაქტიკას გვათავაზობს (და სწორედ ამის გამო მოიპოვეს მათ მთელ მსოფლიოში აღიარება), მაგრამ სტრატეგიული ხაზი, ვფიქრობთ, ერთია, რომლის არსი შესანიშნავად განმარტა ცნობილმა მათემატიკოსმა და პედაგოგმა ჯორჯ პოიამ: „დაფიქრდეთ ფიქრის დაწყებამდე“.*

ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა დარგის (და თუნდაც ერთის) მკვლევართა აზრების შეჯერებისათვის მართვის დარგის სპეციალისტების, ძირითადად ევროპელების და ასევე ამერიკელების, მიერ შემუშავებულია არა ერთი და ორი მეთოდი, რომელთაგან გამოვარჩევდით განსაკუთრებით ღირებულებს (არა მარტო ჩვენი შეხედულებით). ესენია:

კომისიების, დელფის, დე ბონოს 6 ქუდის და CORT მეთოდები, პოიას რეკომენდაციები, SWOT-ანალიზი, დეკარტეს მიერ შემოთავაზებული ოთხი კითხვა, Design Thinking, ტვინების შტურმის და შტოების და საზღვრების მეთოდები [4].

აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარებისთვის დასახული სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წ.-წ.-სთვის SWOT-ანალიზის ჩატარების ბაზაზე შემუშავდა [5].

ამასთან, ამ გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მეცნიერული კვლევების და სწავლების პროცესების სრულყოფა სწორედ ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით.

აქ გვსურს ერთ მნიშვნელოვან მომენტს გავუსვათ ხაზი:

- ვთვლით, რომ, პროფილისა და სტრუქტურულიდან გამომდინარე, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტი ის სივრცე, რომელიც სხვა ორგანიზაციებთან შედარებით დიდ უპირატესობას ფლობს ამ მიმართულებით დასახული მიზნების სარეალიზაციოდ და მასში გარკვეული სამუშაოებიც ტარდება.



ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითები უნივერსიტეტის ცხოვრებიდან (ნაწილი საკუთარი პრაქტიკიდანაც):

- ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტზე შექმნილია ინტერდისციპლინური ინფორმატიკის დეპარტამენტი. გარდა სტუდენტებთან მუშაობისა, ამ დეპარტამენტს თავის თავზე აქვს აღებული აქვს სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობის ფუნქციაც - მათთვის გახსნილია საინჟინრო აკადემია. ეს სტრუქტურული დანაყოფი შესაბამისი მიდრეკილების მქონე ნიჭიერ ახალგაზრდებს დახმარებას უწევს იმ ცოდნის მიღებაში, რომელიც მათ გზებს უკაფავს ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანების ამოსახსნელად [6]. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პროფილის ფაკულტეტებთან, კერძოდ, მჭიდრო სამეცნიერო კავშირი აქვს არქიტექტურის ფაკულტეტთან;

- ინფორმატიკის ფაკულტეტის პროფესორმა გურამ ჩაჩანიძემ, ინტერდისციპლინურ კავშირებზე დაყრდნობით, სკოლებისათვის შექმნა სრულიად ორიგინალური სახის სახელმძღვანელოები: „ალგებრა და საქართველოს მათიანი“, „პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე“ და „ანბანთქება“, რომლებიც საზღვარგარეთული ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცეებისთვისაც იქცნენ მისაბაძ მაგალითად. მკვლევარმა ამ მიმართულების პრობლემატიკას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა და ხელმძღვანელობა გაუწია მრავალ დისერტანტანტს [7];

- მისაბაძია ის ფაქტი, რომ მეცნიერული კვლევების მეტი ეფექტიანობით წარმართვისათვის ფიზიკის დეპარტამენტში რეგულარულად ტარდება სემინარები, რომლებზეც სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური სპეციალისტები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ სფეროებში მიღებულ გამოცდილებას და აცნობენ მიღწევებს.

- უნივერსიტეტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ნოვატორთა აკადემიის (სნა) საქმიანობაშიც - სწორედ ინტერდისციპლინური კავშირების დამყარების წყალობით გახდა შესაძლებელი ახალი სიტყვის თქმა მედიცინაშიც - ონკოლოგიის, მედიცინის დოქტორ ირაკლი ნადირაძისა და ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლის, ქიმიის დარგში დოქტორ ნოდარ ჩიგოგიძის მიერ შეიქმნა და დაპატენტდა სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატი „ამფიცეზინი“. ამ პრეპარატის მაგალითზე ხაზი უნდა გაესვას ჩვენი და ევროპელი მეცნიერთა თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობასა და პერსპექტიულობას - ამფიცეზინის შესაძლებლობები in-vitro წესით გამოკვლეული იქნა შვედეთის და ლატვიის ერთობლივი სამედიცინო კორპორაციის მიერ და ძვირადღირებული, ჩვენთვის უფასოდ ჩატარებული ცდების შედეგად სწორედ ევროპელმა მეცნიერებმა დაადგინეს ამ პრეპარატის მაღალი ეფექტიანობა [8].

მოგვყავს ასეთი თანამშრომლობის ეფექტიანობის მეორე მაგალითიც (ამჯერად უშუალოდ ავტორის პრაქტიკიდან) - გერმანული ინტერნეტ-გამომცემლობა Lambert Academic Publishig-ის შეთავაზებით დაწერილ მონოგრაფიას ენების წარმოშობის ახალი თეორიის შესახებ აღნიშნული გამომცემლობის საიტზე გამოქვეყნებით გზა გაეხსნა ფართო აუდიტორიისაკენ [17].

- სტატიის ავტორის კვლევების ერთ-ერთი სფეროა გადანყვეტილებების მიღების პროცესის სრულყოფა სწორედ ინტერ- და ტრანსდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით. ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია ამ მიმართულებით მის

მიერ გამოქვეყნებული პრომების ნაწილი [9-16], ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნდა საზღვარგარეთულ საიტებზეც [17 - 18].

- უშუალოდ ინტერდისციპლინური კვლევების ხაზით, სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით, დისერტაცია დაიცვა 3-მა დოქტორანტმა. ორი მათგანის ნაშრომში ყურადღება მახვილდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ამ ხაზით შესაბამისი სამუშაოების ჩატარებაზე, ხოლო დოქტორანტ თორნიკე შავიშვილის დისერტაციაში გადანყვეტილებების მიღების პრობლემატიკა უფრო მასშტაბურადაც იქნა განხილულ-გადანყვეტილი, კერძოდ:

1. ერთ-ერთი სიახლე გახლდათ ცნობილი ევროპელი მკვლევრის დე ბონოს მიერ შემუშავებულ 6 ქულის მეთოდში მე-7, „უჩინმაჩინად“ წოდებული ექსპერტის როლის დამატება;
2. შემუშავდა შაბლონი ინტერაქტიური ტიპის სახელმძღვანელოებისათვის (Javascript ენის სწავლების მაგალითზე), რომლის გამოყენება შეუძლია, ფაქტობრივად, ნებისმიერი სპეციალობის პედაგოგს და მოსწავლეს როგორც on-line, ასევე off-line რეჟიმებში სამუშაოდ;
3. შეიქმნა ცოდნის გამოკითხვის და შეფასების კომპიუტერული სისტემა, არსებულებთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლის დამატებით.

ამრიგად, შედეგები გვაქვს, მაგრამ, ვთვლით, რომ ამ მიმართულებით გაცილებით მეტის გაკეთებაა შესაძლებელი, რაც ნამდვილად გახლავთ დღევანდელი დღის მოთხოვნა!

და ამ მიზნით, ინფორმატიკის ფაკულტეტზე 2022 წლიდან, ძირითადის გარდა, სტუდენტებს ეკითხებათ ისეთი არჩევითი საგანიც, როგორცაა „შემოქმედებითი აზროვნების საფუძვლები», ამჯერად მთელი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. რამდენიმე წელია, ასეთივე საგანი განსხვავებული სახელწოდებით “კრეატიული აზროვნების საფუძვლები» ეკითხებოდა, სამწუხაროდ, შარშან გარდაცვლილი ფიზიკოსის, პროფესორ ლევან გლურჯიძის მიერ ფიზიკის დეპარტამენტის სტუდენტებს. ლოგიკურია, რომ მასში აქცენტი კეთდებოდა ფიზიკის სფეროს პრობლემებსა და მათი გადანყვეტისათვის საჭირო ინოვაციურ მიდგომებზე. ცხადია, ახალ დისციპლინაშიც ყურადღება მახვილდებოდა საგანთა შორის ინტერ- და ტრანსდისციპლინური კავშირების გამოვლენა- გამოყენებაზე, მაგრამ, რადგანაც დღეს ნებისმიერ სფეროში წარმატების მისაღწევად აუცილებელი ხდება ინფორმატიკის დარგშიც მეტ-ნაკლებად გარკვევა, სწორედ ეს მიმართულება ავირჩიეთ საგნისთვის მასალების მოძიების და სილაბუსის შედგენისას. გათვალისწინებულ იქნა ის გარემოებაც, რომ სტუდენტებისათვის დასმული ამოცანა არცთუ იშვიათად შესაძლებელია გადანყვეტეს განსხვავებულ მიდგომებზე დაყრდნობით: მათემატიკური, პროგრამისტული და გამომგონებლობითი ხერხებით, რაც იძლევა შედეგების ვერიფიკაციის საშუალებასაც! ამასთან, ზოგ შემთხვევაში „სერიოზულ“ ამოცანებს ვაძლევდით სახალისო ფორმასაც, რაც, ფსიქოლოგებისა და გამოცდილი პედაგოგების შეხედულებით, სწავლების პროცესის გასააქტიურებლად ერთ-ერთი სასურველი და ეფექტიანი ხერხია!

ვთვლით, რომ ამოცანების ამოსახსნელად განსხვავებული გზების მოძიება, ამასთან, ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობით, და მიღებული შედეგების ერთმანეთთან შედარება სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი წინაპირობაა.

მოვიყვანოთ რამდენიმე ასეთი ამოცანა სერიიდან, რომლებიც განიხილება სწორედ ზემოთ აღნიშნული საგნის სწავლებისას პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

### ამოცანა - 1

ბოძზე შემოსკუპული ფრინველი ეშვება მიწაზე, კენკავს ერთ მარცვალს და გადაფრინდება მეორე ბოძზე.

მოითხოვება  $x$  ღერძზე არჩეული იქნას ფრინველის დაშვების ის წერტილი, რომელიც ფრინველის მოგზაურობისას განვლილ მანძილს ანიჭებს მინიმალურ მნიშვნელობას.

ამოცანის პირობასთან გაცნობის შემდეგ პედაგოგი სტუდენტებს ამცნობს, რომ ამ ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია სამი განსხვავებული ხერხით:

- მათემატიკურად (ამისთვის საკმარისია სკოლაში მიღებული ცოდნაც კი);
- იმიტაციური მოდელირებით (ვიყენებთ შესწავლილ დაპროგრამების ენას);
- გაცილებით მარტივად - არასტანდარტული (სხვაგვარად - გამომგონებლური) მიდგომის ხერხითაც!

შევნიშნავთ, რომ საგნის სწავლებისას სტუდენტის მიერ მესამე ხერხის მიგნებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება და შესაბამისად, ნამუშევარი უფრო მაღალ შეფასებასაც იმსახურებს. შესაძლებელია აქ სტუდენტი „დავაინტრიგოთ“ იმ ინფორმაციის შეტყობინებით, რომ ასეთი გზით ამოცანის ამოხსნა ძალუძთ დაბალი კლასების მოსწავლეებსაც.

### ამოცანა - 2

0 - 1 სიგრძის მონაკვეთის ნებისმიერ წერტილში თანაბარი მოხვედრის ალბათობით ეცემა წვიმის 2 წვეთი (წვეთების ზომა უკუვადლოთ, ანუ ისინი წერტილებად ჩავთვალოთ).

მოითხოვება, განისაზღვროს წვიმის წვეთებს შორის მანძილის მათემატიკური მოლოდინი.

მოგვყავს ამოცანის ამოხსნები ნიმუშები სამივე ხერხით:

1. მათემატიკური,
2. იმიტაციური მოდელირებით,
3. გამომგონებლური მიდგომით.

#### პირველი გზა:

მათემატიკური ხერხით ამოხსნა შესაძლებელია ერთმაგი და ორმაგი ინტეგრალის გამოყენებით;

#### 1.1 გზა

$$\int (0.5 + x - x) \cdot dx$$

ამოცანის პირობის თანახმად, საზღვრებად ვირჩევთ 0-სა და 1-ს:

$$\int_0^1 (0.5 + x - x) \cdot dx = (0.3333 \cdot x^3 - 0.5 \cdot x^2 + 0.5 \cdot x) \Big|_0^1$$

ამ განსაზღვრული ინტეგრალის გამოთვლა იძლევა ასეთ შედეგს:

$$F(1) = 0.3333333333333333$$

$$F(0) = 0$$

$$I = 0.3333333333333333 - (0) = 0.3333333333333333$$

## 1.2. გზა

x და y ცვლადები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად „მოგზაურობენ“ 0 -1 დიაპაზონში, მის ყოველ წერტილში მოხვედრის თანაბარი ალბათობით:


$$\int_0^1 \int_0^1 \text{abs}(x - y) * dx * dy = (0.3333 \cdot x^3 - 0.5 \cdot x^2 + 0.5 \cdot x) \Big|_0^1$$

გამოთვლების შედეგი, ცხადია, ამ შემთხვევაშიც არის იგივე ანუ - 1/3.

მეორე გზით ამოცანის გადასაწყვეტად მივმართავთ იმიტაციური მოდელირების ხერხს. პროგრამაში ორმაგი ციკლის მეშვეობით სრულდება ზემოთ განხილული ინტეგრირების პროცესთან მიახლოებული სცენარი. შედეგი ოდნავ განსხვავდება პირველი გზით მიღებული შედეგისაგან, რაც სავსებით ლოგიკურია.

მესამე გზა - ამოცანა წყდება კრეატიული მიდგომით, რომლის არსი დაფუძნებულია სიმეტრიის ფუნდამენტური პრინციპის გამოყენებაზე - ერთიანდება 0 - 1 მონაკვეთის კიდურა წერტილები და მიღებული კვანძი რანგით უტოლდება მათ:

მონაკვეთის კიდურა წერტილების შეერთება



ნახ. 12

მუშაობა გრძელდება და ერთ-ერთი მიმართულებად არჩეული გვაქვს მოსახლეობის აზრის გამოკითხვის სისტემების სრულყოფა. პროცესში ვითვალისწინებთ მართვის თეორიის ფუნდამენტურ პრინციპს:

ობიექტის მართვისას დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია მისგან (საბოლოო მომხმარებლისგან) ინფორმაციის მოპოვება და, მისი გაანალიზების საფუძველზე, სისტემის მართვაში შესაბამისი კორექტივების შეტანა.

## დასკვნა

ბოლო წლებში საქართველოში მომხდარმა მკვეთრმა ცვლილებებმა წამოჭრა რიგი ისეთი პრობლემებისა, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს თვისებრივად ახალი მიდგომების გამოყენებას. ნაშრომში აქცენტი კეთდება საზღვარგარეთული, კერძოდ, იმ ევროპული გამოცდილების შესწავლა-გაანალიზებაზე, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ სამეცნიერო და სწავლების პროცესებში შექმნილი პრობლემების გადასაწყვეტად. ამასთან, ხდება არსებული მეთოდების არა უბრალოდ გადმოღება, არამედ, ადგილობრივი პირობებთან მისადაგებით, - მათი მოდიფიცირება, რიგ შემთხვევებში, სინერგეტიკული ეფექტის მისაღებად, - კომბინირებაც. საბოლოო პროდუქტია შემუშავებული მეთოდების, ალგორითმების მარეალიზებული კომპიუტერული სისტემები.



## ლიტერატურა

<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/interdisciplinary?q=interdisciplinary>

გადამონმებულია 2022.09.25

<https://www.oxfordreference.com/view/10.1093/acref/9780191844386.001.0001/acref-9780191844386-e-4513> გადამონმებულია 2022.09.25

ღვინევაძე, გ. 2015. ვისწავლოთ შემოქმედებითად აზროვნება!

[https://gtu.ge/book/monografiebi/G\\_Gvinepadze\\_shemoqmedebiTi\\_azrpvneba.pdf](https://gtu.ge/book/monografiebi/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf)

გადამონმებულია 2022.09.25

გ. ღვინევაძე, თ. შავიშვილი. 2020. „გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის ამაღლების გზები“. სტუ-ს გამომცემლობა, „შრომები“, №1 (515), გვ. 80-93. ISSN 1512-0996.

[https://gtu.ge/pdf/Strategic\\_Plan\\_for\\_Development\\_of\\_gtu\\_2018-2024\\_01.pdf](https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_01.pdf)

გადამონმებულია 2022.09.25

<http://ertad.gtu.ge/1831-2/> გადამონმებულია 2022.09.25

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00016576/> გადამონმებულია 2022.09.25

<https://mkurnali.ge/onkologia/11798-siakhle-onkologiashi.html> გადამონმებულია 2022.09.25

ღვინევაძე, გ. შავიშვილი, თ. 2021. „ინტერდისციპლინური მიდგომების ეფექტიანობა მეცნიერული კვლევებისა და სწავლების პროცესებში“. მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის დაარსებიდან 50-ე წლისთავისა და მისი დამაარსებლის, აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო საზოგადოება და განათლების ინტენსიფიკაციის ტექნოლოგიები“. სტუ, „შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები“. №1 (32), გვ. 316-319. ISSN 1512-3979.

ღვინევაძე, გ. 2015. „მართვის თეორიის მეთოდების გამოყენება ენის წარმოშობის პრობლემატიკისათვის და ვიკილექსიკონის სრულყოფის საკითხი“. სტუ, „შრომები“. საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა. 2015, გვ. 191-197. ISBN 978-9941-20-575-0.

ღვინევაძე, გ. 2015. აკად. ივერი ფრანგიშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. მოხსენებათა კრებული. „ენების წარმოშობის ახალი, წყლის თეორია მითოლოგიური, ბიბლიური და მეცნიერული შესწავლების ქრილში“. თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა. გვ. 313-322.

ღვინევაძე, გ. 2018. „არქიტექტურა - მეცნიერების, რელიგიის და ხელოვნების და სფეროთა ურთიერთდამაკავშირებელი ფენომენი“. ირაკლი ციციშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. ურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები.“ 2019, № 10. გვ. 89-98, ISSN 2233-3266.

Gvinepadze, G. Tielidze Z. 2016. Interdisciplinary Communication and Electronic Manuals. Kijev-Tbilisi-Batumi. XXVII International Conference Problems of Decision Making under Uncertainties. ISBN 978-966-7166-39-7. p.-p. 75-78.

ღვინევაძე, გ. გიორგაძე, ნ. ჭუმბურიძე, ვ. 2018. სკოლის მართვის ავტომატიზებული სისტემის კონცეფცია. თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა, „შრომები“. №2 (508) გვ. 38-46.

ღვინევაძე, გ. 2019. „ღვინის სახელდებისათვის“. ურნალი “პარალელი”. №11. ISSN 0235-8417. გვ. 233-235.

ღვინევაძე, გ. 2020. „ინტერდისციპლინურ მიდგომაზე დაყრდნობით ზოგიერთი ლინგვისტიკური ამოცანის გადაწყვეტა (ქაშუეთის ეტიმოლოგიისათვის)“. „შრომები, მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №2 (31). გვ. 97-100. ISSN 1512-3979.

Гвинепадзе, Г. 2021. «В начале было...» ISBN-13: 978-620-3-30656-9, Book language: Russian, Number of pages: 116. <https://www.lap-publishing.com/catalog/index> გადამონწმეულია 2022.09.25

Gvinepadze, G. Chachanidze, G. 2017. "Advancing language technology to build cross-cultural bridges". Multilingualism in cyberspace proceedings of the Ugra Global Expert Meeting. Interregional Library Cooperation Centre. Moscow., 257-263 pp.

**Gela Gvinepadze**

*Professor*

*Georgian Technical University*

## **TRANS- AND INTER-DISCIPLINARY APPROACHES TO SOLVING PROBLEMS**

### **Abstract**

A person has always had to solve different problems, but the effective management of this process is of particular relevance in an environment that is very different from the previous one. Today Georgia is in just such a situation.

The purpose of the study: to study the experience of both foreign, primarily European countries, and our country in solving problems that arise in the scientific and educational process, and in order to increase their effectiveness, develop new solutions using inter- and transdisciplinary approaches.

Results of the study: taking into account local conditions, it is proposed to modify a number of these methods, and to obtain a synergistic effect, combine them and implement them in the form of computer programs.

The report also examines the question of how the opinion of an individual, collective, population is consistent with the opinion of a corporation, government. The situation is evaluated by a computer program.

### **Conclusion:**

The role of inter- and transdisciplinary approaches in solving problems arising in the scientific and educational process is discussed. To obtain a greater effect, attention is focused on the topics of computer implementation of the proposed recommendations.

**Key words:** transdisciplinarity, interdisciplinarity, European experience

მირანდა ჯანხოთელი

სტუ, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ბესარიონ სიმონიშვილი

სტუ, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

## მიგრაციის გავლენა ჯანდაცვის ეკონომიკის ეფექტიანობაზე

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მიგრაციის მსოფლიო ორგანიზაცია, როგორც გაეროს სისტემის ორგანიზაციები, თავიანთ ანგარიშებში აღნიშნავენ მიგრაციისა და ჯანმრთელობის საკითხების გამარტივების აუცილებლობას, გლობალური მასშტაბით მრავალი დაავადების გავრცელების გამონწვევების გათვალისწინებით. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოში ამ საკითხების შესწავლისას კვლავ თვალსაჩინოა მნიშვნელოვანი ასიმეტრიები.

კერძოდ, ჯანდაცვის სფეროში კვლევა ძირითადად ეხება ჯგუფებს, როგორცაა ლტოლვილები და მიგრანტები, მაგრამ სტუდენტები, უკანონო ტრეფიკინგი ან პაციენტების მოძრაობა პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. კვლევების დაახლოებით 90% ეხება განვითარებულ ქვეყნებს; კვლევების დაახლოებით 50% ეხება ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას, მაგრამ მხოლოდ 13% ეხება ინფექციურ დაავადებებს, ხოლო 9% არაგადამდებ დაავადებებს [2].

განვითარებულ ქვეყნებშიც კი (ლიდერები არიან აშშ და დიდი ბრიტანეთი, სადაც უცხოელი სტუდენტების უზარმაზარი კოჰორტებს ასწავლიან), ექიმების მნიშვნელოვანი რაოდენობა სწავლობდა საზღვარგარეთ. კერძოდ, ცნობილია, რომ OECD-ში ყოველი მეექვსე ექიმი სწავლობდა საზღვარგარეთ, მაგრამ ქვეყნებში საკმაოდ ასიმეტრიული სურათია. ისრაელში ექიმების 57% - ზე მეტი საზღვარგარეთ იყო მომზადებული, ახალ ზელანდიაში-42%, ნორვეგიაში-40%, შვედეთში-34%, შვეიცარიაში-33%, ავსტრალიაში-32%, დიდ ბრიტანეთში – 29%, აშშ – ში-25% [3].

პოსტიდუსტრიული ცოდნის ეკონომიკის განვითარების კონტექსტში მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის საკითხი, როგორც ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საქმიანობის პროცესში. ზოგადად, უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სამედიცინო - სოციალურ ასპექტებს და არასაკმარისი ყურადღება ექცევა ეკონომიკურ - საბაზრო ასპექტებს. განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციის მზარდი მნიშვნელობა იწვევს გლობალურ ტენდენციას ეროვნული ჯანდაცვის სისტემების ყურადღებისა და ეკონომიკური თვითუმრუნველყოფის გაზრდისკენ. ეს უკანასკნელი ვითარდება ექსკლუზიურად სოციალურად სუბსიდირებული სექტორიდან ინვესტიციებისა და ბიზნესისთვის მიმზიდველი ეკონომიკური სექტორის მიმართულებით. გარდა ამისა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება იწვევს ინოვაციური საქმიანობის გაფართოებას ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მრავალ სფეროში, რაც იწვევს კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას და მიგრაციას გლობალური მასშტაბით.

მიგრაციის ნაკადის მართვისა და სამედიცინო დახმარების საკითხებს ემატება იმ საკითხების აქტუალობა, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი შიდა სამეცნიერო

პერიოდულ გამოცემებში, მაგალითად, ინფექციური დაავადებების გავრცელების მზარდი საფრთხეები. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად შეინიშნება „ჯანსაღი მიგრანტის ეფექტი“ (არსებული სავიზო პოლიტიკის შედეგად), პრაქტიკაში კვლავ ვლინდება სხვადასხვა სიტუაციები, რაც უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა დონეზე. მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის ხარისხსა და სოციალურ-ეკონომიკური სექტორის განვითარებას შორის ურთიერთკავშირის არსებობის გათვალისწინება.

ტრადიციულად, მიგრაციის ნაკადების ანალიზი მოიცავს ასაკს, სქესსა და გეოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგრამ სხვა მახასიათებლებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ანალიტიკისა და განზოგადების მოცულობებს, რაც ზღუდავს მიგრაციული პროცესების კომპონენტების ყოვლისმომცველ ანალიზს. ამასთან, საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი ტიპების დინამიკის ანალიზმა აჩვენა როგორც მისი ფორმების მრავალფეროვნება, ასევე ყველა მახასიათებლის ცვალებადობა ასიმეტრიული დინამიკით. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საერთაშორისო მოვლენები, რაც იწვევს ემიგრაციის დიდი ტალღების ფორმირებას იმ ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან საომარ სიტუაციებში (უკრაინა, სირია) [3].

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა დაკავშირებულია ინდივიდუალური ჯანმრთელობისა და მთლიანად ჯანდაცვის სისტემების მდგომარეობასთან, რომლის მონიტორინგსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ანხორციელებს. მიგრაციისა და ჯანმრთელობის საკითხების მართვა სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ განსხვავდება მრავალი მნიშვნელოვანი მახასიათებლით.

გლობალურ დონეზე ხაზგასმულია მიგრაციისა და ჯანდაცვის საკითხების განვითარების შემდეგი ძირითადი ასპექტები: მიგრანტების ჯანმრთელობა; მიგრანტების გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ეროვნული სისტემების დამოკიდებულება მიგრანტებისადმი; მიგრაციისა და ჯანმრთელობის საკითხების გლობალური მართვა. საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადებს გრძელვადიანი ზრდის ტენდენცია აქვს, რადგან ახლა ყოველწლიურად 272 მილიონამდე ადამიანი მიგრანტია (მსოფლიოს მოსახლეობის 3.5%), რაც 100 მილიონით მეტია 25 წლის წინანდელთან შედარებით [2].

საგულისხმოა, რომ 2022 წელს საქართველოში XX ათასზე მეტი უცხოელი სტუდენტი იღებს უმაღლეს სამედიცინო განათლებას, აუცილებელია მათი რესურსის გამოყენება მსოფლიო ბაზარზე ჯანდაცვის სისტემის პოტენციალის პოპულარიზაციისთვის. ამისათვის მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს არჩევანის ფაქტორები და განხორციელდეს მათი პოპულარიზაცია სამედიცინო ტურიზმის გასაძლიერებლად.

არსებული სტატისტიკის ანალიზი აჩვენებს სამედიცინო მომსახურებისა და სამედიცინო ლოჯისტიკის, მარაგების ბაზრის განვითარების მიზანშეწონილობას, აგრეთვე შრომის ბაზრის იმ სეგმენტს, სადაც ხდება სამედიცინო მომსახურების მიწოდებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეფექტური ბაზრის გავლენით, ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე დაინტერესებულ მხარეებს ექიმებს, საშუალო და უმცროს სამედიცინო პერსონალს, შეეძლებათ სრულად გააცნობიერონ კონკურენტული უპირატესობები.

უცხოელი მომხმარებლების გავლენამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელობის ეროვნული სისტემების კონკურენტუნარიანობაში. კერძოდ,



2019-2021 წლებში სამედიცინო ტურისტებისთვის მიწოდებულმა მომსახურებამ ინდოეთს დაახლოებით 900 მილიონი აშშ დოლარი მოუტანა, რაც თითქმის სამჯერ მეტია კვლევითი მომსახურების ექსპორტზე [2]. უნგრეთში 2 მილიონამდე სამედიცინო ტურისტია. შემომავალი ტურისტული ნაკადების ზრდის კონტექსტში ტურისტების სამედიცინო დაზღვევა შეიძლება იყოს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი რესურსი.

მიგრაცია ასევე ასოცირდება ისეთ ნეგატიურ შედეგებთან, როგორცაა მოსახლეობის დაბერების დაჩქარება, მისი ჯანმრთელობის მაჩვენებლების გაუარესება, სოციალურად საშიში დაავადებების, კერძოდ, აივ/შიდსის გავრცელება, რისთვისაც მიგრანტი მუშაკები (პირველ რიგში ისინი, ვინც საქართველოში დაავადების მაღალი გავრცელების რისკით შემოდიან), რისკგუფად იქცევიან.

### ცხრილი 1

#### მიგრაციის დინამიკა საქართველოში 2012-2020 წლებისთვის [5]

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მიგრაციული სალდო	-21 521	-2 606	-6 543	-3 408	-8 060	-2 212	-10 783	-8 243	15 732
მიგრაციული სალდო, 1000 კაცზე	-5.8	-0.7	-1.8	-0.9	-2.2	-0.6	-2.9	-2.2	4.2

2012 წლიდან 2019 წლამდე სალდო უარყოფითია და შეუძლებელია მიგრაციის ბალანსის დინამიკაში მოულოდნელი დადებითი ცვლილება არ შეინიშნოს 2020 წელს. ეს შეიძლება იყოს მსოფლიოში COVID-19-ის გავლენის გამო. მოგეხსენებათ, კოვიდმა საოცარი გავლენა მოახდინა სამყაროზე და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უმუშევარი დატოვა, რაც თავისთავად შეეხო მიგრანტებს, რომლებიც მუშაობდნენ ან სწავლობდნენ. ალბათ, სწორედ ამიტომ მიგრანტების უმეტესობამ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო თავიანთ ქვეყნებში, რამაც გამოიწვია ბალანსის ასეთი ცვალებადობა. ემიგრანტების დიდი უმრავლესობა (70.0% ან მეტი) 20-39 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და ბუნებრივია, ამ კონტინგენტის მიზანი უცხოეთში განათლების, ძირითადად კი უმაღლესი განათლების მიღებაა.

მიგრაციის უარყოფითი და დადებითი შედეგების მაქსიმალურად დაბალანსების მთავარი პირობა ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებაა. ამავე დროს, სერიოზული კრიტიკაა მიგრაციის კანონმდებლობისა და სამთავრობო ორგანოების საქმიანობის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა, პარლამენტმა და მთავრობამ ცოტა ხნის წინ მიიღეს მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ამ სფეროში და რომელსაც არ ახლდა ფართო დისკუსია მეცნიერთა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, გასათვალისწინებელია ექსპერტთა რჩევები ამ ქმედებების დაჩქარების, დოკუმენტების ხარისხის, მათი მიღების პროცედურის შესახებ. მრავალი დამტკიცებული ნორმის არასათანადო განხილვის გამო, მათი განხორციელების დროს გარდაუვალი სირთულეები წარმოიქმნება. ამავე დროს, ჯანდაცვის სისტემა ამჟამად მთლიანად არ არის ადაპტირებული მიგრანტების სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. ბევრ ექიმს არ სურს და ხშირად ვერ უწევს სრულფასოვან დახმარებას მიგრანტებს, რადგან მისი გადახდა მთლიანად მიგრანტების მხრებზე დგას და შესაძლოა ხშირად გადახდის საშუალება არ ჰქონდეთ.

საგულისხმოა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში გადაგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ კი, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები, რომელთა შორის უდაოდ აღსანიშნავია Covid 19 გამონეული პანდემიის გამო სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტ მოსახლეობაზე კომპიუტერებით უზრუნველყოფის პროგრამა სწავლების დისტანციურ პროცესში ადაპტირებისათვის. რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელება გათვალისწინებულია 2021-2030 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიასა და მისი განხორციელების მიზნით შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში.

დასკვნებზე დაყრდნობით, გთავაზობთ რეკომენდაციებს მიგრანტებისა და საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით:

1. მიგრაციისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარების საკითხებზე საერთაშორისო პრიორიტეტების გაცნობა-ადაპტირება და პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება როგორც ქვეყნებს შორის, ისე სხვა მონაწილე მხარეებს შორის (საერთაშორისო ორგანიზაციები, დიასპორები, მიგრანტები და სხვა), რათა დაჩქარდეს პრაქტიკული და ქმედებაზე ორიენტირებული შედეგის მიღება ეროვნულ, ორმხრივ და საერთაშორისო დონეებზე; მოწინავე პრაქტიკის გაცნობა- ადაპტირება მიგრაციისა და მიგრაციული ნაკადების მართვის პოზიტიური ეფექტის რეალიზების მიზნით.
2. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ინფორმაციული პოლიტიკისა და სისტემური ხარვეზების განხილვა, მიგრაციისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარების პოლიტიკას შორის ურთიერთქმედებისა და მათ მიმართულებათა თანხვედრის ხელშეწყობის მიზნით როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
3. ჯანდაცვის სამინისტროს და ექსპერტთა ჯგუფს შორის სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაციის კოალიციური პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, მიგრანტი მუშაკების სამედიცინო სერვისებსა და ჯანდაცვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
4. უზრუნველყოს შრომის დაცვის კანონმდებლობის დაცვა, ასევე უსაფრთხოების სტანდარტები და რეგულაციები, რომლებიც იცავს მიგრანტ მუშაკებს გარემოსდაცვითი და პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისგან. განუმარტოს მიგრანტ მუშაკებს უსაფრთხოების საკითხები სამუშაო ადგილზე, საერთაშორისო ენაზე ან მიგრანტების მშობლიურ ენაზე.
5. დაარეგულიროს ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხები, ახსნას მისი აუცილებლობა როგორც მიგრანტებს, ასევე მათ დამსაქმებლებს შორის. მიგრანტ მუშაკთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ჯანმრთელობის, კვების, რეპროდუქციის, აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზის, სიფილისისა და სხვა სკვი-ის, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების, აგრეთვე თამბაქოს, ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ.
6. განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რათა ექიმებმა შეძლონ მიგრანტებისთვის სამედიცინო დახმარების განცვა საკუთარი თავის წინააღმდეგ სანქციების

შიშის გარეშე, ფსიქოლოგიური სამსახურის მუშაობის გასაუმჯობესებლად, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მიგრანტებს, რომლებიც დეპრესიულ ეტაპზე არიან ან მკვიდრი მოსახლეობის კონფლიქტების შემთხვევაში.

## დასკვნა

პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების კონტექსტში გადამწყვეტი ხდება ცოდნის, ინტელექტისა და მათი მფლობელების, კერძოდ, ადამიანების როლი, რადგან სწორედ ისინი ქმნიან პირობებს, რომ ქვეყნებმა მიიღონ მაღალი კონკურენტული სტატუსი. საერთაშორისო მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯანდაცვის სისტემაში, წარმოადგენენ შრომითი რესურსებისა და მოსახლეობის სახელმწიფოთაშორისი გადანაწილების საშუალებას მსოფლიო ეკონომიკაში. მიგრაცია არ არის მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობის უახლესი სახეობა, არამედ ის ასევე წარმოადგენს ჯანმრთელობის ეროვნული სისტემის განვითარების გამომწვევას- უპასუხოს როგორც თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს, ისე სწრაფად განვითარებად, კონკურენტუნარიან ჯანდაცვის პერსონალთა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. მიგრაციისთვის დამახასიათებელ ფაქტორთა უმრავლესობას ახლავს მზადყოფნის მაღალი დონე, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ გლობალურად. ეროვნული ჯანდაცვის სისტემებისთვის იკვეთება შანსი და შესაძლებლობები უკეთ გააცნობიერონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობები გლობალური ბაზრის მასშტაბით, ამიტომ სისტემის მენეჯერები მზად უნდა იყვნენ საბაზრო ურთიერთობებისთვის ცხოვრების ამ მგრძობიარე ასპექტში. საქართველოსთვის მიგრაცია მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია და, რა თქმა უნდა, ეს საკითხი მოითხოვს მიგრაციის რეფორმის განხორციელების შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ ვალიდობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Оставная А.Н. Роль субъектов миграционного процесса в решении проблем здоровья мигрантов // ДЕМИС. Демографические исследования. 2022. Т. 2. № 2. С. 162-175.
2. Фактические данные о существующих национальных мерах политики и руководства по предоставлению беженцам и мигрантам эффективных услуг в связи с туберкулезом, ВИЧ-инфекцией и вирусными гепатитами в государствах-членах в Европейском регионе ВОЗ. URL: <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/353324/9789289057943-rus.pdf> – 09.09.2022
3. The World Migration Report 2020. IOM. 498 p. URL: [https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr\\_2020.pdf](https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2020.pdf)- 09.09.2022
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL: <https://www.geostat.ge/ka> - 09.09.2022
5. <https://idp.gov.ge/reintegration-programs/> - საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა, 2022 წ- 09.09.2022
6. [https://migration.commission.ge/files/ms\\_ap\\_2022\\_30.12.2021\\_v2.pdf](https://migration.commission.ge/files/ms_ap_2022_30.12.2021_v2.pdf)- 09.09.2022
7. [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=216&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0) – 09.09.2022

**Miranda Jankhoteli**

*GTU, PHD student of Business Administration*

**Besarion Simonishvili**

*GTU, PHD student of Public Administration*

## **THE IMPACT OF MIGRATION ON THE EFFICIENCY OF THE HEALTH ECONOMY**

### **Abstract**

In the deep economic crisis, migration is significantly increased, leading to the need for the problems arising from the health of the population and the need for an in -depth study of the economic status of the regions and the country as a whole. Migration is a component of development that can significantly affect the countries of origin and employment of migrants. Especially on their health care system.

Migration can be economically and socially effective for migrants, but requires a safe, effective, socially -oriented policy to develop at different levels of regulation.

According to the decision of the UN General Assembly, since 2000, December 18 has been declared as the International Day of migrants and is celebrated in many countries of the world, highlighting the importance of migration in the modern world.

In general, the importance of studying the influence of migration on public health, the disease of the population, the spread of diseases, primarily due to the fact that migration processes include a significant part of the reproductive and labor -powered population. This creates multifaceted and interrelated problems.

**Key words:** migration, health care system, migration flows and medical assistance.





**ედიმერ ჯაფარიძე,**

სტუ, ასოცირებული პროფესორი,  
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი  
Email: jafaridzeedo@yahoo.com

ნაშრომი მომზადდა კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის დაფინანსებით და მხარდაჭერით

## **ევროპული ინტეგრაციის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები**

**საკუანძო სიტყვები:** ევროინტეგრაცია და საქართველო, ქართულ-ევროპული ურთიერთობები, ევრო გაერთიანების კონცეფცია, ევროკავშირის ინსტიტუტები, ევროპის სამართალი, ვიზა ლიბერალიზაცია.

საქართველო საუკუნეთა მანძილზე მიისწრაფოდა ევროპისაკენ. დღევანდელი საქართველო სავსებით სათუქვლიანად ადგას დასავლეთის ორიენტაციის გზას. ევროპის ისტორიის დასაბამითგან საქართველო მონაწილეა კაცობრიობის იმ სულიერი განვითარებისა, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციების შექმნისა, რომლებიც შეადგენდნენ ევროპის ცხოვრების არსს. ჩვენ ევროპელები მაშინ გავხდით, როდესაც მივიღეთ ქრისტიანობა და გავხდით ელინისტური სამყაროს ნაწილი რომაულ და ბერძნულ ცივილიზაციის თანაზიარი. საქართველო არის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წილის შემტანი ევროპის შემოქმედებაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართველი ემიგრანტი მეცნიერის მიხეილ მუსხელიშვილისა და ალექსანდრე ნიკურაძის ღვაწლი ევროკავშირის შექმნასა და მის ჩამოყალიბებაში, რომლებმაც ერთმნიშვნელოვნად გააგრძელეს ნიკო ნიკოლაძის ის გზა, რომელმაც თანამედროვე ეტაპზე საქართველო კიდევ ერთხელ მოაქცია ევროპულ რელსებზე. სწორედაც, რომ თერგდალეულთა ახალმა თაობამ განსაკუთრებით კი ე.წ. მეორე დასმა (რომელიც ერთიანდებოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი და სხვ.) შეძლო ქართველი ერის ისტორიაში ახალი ბილიკების გაკვალვა: “ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ვთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა - დასავლეთ ევროპის გზა არის (ს. ხუნდაძე).

ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დასავლური შეხედულებები ჯერ კიდევ 1870-იან წლებში იქადაგა. ის იყო ევროპული

პრაგმატიზმისა და საქმიანობის, ევროპული პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლებისა, ტექნიკის, კულტურის და ნოვაციის უპირველესი დამწერგავი საქართველოში (ვ. შუბითიძე).

დასავლეთ ევროპის პროგრესულ აზროვნებას მან ქართული ნიადაგი შეუფარდა და შექმნა ღრმა ეროვნული მსოფლმხედველობა და საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია: “არც ერთ მაშინდელ ჩვენს მოღვაწეს არ უგრძვნია ეპოქის სული ისე, როგორც ნ. ნიკოლაძემ იგრძნო, – წერდა სიმონ ხუნდაძე - არავის არ მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნიკოლაძემ.

გერონტი ქიქოძეს ნიკო ნიკოლაძე მიაჩნია, ევროპული აზროვნების პირველ წარმომადგენლად საქართველოში. ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც უცხოეთში, ციურისში 1868 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია უალრესად აქტუალურ თემაზე „განხარალება და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“, რომელიც ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ჟენევაში.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ტრადიციით განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით. ნიკო ნიკოლაძის ყველასთვის კარგად ცნობილი კონცეფციებიდან გამოვარჩევდით კიდევ რამდენიმეს, რომელმაც საქართველო იმ პერიოდში განვითარების და ინოვაციურობის განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა, კერძოდ: იგი ეხებოდა ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწის მფლობელობასა და კერძო მენარმეობას, თვითმმართველობას, ასევე ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა, საარჩევნო ცენზის გაუქმებას, მცხოვრებთა მთელი მასის მონაწილეობას თვითმმართველობასა და არჩევნებში და საქალაქო თვითმმართველობის სათავეში მონაწილე ინტელიგენციის დაყენებას, შეკრებებისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას, ერთა თანასწორუფლებიანობას, გმობდა უკიდურეს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. ამ კონცეფციების ცალკეული მიმართულებებით მეტნაკლებად მათი იმპლემენტაცია განხორციელდა, რამაც საქართველო კიდევ უფრო მეტად დაუახლოვა ევროინტეგრაციულ პროცესებს.

თანამედროვე ევროინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში ცნობილ ევროპულ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა შორის საპატიო ადგილი უკავია ორ ქართველ ემიგრანტ-მკვლევარს, პროფესორებს მიხეილ მუსხელიშვილსა [1903-1964] და ალექსანდრე ნიკურაძეს (1901-1981).

საქართველომ ევროპაში ხელახალი დაბრუნება დაიწყო მაშინ, როდესაც მივიღეთ ქრისტიანობა და გავხდით ელინისტური სამყაროს ნაწილი რომაულ და ბერძნულ ცივილიზაციის თანაზიარი, საქართველოს არასოდეს შეუწყვეტია სვლა ევროპისაკენ, საქართველო ფეხდაფეხ მიყვებოდა ევროპულ ქვეყნების ცივილიზაციის დინებას და ბევრ საკითხში უსწრებდა კიდევ მათ. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლის წარმოადგენს, ერთიანი ევროპის აპოლოგეტი, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ევროპის ფორმირების ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტის, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანის, ევროპაში კარგად ცნობილი ევროპოლიტიკოსების მიხეილ მუსხელიშვილისა (ევროპაში ცნობილია მიშელ მუსხელის სახელით) და ბერლინის უნივერსიტეტის

პროფესორი, ევროპაში პირველი „კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის“ დამაარსებლის ალექსანდრე ნიკურაძის შემოქმედება, რომელიც პირველი საფრანგეთში, მეორე კი გერმანიაში მოღვაწეობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპის გაერთიანების და ფედერაციის იდეის დაცვაში. მ. მუსხელის აზრით ევროპული ფედერალიზმი - ეს არის არამართო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია... წერდა იგი თავის ნაშრომში „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“.

ევროპული თანამეგობრობისა და ერთიანი ევროპული კავშირის კონცეფციის პირველი იდეური დამაარსებელი, სტრასბურგის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი მიშელ მუსხელი იყო, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჯან მონე და რობერტ შუმანი საუბრობდნენ ევროპის გაერთიანების იდეაზე, მიშელ მუსხელი უკვე გამოდიოდა ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივებით, როგორც ევროპის ინსტიტუციური მოწყობის ასევე ევროპეიზაციის სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობით, თუმცა სანამ უშუალოდ სამართლებრივ ინიციატივებზე გადავიდოდეთ ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მისი შემოქმედების სამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რომელიც ეხება ევროპაში მნიშვნელოვანი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომელმაც დასაბამი მისცა შემდგომ ევროპის ინსტიტუციონალურ განვითარებას და ევროპეიზაციის პროცესს, პირველი ეს გახლდათ კვლევითი ცენტრის შექმნა, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. მ. მუსხელმა 1948-1949 წლებში შეიქმნა სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის (ე.წ. სოციალისტური) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც 18 წელი სათავეში ედგა მას, რომელსაც შემდგომ მას „მუსხელის“ ცენტრი უწოდეს (ეხლაც მუსხელის ცენტრი ქვია). „მუსხელის“ ცენტრი წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საფრანგეთში, სადაც მუშავდებოდა ევროინტეგრაციის და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევრო გაერთიანების და ევროპული საზღვრების აღების იდეა წამოაყენა და დაიცვა .

მეორე, იგი ევროპის საბჭოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში (1949წ) თავიდანვე იღებდა მონაწილეობას, რომელმაც სათავე დაუდო ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას ევროპაში, 1952 წლიდან მიშელ მუსხელი „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატის“ მფლობელი ხდება და იგი აქტიურად ერთვება ევროპის საბჭოს საქმიანობაში.

მესამე ეს გახლდათ „ქართულ ევროპული მოძრაობა“ პირველი აპოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ორიენტირებული იყო დემოკრატიულ ფასეულობებზე და ლიბერალურ ღირებულებებზე. 1953 წლის 10 აგვისტოს სტრასბურგში ოფიციალურად დაარსდა პირველი „ქართულ-ევროპული მოძრაობა“, რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი მიხეილ მუსხელიშვილი იყო. „ქართულ-ევროპული მოძრაობას“, საფუძვლად დაედო 1953 წლის 7 აპრილს, ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი წესდება: 1) ქართველთა შორის ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება. 2) გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი

ევროპისა და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად, იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევროპულ მოძრაობებს. მოძრაობის წესდებაში ხაზგასმულია, რომ „ქართულ-ევროპული მოძრაობა“ არ იყო კუთვნილება რომელიმე პარტიისა ან ჯგუფისა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქართველს, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინც აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას.

რაც შეეხება ევროპეიზაციის სამართლებრივ პროცესს მ. მუსხელის შემოქმედებიდან გამოვარჩევდით შემდეგ ინიციატივებს:

მ. მუსხელმა 1948 წელს ფრანგ კონსტიტუციონალისტ გასტონ სტეფანთან ერთად ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი დაწერა „ Michel Mouskhely, Gaston Stefani, „Draft of a European Federal Constitution“ 1948“, სადაც დეტალურად განერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც დაფუძნებულია მშვიდობაზე და სოციალურ სამართალზე ფედერაციის ერთიანობაში და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ევროპული სამართალი დღესაც საზრდოობს მიხეილ მუსხელიშვილის მიერ ინიცირებული სამართლის პრინციპებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტალური ნაშრომები, ადამიანის ძირითად უფლებებზე და თავისუფლებებზე).

1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევრო კონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის და 300 ზე მეტ სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიშელ მუსხელისა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს,.... თქვა მაშინ მიშელ მუსხელმა.

1955 წლის სექტემბერში ქ. ტრიესტში გამართულ მსოფლიო კონგრესზე, რომელშიც წარმოდგენილი იყო 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელი, კონგრესზე მთავარმა მომხსენებელმა მიშელ მუსხელმა მიმართა მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს მესვეურებს: ახლა დადგა დრო ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობის გაერთიანების შესახებ, რაც მაშინათვე გულისხმობდა ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციის ინიციატივებს, დღევანდელი ბოლონიის პროცესთან მიახლოებულ პროექტს, ევროპის ინტელექტუალური მასის მობილობისა და ერთმანეთთან დაახლოების პერსპექტივებს, ევროპის საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაციას. მიშელ მუსხელი ჯერ კიდევ მაშინ გამოდიოდა ინიციატივით, რომ მომხდარიყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების საერთო მეთოდების შემუშავება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობა და გონივრული ურთიერთობების განვითარება .

მ. მუსხელი ბრიუსელში გამოდიოდა ინიციატივით ევროპის საერთაშორისო ტრიბუნებზე ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის C.E.C.A-ს პავილიონში შედგა ევროპულ პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი, რომლის მუშაობის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: ევროპის საერთო ბაზარი და ევროპის საერთო



დანესებულებები. მოხსენებები ეხებოდა ევროპის ეკონომიკური მთლიანობის იურიდიულ ბუნებას და მის საერთო ასპექტს, მის ფსიქოლოგიურ მხარეს. მ. მუსხელიშვილმა კი ვრცელი მოხსენება წაიკითხა, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის (მთლიანობის) შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე. იგი მიიჩნევდა, რომ ევროპის გაერთიანების შემდგომ უნდა მოხდეს ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე. საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდგომ მის საერთო სიმტკიცის შენარჩუნებას.

მიხეილ მუსხელიშვილის ინიციატივების გარდა, საინტერესოა ასევე ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ნიკურაძის მიერ შეტანილი ქართული წვლილი ევროპოლოგიის-როგორც ინტერდისციპლინარული დარგის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით 1952 წლის სექტემბერში საფრანგეთში, ე. კომპიენთან ახლოს „ლაბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპულ მეცნიერთა ყრილობა, რომლის საგანი იყო ევროპული საჭირობოროტო საკითხების წინ წამოწევა. კერძოდ, სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო მისი აზრი ცნება-ტერმინის „ევროპოლოგიის“, „European Studies“ შემოღების შესახებ, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა ევროპული სამეცნიერო დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას. ასევე, ინიციატივას, შეიქმნას და ჩამოყალიბდეს ცალკე დარგი „Volkswirtschaft“ ეკონომიკა, სადაც შევა მხოლოდ ეკონომიკური სწავლების საკითხები. მას შემდეგ ევროპოლოგიის „European Studies“ და „Volkswirtschaft“ ეკონომიკის, სამეცნიერო სწავლების მიმარ-თულების შემოღება და მათი დამკვიდრება ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის სახელს უკავშირდება.

ალ. ნიკურაძე მუშაობდა აგრეთვე კავკასიის კონფედერაციის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ლიდერად გახდომას კავკასიის რეგიონში, გერმანიის პროტექტორატით და ამიერკავკასიის ეკონომიკაზე, მისი განვითარების გზებზე და სამომავლო პერსპექტივებზე. იგი თვლიდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების გზა მის ეკონომიკაზე გადის. ჯერ კიდევ მაშინ ა. ნიკურაძე და ცნობილი გერმანელი ეკონომისტები, მათ შორის აღმოსავლეთის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი მ. ახმეტელი დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო სამომავლოდ გახდებოდა ეკონომიკურად ყველაზე პოტენციური და მნიშვნელოვანი ხიდი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ტრანზიტული გზებისა, ვინაიდან ამის მთავარ განმაპირობებელ მიზეზად საქართველოს გეოგრაფიულად და გეოსტრატეგიულად ევროპისა და აზიის გზა-ჯვარედინზე მდებარეობას მიიჩნევდნენ. იგი ამ საკითხებთან დაკავშირებით და ქართულ-ევროპული ურთიერთობების და პარალელების შესახებ გერმანულ ენაზე აქვეყნებდა ქართველოლოგიური ტიპის ნაშრომებს კერძოდ: „კავკასია“, „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „ისტორიოგრაფიული შეხედულებანი ალბანეთის შესახებ“, „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“, „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“, „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის“ (კავკასია შესაძლოა პირველი სამშობლოა სუმერთა ლითონის) და

სხვა. გარდა ამისა ა. ნიკურაძეს გამოქვეყნებული აქვს ასევე ფიზიკა-მათემატიკის დარგში 35-ზე მეტი მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია „თხევადი დიელექტრიკები“ (Al. Nikurade. Das Flüssige Dielektrikum. Berlin. 1934), რომლის რუსული თარგმანი გამოცემულ იქნა მოსკოვ-ლენინგრადში, სადაც ნათქვამი იყო, რომ მსგავსი ნაშრომი რუსულ ენაზე არ არსებობდა. ეს იყო იშვიათი პრეცედენტი, როცა საბჭოთა კავშირში დაიბეჭდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი ფიზიკოსის ფუნდამენტალური ნაშრომი. მთელ საბჭოთა სამყაროში და არა მარტო მაშინ, ეს ნაშრომი დღესაც გამოიყენება სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო სახელმძღვანელოდ.

მიხეილ მუსხელიშვილის იდეის რეალიზაცია თანამედროვე საქართველოში დამოუკიდებლობიდან 25 წლის შემდეგ „ვიზა ლიბერალიზაციის“ სახით ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, 2017 წლის 2 თებერვალს საქართველომ მიიღო უვიზოდ გადაადგილების უფლება (ვიზა ლიბერალიზაცია) შენგენის წევრ ქვეყნებში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ქვეყანაში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგია და ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა.

მაშასადამე, აქ წარმოდგენილი პოლიტიკური და სამართლებრივი ინიციატივები მოწმობს იმას, რომ ევროპის კავშირის შექმნის იდეის ერთ-ერთი პირველი აპოლოგეტი სწორედ რომ მიხეილ მუსხელი იყო.

ამრიგად, ავტორის მიერ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში საარქივო მასალებზე, ახლად შემოტანილ ლევილისა და ჰარვარდის კოლექციებში დაცულ დოკუმენტებზე, ემიგრანტთა შთამომავლების პირად არქივებზე დაყრდნობით, კომპლექსურად შესწავლილი და გამოკვლეული იქნა შემდეგი ძირითადი ასპექტები, სადაც პირველად გაანალიზდა:

1. მიხეილ მუსხელიშვილის ბიოგრაფიის და შემოქმედების მნიშვნელოვანი და დღემდე უცნობი უნიკალური ისტორიული მასალები, რომელიც ევროინტეგრაციაში შეტანილ მნიშვნელოვანი წვლილის წარმოჩენას ეხება. მისი შემოქმედების შესწავლის შედეგად გამოკვლეული და გამოვლენილი იქნა შემდეგი ახალი ფაქტები: ა) 1948 წელს მან ფრანგ კონსტიტუციონალისტ სტეფან გასტონთან ერთად შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი დებულებანი საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროპული კავშირის სამართალს, ბ) ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისა და ევროგაერთიანების ინსტიტუციების დაარსების იდეა (რაც მერე განხორციელდა ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს და სხვათა შექმნით).

გ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზაცია და ევროპულ საგანმანათლებლო სისტემების და პროგრამების ჰარმონიზაცია (რაც მერე განხორციელდა ე.წ. „ბოლონიის პროცესის“ სახით და ა.შ).

დ) ევროპაში საზღვრების მოშლის კონცეფცია (რაც მოგვიანებით განხორციელდა ე.წ. შენგენის ვიზის სახით, რამაც ევროკავშირში ფაქტობრივად საზღვრები მოშალა).

2. მიხეილ მუსხელიშვილის იდეის რეალიზაცია თანამედროვე საქართველოში ვიზალიბერალიზაციის სახით.

3. მიხეილ მუსხელიშვილი „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატს ფლობდა, რომელიც დათარიღებულია 1952 წლით,

ხოლო აღნიშნული საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაის ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ, რომლის შტაბბინა სტრასბურგში მდებარეობს, სავარაუდოდ ამ საბჭოს დაარსებაში ქართველი ევროპოლიტიკოსის წვლილი შემდგომი კლევის საგანია.

დღევანდელი ვიზა ლიბერალიზაციის მიღება ერთგვარად წარმოადგენს მიშელ მუსხელიშვილის იმ ოთხ ძირითად კონცეფციას ევროგაერთიანებისა, რომელიც იგი ამისთვის იბრძოდა, აღნიშნული კონცეფცია მაშინვე გულისხმობდა: ევროპული ქვეყნების გაერთიანებას (ევროპული კავშირი, კონფედერაცია), ევროპის საერთო ბაზრის შექმნას, ევროპის ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლას, ევროპის ერთიანი განათლების სისტემის შექმნას და ჰარმონიზაციას. აქედან ბოლო ორ კონცეფციაში საქართველო უკვე აქტიურად მონაწილეობს ხოლო დანარჩენი კი კვლავ რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევად. ვიმედოვნებთ, რომ წარმატებული ღონისძიებების გატარებით საქართველო მალე შეუერთდება ევროპის საერთო ბაზარს და ამავდროულად საბოლოოდ დაბრუნდება ევროპულ ოჯახში, თავის კუთვნილ ადგილას.

აღნიშნულ კვლევებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მატებს ისიც, რომ ჩვენი საარქივო მასალების შესწავლის შედეგად და საქართველოს ცნობილი დიპლომატის ბატონ ზვიად კვაჭანტირაძის მხარდაჭერით 2019 წელს მოძიებული და აღმოჩენილი იქნა მიშელ მუსხელიშვილის საფლავი, სადაც დაკრძალულია სტრასბურგში-რობერტსოს ჩრდილოეთ სასაფლაოზე, რომელიც მანამდე დაკარგულად ითვლებოდა. ასევე სტრასბურგში 2019 წელს გაიხსნა მიშელ მუსხელის სახელობის საკვირაო სკოლა, სადაც ქართველ ემიგრანტ ბავშვებს ასწავლიან სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მიშელ მუსხელის შემოქმედებასაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ევროპულ ორიენტაციას არ გააჩნია ალტერნატივა, რომ ქართველი ხალხი აუცილებლად, საბოლოოდ დაუბრუნდება თავის პირვანდელ სამშობლოს – ევროპას, თავის სისხლსა და ხორცს, რომლისკენაც მუდამ ისწრაფოდა კულტურით, რელიგიითა და პოლიტიკური სისტემით... ამასთან უნდა ითქვას, რომ ევროინტეგრაციის და “ევროპოლოგიის” განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია დღეს ამით ვიამაყოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Michel Muskhelishvili, Publication of the Georgian-European Movement, 1952 Paris.
2. The Newspaper Figaro, 2.ÍÍ. 1965.
3. Michel Mouskhely, “Mandate of the Representative of the Consultative Assembly of the Council of Europe”, 1952 Strasbourg Archive.
4. The Journal of the Fate of Kartli # 15, September 1953.
5. Spiegel der Sudpfalz, Thema am Samstag, revolution fur Europain St. Germanshof, Samstag, 5 August, 2006
6. The Journal of the Fate of Kartli # 21-22, April 1956.
7. The Journal of the Fate of Kartli, # 28-29, Congress of the European Professors' Association, June 1958.
8. The Journal of the Fate of Kartli, No. 10, by Professor Al. Nikuradze in Paris, 1951
9. Sharadze G. In the Overseas Sky, Book N, 1991
10. Shubitidze Vaja, Europeanization and Georgian Political Thought, 2013

11. Japharidze Edisher, At the Outset of European integration, 2019
12. Sanders Alexander, KAUKASIEN, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenia, Georgien  
Geschichtlicher Umriss. München. Hoheneichen-Verlag.1942.
13. Mikheil Muskhelishvili, Georgia and Europe, Georgia's Relations with European and American  
Countries, TB; 1995, Volume II.
14. Vazha Shubitidze, 100 Greatest Georgians of All Time, Tbilisi, 2008.
15. Guram Sharadze, Under the Foreign Sky, Book I, Tbilisi, 1991
16. Journal Officiel de la Republique Francaise # 73. 1944. 31 August
17. Revue de Kartvelologie. # 45/46. Paris. გვ.184/86
18. Bedi kartlisa, #21-22. p. 27-29, 1-5, 7-8
19. Figaro, 12.08.1965
20. La Taurillon , 2012. 20 Jule
21. შუბითიძე ვ. ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება, 2013
22. სამეცნიერო კონფერენციის შრომები, საქართველოს ევროპულ სივრცეში, 2010

**Edisher Japharidze,**

*GTU, Associate Professor*

*Academic Doctor of Social Science*

## **HISTORICAL-POLITICAL ASPECTS OF EUROPEAN INTEGRATION**

### **Abstract**

It is still not widely known to the general public that at the starting point of uniting the European Union (European Confederation) were standing famous Georgian scientists and public figures. M. Muskhelishvili and A. Nikuradze. While Robert Schuman and Jean Monnet talked about the idea of uniting Europe, M. Muskhelishvili and A. Nikuradze were publishing articles on the same subject in the leading newspapers and magazines and actively participated in the processes of creating the European Union.

M. Muskhelishvili was born on 6 July of 1903 in Tbilisi in Georgia. After graduation of Gymnasium he went to continue study in Gottingen and Munich University in 1921 and after he went on study at the Lion University in Paris where he was educated Law education. In the 1932-1933 he was lectured in law and political science at the Paris University.


Muskhelishvili was the first Georgian European who preached about the idea of Creating European Union in his way and erasing frontiers among European countries. He formed the European Center of scientific research and study in Strasburg named „ Muskheli ” center ( where it is operating with the name) which researched European integration issues. After the War he raised the idea of uniting Europe and its federation and protected it. To his opinion, European federalism is not only surviving necessity for European people but also a guarantee of peace and for general flourishing in Europe, freedom and integrity of human race...., he wrote in his work,, The structure of Europe’s federalism”.

Al.Nikuradze was one of the most competent researchers of Georgian-European relations and the director of the research Institute of continental Europe in Munich. In September 1951



he read a report in the Paris association of fellow countrymen of Georgia. „ General pictures of Georgian European background”, in which original ideas are stated. Ideas which nourish European constitution to this day. He is also widely credited with European Integration and Europologie as forming and developing the field of the inter-discipline. In September 1952, near city companies in France with A. Nikuradze’s initiative was a conference of European scientists in La Brévine. The subject of the conference was putting forward European troubling issues to discuss. In particular, among other propositions the congress accepted his opinion, a concept of adopting the term Europologie. Basically „Europologie” meant gathering European scientific fields and forming them as one unity of study. It is important to make a merit of A. Nikuradze played very important roll also in developing of kartvelology in Europe.

Also, thus, it can be said that at the initial point of European Integration were standing the two world famous Georgian emigrant scientists M. Muskhelishvili and A. Nikuradze, who are widely credited with forming and developing the European Union.



9772960997003